ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# საერთაშორისო ფინანსები აზრის მოდული

# რიდერი

სასწავლო კურსი სართაშორისო ფინანსები

შემდგენელი: ასოცირებული პროფესორი

ლელა ბახტაძე

თბილისი

2021

# ლექცია: თემა 1. **საერთაშორისო ფინანსები და მსოფლიო ეკონომიკური გარემო**

მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ეკონომიკურ პრობლემებს. ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირის ამაღლება და ინტეგრაციული პროცესები აუცილებელ თავისებურებას წარმოადგენს. დღესდღეობით წარმოუდგენელია თანამედროვე მსოფლიო სრულყოფილი საერთაშორისო ვალუტის ურთიერთობების გარეშე. სწორედ საერთაშორისო ურთიერთობის განსავითარებლად გამოიყენება საერთაშორისო ვალუტის სისტემა, რომელიც წარმოადგენს იმ მექანიზმებისა და წესების ერთობლიობას, რომელიც სახელმწიფოებს შორის კავშირს უზრუნველყოფს.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმებს წარმოადგენს: საგარეო ვაჭრობა, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია, კაპიტალის გატანა, საერთაშორისო საფინანსო და ვალუტის-საკრედიტო ურთიერთობები. კაპიტალის ბაზრებს შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელოვანმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა სხვადასხვა ქვეყნის საფინანსო და ვალუტის პოლიტიკის მკვეთრი კოორდინაციის აუცილებლობა. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის აუცილებლობით გამოწვეული ფულადი პოლიტიკის კოორდინაციის მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა 1998 წლის ვალუტის კრიზისის შედეგად. ვალუტის კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ქვეყანა იძულებულია დამოუკიდებელი ვალუტის პოლიტიკის გატარებაზე უარი თქვას, ვინაიდან ვალუტის კურსის სისტემაში სარგებლის განაკვეთების შეუთანხმებლობამ შესაძლოა კაპიტალის ერთი ბაზრიდან მეორეში გადაქაჩვა გამოიწვიოს, რაც ცალკეულ ქვეყნებს ლიკვიდობის პრობლემას შეუქმნის. სწორედ 1980-1990-იანი წლების ვალუტის კრიზისმა ნათელი გახადა, რომ ვალუტის პოლიტიკის კოორდინაცია აუცილებელია, იმისათვის, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრების სტაბილურობა იქნეს მიღწეული. ფინანსური დამოკიდებულება იწვევს ქვეყნების ვალუტის პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციას, განსაკუთრებით კი სარგებლის განაკვეთთან მიმართებით.

ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის გარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში, ვინაიდან საქონლის

წარმოებაში კონკურენცია გაჩნდა, რაც კიდევ მეტად აძლიერებს საერთაშორისო ვალუტის სისტემის კრიზისს (ბახტაძე, კაკულია, 2013).

ვალუტის-საკრედიტო ურთიერთობათა ისტორიაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მე-2 მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც ვალუტის-საკრედიტო ურთიერთობათა მართვისთვის გადამწყვეტი იყო შემდეგი ოთხი ფაქტორი:

კეინზური რევოლუცია - კეინზის მიხედვით, ვალუტის-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა გამხდარიყო დასაქმების მიღწევა ერთობლივი მოთხოვნის შეგნებული მართვის გზით. მთავრობის მიერ სრული დასაქმებისთვის გატარებული ღონისძიებების ფონზე გაჩნდა წინააღმდეგობები შიდა ეკონომიკურ განვითარებასა და საგადასახდელო ბალანსის (BOP – Balance of Payment) გამოთანაბრების ამოცანებს შორის. ამასთანავე, სიღარიბესთან ბრძოლისკენ მიმართული სოციალური პროგრამები სრულად სახელმწიფო ფინანსებს აწვებოდა და შესაბამისად, იწვევდა ინფლაციურ პროცესებს თანდართული სირთულეებითა და პრობლემებით (მექვაბიშვილი, 2016);

დაქირავებული თანამშრომლების ორგანიზაციის როლის ამაღლება - მონოპოლიურ საბაზრო ძალას პროფკავშირები წარმოადგენდნენ, რომელთაც მშვიდობიან პერიოდში მიაღწიეს მუშათა კლასის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც ხელფასის მატებით გამოიხატა. თავის მხრივ, ხელფასის მატება იწვევს ინფლაციის ზრდას, რაც უარყოფითად მოქმედებს საერთაშორისო ფულად-საკრედიტო და ფინანსური ურთიერთობებზე;

საგადასახდელო ბალანსის გამოთანაბრება - განვითარებული ქვეყნების მთავრობებისთვის პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საგარეო ანგარიშსწორებათა დაუბალანსებლობა, არამედ საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურის საკითხები. თანამედროვე ეპოქაში დეფიციტის და ინფლაციის გამწვავება აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. დეფიციტს საფუძვლად უდევს რამდენიმე მიზეზი, როგორიცაა: ჭარბი შიდა მოთხოვნა; ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია ხელფასების და ფასების ზრდით; ახალი უცხოური კონკურენციის გავლენა (ხშირ შემთხვევაში იმ ქვეყნების მდგომარეობა, რომელთაც შედარებით დაბალანსებული საგარეო ანგარიშსწორებები გააჩნიათ, იმის გამო უარესდება, რომ მათი ეკონომიკისა და შრომის პროდუქტიულობის ზრდის ტემპები ჩამორჩება კონკურენტების ანალოგიურ მაჩვენებლებს. დინამიკური ეკონომიკის მქონე ქვეყნები სწრაფად ზრდიან ექსპორტის პოტენციალს, რის გამოც მათი

საქონელი სხვა დანარჩენი ქვეყნების საქონელზე უფრო კონკურენტუნარიანი აღმოჩნდება); კაპიტალის ექსპორტის ზრდა (ზოგიერთ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი წამოიქმნება უცხოეთში პირდაპირი ინვესტიციების ზრდით და კრედიტის გაცემით უცხოელ მსესხებლებზე);

დაუბალანსებლობის გამოთანაბრების ბერკეტები - საგადასახდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტის პირობებში, ქვეყანა იძულებულია დაკარგოს რეზერვები და იქიდან გამომდინარე, რომ მოცულობა განსაზღვრული სიდიდეა, ძალაუნებურად დისბალანსის გამოთანაბრებისათვის საჭირო ნაბიჯებს დგამს, როგორიცაა უცხოური კრედიტის აღება. დაუბალანსებლობის საშუალებათა წრე შეზღუდულია, რის გამოც სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები ჩააყენონ დისბალანსის გამოთანაბრების პროცესში.

ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობის მთავარ ელემენტს ვალუტა წარმოადგენს, სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია საერთაშორისო ვალუტის ურთიერთობისა და ვალუტის სისტემების შესწავლამდე განვიხილოთ ეროვნული ვალუტის სისტემების ისეთი ელემენტები, როგორიცაა: ეროვნული ვალუტა, სარეზერვო ვალუტა, ვალუტის კურსი, ქვეყნის საერთაშორისო ვალუტის ლიკვიდობა და მისი სახელმწიფოთაშორისი რეგულირება, საერთაშორისო და საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც არეგულირებენ ქვეყნებს შორის ვალუტის ურთიერთობებს.

ვალუტის სისტემა წარმოადგენს ვალუტის ურთიერთგაცვლის წესებისა და ნორმების, ისევე როგორც ვალუტის გამოყენებასთან დაკავშირებულ ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც განმტკიცებულია სახელშეკრულებო და სახელმწიფო-სამართლებრივი ნორმებით.

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ მსოფლიო, საერთაშორისო და ეროვნული ვალუტის სისტემები.

მსოფლიო ვალუტის სისტემა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა: საერთაშორისო საგადასახდელო საშუალებების ნაკრები, ვალუტის გაცვლისა და კონვერტირების რეჟიმი, საერთაშორისო ანგარიშსწორების ფორმათა უნიფიკაცია, საბანკო დაწესებულებები და საფინანსო ინსტიტუტები.

ეროვნულ ვალუტის სისტემასთან დაკავშირებით, პროფესორი მ. კაკულია გამოყოფს შემდეგ ელემენტებს: ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის რეჟიმი,

გაცვლითი კურსის რეჟიმი, ვალუტის კონტროლის მექანიზმი, ქვეყნის საერთაშორისო ლიკვიდობის მართვა, შიდა ვალუტის და ოქროს ბაზრის მოწყობა (კაკულია, 2001).

როგორც ვიცით, ვალუტა ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეულია, რომელიც გამოიყენება საქონლის ღირებულების სიდიდის გამოსათვლელად. ვალუტის ქვეშ, ასევე მოიაზრება ფულის სისტემის ტიპი, საერთაშორისო ანგარიშსწორებაში საკრედიტო და საგადასახდელო საშუალება, საერთაშორისო და რეგიონული ფულადი ერთეული.

გამოყენებისა და რეჟიმის სფეროებიდან გამომდინარე განასხვავებენ ეროვნულ და სარეზერვო ვალუტებს, კონვერტირებად და არაკონვერტირებად ვალუტებს.

ვალუტის სისტემის განხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ მის კონვერტირებადობის საკითხს, ვინაიდან სწორედ ეროვნული ვალუტის კონვერტირებისთვის უნდა შეიქმნას სათანადო პირობები, რომელშიც მთავარი ვალუტის შეზღუდვების არარსებობაა.

ვალუტის სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს წარმოადგენს შიდა და მსოფლიო ვალუტის ბაზრები.

ვალუტის ბაზარი არის უცხოური ვალუტისა და მისი საგადასახდელო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარი სისტემა. მსოფლიო ვალუტის ბაზარი კი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკების საკორესპონდენტო კავშირებს და წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი ანგარიშსწორების განხორციელების მექანიზმს.

ვალუტის ბაზრის საქმიანობის წარმატების მთავარი ფაქტორი რისკების არსის გაგება და მართვაა. ფინანსურ ბაზრებთან 3 სახის რისკია დაკავშირებული, კერძოდ: საბაზრო რისკი, საკრედიტო და საანგარიშსწორებო რისკი.

საბაზრო რისკის დროს სარგებლის განაკვეთის ან გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად შესაძლოა დავზარალდეთ, ანუ წარმოიშვას იმის ალბათობა, რომ ვალუტათა მოძრაობა არახელსაყრელი აღმოჩნდება.

საანგარიშსწორებო რისკი წარმოიქმნება გადახდის არაერთდროულად განხორციელების შედეგად.

საკრედიტო რისკთან დაკავშირებულია რისკი, რომლის დროსაც ბანკის კონტრაგენტს არ შეუძლია დაფაროს სავალო ვალდებულებები. საბანკო სისტემის რისკების დაახლოებით 80 პროცენტი სწორედ საკრედიტო რისკზე მოდის.

ვალუტის ბაზარზე საკრედიტო რისკი თავს იჩენს მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ შეუძლია აღებული ვალდებულებების შესრულება მომავალში განსაზღვრულ ვადაში (ზახტაძე, 2007).

ვალუტის ბაზრის მნიშვნელოვან მონაწილეებს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი და ფინანსთა სამინისტრო შეადგენს. სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს არა მხოლოდ ვალუტის ინტერვენციის განხორციელების, არამედ შეუძლია დააწესოს ეროვნული ვალუტის კურსის განსაზღვრის რეჟიმი.

დღესდღეობით, საერთაშორისო ვალუტის ურთიერთობები ეროვნული მთავრობებისა და სახელმწიფოთაშორის ინსტიტუტების შეგნებულ, მიზანმიმართულად რეგულირებულ ობიექტად იქცა. ეროვნული ცენტრალური ბანკები აქტიურად იღებენ მონაწილეობას ვალუტათა კურსის შენარჩუნების ინტერნაციონალურ ღონისძიებებში.

ქვეყნის სამთავრობო ორგანოების სწორი და ოპტიმალური ვალუტის და საგადასახდელო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მექანიზმში კარგად გარკვევა. გარდა ამისა, ვალუტის ბაზრების ფუნქციონირებისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებისთვის თვალყურის დევნება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დროულად გამოვლინდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები. სწორედ საგადასახდელო ბალანსი გვიჩვენებს სისტემატიზებული სახით ჩამოყალიბებულ ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციათა საერთო მონაცემებს სხვა ქვეყნებთან მიმართებით.

საგადასახდელო ბალანსი სამი სახის მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის ქვეყნებს, კერძოდ: მცურავი ვალუტის კურსის სისტემის სტაბილურობაზე; ხელს უწყობს უცხოელების ხელში არსებული ვალუტის მოცულობის განსაზღვრას; და ბოლოს, საგადასახდელო ბალანსის ანგარიშები დავალიანების დაგროვების, პროცენტების, ვალის ძირითადი თანხის გადასახდელებისა და ქვეყნის მიერ მომავალი გადასახდელებისთვის კონვერტირებადი ვალუტის შესაძლო გამომუშავების შესახებ.

საგადასახდელო ბალანსზე მოქმედ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მთავარია სახელმწიფოთა ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების არათანაბარი დონე. მის მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს საგარეო ვაჭრობის განვითარება და კაპიტალის დაბანდების სფეროების ზრდა.

გაცვლითი კურსის რეჟიმებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ძველ რეჟიმს ოქროს სტანდარტი წარმოადგენს, რომლის დამახასიათებელი თავისებურება იყო ოქროს ფუნქციონირება მსოფლიო ფულის როლში. ოქროს სტანდარტის რეჟიმიდან გამომდინარე პირდაპირ ხდებოდა ვალუტის კონვერტირება ოქროში წინასწარ განსაზღვრული პარიტეტის მიხედვით, შესაბამისად, ასე ხდებოდა ვალუტებს შორის ფიქსირებული კურსის შენარჩუნება.

ოქროს სტანდარტი ემყარებოდა რამდენიმე პრინციპს, როგორიცაა: ყველა ვალუტა განისაზღვრებოდა ოქროს წონით; თითოეული ვალუტის ოქროთი კონვერტირება უზრუნველყოფილი იყო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ; ოქროს ზოდები თავისუფლად იცვლებოდა მონეტებზე; ვალუტის კონტროლის ორგანოები ატარებენ ვალუტის სტაბილურობისა და საგარეო წონასწორობის უზრუნველმყოფ რეგულირების პოლიტიკას - ყოველგვარი საგარეო დეფიციტი იწვევს სარგებლის განაკვეთის ზრდას, რომლითაც მიიღწევა ეკონომიკური აქტივობის შენელება და კაპიტალის იმპორტზე ხელშეწყობა. ოქროს სტანდარტის სისტემა ერთდროულად უზრუნველყოფს ვალუტის კურსისა და საგადასახდელო ბალანსის სტაბილურობას.

ოქროს სტანდარტი საგადასახდელო ბალანსის გრძელვადიან წონასწორობას უზრუნველყოფდა. უარყოფითი სალდოს მქონე ქვეყნიდან ოქროს გადინება იწვევდა საემისიო ბანკის მიერ მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის მოცულობის შემცირებას, რაც თავის მხრივ, ეროვნულ საქონელზე შეფარდებით ფასების ამცირებდა. ზემოაღნიშნული კი ზრდიდა მის კონკურენტუნარიანობას და აიძულებდა ქვეყანას ექსპორტის გაზრდასა და იმპორტის შემცირებას. მეორე მხრივ, ეროვნული ვალუტის დამატებით გამოშვება იწვევდა ეროვნულ საქონელზე ფასების ზრდას, რაც ზემოქმედებდა საგარეო ვაჭრობაზე და ამცირებდა საგადასახდელო ბალანსის დადებით სალდოს.

ოქროს სტანდარტი განსაკუთრებით ქმედითი გახდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე გადასვლისას, რადგან ცალკეულ ქვეყნებში ფულის მიმოქცევის გაფართოება დაკავშირებული იყო ცენტრალურ ბანკებში ოქროს მარაგებზე. აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა ინფლაციურ პროცესებს, მეორე მხრივ კი მატერიალური დოვლათის წარმოებას. ინდუსტრიულად მოწინავე ქვეყნების მთავრობები ცდილობდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებების საშუალებით საგადასახდელო ბალანსზე ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, პირველი მსოფლიო ომი იყო ოქროს

სტანდარდის გაუქმების არა მიზეზი, არამედ საბაბი და მისი წინაპირობა, რა დროსაც დასავლეთის ქვეყნებმა ომის დასაფინანსებლად მიმართეს თავიანთი ცენტრალური ბანკების სესხებს და ეროვნული ვალუტის ოქროზე გადაცვლა შეწყვიტეს. ყოველივე ამან კი გაამძაფრა ინფლაციური პროცესი. მდგომარეობიდან გამოსასვლელად ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს საშუალება მიეცათ ოქროს თანაბარი ვალუტები მიეღოთ, ცენტრალური ბანკის ვალუტების ემისიის სახით. შედეგად, პრაქტიკულად შეწყდა ოქროს საყოველთაო საგადასახდელო საშუალების როლში გამოყენება და ასევე, არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა ოქრომ, როგორც საყოველთაო საგადასახდელო საშუალებამ. განვითარებული ქვეყნები დეფიციტის დასაფარად აქტიურად იყენებდნენ ეროვნული რეზერვებიდან კონვერტირებად ვალუტას (ბახტაძე, კაკულია, 2013).

საბოლოოდ, ოქრომ დაკარგა საყოველთაო საგადასახდელო საშუალება, მაგრამ არ დაუკარგავს ისეთი ფუნქციები, როგორიცაა დაგროვების საშუალება და ღირებულების საზომის ფუნქცია. მთლიანობაში, ოქროს სტანდარტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წარმოების სტიქიური რეგულირების, ეკონომიკური კავშირების, ფულის მიმოქცევის, საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და საგადასახდელო ბალანსის კუთხით.

მეორე მსოფლიო ომმა გაანადგურა საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური წონასწორობა, ისევე როგორც ოქროს სტანდარტზე დაბრუნების ყოველგვარი იმედი და ვალუტის კურსები დაფიქსირდა დოლარის მიმართ. საერთაშორისო ვალუტის სისტემის შემდეგ ისტორიულ ფორმას წარმოადგენს დოლარის სტანდარტი, რომელიც ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების სახელწოდებითაა ცნობილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების აღსადგენად აუცილებელი იყო ახალი საერთაშორისო ვალუტის სისტემის შემოღება. თავდაპირველად, ბრეტონ-ვუდსის შეთანხმება სახელმწიფოთა შორის შეთანხმებაზე იყო დაფუძნებული და ითვალისწინებდა ყველასათვის სავალდებულო წესებს. ასევე შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მოვალეობასაც დაწესებული პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა შეადგენდა.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით შექმნილი საერთაშორისო ვალუტის სისტემის ფარგლებში ზოგიერთი ვალუტა საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში გამოდიოდა ოქროს ექვივალენტი და შესაბამისად, ყველა ქვეყანას შეეძლ ასეთი სახის

ვალუტა შეენახა, როგორც ვალუტის რეზერვი და ფიქსირებული კურსის მიხედვით მომხდარიყო მათი კონვერტაცია.

ბრეტონ-ვუდსის შეთანხმება ვალუტის საკითხების გარდა მოიცავდა საერთაშორისო ვაჭრობას, საფინანსო და ვალუტის ურთიერთობათა ერთობლიობას. მთლიანობაში, ამ შეთანხმებით შეიქმნა სამი ორგანიზაცია: საერთაშორისო ვალუტის ფონდი, რომელიც მეთვალყურეობდა ღია და სტაბილური ვალუტის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას; რეკონსტრუქციისა და განვითარების ცენტრალური ბანკი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ინვესტიციების დაფინანსებაში; ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელსაც ვაჭრობაში შეზღუდვებისადმი კონტროლი უნდა დაეწესებინა.

თავის მხრივ, ბრეტონ-ვუდსის შეთანხმება საერთაშორისო ვალუტის სფეროში სამ ძირითად პრინციპს აწესებდა: ვალუტის ურთიერთობათა სტაბილურობის უზრუნველყოფას; ვალუტათა კონვერტირების მიღწევს; ოქრო-დევიზური სტანდარტის თანდათან გარდაქმნას დოლარის სტანდარტად. ოქრო წარმოადგენდა ძირითად ვალუტას, ხოლო დოლარი ოქროსა და სხვა ვალუტებს შორის შუამავლობას უზრუნველყოფდა.

საერთაშორისო ვალუტის ფონდის წევრი ქვეყნებისთვის მომსახურების გაწევა სწორედ ოქრო-დევიზური სტანდარტის საფუძველზე ხდებოდა, რომლის დროსაც ვალუტის რეზერვები შედგებოდა როგორც ოქროსგან, ასევე წამყვანი ვალუტისგან. წამყვან ვალუტაში იგულისხმება ისეთი ვალუტა, რომლის დროსაც ამ ვალუტის მქონე ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ სხვა ქვეყნების მოთხოვნის განუსაზღვრელად ხდება ვალუტის ოქროზე გადაცვლა. იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკის დაბალი განვითარების დონის გამო ქვეყნებს ოქროს მარაგების უკმარისობა აქვთ, შეუძლიათ ვალუტის რეზერვების კონვერტირებად ვალუტებში შექმნა, რაც თავის მხრივ, დოლარსა და ოქროს შორის კონკურენციას წარმოშობს.

საბოლოოდ, ბრეტონ-ვუდსის ვალუტის სისტემა ჩამოყალიბდა დოლარის სტანდარტად, რომელიც ხასიათდებოდა შემდეგი თავისებურებებით: მონეტური ოქროს ფასი დოლარში ფიქსირდებოდა და ვალუტების ოქროს პარიტეტის დადგენა ხდებოდა დოლართან მისი წინასწარი შეფარდების საფუძველზე; კერძო პირებს ეროვნული

ვალუტის მონეტურ ოქროზე გადაცვლა არ შეეძლოთ, მაშინ, როცა დოლარზე გაცვლა ვალუტის კურსის შესაბამისად ხდებოდა.

ბრეტონ-ვუდსის ვალუტის კონფერენციაზე იურიდიულად გაფორმდა საერთაშორისო ვალუტის სისტემაში დოლარის დომინირებული როლი. დოლარმა მიიღო მსოფლიო ფულის სტატუსი, რითაც წარმოიშვა და ფუნქციონირება დაიწყო ვალუტის სისტემის თვისობრივად ახალმა ფორმამ.

ბრეტონ-ვუდსის სისტემა 1960-იან წლებამდე ვითარდებოდა და დადებითი შედეგები მოჰქონდა. მათ შორის მთავარი იყო ის, რომ დოლარი გახდა საერთაშორისო საგადასახდელო საშუალება, რომელიც ფაქტობრივად ერთადერთი ოქროზე კონვერტირებული ვალუტა იყო. აშშ-სთვის დოლარი გახდა სარეზერვო ვალუტა, ვინაიდან მათი ოქროს მარაგი მსოფლიოს ოფიციალური რეზერვების სამ მეოთხედს აღემატებოდა და მთლიანობაში 20-25 მილიარდ დოლარს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში აშშ-ის განკარგულებაში აღმოჩნდა უდიდესი ფულადი დანაზოგები და საწარმოო სიმძლავრეები, რომელთა შესაძენადაც აუცილებელი იყო დოლარი, რაც ევროპის ქვეყნებს არ გააჩნდათ. 1960 წლის შემდეგ, დაიწყო ბრეტონ-ვუდსის სისტემის რღვევა, 1971 წელს კი - სისტემა დაინგრა. დოლარის მიმზიდველობის გაუარესება გამოიწვია აშშ-ს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტმა, რომელმაც 3.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა წელიწადში და საზღვარგარეთის ცენტრალურ და კომერციულ ბანკებში დოლარის დაგროვება გამოიწვია. 1970 წლისთვის აშშ-ს ოქროს რეზერვები 11 მილიარდ დოლარს შეადგენდა და იმისათვის, რომ გამოესყიდა სავალო ვალდებულებები დოლარებში, მას არ გააჩნდა საკმარისი რაოდენობის ოქრო.

1960-იანი წლებიდან დაიწყო ვალუტის კრიზისები. 1967 წელს დიდ ბრიტანეთში გირვანქა სტერლინგმა განიცადა დევალვაცია, 1968 წელს საფრანგეთში დაიწყო ფრანკის კრიზისი, 1971 წელს კრიზისის ახალმა ტალღამ გადაუარა აშშ დოლარს, რომლის ვაჭრობის ბალანსის დეფიციტმა ერთ მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსის დეფიციტი 30 მილიარდს დოლარს მიუახლოვდა. 1974 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო ვალუტის სისტემის კრახი.

1976 წელს საერთაშორისო ვალუტის ფონდის დროებით კომიტეტის შეთანხმებით მოხდა ბრეტონ-ვუდსის სისტემის შესწორება, რომელიც 1978 წლიდან ძალაში შევიდა.

ბრეტონ-ვუდსის ვალუტის სისტემის რეფორმამ იამაიკის ვალუტის სისტემის სახელწოდება მიიღო.

იამაიკის ვალუტის სისტემის პირველ მთავარ ელემენტს ოქროს გამოდევნა წარმოადგენდა საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან და შესაბამისად, მსოფლიოს ეროვნული ვალუტების წამოწევა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეწყვიტა ოქროს მიღება კრედიტის სარგებლობის სახით. მეორე უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების მიერ ვალუტის კურსის რეჟიმის შერჩევა და მცურავი ვალუტის კურსის დაკანონება. მცურავ კურსს ფიქსირებულ გაცვლით კურსთან შედარებით არ გააჩნია მოძრაობის იურიდიული საზღვარი და მისი ჩამოყალიბება ხდება თავისუფლად, საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. თითოეულ ქვეყანას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი ვალუტის მცურავი კურსი სხვა ვალუტასთან ურთიერთობაში და არა ოქროსთან მიმართებით.

საბოლოოდ, ბრეტონ-ვუდსის ვალუტის სისტემა ჩანაცვლდა ვალუტის კურსის მცურავი რეჟმით, რომელიც სისტემატურად იცვლებოდა ბაზრის მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისად. ბრეტონ-ვუდსის სისტემის მოწინააღმდეგეები თვლიდნენ, რომ მხოლოდ მცურავი გაცვლითი კურსის შემოღება მოსპობდა მსოფლიოს ეკონომიკაში პროტექციონისტული ბარიერების არსებობის მიზეზებს და მათი შეხედულებით, გაცვლითი კურსი დაწესდებოდა თავისი თანაბარზომიერების ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას.

ბრეტონ-ვუდსის ვალუტის სისტემის კრიტიკოსების დაბნეულობა გამოიწვია 1970-იანი წლების ინფლაციამ, როდესაც ფიქსირებული გაცვლითი კურსის პირობებში ცალკეული სახელმწიფოები საგარეო ბაზარზე იძულებულნი იყვნენ საკუთარი ვალუტა შეესყიდათ, იმისათვის, რომ არ მომხდარიყო მისი გაცვლითი კურსის დაცემა დაწესებულ ზღვრამდე. მსგავსი ქმედება შიდა ბაზრის მიმოქცევაში ინარჩუნებდა არსებული ფულის მასას და მოახლოებულ ინფლაციას წინაღობად ხვდებოდა.

იამაიკის ვალუტის სისტემის მნიშნელოვან სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), რომელსაც ვალუტის რეჟიმისთვის თვალყურის დევნება ჰქონდა დაკისრებული. ახალი ვალუტის სისტემის ფარგლებში, მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საერთაშორისო ლიკვიდობის არაეფექტიანი სტრუქტურა, რაც გულისხმობდა რომ მთავარი ლიკვიდური

საშუალებები ოქრო და აშშ დოლარი არ აღმოჩნდნენ იმ დონეზე, რომ საერთაშორისო საგადასახდელო ბრუნვის მომსახურება ეფექტიანად ეწარმოებინათ.

მთავარ ლიკვიდურ აქტივებში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება იმაში მდგომარეობდა, რომ ოქროს მიმართ მიიღეს მისი საბოლოო დემონეტიზაციის შესახებ გადაწყვეტილება და გამოდევნეს საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროდან.

აშშ დოლარი თანდათან ტოვებდა მთავარი ვალუტის პოზიციას და პერსპექტივაში კოლექტიური საერთაშორისო ვალუტა გადაიქცეოდა მთავარ საანგარიშსწორებო, საგადასახდელო და სარეზერვო საშუალებად. საერთაშორისო ლიკვიდობის სტრუქტურაში ცვლილებები გამოწვეული იყო არსებული ვალუტის მექანიზმის ღრმა კრიზისით. ბრეტონ-ვუდსის მექანიზმი ეყრდნობოდა ოქროსა და აშშ დოლარს, რომელიც აერთიანებდა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისს: ერთის მხრივ, ოქრო ვალუტის სისტემაში ავტომატურ და საბაზრო ძალას წარმოადგენდა, ხოლო მეორეს მხრივ, აშშ-ის ეროვნული ვალუტა სახელმწიფო რეგულირების მთავარ ძალას განასახიერებდა.

იამაიკის ვალუტის კონფერენციის შემდეგ, ბრეტონ-ვუდსის ვალუტის სისტემის რეფორმატორებმა მრავალი ღონისძიება გაატარეს საერთაშორისო ლიკვიდობის მიმართულებით, კერძოდ: გაუქმდა ოქროს ოფიციალური ფასი, რომლითაც ოქროთი გარიგებებს აწარმოებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ცენტრალური ბანკები და შესაბამისად, ოქრომ ავტომატურად შეწყვიტა ინტერნაციონალური მსოფლიო ფულის - ღირებულების საზომის ფუნქცია. ასევე მიიღეს ზომები, იმისათვის, რომ მეტად შეეზღუდათ ჯერ კიდევ შემორჩენილი ოქროს სარეზერვო ფუნქცია.

იამაიკის შეთანხმებით ნებადართულია ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ ამის მიუხედავად, ძირითადად იყენებენ კრედიტის მისაღებად გირაოს როლში. ოქროს გამოყენების აღნიშნული ფორმა იმის მანიშნებელია, რომ ოქრო საერთაშორისო ლიკვიდური აქტივებიდან ინფლაციის გამძაფრების დროს, ლიკვიდური რესურსების შესაძენად მნიშვნელოვანი საშუალებაა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ოქროსთან დაკავშირებულ ორ ძირითად მიზანს გამოყოფს: მონეტური ოქროს ნაწილის დივერსიფიცირება ჩვეულებრივ საქონელში და ოქროს საბაზრო ფასის გადიდება.

დიაგრამა 14-ის მონაცემებზე დაყრდნობით თვალსაჩინოა, რომ მსოფლიოს ბაზარზე საკმაოდ გაძვირდა ოქროს ფასი, რასაც ორი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს: ოქროს წარმოებაზე გაწეული დანახარჯები, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს და მიწოდება-მოთხოვნას შორის საბაზრო თანაფარდობა.

**გრაფიკი 1: უნცია (31.1 გრამი) ოქროს საბაზრო ფასის დინამიკა 1970-2018 წლებში (აშშ დოლარი)**




წყარო: https://www.macrotrends.net/1333/historical-gold-prices-100-year-chart

საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან ოქროს გამოდევნის ძირითადი მიზეზი მსოფლიო მეურნეობის განსაზოგადოების ზრდაა, რაც ზღუდავს ოქროს მონეტური გამოყენების შესაძლებლობას. განსაზოგადოების პროცესის ზრდის მიზეზებია: ოქროს მზარდი გამოყენება წარმოების დარგებში, როგორიცაა ავიაკოსმოსური წარმოება, რადიოტექნიკა, რადიოელექტრონიკა; საგარეო-ეკონომიკური გაცვლის ინტენსიური ზრდა, რომელიც მოითხოვს ოქროს დიდი მარაგების არსებობას; ფინანსური ეკონომიკის ფორმირება-განვითარება, რაც იწვევს ფინანსური კავშირების რეგულირების გაძლიერებას.

ზემოაღნიშნულის გარდა, ოქროს საერთაშორისო ანგარიშსწორებათა სფეროდან გამოდევნის მნიშვნელოვანი მიზეზია ის, რომ ოქრომ, როგორც ფულადმა ლითონმა, საერთაშორისო ექსპანსიის როლი შეზღუდა. სწორედ ოქროს აქტიურმა გამოდევნამ ფულადი ლითონის პოზიციიდან, დღის წესრიგში დააყენა ახალი მსოფლიო ვალუტის შექმნის აუცილებლობა.

1970-იანი წლებიდან აშშ დოლარი კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1978 წელს დოლარის გაუფასურებამ ქვეყანაში პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ტალღა წარმოიქმნა, რის შედეგადაც დაიწყო იმპორტის შევიწროება და ექსპორტის სტიმულირება პარტნიორი ქვეყნების საზიანოდ. აშშ-ის მთავრობამ თავად აღიარა, რომ დოლარის სისტემატური გაუფასურების გამო არ შეეძლო ღირებულების საზომის ფუნქციის სრულყოფილად შესრულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იამაიკის კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება აშშ დოლარის, როგორც მსოფლიოს მთავარი ვალუტის თანდათანობით შეცვლის შესახებ, მაგრამ საქმეს ართულებდა ის ფაქტი, რომ დოლარის სარეზერვო მოცულობა 1982 წლის მონაცემებით აჭარბებდა 182 მილიარდს, საერთაშორისო ბაზარზე კი მიმოიქცეოდა 1.5 ტრილიონი დოლარი. აშშ დოლარის კოლოსალური ოდენობის ფულის მასის ამოღება საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტვებით შეუძლებელი იყო და აშშ-ის დოლარი კვლავ ასრულებს ღირებულების საზომის ფუნქციას. როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ნებაყოფლობით ახდენენ თავიანთი ვალუტების აშშ-ის დოლართან დაკავშირებას. დღესდღეობით, დოლარი ისევ წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით საანგარიშსწორებო ვალუტას და მთელს მსოფლიოში გადამწყვეტ როლს ასრულებს სარეზერვო ვალუტებს შორის.

1969 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესიაზე მიიღეს გადაწყვეტლება, რომ 1970 წლიდან საერთაშორისო ვალუტის სისტემაში გამოყენებულ იქნეს ხელოვნურად შექმნილი ინტერნაციონალური ვალუტა ნასესხობის სპეციალური უფლებები (SDR-Special Drawing Rights)[1].

სწორედ SDR-მა მიიღო საერთაშორისო ლიკვიდობის დამატებითი საშუალება და მისი ღირებულება განისაზღვრებოდა იმ 16 ვალუტის საბაზრო ღირებულებით, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა საერთაშორისო ოპერაციებში. 1981 წლიდან SDR-ის განსაზღვრის სტაბილიზაციის მიზნით გადაწყდა ვალუტების რაოდენობა შემცირებულიყო 5-მდე, რომელიც მოიცავდა ჩინურ იუანს, ევროს, იაპონურ

[1] SDR - ქართულ ენაზე სხვადასხვა ავტორის მიერ განსხვავებულად ითარგმნება. პროფესორი გ. ხელაია თარგმნის როგორც „მოსესხების სპეციალური უფლება“, პროფესორი რ. ბასარია - „სესხის აღების სპეციალური უფლებები“, პროფესორი ვ.ზურაბიშვილი, რ.კაკულია - „ნასესხობის სპეციალური უფლებები“ , რომელიც ქართულ ენასთან მიმართებით და შინაარსობრივად სწორად არის მიჩნეული (ლ.ბახტაძე, რ.კაკულია).

იენს, ბრიტანულ გირვანქა სტერლინგსა და აშშ დოლარს. ახალი საერთაშორისო ვალუტის წევრები გახდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნები, შესაბამისად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი სპეციალურ მოთხოვნებს ახორციელებდა იმისთვის, რომ წევრი ქვეყნების მოთხოვნის შესაბამისად მოეხდინათ SDR-ზე კონვერტირებადი ვალუტის გაცვლა. ვალუტის ფონდის სპეციალურ ანგარიშზე აღირიცხებოდა ახალი ვალუტით გატარებული ყველა ოპერაცია.

1970-იანი წლებიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების მოთხოვნით, საერთაშორისო ვალუტის არა მხოლოდ მოცულობის, არამედ, სტრუქტურული ცვლილებებიც უნდა განხორციელებულიყო. სწორედ ამიტომ იყო, ბრეტონ-ვუდსის ვალუტის სისტემის რეფორმატორთა მთავარი მიზანი, რომ ამერიკული დოლარი თანდათან ჩანაცვლებულიყო ნასესხობის სპეციალური უფლებებით, რომლის მთავარ ვალუტად გარდაქმნა ითვალისწინებდა ეროვნულ ვალუტათა ღირებულების საზომ ერთეულად გამოყენებას, საყოველთაო მსყიდველობით და გადახდის საშუალებებად, ისევე, როგორც მთავარ სარეზერვო აქტივად. SDR-ის დაბალი სარგებლის განაკვეთის გამო, ქვეყნების დაინტერესება მნიშვნელოვნად დაბალი იყო SDR-ის თავიანთ ანგარიშზე მოზიდვის საქმეში. სწორედ ამ მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და SDR-ის სარგებლის განაკვეთი 1978 წელს დაფიქსირებული 4 პროცენტიდან 1981 წელს 14 პროცენტამდე გაზარდა, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა სახელმწიფოთა დაინტერესება. შედეგად, ნასესხობის სპეციალური უფლებების ყოველწლიური ემისია მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ თავისუფლად დააწესონ ეროვნული ვალუტის კურსი. ამასთანავე, ძალაშია ფიქსირებული პარიტეტის სისტემა. თითოეულ ქვეყანას შესაძლებლობა აქვს მოახდინოს ეროვნული ვალუტის „ცურვა“ სხვა ვალუტებთან მიმართებით, რითაც ბაზარი თავად განსაზღვრავს ვალუტის კურსს. ვალუტის კურსის „მცურავი“ რეჟიმი რამდენიმე უპირატესობით სარგებლობს, კერძოდ: ყოველგვარი სახის ბაზარი ოპტიმალურად განსაზღვრავს ღირებულებას, „მცურავი“ ვალუტის კურსი ამარტივებს საგადასახდელო ბალანსების ავტომატურ რეგულირებას; ქვეყნებს აძლევს თავისუფლებას საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის არჩევაში; ხელს უწყობს სპეკულაციის თავიდან აცილებას; ქმნის საგარეო ვაჭრობის

განვითარების ოპტიმალურ პირობებს, ვინაიდან ამცირებს საგარეო ვაჭრობაზე პოლიტიკური ფაქტორების გავლენას.

„მცურავ“ ვალუტის კურსთან მიმართებით, ასევე აღსანიშნავია მისი უარყოფითი მხარეები, კერძოდ: ბაზარს არ გააჩნია რეალური შესაძლებლობა, რომ უზრუნველყოს ისეთი ვალუტის კურსის დადგენა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ სიტუაციასთან დაკავშირებული და ადეკვატური იქნება; „მცურავი“ რეჟიმი ვალუტის კურსის რეგულირების ნაცვლად ბაზარს ცვალებადს და მერყევს ხდის; ვერ უზრუნველყოფს საგადასახდელო ბალანსის ავტომატურ გამოთანაბრებას; ვერ დაიცავს ეროვნულ ეკონომიკას საგარეო მოვლენების უარყოფითი შედეგებისგან.

## ლექცია: თემა 2. **საერთაშორისო ფინანსების ევოლუცია**

გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დიდი გავლენა აქვთ მსოფლიო ეკონომიკის ზრდასა და სტაბილურობაზე. მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკური ქმედებები ძალზედ პრიორიტეტულია თითოეული

სახელმწიფოსათვის, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებაც გააჩნიათ გარდამავალი ეკონომიკა და აქტიურად განიცდიან მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ მოვლენებსა და მათ შედეგებს. ეკონომიკურ სექტორში არსებული მდგომარეობა, ისევე როგორც სხვადასხვა ფინანსური კრიზისები კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის ისეთ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, რომელებიც უშუალოდ ფუნქციონირებენ ამ სექტორში.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შექმნა დაკავშირებულია მეოცე საუკუნის შუა პეროდში II მსოფლიო ომის დასრულებასთან. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის შექმნის ძირითადი მიზნები იყო სწორედ იმ ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, რამაც ომის პროვოცირება გამოიწვია. 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის სისტემის დაარსებიდან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, სსფ, მსოფლიო ბანკი და აზიის განვითარების ბანკი მსოფლიო ეკონომიკურ კონიუქტურაზე მნიშვნელოვნად ახდენენ ზეგავლენას. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წვლილი მსოფლიო ეკონომიკის კეთილდღეობაში დღემდე ძალიან მნიშვნელოვანია. მათი საქმიანობის შეფასება თანამედროვე ფინანსური თუ ეკონომიკური კრიზისების ფონზე ძალზედ აქტუალურია. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა როლი აკისრიათ მათ აღნიშნული კრიზისების პროგნოზირებაში, რჩევების მიცემასა და ქვეყნებისათვის ფინანსურ დახმარებებში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ არსებობს ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები, კერძოდ დადებითი და უარყოფითი. პირველ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ ფინანსური ორგანიზაციების დახმარებების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ბიზნეს-გარემოს არსებობა. გლობალური ფინანსური პრობლემების მოგვარება მხოლოდ საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღწევა. ისინი საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურისათვის საჭირო რეფორმების განხორციელების გზით სათანადოდ ახდენენ ადაპტირებას თანამედროვე სამყაროში. მეორე შემხვევაში კი ცალკეული ავტორების კრიტიკული შეფასებების გათვალისწინებით ეჭქვეშ არის დაყენებული საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებების შემდეგ მიღებულ ეკონომიკურ-სოციალურ შედეგები. მათ სჯერათ, რომ ღია კაპიტალისა და მოქნილი გაცვლითი კურსების მქონე სამყაროში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ადგილი არ არის. ძირითადად შეფასებების ნაწილი

იმ შეცდომებს ეხება, რომლებიც ახლავს ინსტიტუტების საქმიანობას. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავარი აქცენტი განვითარებადი ქვეყნების ნაცვლად განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, შესაბამისად მათი საქმიანობა დადებითი შედეგის მომტანი არ არის განვითარებადი ქვეყნებისათვის. გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დიდი გავლენა აქვთ მსოფლიო ეკონომიკის ზრდასა და სტაბილურობაზე. მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკური ქმედებები ძალზედ პრიორიტეტულია თითოეული სახელმწიფოსათვის, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებაც გააჩნიათ გარდამავალი ეკონომიკა და აქტიურად განიცდიან მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ მოვლენებსა და მათ შედეგებს. ეკონომიკურ სექტორში არსებული მდგომარეობა, ისევე როგორც სხვადასხვა ფინანსური კრიზისები კიდევ უფრო საყურადღებოს ხდის ისეთ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, რომელებიც უშუალოდ ფუნქციონირებენ ამ სექტორში.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შექმნა დაკავშირებულია მეოცე საუკუნის შუა პეროდში II მსოფლიო ომის დასრულებასთან. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის შექმნის ძირითადი მიზნები იყო სწორედ იმ ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, რამაც ომის პროვოცირება გამოიწვია. 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის სისტემის დაარსებიდან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, სსფ, მსოფლიო ბანკი და აზიის განვითარების ბანკი მსოფლიო ეკონომიკურ კონიუქტურაზე მნიშვნელოვნად ახდენენ ზეგავლენას. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წვლილი მსოფლიო ეკონომიკის კეთილდღეობაში დღემდე ძალიან მნიშვნელოვანია. მათი საქმიანობის შეფასება თანამედროვე ფინანსური თუ ეკონომიკური კრიზისების ფონზე ძალზედ აქტუალურია. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა როლი აკისრიათ მათ აღნიშნული კრიზისების პროგნოზირებაში, რჩევების მიცემასა და ქვეყნებისათვის ფინანსურ დახმარებებში.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ არსებობს ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები, კერძოდ დადებითი და უარყოფითი. პირველ შემთხვევაში მიჩნეულია, რომ ფინანსური ორგანიზაციების დახმარებების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ბიზნეს-გარემოს არსებობა. გლობალური ფინანსური პრობლემების მოგვარება მხოლოდ საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღწევა. ისინი საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურისათვის

საჭირო რეფორმების განხორციელების გზით სათანადოდ ახდენენ ადაპტირებას თანამედროვე სამყაროში. მეორე შემხვევაში კი ცალკეული ავტორების კრიტიკული შეფასებების გათვალისწინებით ეჭქვეშ არის დაყენებული საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებების შემდეგ მიღებულ ეკონომიკურ-სოციალურ შედეგები. მათ სჯერათ, რომ ღია კაპიტალისა და მოქნილი გაცვლითი კურსების მქონე სამყაროში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ადგილი არ არის. ძირითადად შეფასებების ნაწილი იმ შეცდომებს ეხება, რომლებიც ახლავს ინსტიტუტების საქმიანობას. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავარი აქცენტი განვითარებადი ქვეყნების ნაცვლად განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, შესაბამისად მათი საქმიანობა დადებითი შედეგის მომტანი არ არის განვითარებადი ქვეყნებისათვის.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (სსი, ინგლ. International Financial Institutions - IFIs) იქმნებიან საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაში და საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობათა სფეროში პრობლემის გადაწყვეტისა და თანამშრომლობის განხორციელების მიზნით.

პირველი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (სსი), ასევე ცნობილი როგორც მრავალმხრივი განვითარების ბანკები (ინგლ. Multilateral Development Banks - MDB) შეიქმნა ქვეყნების ჯგუფების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კერძოდ 1944 წელს ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე, რათა დახმარებოდნენ ომის შედეგად განადგურებულ ევროპასა და იაპონას აღდგენაში და შეექმნათ მექანიზმი გლობალური ფინანსური სისტემის სამართავად. საერთაშორისო მონეტარული შეთანხმების მთავარ მიზნები იყო შეენარჩუნებინათ გაცვლითი კურსის სტაბილურობა, თავიდან აერიდებინათ ეკონომიკური და პოლიტიკური ნაციონალიზმი, გაეღრმავებინათ ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობები და მიერწიათ ერთმანეთთან თანამშრომლობის მაღალ დონეზე. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა იმ პრობლემების გადაჭრასა და თავიდან არიდებას, რომლებიც დაშვებული იყო პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში. მე-20 საუკუნისათვის განხილვის მთავარი საკითხები იყო ორმხრივი ურთიერთობების პრინციპი (ბილატერალიზმი) და ოქროს სტანდარტისა და მცურავი სავალუტო

კურსების ჩავარდნები, რომლებიც მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენდა მოცემული დროის მონაკვეთში (Bordo, 1992: 10). ბრეტონ ვუდსის სისტემამ დააფუძნა წესები და პროცედურები საერთაშორისო ფინანსური სისტემის მონიტორინგისათვის. მოგვიანებით დაარსდა რეგიონული განვითარების ბანკები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ეკონომიკურ ზრდას და თანამშრომლობას. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს ფლობენ და მართავენ ეროვნული მთავრობები, რომლებიც მოქმედებენ როგორც მსესხებლები, გამსესხებლები ან დონორები.

ძირითადი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებია:

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF);
2. მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG), რომელიც აერთიანებს 5 ორგანიზაციას, ესენია:
    1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD);
    2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC);
    3. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA);
    4. საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID).
    5. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (MIGA);

3. აზიის განვითარების ბანკი (ADB).

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების ხელშესაწყობად განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშესაწყობად. ისინი კონსულტირებას უწევენ განვითარებისათვის საჭირო პროექტებში დახმარებით და შესაბამისად, გამოყოფენ დაფინანსებას, რათა წარმატებით განახორციელონ პროექტები.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს ახასიათებს AAA-ს საკრედიტო რეიტინგები და სესხის მიმღები და დონორი ქვეყნების ფართო წევრობა, თითოეული ეს ინსტიტუტი დამოუკიდებლად მუშაობს. თუმცა, ყველა იზიარებს შემდეგ მიზნებსა და ამოცანებს:

- შეამციროს გლობალური სიღარიბე და გააუმჯობესოს ადამიანების ცხოვრების პირობები და სტანდარტები;
- მდგრადი ეკონომიკური თუ სოციალური განვითარების მხარდაჭერა;
- რეგიონული ინტეგრაციისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა.

სსი-ები აღწევენ ამ მიზნებს ეროვნული მთავრობების სესხების, კრედიტებისა და გრანტების მეშვეობით. მსგავსი სახის დაფინანსება, როგორც წესი, ასოცირდება სპეციფიკურ პროექტებთან, რომლებიც ორიენტირებულია მდგრად განვითარებაზე. სსი-ები აგრეთვე ეწევიან ტექნიკური სახის დახმარებებსა და კონსულტაციებს მათ მსესხებლებთან, შემდეგ იკვლევენ შედეგებს. სახელმწიფო შესყიდვების ამ შესაძლებლობების გარდა, სადაც მრავალმხრივი დაფინანსება ხორციელდება ეროვნული მთავრობისთვის პროექტის ან პროგრამისთვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდები სულ უფრო მეტ სესხს აწვდიან უშუალოდ არასამთავრობო გარანტირებულ სუბიექტებს (NSG). ამაში შედის სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფი სუბიექტები, ასევე კერძო სექტორი. ისინი მოქმედებენ აქციონერების, სავაჭრო სერვისებისა და ბანკის აქციების საშუალებით და ტექნიკურ და პოლიტიკურ რჩევებს სთავაზობენ მთავრობებს, კერძო საწარმოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას.

ეს და სხვა ზომები მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას, რაც გულისმობს უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრას, სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას განვითარებად და გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნებისათვის. მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ამ უკანასკნელს. იგი დაარსდა 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. შესაბამისად, დემოკრატიის განმტკიცების მიზნით ძირითადი აქცენტი საბაზრო რეფორმების მხარდაჭერისკენ არის მიმართული. ამრიგად, სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან განსხვავებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) აქვს პოლიტიკური მანდატი და ეხმარება მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც მიმართავენ მრავალპარტიული დემოკრატიისა და პლურალიზმის პრინციპებს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები იმ პირობით მუშაობენ, რომ ძლიერი ეკონომიკური ინსტიტუტები სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას იწვევს, განსაკუთრებით განვითარებად და სიღარიბისგან ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყნებში.

ბოლოდროინდელმა აქცენტებმა გარემოს მდგრადობაზე ერთდროულად განაპირობა პროექტების ახალი ფოკუსირება განახლებადი ენერგიის პოპულარიზაციისა და კლიმატის ცვლილების მიმართ. მაგალითად, აზიის განვითარების ბანკს (ADB) აქვს განსაკუთრებით დიდი ინტერესი გარემოს მდგრადობის მიმართ და სხვადასხვა სფეროში პროექტები ამ ასპექტს აერთიანებს, როგორც მის ერთ-ერთ ძირითად თემას. ამასთანავე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის სხვა ფიკუსირების სფეროებია: გენდერული ასპექტები, საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები თავდაპირველად შეიქმნა მთავრობების დაზმარების მიზნით, დღეს მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე მიზნად ისახავს კერძო სექტორს, რაც ითვლება განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად. 1950-იან წლებში დაარსდა საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), როგორც ახალი ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანიც არის კერძო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) განვითარება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოპულარიზაცია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები განაგრძობენ ყურადღების გამახვილებას დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებზე. სიღარიბის შემცირების, სოციალური სამართლიანობისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ძირითადი მიზნების გარდა, პერსპექტივები გაფართოვდა სხვა სექტორებში, მათ შორის აღსანიშნავია: განათლება, მმართველობა და კანონის უზენაესობა, კერძო სექტორის განვითარება და გარემოსდაცვითი რესურსების მართვა.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მისიაა ხელი შეუწყოს სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ინვესტირებას პროექტებსა და პროგრამებში, რომლებიც ხელს

შეუწყობენ ეკონომიკურ განვითარებას ოპერირებად ქვეყნებში. საბოლოოდ ამ მიზნით, საერთაშორისო საფინანსო საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებენ პროექტებს, რომელსაც მართავენ მთავრობები ან კერძო სექტორის წარმომადგენლები გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხებით, კრედიტებითა და გრანტებით.

ბევრი საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასევე ეწევა რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერის პროგრამასა და დიალოგს ეკონომიკის განვითარების საკითხებზე, განსაკუთრებით კონფერენციების ორგანიზებითა და საერთაშორისო პოლიტიკის ფორუმების საშუალებით.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ავრცელებს ვალის შემსუბუქების პოლიტიკას მათი უღარიბესი წევრი ქვეყნებისთვის.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აფინანსებენ პროგრამებსა და პროექტებს უაღრესად მრავალფეროვან თემატურ სფეროებში. მაგალითად, მსოფლიო ბანკი (WB) არის მსოფლიოში გარე (დისტანციური) განათლების უდიდესი სპონსორი, იგი ასევე მხარს უჭერს ბიომრავალფეროვნების პროექტებს, მაგრამ მხოლოდ ორი მიმართულებით. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მონაწილეობენ ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში; სოფლის მეურნეობისა და თევზაობის პროექტებში, რომლებიც ფოკუსირებულია სურსათის უვნებლობაზე; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აფინანსებენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, წყლისა და სანიტარიის პროგრამებს; ინფორმაცია და კომუნიკაცია, ასევე ინდუსტრია და ვაჭრობის ხელშეწყობა კიდევ ერთი ინტერესის სფეროა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის. და ბოლოს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები მუშაობენ მმართველობისა და კანონის უზენაესობის გასაუმჯობესებლად მაგალითად, სასამართლო რეფორმის გზით.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ ანტიგლობალისტური მოძრაობისათვის. მოძრაობის წევრების აზრით, ეს ინსტიტუტები განვითარებად ქვეყნებში ეწევიან დასავლური ტიპის კაპიტალიზმის კულტივაციას ისე, რომ ამ პროცესების სოციალური ეფექტების უარყოფითიმხარე არ არის გათვალისწინებული.

# ლექცია 3-4: საერთაშორისო ფულადი სისტემა

ბრეტონ ვუდსის კონფერენციის მსვლელობისას გლობალური მასშტაბით ეკონომიკური ბაზრების სტაბილურობასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები არსებობდა. 1930-იანი წლებში არსებული დეპრესიის შემდგომ პერიოდში სავალუტო ბაზრების სტაბილურობის შენარჩუნება კიდევ უფრო გართულდა და მწვავე პრობლემას

წარმოადგენდა მათი არასტაბილურობა. საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშნელოვანი დანაკარგები დაფიქსირდა. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ ბაზრების დასტაბილურება იყო ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხი, რათა კრიზისი არ განმეორებულიყო. აღნიშნული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი კოორდინირებული მოქმედება რომ იყო, ამაში დარწმუნებული იყო მოკავშირე ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა.

სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით შეიკრიბნენ ცნობილი და აღიარებული პოლიტიკოსები და ეკონომისტები ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე. კონფერენციის თავმჯდომარე და ამასთანავე, ამერიკის შეერთებუილი შტატების წარმომადგენელი იყო აშშ-ს ხაზინის მდივანი ჰენრი მორგენთაუ. მან შექმნა კონფერენციის მთავარი იდეების ნუსხა და სასაკითხები.

ბრენტონ ვუდსის კონფერენციაზე მყოფ დელეგატებს ეჭვიც კი არ ეპარებოდათ და ღრმად სწამდათ, რომ ამ კონფერენციაზე ეკონომიკურ საკითხების პარალელუარად პოლიტიკურ პრობლემების გადაწყვეტასაც მოახერდებდნენ და მსოფლიო ომის თავიდან აცილება შედარებით იოლი იქნებოდა.

ჯ. მ. კეინზის აზრით, თუ ფონდი მისი თავდაპირველი პრინციპების ერთგული დარჩებოდა, მათ საერთო ძალისხმევით ისეთი მსოფლიოს ჩამოყალიბება შეეძლოთ, რომელშიც სრული ჭეშმარიტება იქნებოდა შემდეგი: „ ხალხთა შორის ძმობა უფრო მეტია ვიდრე ფრაზა “ (Dymond, 2015).

II მსოფლიო ომის პერიოდის მეცნიერ-ეკონომისტებისათვის საკმაოდ ნათელი იყო, რომ ინდივიდუალური ეკონომიკური სპეციალიზაციისა და გლობალურ მწარმოებლებს შორის თანამშრომლობის ნამდვილ საჩუქარს სწორედაც რომ თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენდა. (Tamny, 2013).

კონფერენცია მიმდინარეობდა ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრების განხილვების ფონზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აშშ-ის პოზიცია, რომელიც გულისხმობდა აშშ-ს ეკონიმიკური პოლიტიკის საერთაშირისო კონტროლისთვის დაქვემდებარებას. თავის მხრივ, ამერიკის შეერტებული შტატებისა და ბრიტანეთის დელეგაციები ერთმანეთს სდებდნენ ბრალს მათ მიერ კონფერენციისათვის შეთავაზებული გეგმებისა და წინადადებების მიკერძოებულობასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მთავარი წინააღმდეგობა კი მდგომარეობდა იდეოლოგიურ შეუთავსებლობაში.

სტალინმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობისგან თავის არიდება გადაწვიტა, რადგან ეშინოდა, რომ ფონდი ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ გაკონტროლდებოდა. საწყისი მოლაპარაკებების დროს ფონდის შემქმნელებს, ჰ. დ. უაითსა და ჯ. მ. კეინზს (დიდი ბრიტანეთი) 26 სხვადასხვა აზრი ქონდათ იმის შესახებ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ვაჭრობა და მონეტარული ურთიერთობები ომის მერე. (Boughton, 2013).

საზოგადოებაში ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენები იყო კონფერენციათან დაკავშირებით. ცნობილი ამერიკელი კომენტატორი, ვოლტერ ლიპმანი, აღნიშნავდა შემდეგს: „საზოგადოებისთვის რთული გასააზრებელია ის, თუ რასთანაა დაკავშირებული ეს კონფერენცია. იმის მიუხედავად, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ყველა ადამიანის ცხოვრებას ეხება, ძალზედ ცოტაა იმ ადამიანების რიცხვი, რომელმაც იცის მონეტარული პოლიტიკის ენა“.

კონფერენციაზე მოლაპარაკებები არც ისე მარტივ ხასიათს ატარებდა. ამერისკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, უაითმა, შემოთავაზებული ორგანიზაციების ფორმირების გეგმა წარმოადგინა, თუმცა სხვადასხვა დეტალები მაინც მსჯელობის საგნად რჩებოდა, მათ შორის ის, თუ როგორ იქნებოდა ფინანური მონაწილეობის საკითხი. მოსალოდნელ ძალთა ბალანსი წარმოადგენდა მონაწილე ქვეყნებისათვის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს, რომელიც, დამოკიდებული იყო ზემოაღნიშნული ორგანიზაციებში გაწევრიანებული სახელმწიფოების შენატანების რაოდენობაზე.

კეინზის მთავარი მიზანი იყო „სავაჭრო დეფიციტისა და პროფიციტის მქონე ქვეყნებს შორის გაუქმებულიყო ასიმეტრიული რეგულირება, რომლებსაც გააჩნდათ ტენდენცია გლობალურად ერთიანი მოთხოვნის დაუკმაყოფილებისაკენ და იმ პოლიტიკური მიდგომების შეზღუდვისაკენ, რის შედეგადაც შეიძლება სრული დასაქმება იქნას მიღწეული“. (Stiglitz, 2000: 171). მეორე მხრივ, ჰარი დექსტერ უაითი წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს, რომელიც 3 წელი მუშაობდა მუშაობდა შეექმნა გაცვლითი სტაბილიზაციის ფონდი (Exchange Stabilization

Fund). მისი ძირითადი მიზანი იყო ქვეყნების დარწმუნება, რათა მათი ვალუტები ამერიკის დოლარზე მიებათ და შემდგომში ოქროს ფასის მიმართ ეს ვალუტები დაეფიქსირებინათ (Bordo, Shwartz, 2001: 2). უაითის ფონდი სესხის სახით აძლევდა დოლარსა და სხვადასხვა პოტენციურად კონვერტირებად ვალუტას დებიტორ ქვეყნებს, მაგრამ კეინზის ჩანაფიქრზე უფრო მკაცრი პირობების შეტავაზებით. საბოლოოდ საერთაშორისო ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან მიმართებაში და მის ფუნქციებთან დაკავშირებით მათი აზრები დაემთხვა და ბრეტონ ვუდსის კონფერენციაზე დაარსდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნისას მოლაპარაკებებში მთავარი განხილვის საგანი იყო თუ როგორ გაენაწილებინათ ორგანიზაციის ფული 44 წევრ ქვეყანებს შორის. ინდოეთი  ითხოვდა ჩინეთთან შედარებით არანაკლები ქვოტის უფლების მიღებას. ბენილუქსის ქვეყნებსა და ინდოეთზე მეტი ქვოტის მიღება სურდა საფრანგეთს. სსრკ კი სურდა, რომ მისი ქვოტა ბრიტანეთის ქვოტაზე ნაკლები არ ყოფილიყო. ამასთანავე, სსრკ შესაბამისი შენატანების განხორციელებაზე უარს ცხადებდა, რადგანაც მიაჩნდა, რომ ქვეყნებს, რომლებიც ომის შედეგად დაზარალდნენ არ უნდა გადაეხადათ. ასევე, არ სურდა და უარი განაცხადა წარედგინა ზუსტი ეკონომიკური სტატისტიკა.

რაც შეეხება აშშ-ს, მათ სურდათ საერთაშორისო თავისუფალი საბაზრო სისტემის ცვლილება, ხოლო ბრიტანეთს კი სურდა თავისი ბილატერალური გარიგებებისა და იმპერიული უპირატესობების (Imperial Preferences) გაგრძელება, რასაც მიაღწევდა ეკონომიკური სტაბილურობითა და სრული დასაქმების წყალობით. აშშ-ს სურვილი დაფუძნებული იყო არადისკრიმინაციულ, მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაზე, ხოლო მეორე ნაკლებად ნათლად იყო წარმოჩენილი, თუმცა იგი წარმოადგენდა ბრიტანელი ეკონომიკური ჯგუფების ინტერესებს. (Ikenberry, 1993: 156). საბოლოოდ, ლიბერალურად მოაზროვნე ეკონომისტებს აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გააჩნდათ ერთმაეთთან თანხვედრაში არსებული საერთო აზრები, რამაც შესაძლებელი გახადა შეთანხმების მიღწევა.

აქედან გამომდინარე, შეთანხმება ეფუძნებოდა სამ ძირითად შეხედულებას:

- პირველი, ეს იყო საერთო რწმენის არსებობა თავისუფალი გაცვლისა და სავალუტო კურსების სტაბილურობის შესახებ. კურსების რეგულირებისა და შეზღუდევების გაუქმებით შესალებელი იქნებოდა სავალუტო კურსების თავისუფალი გაცვლა. თუ კი საჭირო გახდებოდა კორექტირება, ის დაქვემდებარებული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო შეთანხმებაზე;
- მეორე შეხედულების მიხედვით, იმისათვის, რომ შესალებელი ყოფილიყო საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის პრობლემების გადასაჭრა, მოკლევადიან პერიოდშივე უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი საერთაშორისო რეზერვების გარკვეული ფორმები;
- მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო ის, რომ ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო ეკონომიკური მენეჯმენტის ახალი მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობდა სტაბილურ და სრული დასაქმების ეკონომიკური პოლიტიკებს, რომლის მისაღწევადაც აუცილებელი იქნებოდა საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობისა და ახალი საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის შემუშავება. ამისათვის საერთაშორისო მენეჯმენტის ახალი დონის ჩამოყალიბება იყო საჭირო, რომელიც სავაჭრო და მონეტარული პოლიტიკის ზედამხედველობის ფუნქციას იკისრებდა ფონდის წევრი ქვეყნებისათვის.

გარდა ამისა, კიდევ ერთი გადასაჭრელი პრობლემა იყო ორგანიზაციის მართვისა და ადგილმდებარეობის საკითხი, თუ რა რაოდენობის პერმამენტული ადგილი უნდა ქონოდა ინსტიტუტის მართვაში მთავარი შენატანების მქონე სახელმწიფოებს. ბრიტანელებს სურდათ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ლონდონში განთავსებულიყო, თუმცა ეს იდეა წარუმატებელი გამოდგა. კიდევ ერთი სადაო საკითხი იყო ოქროს სტანდარტთან ერთად დოლარის სტანდარტის შემოღება, ეს კი გულიხმობდა საერთაშორისო ანგარიშსწორებაში აშშ-ის დოლარის ფუნციის ოქროსთან გათანაბრებას და შესაბამისად, აშშ დოლარიც იქნებოდა სრულფასოვანი სარეზერვო ვალუტა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდეგ პერიოდშიც ამდენად ისტორიული და მასშტაბური შეთანხმების მიღწევა, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარება ახალ ეტაპზე გადაიყვანა საკმაოდ რთულ

საქმეს წარმოადგენდა. უდაოა, რომ თითოეულ წევრ ქვეყანას თავიანთი ეროვნული ინტერესები ამოძრავებდა, განსაკუთრებით კი დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს. საბოლოო ჯამში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური სტრუქტურა აშშ დოლარს დაეფუძნა და არა სხვა საერთაშორისო ვალუტას. გარდა ამისა, საერთაშორისო ცენტრალური ბანკის შესაძლებლობები ბევრად არემატებოდა სსფ-ს შესაძლებლობებს და შტაბ-ბინაც იყო ვაშინგტონში და არა ნიუ-იორკსა თუ ლონდონში. (Boughton, 2004: 7).

რაც შეეხება მსოფლიო ბანკს, მისი ფორმირების შემთხვევაში კეინსის შეხედულებები აღმოჩნდა უფრო წარმატებული, უფრო ზუსტად, მსოფლიო ბანკის სტატეგიაში აისახა სახელმწიფო ხარჯების ზრდის მოსაზრება ეკონომიკური რეცესიის შემთხვევაში. საბოლოოდ, 1944 წლის 22 ივლისს კონფერენციის საბოლო აქტს მოეწერა ხელი.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა ძირითადად გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყეს ფორმირება. ამჟამად პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული რამდენიმე ათასი საერთაშორისო ორგანიზაცია ფუნქციონირებს მსოფლიოში, რომელთა შორის, ფინანსურ საკითხებზე მოდის საკმაოდ დიდი ნაწილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შექმნა უმრავლეს შემთხვევაში დაკვაშირებული იყო მსოფლიოში კრიზისული და საგანგებო სიტუაციების დაძლევისათვის ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებასთან. უფრო ზუტსტად კი, კონკრეტული მიზეზები, რომლებმაც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმოშობა განაპირობეს, შეიძლება ჩამოყალიბებული იქნეს შემდეგნაირად:

- სახელმწიფოებს შორის სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირების აუცილებლობა;
- სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების გაძლიერება და მათ შორის ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროებში მეტოქეობის გაზრდა;
- საერთო მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურაში ძირეული ცვლილებებითაა განპირობებული,

ასევე, კაპიტალის ბაზრის ინტეგრაციისაკენ ტენდენციის ზრდითა და მათი განვითარების სისწრაფით.

განვითარებადი ქვეყნების განვითარების რეგიონული ბანკები შეიქმნა შემდეგი მიზეზებით: პირველი, განვითარებადმა ქვეყნებმა მიაღწიონ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და მეორე, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მათი როლის ამაღლება.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ძირითადი მიზნები და ამოცანები შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია ფინანსური და სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობის სფეროში;
- უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების სტაბილურობა;
- ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფოთა შორის დაკრედიტება;
- უზრუნბელყოფილ იქნას ვალუტების სტაბილიზაცია;
- დაფინანსებულ იქნას საქველმოქმედო საქმიანობები, როგორიცაა სხვადასხვა სახის საერთაშორისო დახმარებები;
- დაკრედიტებულ იქნას საერთაშორისო პროექტები;
- სახელმწიფოებს შორის საკრედიტო-საფინანსო და სავალუტო რეგულირება;
- დაფინანსებულ იქნას ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევები და სხვა.

საერთაშორისო ფინანსური და სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური სტრუქტურა ძირითადად სამი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებს მოიცავს:

- პირველი - ხასიათდება მძლავრი რესურსებით და დიდი უფლებებით, რომელიც ახდენს საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობების რეგულირებას;
- მეორე - წარმოადგენს ფორუმს სამთავრობათაშორისი განხილვებისათვის, კონსესუსისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის სავალუტო და საკრედიტო-საფინანსო პოლიტიკაზე;
- მესამე - უზრუნველყოფს სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებს აქტიურ სავალუტო-საკრედიტო და ფინანსურ პრობლემებზე და მთლიანად ეკონომიკაზე.
- საქართველოს დიდი გამოცდილება აქვს ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და მისი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესების მხრივ. ეკონომიკური ზრდა მაღალი იყო 2005 წლიდან 2019 წლამდე, საშუალოდ 5 პროცენტი წლიურად, ხოლო 2019 წელს სიღარიბის მაჩვენებელი (ეროვნული მაჩვენებელი) სწრაფად დაეცა 19.5 პროცენტამდე. ამასთან, ეკონომიკამ ვერ შექმნა საკმარისი სამუშაო ადგილები, შესაბამისად, ბევრი ქართველი კვლავ დაკავებულია დაბალი პროდუქტიულობით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. საქართველოს საექსპორტო კალათა, რომელიც შედარებით მცირე და დივერსიფიცირებულია, აქცენტს აკეთებს სახელმწიფოს სტრუქტურაში არასრული ტრანფორმაციის საკითზე.
- კორონავირუსის (Covid-19) აფეთქება საფრთხეს უქმნის წარსულში მიღწეული ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას. მკაცრი შეზღუდვებით, „კომენდანტის საათის“ გათვალისწინებით, საზოგადოებრივი გადაადგილების აკრძალვებმა და ქვეყნებს შორის მიმოსვლის შეზღუდვამ, განსაკუთრებით კი „ლოქდაუნმა“ ქვეყანას შესაძლებლობა მისცა ვირუსის გავრცელების პრევენცია მოეხდინა 2020 წლის პირველ თვეებში. თუმცა ზაფხულის პერიოდში ნაკლებმა შეზღუდვებმა გამოიწვიეს წლის ბოლო პერიოდისათვის მორე ტალღას. აქედან გამომდინარე, საქართველო იყო ყველაზე ნაკლებად დაზარალებულ 20 ქვეყანას შორის მსოფლიოში,

მილიონ მოსახლეზე დაფიქსირებული შემთხვევების მიხედვით. ხელისუფლებამ შემოიტანა მეორე „ლოქდაუნი“ 2020 წლის ნოემბრის ბოლოდან 2021 წლის თებერვლის დასაწყისამდე, რამაც გამოიწვია COVID შემთხვევების შემცირება და 2021 წლის მარტიდან ეკონომიკას ეტაპობრივი აღდგენის შესაძლებლობა მიეცა.

- ქვეყანას აქვს საერთო კონსენსუსი ეროვნული პრიორიტეტების შესახებ, მათ შორის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაში მონაწილეობის, უფრო ეფექტური მთავრობის, უფრო ძლიერი ეკონომიკური ზრდისა და უკეთესად ფუნქციონირებადი კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმის კუთხით. შედეგად 2016 წელისათვის ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ივალისწინებდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმს. 2020 წელს ევროპარლამენტმა მიიღო პროგრესის საბოლოო ანგარიში, რომელიც დათარირებულია 17 სექტემბრით, რომელშიც დადასტურებულია შეთანხმების განხორციელებაში საქართველოს ხანგრძლივი პროგრესი. თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან, როგორიცაა ევროკავშირი და ჩინეთი, საშუალებას აძლევს საქართველოს გააგრძელოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (Foreign direct investment - FDI) მოზიდვა.
- გალტ ენდ თაგარტის ეკონომიკური კვლევის მიხედვით, 2020 წლის 22 აპრილისათვის საქართველოს ხელისუფლებას მობილიზებული ქონდა 3.0 მილიარდი აშშ დოლარის დაფინანსება სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებისგან (მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, EBRD, EIB, ADB და ა.შ.), COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისის ეფექტურად რეაგირების მიზნით. ამ ინსტიტუტებთან ხანგრძლივმა კავშირებმა, ბოლო წლების ეკონომიკურმა პოლიტიკამ და დემოკრატიული ტრანსფორმაციის მიმართ ქვეყნის ერთგულებამ შესაძლებელი გახადა საქართველოსათვის "კარგი მეგობრებისგან" მხარდაჭერა მიეღო. მიღებული 3 მლრდ. აშშ დოლარიდან თანხიდან ერთი

ნახევარი არის სახელმწიფო სექტორისათვის, ხოლო მეორე ნახევარი კი კერძო სექტორისათვის. სავალუტო ფონდის დაფინანსებაა $400 მლნ., საიდანაც ნახევარი დაუყოვნებლივ მიიღება ბიუჯეტში, $100 მილიონს ეროვნული ბანკი 2020 წლის მე-2 ნახევრისათვის, ხოლო დარჩენილ 100 მილიონ აშშ დოლარს 2021 წლისათვის მიიღებს. ამ დაფინანსებით, ქვეყნისათვის მოტივაცია 2020 წლისათვის მნიშვნელოვანი იყო მთლიანი შიდა პროდუქტის 11%-დან 15%-ულ დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ზომების მიღების დაფინანსებას.

საქართველოსათვის ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია რთული პროცესი აღმოჩნდა, ვინაიდან თავიდანვე სირთულეებმა იჩინეს თავი. ლიბერალური ეკონომიკის განსხვავებულობამ საბჭოთა კავშირის გეგმიური ეკონომიკისაგან შედარებით დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა პოსტკომუნისტური ქვეყნების მთავრობებო, რომლებსაც თავიანთი ძალების მეშვეობით უნდა მიეღოთ გადაწყვეტილებები აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად. საბჭოთა კავშირსა და საქართველოს შორის ღრმა ინტეგრაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტების არ არსებობის გამო, საქართველოში აღნიშნული პროცესი უფრო მეტი სიმძაფრით იქნა წარმოჩენილი.

საქართველოს ისტორიაში დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი რამოდენიმე წელი ძალიან მძიმე აღმოჩნდა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აუცილებელი იქნა ძირითად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მჭიდრო თანამშრომლობის მიღწევა და მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულება. საქართველოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ურთიერთობა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ძალიან მალე დაიწყო, ქვეყანა ცდილობდა ამ საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებას, მიუხედავად შიგა თუ გარე პრობლემების არსებობისა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარების მეშვეობით საქართველოში შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის შესაფერისი საკანონმდებლო და

ნორმატიული ბაზა, ასევე, ხელი შეუწყო ფასების ლიბერალიზაციას, საკუთრების ტრანსფორმაციას, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ნორმებისა და პრინციპების დანერგვას. საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ახლო ურთიერთობის დამყარება, ვინაიდან ამის საშუალებით შეიძინა საიმედო საფინანსო გარანტი და შანსი, გამხდარიყო მსოფლიო თანამედროვეობის ნაწილი. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა წარმატებული აღმოჩნდა, მათ არაერთი განსხვავებული სახისა და მნიშვნელობის შეცდომა დაუშვეს საქართველოში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ბევრი ისეთი შემთხვევა იყო, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციებს/გადაწყვეტილებებს შესრულების აუცილებლობა იყო, რადგან მთავრობის წარმომადგენლებს სხვა გზა არ ქონდათ, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად მნიშვნელოვნად დააზარალა ან შეეძლო დაეზარალებინა საქართველოს ეკონომიკა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) - ეს ორგანიზაცია მუშაობს 190 ქვეყანაში, რათა განავითაროს უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა, გააღრმავოს გლობალური მონეტარული ურთიერთთანამშრობლობები, დაეხმაროს ქვეყნებს მდგრადი ეკონომიკის, საერთაშორისო ვაჭრობის, სრული დასაქმების გაზრდასა და სიღარიბის შემცირების მიღწევაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ძირითადად მიმართულია მსოფლიოს ქვეყნებში სავალუტო და საფინანსო სტაბილურობის დასამყარებლად. იგი მოითხოვს გაწევრიანებული ქვეყნების მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს რეკომენდირებული საფინანსო დისციპლინის პირნათლად შესრულება და სტაბილური სავალუტო კურსების შენარჩუნება. ეს უკანასკნელი კი წევრი ქვეყნების მხრიდან ისეთი ფულადი და საკრედიტო პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევასა და ფასების დონის დასტაბილურებას. (პაპავა, 2000: 21). საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმნიშვნელოანესი მიზანია ქვეყნების დახმარება, რათა მათ მიაღწიონ და შეინარჩუნონ ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

ცხრილი 1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები (2021 წ.)

| | |
|---|---|
| წევრი ქვეყნების რაოდენობა | 190 |
| აქტიური პროექტების რაოდენობა | 34 |
| პანდემიის პირობებში დაფინანსებული ქვეყნების რაოდენობა | 76 |
| ფინანსური დახმარება ტექნიკური რჩევის, ტრენინგის და სწავლებისათვის | $ 303 მლნ. |

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი*

საქართველოში პირველად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ჩამოვიდა 1991 წლის ნოემბერში, რომელსაც გაცნობითი ხასიათი ქონდა. შემდეგ ჩამოსლვლაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად საქართველოს ხელისუფლებას უტოვებდა სხვადასხვა სახის რეკომენდაციებს. საქართველოს ხელისუფლებამ 1994 წელს შეიმუშავა ე.წ. „ანტიკრიზისული პროგრამა", რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ურთიერთთანამშრომლობას. (პაპავა, 2015).

შესაბამისად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ვარდების რევოლუციამდე" მოღვაწეობის პერიოდი შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად (პაპავა, 2000):

- პირველ ეტაპზე, 1991-1994 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ რეკომენდაციის სახით გასცემდა რჩევებს, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ნაკლებად ითვალისწინებდა;
- მეორე ეტაპზე, 1994 წლიდან 2003 წლამდე („ვარდების რევოლუციამდე"), როდესაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები გახდა აუცილებლად შესასრულებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ. რაც შეეხება 2003 წლიდან დღემდე პერიოდს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაშვებული შეცდომები სრულიად განსხვავდება წინა ეტაპზე დაშვებული შეცდომებისაგან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მთავარ მიღწევად საქართველოში შეიძლება ჩაითვალოს საფინანსო სისტემის შექმნა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარება.

საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და სტაბილიზაციისათვის შემუშავებულ იქნა ანტიკრიზისული პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელების მთავარი მიღწევები შეიძლება შემდეგნაირად შეფასდეს:

- საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პროცესების რეგულირებისათვის ფინანსური საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
- ინფლაციური პროცესების მართვის შესაძლებლობა და ფულის რეფორმის განხორციელება;
- ეროვნული ვალუტა შემოტანა;
- წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება;
- უცხოური ვალების კუთხით რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა;
- ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა;
- პურზე ფასების ლიბერალიზაცია და კონკურენციის გაზრდა;
- დაკანონებული უნდა იქნას სასოფლო და სამეურნეო მიწებზე კერძო საკუთრება, კერძო მოიჯარეების არსებობა ქვეყანაში დარცენილ მიწებზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებს უშუალოდ იღებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ), შესაბამისად, მიღებული კრედიტები გამოიყენება რეზერვების გაზრდისათვის.

სსფ-ს დახმარებით შემდეგ წლებში ინფლაციის ზომიერმა და ეკონომიკური მაჩვენებლების მაღალმა ტემპებმა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა გახადა შესაძლებელი.

## მსოფლიო ბანკის ჯგუფი და საქართველო

განვითარებადი ქვეყნებისათვის მსოფლიო ბანკის ჯგუფი არის მსოფლიოში ცოდნის გაზიარებისა და დაფინანსების ერთ-ერთი უდიდესი წყარო. 189 წევრი ქვეყნის, 170-ზე მეტი ქვეყნის პერსონალის და 130-ზე მეტი ადგილას ოფისის მქონე მსოფლიო ბანკის ჯგუფი არის უნიკალური გლობალური პარტნიორობა. მისი ხუთი ინსტიტუტი იზიარებს და იღებს ვალდებულებას, რომ ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის შემცირებას, საერთო კეთილდღეობის გაზრდასა და მდგრადი განვითარებას. მისი მისიაა: პირველი, უკიდურესი სიღარიბის დასრულება (2030 წლისთვის უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები გლობალური მოსახლეობის წილის 3 პროცენტამდე შემცირებით) და მეორე, საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობა (ყველა ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის 40 პროცენტისათვის შემოსავლის გაზრდით).

IBRD და IDA ერთად ქმნიან მსოფლიო ბანკს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც დაფინანსებას, ასევე სხვადასხვა სახის პოლიტიკურ კონსულტაციებსა და ტექნიკურ დახმარებას განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისათვის. IDA ყურადღებას ამახვილებს მსოფლიოში არსებულ ყველაზე ღარიბ ქვეყნებზე, ხოლო IBRD ეხმარება ისეთ ღარიბ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ საშუალო შემოსავლები და გააჩნიათ რედიტუნარიანობა.

IFC, MIGA და ICSID განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ განვითარებადი ქვეყნებისათვის კერძო სექტორის გაძლიერებას. სწორედ ამ ინსტიტუტების მეშვეობით მსოფლიო ბანკის ჯგუფი კერძო საწარმოების, მათ შორის ფინანსური ინსტიტუტებისთვის დაფინანსებას, პოლიტიკური რისკის დაზღვევას, ტექნიკურ დახმარებასა და დავების მოგვარებას უზრუნველყოფს.

### ცხრილი 2. მსოფლიო ბანკის მონაცემები (2021 წ.)

| | |
|---|---|
| წევრი ქვეყნების რაოდენობა | 189 |
| პროექტების რაოდენობა | 12000 |
| ფინანსური დახმარების რაოდენობა (გაცემული სესხები და თანხები) | $ 45.9მლნ. |

*წყარო: მსოფლიო ბანკი*

საქართველო მსოფლიო ბანკის წევრი გახდა 1992 წლის 7 აგვისტოს. მას შემდეგ, მსოფლიო ბანკმა გამოყო შეღავათიანი კრედიტები და სესხები 69 ეკონომიკური პროექტის დასაფინანსებლად, რომელთა საერთო მოცულობამ $ 2.7 მილიარდი შეადგინა საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. მიმდინარე პორტფელის შემადგენლობაში შედის 12 აქტიური საინვესტიციო პროექტი და პოლიტიკის განვითარების ოპერაციები, რომელთა საერთო ჯამი 789 მილიონი აშშ დოლარია.

გასული ოცდახუთი წლის განმავლობაში ადგილობრივი და გლობალური კონტექსტის შეცვლასთან ერთად საქართველოსა და მსოფლიო ბანკის პარტნიორობაც ვითარდებოდა. 1990-იანი წლების დასაწყისისათვის, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, პარტნიორობა $10 მლნ. ღირებულების ინსტიტუციური მშენებლობის პროექტით დაიწყო. მისი მიზანი იყო გაფართოებულიყო საქართველოს მთავრობის შესაძლებლობები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში მსოფლიო ბანკმა მხარი დაუჭირა მთავრობის „პირველი თაობის რეფორმებს" ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში მემკვიდრეობით მიღებული ბაზრის დამახინჯებებისა და კონტროლის მოსაგვარებლად. მან ასევე ხელი შეუწყო მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარებას და შენარჩუნებას, ზრდის სტიმულირებას და ფინანსური დისციპლინის გაუმჯობესებას კერძო და საჯარო სექტორში.

მომდევნო წლებში მსოფლიო ბანკმა კონცენტრირება მოახდინა პროექტების დაფინანსებაზე სხვადასხვა სფეროებში.

- 1997 წლის აპრილი - მსოფლიო ბანკის ოფისი გაიხსნა თბილისში.
- 1997 წლის 22 სექტემბერი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა მსოფლიო ბანკის პირველი ქვეყნის დახმარების სტრატეგია (Country Assistance Strategy - CAS) 1998-2000 ფისკალური წლებისათვის.

მსოფლიო ბანკის მიერ ძირითადად დაფინანსებული იქნა სოფლის მეურნეობის, სასამართლო სისტემის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და  დაცული ტერიტორიების სფეროები.

- ქვეყნის დახმარების სტრატეგიაში (CAS) მოცემულია ბანკის სტრატეგია და სამუშაო გეგმა, რომელიც დაეხმარება კლიენტ ქვეყნებს თავიანთი განვითარების მიზნების მიღწევაში. მასში აღწერილია ბანკის ყველა დაგეგმილი ოპერაცია ქვეყანაში - სესხების გაცემა (დაკრედიტება), ანალიტიკური სამუშაოები და ტექნიკური დახმარება.

2004 წლიდან მსოფლიო ბანკის პროგრამა მიზნად ისახავს მთავრობის მხარდაჭერას იმ მნიშვნელოვან რეფორმებში, როგორიცაა საჯარო სექტორის მართვა და სოციალური უსაფრთხოების ქსელები. ბანკმა ასევე მხარი დაუჭირა ახალ ინვესტიციებს სატრანსპორტო და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში, კერძო სექტორის ზრდის ხელშესაწყობად და საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის როლის განმტკიცებისთვის.

ბანკმა განაგრძო საქართველოში საგზაო სექტორის დაფინანსება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო გზის აუცილებელი რეაბილიტაცია და შერჩეული მეორეხარისხოვანი და ადგილობრივი გზები, ამით ხელი შეუწყო მოკლევადიანი სამუშაო ადგილების შექმნას რეგიონებში, ასევე კავშირის შექმნასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

2001-2008 წლებსი მსოფლიო ბანკმა მხარი დაუჭირა საქართველოს ადამიანური კაპიტალის განვითარებას განათლებაში ინვესტიციების განხორციელებით, სასწავლო პროგრამის რეფორმისა და სკოლების დაფინანსების მხარდაჭერით, უნივერსიტეტის გამოცდების ახალი გამჭვირვალე სისტემის დანერგვით და პრიორიტეტულ რეგიონებში სკოლების რეაბილიტაციით.

ბანკმა ასევე შეუწყო ხელი თბილისის საერთაშორისო ეკონომიკის სკოლის ჩამოყალიბებას. ჯანდაცვის სექტორში განხორციელებულმა ჩარევებმა ხელი შეუწყო სამედიცინო დაწესებულებების მოდერნიზებას და, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყო ღარიბი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი სამედიცინო დაზღვევის ხელმისაწვდომობა. ბანკი ასევე დაეხმარა მთავრობას დიდი მიღწევის მიღწევაში - მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის დანერგვაში.

- 2001 წლის იანვარი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა მსოფლიო ბანკის ჯგუფის ქვეყნის პარტნიორობის ახალი სტრატეგია (Country Partnership Strategy - CPS) საქართველოსთვის 2004-2006 წლებში.
- 2001 წლის მაისი - მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა საქართველოში დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, რომელიც დაფინანსებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (Global Environment Facility - GEF) ნდობის ფონდის გრანტის მიერ.
- 2002 წლის აგვისტო - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა IDA სესხი, 16 მილიონი აშშ დოლარი, ტყეების განვითარების პროექტისთვის.

საერთაშორისო საზოგადოებამ პირობა დადო, რომ მხარს დაუჭერს საქართველოს ახალი მთავრობის მიერ შემოთავაზებულ რეფორმებს და დადებითად უპასუხა 2004-2006 წლებისათვის ყველაზე სასწრაფო და პრიორიტეტულ სფეროებში დახმარების თხოვნას.

- 2004 წლის ივნისი - ევროკომისიისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ორგანიზებით დონორთა კონფერენცია საქართველოზე ბრიუსელში, 2004-2006 წლების ყველაზე სასწრაფო და პრიორიტეტულ სფეროებში რეფორმების მხარდასაჭერად.
- 2005 წლის სექტემბერი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 2006-2009 წლებისთვის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია (CPS).
- 2005 წლის სექტემბერი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული აღმოსავლეთი-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პირველი პროექტი.
- 2006 წლის აპრილი - ბანკმა სხვა დონორებთან ერთად ხელი შეუწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დაარსებას.

- 2006 წლის სექტემბერი - ბიზნესის კეთება: მსოფლიო ბანკისა და IFC– ის მონაცემებით, საქართველო 2005–2006 წლებში ლიდერობდა მსოფლიოს 10 საუკეთესო რეფორმატორთა რეიტინგში ბიზნეს საქმიანობის მარტივად განხორხიელების კუთხით.

2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, მსოფლიო ბანკი ხელმძღვანელობდა საჭიროებების ერთობლივ შეფასებას, რათა დაედგინა ქართველების დაუყოვნებელი საჭიროებები. ევროკომისიასთან ერთად, ბანკმა ბრიუსელში უმასპინძლა დონორთა კონფერენციას, სადაც მიიღეს სესხების ოდენობის გასამმაგების გადაწყვეტილება 2010–2011 წლებისათვის, ქვეყნის გადაუდებელი აღდგენის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და სწრაფი რეაგირების პროცედურების გამოყენებით, 2008 წლის დეკემბრის დასაწყისში დასრულდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც ბევრ მათგანს საშუალებას აძლევდა დროებითი შენობა დაეტოვებინათ ზამთრის დადგომამდე.

- 2008 წლის სექტემბერი - 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, ჩატარდა საჭიროებების ერთობლივი შეფასება დაუყოვნებლივი საგანგებო საჭიროებების დასადგენად.
- 2008 წლის ოქტომბერი - ჩატარდა საერთაშორისო დონორთა კონფერენცია, სადაც 4,5 მილიარდი აშშ დოლარი გამოიყო საქართველოს პოსტკონფლიქტური მხარდაჭერისთვის.

2010-2014 წწ-ში მსოფლიო ბანკმა დაიწყო მთავრობის რეგიონული განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა კახეთისა და იმერეთის რეგიონებში პროექტების მეშვეობით, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ინვესტიციების განხორციელებას ტურიზმის ზრდის ხელშესაწყობად.

ბანკმა განაგრძო საქართველოს საბიუჯეტო მხარდაჭერა, მხარი დაუჭირა მნიშვნელოვან რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საშუალოვადიანი

კონკურენტუნარიანობისა და ზრდის საფუძვლების განმტკიცებას, ასევე, სოციალური ინკლუზიის განვითარებას.

- 2011 წლის იანვარი - წიგნის "კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საჯარო სამსახურებში: რეფორმის ქრონიკა საქართველოში" პრეზენტაცია მსოფლიო ბანკის შტაბ-ბინაში ვაშინგტონში.
- 2012 წლის მარტი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 60 მილიონი აშშ დოლარის სესხი კახეთის რეგიონში პირველი რეგიონული განვითარების პროექტისთვის.
- 2014 წლის მაისი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა მსოფლიო ბანკის ჯგუფის ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია (CPS) 2014-2017 წლებისათვის.
- 2014 წლის ივნისი - საქართველომ დაამთავრა საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (IDA).

2014 წლიდან დღემდე ვალდებულებების დიდი ნაწილი ორიენტირებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალისა და მეორეხარისხოვანი გზების მიმდინარე პროექტებზე, რასაც მოჰყვა ურბანული განვითარების, ენერგეტიკისა და სარწყავი სექტორების პროექტები. საინვესტიციო პორტფელში ასევე შედის საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ფირმებისა და ინდივიდების ინოვაციური საქმიანობის გაზრდასა და ციფრულ ეკონომიკაში მათ მონაწილეობას.

პარალელურად ხორციელდებოდა განვითარების პოლიტიკის ოპერაციების (DPO) ორი სერია, რომლებიც უზრუნველყოფენ საბიუჯეტო მხარდაჭერას - DPO პროგრამული ინკლუზიური ზრდიასა და DPO კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის.

2016 წლის აპრილი - თბილისის ბიზნეს ფორუმი: ინოვაცია და ციფრული ეკონომიკა. მსოფლიო განვითარების ანგარიში 2016: ციფრული დივიდენდების დაწყება თბილისის ტექნოლოგიურ პარკში.

- 2015 წლის მარტი - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა IBRD სესხი 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტისთვის.
- 2015 წლის ნოემბერი - 2015 წლის ივნისში დამანგრეველი წყალდიდობის შემდეგ ჩატარდა თბილისის სტიქიასთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასება.
- 2015 წლის დეკემბერი - ამოქმედდა საქართველოში ტურიზმის პირველი ეროვნული სტრატეგია 2025.
- 2016 წლის აპრილი - თბილისის ბიზნეს ფორუმი: ინოვაცია და ციფრული ეკონომიკა. მსოფლიო განვითარების ანგარიში 2016: ციფრული დივიდენდები დაიწყო თბილისის ტექნოლოგიურ პარკში (ტექნოპარკში).
- 2016 წლის ნოემბერი - დაიწყო პირველი სისტემური ქვეყნის დიაგნოზი.
- 2017 წლის მაისი - თბილისში წარმოდგენილი იქნა ევროპისა და ცენტრალური აზიის ეკონომიკის უკანასკნელი ანგარიში "გარდამავალი ვაჭრობა".
- 2017 წლის სექტემბერი - მსოფლიო ბანკის ჯგუფი და საქართველო 25 წლის პარტნიორობას აღნიშნავენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკის საინვესტიციო პორტფელი ძირითადად ინფრასტრუქტურაში იყო მოქცეული, საერთო პარტნიორობა გაფართოვდა მრავალ სფეროში სიღრმისეული დიალოგისა და ანალიტიკური და გასვლითი ღონისძიებებით, განსაკუთრებით, როგორც ორი DPO–ს დამატებითი ურთიერთობის ფორმა.

ბანკი აგრძელებს ჯანდაცვისა და განათლების სექტორების მხარდაჭერას ტექნიკური დახმარებისა და განვითარების პოლიტიკის ოპერაციების (DPO) მეშვეობით. 2017 წლის დასაწყისში, ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კონსულტაციით, დაიწყო საქართველოსთვის ახალი სისტემური ქვეყნის დიაგნოზი (Systematic Country Diagnostic - SCD) ქვეყნის წინაშე არსებული ყველაზე

კრიტიკული შეზღუდვებისა და შესაძლებლობების დასადგენად. სავარაუდოდ, სისტემური ქვეყნის დიაგნოზი (SCD) წარმოდგენილი იქნება 2018 წლის დასაწყისში და ის საფუძველი გახდება 2018-2022 წლების ქვეყნების პარტნიორობის ჩარჩოსთვის.

ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგია (CPF) 2019–2022 წლებისთვის, რომელიც შეიქმნა საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით და საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 22 მაისს, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი და ინკლუზიური ზრდისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას სამი ძირითადი მიმართულებით: ინკლუზიურობის ზრდა და კონკურენტუნარიანობა, ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და გამძლეობის გაზრდა. ამის საპასუხოდ, CPF პორტფელი აბალანსებს ინტერვენციებს ინფრასტრუქტურისა და კავშირის გასაძლიერებლად, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანური კაპიტალის ჩართულობის ზრდას. მსოფლიო ბანკის ჯგუფის მხარდაჭერა მოიცავს დაფინანსებას, საკონსულტაციო მომსახურებას, ანალიტიკასა და მოწვევის/შეხვედრების მომსახურებას.

გრაფიკი 2: საქართველო: სასესხო ვალდებულებები ფისკალური წლის მიხედვით (მილიონი აშშ დოლარი) *




*წყარო: მსოფლიო ბანკი*

** თანხებში შედის IBRD-ისა და IDA-ს ვალდებულებები.*

ამჟამინდელი აქტიური სასესხო პორტფელი მოიცავს 13 საინვესტიციო პროექტს, საერთო ვალდებულებით 951.40 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც გაცემულია 478 მილიონი აშშ დოლარი. საერთო ვალდებულების ერთი ნაწილი ეკუთვნის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) 901.40 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო მეორე ნაწილი კი განვითარების საერთაშორისო ასოციაციას (IDA) 50 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც  ათვისებული იქნება გრანტების ან ხელსაყრელი პირობების მქონე სესხების გასაცემად. (იხ. ცხრილი 2.2.1).

ცხრილი 3. მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ საქართველოსთვის აქტიურ პროექტებზე გაცემული სესხების ოდენობა (2021 წლის 5 აპრილის მონაცემებით).

| | |
|---|---|
| ატიური პროექტების რაოდენობა | 13 |
| გაცემული სესხის ოდენობა | $ 951.40 მლნ. |
| რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) | $ 901.40 მლნ. |
| განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) | $ 50 მლნ. |

*წყარო: მსოფლიო ბანკი*

აღნიშნული ვალდებულებების 21 პროცენტი მდგრადი განვითარების, 47 პროცენტი ინფრასტრუქტურის, 19 პროცენტი ადამიანური განვითარების და 13 პროცენტი სამართლიანი ზრდის, ფინანსებისა და ინსტიტუტების განვითარებისთვისაა გამოყოფილი. გარდა ამისა, პორტფელის შემადგენლობაში შედის მიმღების მიერ შესრულებული ორი სანდო ფონდის ოპერაცია, დაახლოებით 6,23 მილიონი აშშ დოლარი.

2021 წელს, Log-In Georgia-ს პროექტი (40 მილიონი აშშ დოლარი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)) დამტკიცდა დირექტორთა საბჭოს მიერ. ამ პროექტის მეშვეობით საქართველოსთვის შესაძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების ხელშეწყობა, როგორებიცაა ინფრასტრუქტურა და ციფრული კავშირი. ეს პროექტი მთავრობას დაეხმარება 700-ზე მეტი სოფლის ინტერნეტთან დაკავშირებაში ოპტიკურ - ბოჭკოვანი ქსელით. ეს ყოველივე კი

მნიშვნელოვანია დისტანციურ სწავლების ხელშეწყობისა და ზოგადად კავშირის არსებობისათვის, რაც განსაკუთრებით აქტუალურია პანდემიის პერიოდში არსებული სოციალური დისტანციის პირობებში.

2021 და 2022 წლებისათვის დაგეგმილია IBRD–ის კიდევ სამი სასესხო ოპერაცია, რომელთა ჯამური ვალდებულებაა 300 მილიონი აშშ დოლარი. ესენია:

1. საქართველოს რელიეფი და აღდგენა MSME-ებისა და სამუშაო ადგილებისათვის;
2. კახეთის ინტეგრირებული მობილობის პროექტი;
3. რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ყოვლისმომცველი პროექტი.

ცოდნის პროგრამა მოიცავს 10 საქმიანობას, საერთო ჯამში, 5.99 მილიონი აშშ დოლარი ისეთ სფეროებში, როგორიცაა მმართველობა, მაკროეკონომიკა, ფინანსები, ინოვაციები, ენერგეტიკა და სამთომოპოვება, ქალაქები, გარემო და განათლება.

უნდა ათინიშნოს ის ფაქტი, რომ მსოფლიო ბანკი იყო ერთ–ერთი პირველი საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტი, რომელმაც გაუწია დახმარება საქართველოს COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბანკმა სწრაფად მოახდინა გუნდების მობილიზება, IBRD– სგან სამი ახალი ოპერაციის მოსამზადებლად, რომელთა ღირებულება 230 მილიონი აშშ დოლარია. 2020 წლის 29 აპრილს დამტკიცდა 80 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის პროექტი COVID-19 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროექტისთვის, რომელიც ბანკის COVID-19 სწრაფი რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გაფორმდა და მიზნად ისახავს პანდემიის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გავლენაზე. თანადაფინანსების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან ერთად მსოფლიო ბანკი, დამატებით გამოყოფს $100 მლნ.-ს.

გარდა ამისა, ეკონომიკური მენეჯმენტისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების პოლიტიკის ოპერაციის (DPO) დამატებითმა დაფინანსებამ (50 მილიონი აშშ დოლარი, IBRD) უზრუნველყო მთავრობის საბიუჯეტო დახმარება საგადასახადო შემოსავლების მკვეთრი შემცირებისა და ანტიკრიზისული ზომების დასაფინანსებლად ხარჯების მოულოდნელი ზრდის ფონზე.

ამასთანავე, პროექტი უზრუნველყოფს ღარიბი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შემოსავლის დახმარებას, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მასშტაბის გაზრდით და დროებითი ფულადი გზავნილების უზრუნველსაყოფად იმ პირებისათვის, რომლებმაც პანდემიის გამო დაკარგეს სამსახური.

სხვა მიმდინარე პროექტები, ასევე, ხელს უწყობენ COVID რეაგირებას. საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტი (IBRD, 23.5 მილიონი აშშ დოლარი) ეხმარება ინოვაციური სტარტაპების განვითარებას, მათ შორის ციფრულ სფეროში, ხოლო სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით გაწეული ტექნიკური დახმარება ხელს უწყობს ფინანსური და კაპიტალის ბაზრების გაღრმავებას, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას და ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოს „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი" (I2Q) პროექტი (102.7 მილიონი აშშ დოლარი, IBRD) ასევე აფინანსებს COVID-19– სთან დაკავშირებულ დისტანციურ სწავლების აქტივობებს. ამ პროექტს ხუთი ზოგადი მიზანი აქვს: ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისა და ზრუნვის ხელმისაწვდომობის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება, ზოგადი განათლების ხარისხის სწავლებისა და სწავლის ამაღლება, დაფინანსების ვარიანტების გაძლიერება და უმაღლესი სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, სისტემის გაძლიერება და დაინტერესებული მხარეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება. პროექტის მონიტორინგის, მენეჯმენტისა და შეფასების მხარდაჭერა. აღნიშნული პროექტი შეესაბამება მსოფლიო ბანკის უახლეს ქვეყნებთან პარტნიორობის სტრატეგიას 2019-2022 წლებისთვის საქართველოსათვის და ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის 2018-2023 წლების განათლების რეფორმის დღის წესრიგს. პროექტი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ 2019 წლის 29 მაისს დაამტკიცა, ხოლო დაფინანსების ხელშეკრულება ხელი მოეწერა იმავე წლის 18 ივნისს.

საბოლოოდ, მსოფლიო ბანკი აგრძელებს დროული რჩევების მიწოდებას საქართველოს მთავრობისთვის არსებული კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და ეკონომიკის სფეროში საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით. ბანკი ასევე მოქმედებს როგორც შემსყიდველი აგენტი (კლიენტის

ქვეყნების სახელით), რაც მოიცავს გლობალურ მომწოდებლებთან პირდაპირ გარიგებებს სამედიცინო აღჭურვილობისა და მასალების შესყიდვის მიზნით.

მსოფლიო ბანკის ჯგუფი, რომელიც არის დაფინანსებისა და ცოდნის ერთ-ერთი უდიდესი წყარო, სწრაფ და ფართო რეაგირებას ახდენს, რათა დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს გააძლიერონ თავიანთი რეაგირება პანდემიაზე, გააძლიერონ დაავადებების მეთვალყურეობა, გააუმჯობესონ სამედიცინო ჩარევები და ხელი შეუწყონ კერძო სექტორის საქმიანობას და სამუშაო ადგილების შექმნას. მსოფლიო ბანკმა დაახლოებით 160 მილიარდი აშშ დოლარის ფინანსური დახმარება გამოყო, რომელიც გამოყენებული იქნება შემდეგი 15 თვის განმავლობაში იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც იცავენ ღარიბი და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მხარს უჭერენ კომპანიებს და დააჩქარებენ ეკონომიკის აღდგენას. მასში შედის 50 მილიარდი აშშ დოლარი საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (IDA), რომელიც გამოყენებული იქნება გრანტებისა ან სესხების ხელსაყრელი პირობების გასაცემად.

მსოფლიო ბანკი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარტნიორობის გზით განვითარების დაფინანსების მაქსიმალურად გაზრდაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებული ფონდის 285 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც თავდაპირველად დამტკიცდა 2017 წლის აპრილში, გაიზარდა 380 მილიონი აშშ დოლარით, საიდანაც დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარი გაიღო ბიუჯეტის მხარდაჭერისთვის, ხოლო დანარჩენი ნაწილი საქართველოს ეროვნული ბანკის საგადასახადო ბალანსის დასახმარებლად.

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს COVID-19 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროექტს (100 მილიონი აშშ დოლარი) და დამატებით DPO-სთან შესაბამისობაში მოყვანილ პარალელურ პროექტს (50 მილიონი დოლარი) აფინანსებს. KfW- მ (გერმანიის განვითარების ბანკმა) ასევე უზრუნველყო პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (180 მილიონი ევრო), ძირითადად დაფუძნებული DPO- ს პოლიტიკის მატრიცაზე.

მსოფლიო ბანკი იყო ერთ–ერთი პირველი საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტი, რომელმაც გაუწია დახმარება საქართველოს COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბანკმა სწრაფად მოახდინა გუნდების მობილიზება, IBRD– სგან

სამი ახალი ოპერაციის მოსამზადებლად, რომელთა ღირებულება 230 მილიონი აშშ დოლარია. 2020 წლის 29 აპრილს დამტკიცდა 80 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის პროექტი COVID-19 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროექტისთვის, რომელიც ბანკის COVID-19 სწრაფი რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გაფორმდა და მიზნად ისახავს პანდემიის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გავლენაზე. თანადაფინანსების ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან ერთად მსოფლიო ბანკი, დამატებით გამოყოფს $100 მლნ.-ს.

გარდა ამისა, ეკონომიკური მენეჯმენტისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების პოლიტიკის ოპერაციის (DPO) დამატებითმა დაფინანსებამ (50 მილიონი აშშ დოლარი, IBRD) უზრუნველყო მთავრობის საბიუჯეტო დახმარება საგადასახადო შემოსავლების მკვეთრი შემცირებისა და ანტიკრიზისული ზომების დასაფინანსებლად ხარჯების მოულოდნელი ზრდის ფონზე.

ამასთანავე, პროექტი უზრუნველყოფს ღარიბი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შემოსავლის დახმარებას, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მასშტაბის გაზრდით და დროებითი ფულადი გზავნილების უზრუნველსაყოფად იმ პირებისათვის, რომლებმაც პანდემიის გამო დაკარგეს სამსახური.

სხვა მიმდინარე პროექტები, ასევე, ხელს უწყობენ COVID რეაგირებას. საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტი (IBRD, 23.5 მილიონი აშშ დოლარი) ეხმარება ინოვაციური სტარტაპების განვითარებას, მათ შორის ციფრულ სფეროში, ხოლო სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით გაწეული ტექნიკური დახმარება ხელს უწყობს ფინანსური და კაპიტალის ბაზრების გაღრმავებას, კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას და ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოს „ინოვაცია, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ (I2Q) პროექტი (102.7 მილიონი აშშ დოლარი, IBRD) ასევე აფინანსებს COVID-19– სთან დაკავშირებულ დისტანციურ სწავლების აქტივობებს. ამ პროექტს ხუთი ზოგადი მიზანი აქვს: ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისა და ზრუნვის ხელმისაწვდომობის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება, ზოგადი განათლების ხარისხის სწავლებისა და სწავლის ამაღლება, დაფინანსების ვარიანტების გაძლიერება და უმაღლესი სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, სისტემის გაძლიერება და დაინტერესებული მხარეებს შორის

კომუნიკაციის გაუმჯობესება. პროექტის მონიტორინგის, მენეჯმენტისა და შეფასების მხარდაჭერა. აღნიშნული პროექტი შეესაბამება მსოფლიო ბანკის უახლეს ქვეყნებთან პარტნიორობის სტრატეგიას 2019-2022 წლებისთვის საქართველოსათვის და ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის 2018-2023 წლების განათლების რეფორმის დღის წესრიგს. პროექტი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ 2019 წლის 29 მაისს დაამტკიცა, ხოლო დაფინანსების ხელშეკრულება ხელი მოეწერა იმავე წლის 18 ივნისს.

საბოლოოდ, მსოფლიო ბანკი აგრძელებს დროული რჩევების მიწოდებას საქართველოს მთავრობისთვის არსებული კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და ეკონომიკის სფეროში საუკეთესო გამოცდილების გაზიარებით. ბანკი ასევე მოქმედებს როგორც შემსყიდველი აგენტი (კლიენტის ქვეყნების სახელით), რაც მოიცავს გლობალურ მომწოდებლებთან პირდაპირ გარიგებებს სამედიცინო აღჭურვილობისა და მასალების შესყიდვის მიზნით.

მსოფლიო ბანკის ჯგუფი, რომელიც არის დაფინანსებისა და ცოდნის ერთ-ერთი უდიდესი წყარო, სწრაფ და ფართო რეაგირებას ახდენს, რათა დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს გააძლიერონ თავიანთი რეაგირება პანდემიაზე, გააძლიერონ დაავადებების მეთვალყურეობა, გააუმჯობესონ სამედიცინო ჩარევები და ხელი შეუწყონ კერძო სექტორის საქმიანობას და სამუშაო ადგილების შექმნას. მსოფლიო ბანკმა დაახლოებით 160 მილიარდი აშშ დოლარის ფინანსური დახმარება გამოყო, რომელიც გამოყენებული იქნება შემდეგი 15 თვის განმავლობაში იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც იცავენ ღარიბი და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მხარს უჭერენ კომპანიებს და დააჩქარებენ ეკონომიკის აღდგენას. მასში შედის 50 მილიარდი აშშ დოლარი საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (IDA), რომელიც გამოყენებული იქნება გრანტებისა ან სესხების ხელსაყრელი პირობების გასაცემად.

მსოფლიო ბანკი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარტნიორობის გზით განვითარების დაფინანსების მაქსიმალურად გაზრდაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაფართოებული ფონდის 285 მილიონი აშშ დოლარი, რომელიც თავდაპირველად დამტკიცდა 2017 წლის აპრილში, გაიზარდა 380 მილიონი აშშ დოლარით, საიდანაც დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარი გაიღო ბიუჯეტის

მხარდაჭერისთვის, ხოლო დანარჩენი ნაწილი საქართველოს ეროვნული ბანკის საგადასახადო ბალანსის დასახმარებლად.

აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს COVID-19 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროექტს (100 მილიონი აშშ დოლარი) და დამატებით DPO-სთან შესაბამისობაში მოყვანილ პარალელურ პროექტს (50 მილიონი დოლარი) აფინანსებს. KfW- მ (გერმანიის განვითარების ბანკმა) ასევე უზრუნველყო პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (180 მილიონი ევრო), ძირითადად დაფუძნებული DPO- ს პოლიტიკის მატრიცაზე.

## აზიის განვითარების ბანკი და საქართველო

აზიის განვითარების ბანკი (ADB) არის მრავალმხრივი განვითარების ბანკი, რომელსაც ფლობს 68 წევრი ქვეყანა, რომელთაგან 49 აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონშია, ხოლო 19 მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან. ADB–ის მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება მის განვითარებად წევრ ქვეყნებს, წარმოადგენს პოლიტიკის დიალოგს, სესხებს, კაპიტალის ინვესტიციებს, გარანტიებს, გრანტებს და ტექნიკურ დახმარებას. 2020 წელს სესხების მოცულობამ შეადგინა 26.9 მილიარდი აშშ დოლარი (149 პროექტი), ტექნიკური დახმარება - 293.56 მილიონი აშშ დოლარი (275 პროექტი), ხოლო გრანტით დაფინანსებული პროექტები - 1.08 მილიარდი აშშ დოლარი (62 პროექტი). გარდა ამისა, 16.41 მილიარდი აშშ დოლარი იქნა მიღებული სუვერენული და არასახელმწიფო თანადაფინანსებისთვის სესხებისა და გრანტების სახით, B კატეგორიის სესხები, რისკის გადაცემის მექანიზმები, გარანტირებული თანადაფინანსება, პარალელური სესხები, პარალელური კაპიტალი და ოპერაციების თანადაფინანსება. ვაჭრობისა და მიწოდების ჯაჭვის ფინანსთა და მიკროსაფინანსო პროგრამა. ADB-ს პროგრამა 2016 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე წლიური სესხები საშუალოდ 19.69 მილიარდი დოლარი იყო. გარდა ამისა, ADB–ისა და სპეციალური ფონდების რესურსებიდან დაფინანსებული ინვესტიციური გრანტები და ტექნიკური დახმარება, საშუალოდ, 805.5 მილიონი აშშ დოლარი და 230.81 მილიონი აშშ დოლარი იყო იმავე პერიოდში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი არადაფინანსების ვალდებულებები შეადგენდა 323.17 მილიარდ აშშ დოლარს სესხებში 449 ქვეყნის 3.369 პროექტისთვის, 11.3 მილიარდ აშშ დოლარს 495 გრანტში, და 5.01 მილიარდი აშშ დოლარის ტექნიკური დახმარების გრანტები, რეგიონული ტექნიკური დახმარების გრანტების ჩათვლით.

ცხრილი 4. აზიის განვითარების ბანკის მონაცემები (2020 წ.).

| | |
|---|---|
| წევრი ქვეყნების რაოდენობა | 68 |
| გაცემული სესხები, გრანტები, კაპიტალის ინვესტიციები და გარანტიები | $ 31.6 მლრდ. |
| ტექნიკური დახმარება, თანამშრომლობის დაფინანსების გამოკლებით | $ 294 მლნ. |
| თანადაფინანსება, ნდობის ფონდების ჩათვლით | $ 16.4 მლრდ. |
| გადასახადები | $ 23.6 მლრდ. |

*წყარო: აზიის განვითარების ბანკი*

რაც შეეხება აზიის განვითარების ბანკის არასახელმწიფო ვალდებულებებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2018 წელს და შეადგენდა 5,831 მილიონ აშშ დოლარს, 2020 წლისათვის კი შემცირდა და 4,475 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველო და აზიის განვითარების ბანკი (ADB) პარტნიორები არიან 2007 წელიდან, რომელიც არის ქვეყნისათის ძალიან მნიშვნელოვანი მრავალმხრივი განვითარების პარტნიორი. მან საქართველოსათვის $3.92 მლრდ.-ის სესხები და $28.9 მლნ.-ის ღირებულების პროექტები გამოყო ტექნიკური დახმარების გაწევისათვის. საქართველოსთვის კუმულაციური სესხებით გაცემული თანხების ოდენობა 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული ფინანსდებოდა რეგულარული და შეღავათიანი ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსების გამოყენებით.

გრაფიკი 3. აზიის განვითარების ბანკის არასახელმწიფო ვალდებულებები წლების მიხედვით (მილიონი აშშ დოლარი)




*წყარო: მსოფლიო ბანკი*

2020 წელს, პანდემიის აღდგენის საგანგებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ADB-მ 300 მილიონი აშშ დოლარი გამოყო კონტრციკლიკური და პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხების საშუალებით, რომ გახმარების ხელი გაუწოდოს ქვეყანას, რათა აღადგინონ ფისკალური და ფინანსური ბუფერები, შენარჩუნდეს ეკონომიკური აქტივობის დონე და დაიცვან ყველაზე დაუცველი ჯგუფები. ეს დაფინანსება ქვეყანას

დაეხმარება COVID-19-ის გავრცელების შეკავებაში და ქვეყნის ძირითადი ფინანსური მენეჯმენტის სისუსტეების მდგრადად აღმოფხვრაში.

გარდა ამისა, COVID-19 საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროექტმა ხელი შეუწყო სამაშველო მასალებისა და მომსახურებების მიწოდებას მთელ საქართველოში. $2.5 მლნ.-ის ოდენობის გრანტი დააფინანსა ADB-ს აზიის წყნარი ოკეანის კატასტროფებზე რეაგირების ფონდმა, იაპონიის მთავრობის თანამონაწილეობით. ADB-ს მთავრობამ ასევე მიაწოდა ექსპერტიზა COVID-19 ვაქცინების ეროვნული გეგმის შემუშავების მიზნით.

საქართველოსთვის პარტნიორობის სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს განათლების ფართო მხარდაჭერას, ADB– მ ასევე გამოყო 72 მილიონი აშშ დოლარი თანამედროვე უნარ – ჩვევების გაუმჯობესების სექტორის განვითარების პროგრამაში 2020 წელს - ბანკის პირველი სესხი ქვეყნის განათლების სექტორში. პროგრამა ხელს უწყობს პროდუქტიულობის გაზრდას ხარისხის პროფესიონალური განათლებისა და ტრენინგის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით, მაღალი დამატებული ღირებულების სექტორებში სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობით და უნარების ტრენინგში კერძო სექტორის მონაწილეობით.

2017–დან 2020 წლამდე ADB–მ 1.3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხა გამოყო საქართველოს სტრატეგიული სატრანსპორტო დერეფნისა და მეორადი გზის პროექტებისთვის. ეს ინვესტიციები ხელს უწყობს აღმოსავლეთ – დასავლეთის გზატკეცილის დაახლოებით 61 კილომეტრის (კმ) აშენებას; ასევე, ჩრდილოეთ – სამხრეთის დერეფნის გასწვრივ 23 კილომეტრიანი კლიმატისადმი მდგრადი მაგისტრალის მშენებლობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა, ვინაიდან, 228 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი პირველი პროექტია საქართველოში, რომელიც აზიის განვითარების ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება და გულისხმობს ახალი 14.3 კმ სიგრძის ორზოლიანი შემოვლითი გზის მშენებლობას, რომელიც დააკავშირებს ქალაქის პორტსა და ბათუმის შავი ზღვის ტურისტულ ცენტრს;

პროექტი ასევე მოიცავს შესრულებაზე ორიენტირებულ სარემონტო ხელშეკრულებებს საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის 200 კმ გზებზე. პროექტი მიზნად ისახავდა ასევე გარკვეულ დანაზოგებს ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ საქართველოში კომერციული გზების გასაუმჯობესებლად.

ასევე, 80 მილიონი აშშ დოლარის 50 კილომეტრიანი მეორადი გზის რეაბილიტაციის პროექტი ხარაგაულის რაიონის მოსახლეობისა და ტურისტების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

2019 წელს ADB-მ ასევე გამოყო 278 მილიონი აშშ დოლარი აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის (14.7 კმ). ეს მოჰყვა 300 მილიონი აშშ დოლარის ვალდებულებას, რომელიც არებული იყო 2018 წელს ხევი-უბისას მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის (12 კმ). ორივე ინვესტიციის მიზანია ოთხზოლიანი გზის მშენებლობა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება. ამ პროექტების თანადაფინანსებისათვის ADB–მ 1.05 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზება მოახდინა.

2019 წელს აზიის განვითარების ბანკმა 415 მილიონი აშშ დოლარი გამოყო ჩრდილოეთ-სამხრეთის (ქვეშეთი-კობი) დერეფნის პროექტისთვის, 60 მილიონი აშშ დოლარი თანადაფინანსებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ. პროექტი გააუმჯობესებს გზის უსაფრთხოებას 23 კილომეტრიანი მაგისტრალისა და დაახლოებით 5 კმ დამაკავშირებელი გზების მშენებლობის გზით. ეს მოიცავს 2019 წლისათვის გახსნილ 34 კმ-იან სატვირთო შემოვლით გზას, რომელიც გვერდს უვლის ქობულეთის პოპულარულ ტურისტულ მიმართულებას, აუმჯობესებს რეკრეაციულ გარემოს და ხელს უწყობს ქალაქის ბიზნესის განვითარებას.

ზემოთ აღნიშნული მიმდინარე პროექტების შესაბამისად, ADB-მ დამატებით 1.2 მილიარდი აშშ დოლარის მობილიზება დააფინანსა. ამ ინვესტიციების საშუალებით, ADB–ს ასევე დაეხმარა გზების დეპარტამენტს ინსტიტუციური შესაძლებლობების განმტკიცებაში, პროექტის განხორციელებაში და აქტივების მართვაში.

მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ინვესტიციის პროგრამა, რომლის ბიუჯეტიც არის 300 მილიონი აშშ დოლარი, ავითარებს საქართველოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელსა და ეფექტურ სატრანსპორტო სისტემებს დიდ ქალაქებში.

2011 წლიდან 2016 წლამდე ADB–მ გამოყო 500 მილიონი აშშ დოლარი ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამისათვის, შემდეგ კი 157 მილიონი აშშ დოლარი მდგრადი წყალმომარაგებისა და სანიტარული სექტორის განვითარების პროგრამისთვის. ეს ორი პროგრამა უზრუნველყოფს წყალსა და სანიტარიულ მდგომარეობას ქვეყნის 12 ქალაქში და უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კორპორატიზაციასა და მოდერნიზაციას.

გასული ათწლეულის სხვა მიღწევებთან ერთად, ADB– ს დაეხმარა ოთხი ახალი და განახლებული ელექტროსადგურის შექმნას ენერგეტიკული ქსელის გასაძლიერებლად, მხარი დაუჭირა ქვეყნის სახელმწიფო ვალისა და ბიუჯეტის მენეჯმენტს, მხარი დაუჭირა საპენსიო სისტემის რეფორმებს, ხელი შეუწყო კაპიტალის ბაზრების განვითარებასა და კერძო ინვესტიციების მოზიდვას სამუშაო ადგილების შექმნისა და ოჯახების უკეთესი სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად.

# ლექცია 5: საერთაშორისო სავალუტო ბაზარი

ვალუტის გაცვლითი კურსი არის ერთი ქვეყნის ვალუტის ფასი გამოხატული მეორე ქვეყნის ვალუტით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, გაცვლითი კურსის რეჟიმების 4 ძირითადი ტიპი არსესობს, რომლებშიც გაერთიანებულია 10 კატეგორია, თუმცა ეს დაყოფა მხოლოდ პირობითია.

სქემა: 1 გაცვლითი კურსების რეჟიმების კლასიფიკაცია




წყარო: IMF, https://www.imf.org/external/np/mfd/er/2004/eng/0604.htm

ერთ-ერთი უძველესი რეჟიმი არის ოქროს სტანდარტი, რომელზეც პირველ მსოფლიო ომამდე მსოფლიოს ფინანსური სისტემა იყო აწყობილი. რადგან ვალუტების დაკონვერტირება პირდაპირ ოქროში შეიძლებოდა წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული კურსით, ვალუტები ერთმანეთის მიმართაც ინარჩუნებდნენ ფიქსირებულ კურსს. თუმცა ქვეყნების მონეტარული პოლიტიკა იზღუდებოდა და ფულის მიწოდებას ოქროს მარაგები განსაზღვრავდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოქროს სტანდარტი მთლიანად გაქრა და იგი ბრეტონ ვუდსის სისტემამ ჩაანაცვლა, რომელიც დოლარის მიმართ აფიქსირებდა ვალუტის კურსებს. თუმცა ამ სისტემამ მხოლოდ 30 წელი იარსება და საბოლოოდ გაუქმდა მას შემდეგ, რაც ფიქსირებული გაცვლითი კურსის პრობლემები გამოვლინდა და მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის შემოღება გახდა შესაძლებელი.

ეკონომიკური ანალიზის გასაკეთებლად მნიშვნელოვანია ლარის გაცვლითი კურსის განხილვა არა მარტო აშშ დოლართან არამედ, სხვა სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებაშიც, ამიტომ ნაშრომში სტატისტიკური მონაცემები მოყვანილი და განხილული იქნება პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან შედარებით. აქვე აღვნიშნოთ, რომ ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გვიჩვენებს ლარის ნოილაურ კურსს და

შეწონილია პარტნიორ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის წილების შესაბამისად, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ინფლაციის ეფექტსაც ითვალისწინებს და განისაზღვრება, როგორც უცხოური საქონლის ფასი გამოხატული ადგილობრივი საქონლით.

ეროვნული ვალუტის სწრაფი და მოულოდნელი გაუფასურება ფინანსური სისტემის სტაბილურობას უქმნის საფრთხეს, რაც საბოლოოდ ეკონომიკურ კრიზისამდეც კი შეიძლება მივიდეს, ამიტომ აუცილებელია პრობლემების ეფექტური და დაუყოვნებლივი გადაჭრა. ხელისუფლებამ წლიური ბიუჯეტი და ფისკალური პოლიტიკა ისე უნდა შეიმუშავო, რომ ხელი შეუწყონ სახელმწიფო ვალის მდგრად ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას, რათა ქვეყანაში ფისკალური სტაბილურობა მიიღწეს.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ქვეყნის საგარეო ვალდებულებების ზრდას იწვევს და რისკის ქვეშ აყენებს ქვეყნის გადახდისუნარიანობას. ეს კი, ამცირებს ინვესტორების ნდობას და უცხოელი ინვესტორების გადინების რისკს ზრდის. საქართველოს მსგავსი ღია ეკონომიკის ქვეყნებში გაცვლით კურსს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მ/ა დეფიციტის შემცირებისთვის, რადგან ღია ეკონომიკა გაცვლითი კურსის კორექტირებით რეაგირებს საგარეო შოკებზე - ეფექტური გაცვლითი კურსი ნეგატიური საგარეო შოკის შედეგად უფასურდება, ეროვნულ ვალუტაში გამოხატული იმპორტული საქონელი ძვირდება და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ექსპორტის ღირებულება მცირდება.

საქართველოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს საბანკო ვალები აშშ დოლარში აქვთ აღებული და ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად პრობლემა ექმნება როგორც მსესხებლებს, ისე მთლიანად საბანკო სისტემასაც. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლარში გამოსახული საგარეო ვალი კიდევ უფრო იზრდება.

გაცვლით კურსებზე ძირითად გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

1. ინფლაცია - შეგვიძლია ინფლაცია ფულის ღირებულების ვარდნასთან გავაიგივოთ, რადგან ინფლაციის ზრდის პარალელურად ვალუტის მსყიდველობით უნარი მცირდება.

2. განსხვავება სავაჭრო პარტნიორების ინფლაციის დონეებში - მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნები პარტნიორების ვალუტებს იყენებენ, ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა და მისი ფასი მცირდება.
3. სავაჭრო პირობები - თუ ექსპორტის ფასი იმპორტისაზე მაღალია ქვეყნის ვალუტა მყარდება.
4. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი - გვიჩვენებს იმპორტის მეტობას ექსპორტზე. დეფიციტის დასაფინანსებლად კი ქვეყნები, როგორც წესი, უცხოური წყაროებიდან იღებენ სესხებს, რის შედეგადაც სავაჭრო პარტნიორების მიმართ მათი ვალუტები უფასურდება.
5. განსხვავებები საპროცენტო განაკვეთებში - საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას განვითარებად ქვეყნებში დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია გაცვლით კურსზე. მათი დახმარებით ცენტრალური ბანკები გაცვლით კურსსა და ინფლაციაზე ახდენენ გავლენას. ინფლაციის დონის მატებასთან ერთად მცირდება მაღალი საპროცენტო განაკვეთის გავლენა.
6. პოლიტიკური სტაბილურობა - ინვესტიციის განხორიელებისას ინვესტორი დიდ ყურადღებას აქცევს წვეყნის სტაბილურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი ადგილობრივი კურსის გამყარებას იწვევს.

საქართველოში გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება არის ლარი(გარდა თიზების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა). ლარის მონეტებისა და ბანკნოტების მახასიათებლებს განსაზღვრავს და ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო, ხოლო მოსახლეობას კომერციული ბანკების მეშვეობით,დახმარებით მიეწოდება.

ლარი მიმოქცევაში 1995 წლის 2 ოქტომბრიდან გაეშვა და კურსი მარტივად განისაზღვრა, სებ-მა კუპორს ჩამოაცილა ექვსი ნული და დოლარის ღირებულებაც ავტომატურად 1.3 ლარი გახდა. ეროვნულმა ბანკმა ლარის სიმბოლოს შექმნაზე კონკურსი 2013 წლის დეკემბერში გამოაცხადა და მისი ავტორი გახდა მალხაზ შველიძე, ხოლო სიმბოლო ₾, რომელიც ეფუძნება ერთთაღიანი ასო „ლას“-ის მოხაზულობას.

1991წელს სსფ-ის მისია პირველად ჩამოვიდა საქართველოში და საქართველო 1992 წელს გახდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი, მისი წილი 0,08%-ია.

1994 წლამდე საქართველოს ხელისუფლება არაფრად აგდებდა სსფ-ის რეკომენდაციებს, რასაც შედეგად საფინანსო სისტემის მოშლა მოჰყვა, ამას ემატებოდა ხელისუფლებისა და ქართული კუპონისადმი უნდობლობა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ომები, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფულის საკრედიტო, საბიუჯეტო ემისია და ხელისუფლების მიერ გატარებული საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკა, საბოლოოდ კი 1993-1994 წლებში ჰიპერინფლაცია მივიღეთ, თვიური ინფლაცია - 50-70%(პაპავა, 2005).

საქართველოს მსგავსი ღია და პატარა ეკონომიკის ქვეყნებისთვის ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი ყველაზე მეტად ოპტიმალური ვარიანტია. აღნიშნული რეჟიმი გულისხმობს მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და მისი საშუალოვადიან პერიოდში შენარჩუნების მიზნით საჭირო მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებით გამოწვეული მაღალი ინფლაციის გამო 1997 წლამდე საქართველოში მოქმედებდა ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმი და ეროვნული ვალუტა მიბმული იყო აშშ დოლარზე. ხოლო 1997 წლიდან ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. გაცვლითი კურსის რეფორმის შემდეგ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა ჩაანაცვლა სავალუტო აუქციონებმა. შედეგად კი, მოკლევადიან პერიოდში გაცვლითი კურსი გახდა არაპროგნოზირებადი და გაიზარდა ლარის სტაბილურობა გრძელვადიან პერიოდში.

ფიქსირებული კურსის რეჟიმის შემოღება მხოლოდ მაშინ არის ოპტიმალური გადაწყვეტილება, თუ ის მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის საშუალებას იძლევა. ამისთვის კი საჭიროა, ორივე ქვეყანას(მონაწილეებს) შორის კაპიტალი და შრომის რესურსები იყოს მობილური და ერთნაირი ბიზნეს ციკლები ჰქონდეთ. რაც საქართველოსა და აშშ-ს შემთხვევაში არ არსებობდა(ს). ან ვერ განვიხილავთ წინაპირობად. ამასთანავე, ლარის კურსის დოლარზე მიბმა მას აფიქსირებს ერთ ვალუტასთან მიმართებაში და ცვალებადია სხვა ვალუტების მიმართ.

ფიქსირებული გაცვლითი კურსი ზღუდავს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მოქმედების მასშტაბებს და ამცირებს მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობას, ვინაიდან შეუძლებელი გაცვლით კურსსა და ფულის მიწოდებაზე ერთდროულად ზემოქმედება. ასევე, ეგზოგენური ინფლაციის იმპორტირებას უწყობს  ხელს და შედეგად უფრო მეტად ამწვავებს გარე ფაქტორებით გამოწვეულ კრიზირებს.

მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი ფიქსირებულ გაცვლით კურსზე მეტად უწყობს ხელს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანას არ წარმოადგენს ლარის კურსის დაფიქსირება და, გამონაკლისი შემთხვევების გარდა,  იგი არ ერევა სავალუტო ბაზრზე. მხოლოდ მაშინ თუ ჭარბი კაპიტალის გადინებას ან შემოდინებას აქვს ადგილი, დასაბალანსებელია სახელმწიფო საგარეო ოპერაციები ან საერთაშორისო რეზერვების შევსებ-ის აუცილებლობაა. სავალუტო ბაზარი შედგება კომერციული ბანკებისგან, საინვესტიციო ფონდებისა და ამ პროცესით დაინტერესებული კორპორაციებისა და ინდივიდებისგან. მართალია, ასეთ შემთხვევაში გაცვლითი კურსი საგრძნობი მერყეობით ხასიათდება, მაგარამ, ამასთანავე, იგი ეგზოგენური შოკების შემწოვის ფუნქციას ითავსებ-ს და მასტაბილიზირებელის როლს თამაშობს.

ლარის ოფიციალური კურსი გამოითვლება ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებებით. ამ გარიგებათა მიხედვით ითვლება ლარის საშუალო შეწონილი კურსი აშშ დოლარის მიმართ, რომელიც არაუგვიანეს 17:00 საათიდან შემდეგი დღის ოფიციალურ გაცვლით კურსად ცხადდება.

დიდი დეპრესიის შემდეგ 2007-2008 წლების კრიზისი მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში ყველაზე მძიმე ფინანსური კრიზისი იყო. მის გამომწვევ 2 ძირითად ეკონომიკურ მიზეზს გამოყოფენ:

1) 2001 წლიდან ფედერალური სარეზერვო სისტემის შერბილებული მონეტარული პოლიტიკა ან
2) კაპიტალის ნაკადების ინტენსივობისა და გლობალური ფინანსური დისბალანსის ზრდა.

თუმცა ზოგი მეცნიერი კრიზისის გავრცელებას ორივე მიზეზის ერთობლივ შედეგად მიიჩნევს. ამავე დროს, ყველა თანხმდება, რომ აშშ-ში 2001-2006 წლებში უძრავ ქონებაზე ფასების სწრაფმა ზრდამ მოამზადა საფუძველი კრიზისისთვის, რაც თავის მხრივ დამოკიდებული იყო 2000 წელს სუბსტანდარტული იპოთეკების შემოღებაზე (სუბსტანდარტული სესხები მსესხებლის თანამონაწილეობას არ მოითხოვდნენ, რაც ბანკის რისკს ზრდიდა, ხოლო საპროცენტო განაკვეთები მხოლოდ პირველი ორი-სამი წელი იყო ფიქსირებული და გარკვეული დროის შემდეგ მცურავი ხდებოდა და ებმეოდა რომელიმე ეტალონურ ინდექსს(მაგ.libors-ს). ამ სახის სესხებმა უძრავ ქონებაზე მოთხოვნა და შესაბამისად, მათი ფასებიც გაზარდა). საპროცენტო განაკვეთების ზრდის შესაბამისად გაიზარდა ყოველთვიური გადასახადებიც, რამაც დეფოლტებისა და საბანკო სისტემაში ცუდი სესხების დონის ზრდა გამოიწვია. დაიწყო უძრავი ქონების სექტორში ფასების დაცემა და სუბსტანდარტული იპოთეკის მიმღები და გამცემი მხარეების ფინანსური მდგომარეობა გააუარესა. კრიზისის უშუალო დასაწყისი 2006 წლის ბოლოდან მოდის და 2007 წლის მარტში გაყიდვები წლიურად 13%-ით დაეცა. 2007 წლის მაისიდან კრიზისი უძრავი ქონების სექტორს გასცდა, და უკვე 2008 წლის სექტემბრიდან გლობალური ხასიათი მიიღო (გ. ბაქრაძე, 2014)

გლობალიზაციის პირობებში, რა თქმა უნდა, საქართველოზეც იქონია გავლენა. თუმცა ამავე დროს, რთულია 2008 წლის კრიზისისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოოს ომის შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნა. მაგრამ, რადგან საქართველოს ფინანსური სექტორი ნაკლებად განვითარებულია, კრიზისის უშუალო გავლენა მინიმალური იყო. თუმცა, კრიზისმა რეალურ სექტორშიც გადაინაცვლა, მან დიდი ზიანი მიაყენა მცირე ღია ეკონომიკებს და მათ შორის საქართველოსაც. მადნებსა და ლითონებზე ფასები მნიშვნელოვნად დაეცა და დიდად იმოქმედა საქართველოს საექსპორტო შემოსავლებზე.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაცვლით კურსზე მოქმედი ერთ-ერთი ფაქტორია. დეფიციტი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის იმპორტი ექსპორტზე მეტია და დეფიციტის შესავსებად უცხოური წყაროებიდან იღებს სესხებს, რაც ვალუტის გაუფასურებას იწვევს სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან მიმართებაში. 2008 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 82%-ით არის გაზრდილი წინა წლის შესაბამის

პერიოდთან შედარებით, რაც მზარდი სავაჭრო დეფიციტითაა განპირობებული. პირველ კვარტალში საქონლის ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი 39 პროცენტი იყო, ასევე უარყოფითი სალდო დაფიქსირდა შემოსავლების ანგრიშზეც. მართალია საქართველომ საკმაოდ დიდი რაოდენობის უცხოური კაპიტალის ნაკადები მიიღო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დასაფინანსებლად, მაგრამ ამავე დროს ვალდებულებების ზრდასთან ერთად, გაიზარდა ამ კაპიტალის მომსახურების ხარჯებიც, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ერთ-ერთი პირობაა.

2008 წელს ფასების ზრდაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ნოემბერში მედიკამენტების ფასების ერთჯერადმა ზრდამ, რამაც აშშ დოლარის მიმართ ლარის გაუფასურება გამოიწვია. ასევე აღსანიშნავია ცვლილებები საერთაშორისო ბაზარზე: ნედლი ნავთობის ფასი დაახლოებით 50%-ით შემცირდა, რის გამოც საქართველოში ბენზინის ფასი 30%-ით გაიაფდა, ხოლო შედეგად წლიური ინფლაციის მაჩვენებლის ერთი პროცენტული პუნქტიც შემცირება მივიღეთ. ასევე დიდი გავლენა იქონია ხორბლის პურსა და მზესუმზირის ზეთზე ფასების შემცირებამ. აღსანიშნავია ხილ-ბოსტნეულის ფასები, რომელთა ზრდასაც აგვისტოს ომის დროს მათი ტრანსპორტირების გართულებამ შეუწყო ხელი

2008 წლიდან ბიუჯეტის შემოსავლები პრივატიზაციის მუხლში კლებადი ტენდენციით ხასიათდება და შესაბამისად ვეღარ მოხერხდა ბიუჯეტის დეფიციტის მის ხარჯზე დაფინანსება. 2008 წელს 698 მლნ ლარს გადააჭარბა პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა, თუმცა ეს მთლიანი ხარჯების მხოლოდ 10%-ია.

კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტი 2008 წელს 1 179ლარი იყო და მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაშ 6.2% შეადგინა. 2008 წლიდან დეფიციტის დაფინანსება გრძელვადიანი კაპიტალის შემოდინების ხარჯზე ხდებოდა, რომლის უმეტესობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.

2008 წლის ივნისიდან 2009 წლის ივნისამდე პერიოდში ეროვნულ ბანკში არსებული მთავრობის დეპოზიტები 40%-ით - 248 მლნ ლარით არის შემცირებული. და აგვისტოს მოვლენების შემდეგ სახელმწიფო ხარჯების ზრდასთან ერთად შემცირება დაიწყო ამ დეპოზიტებმა, თუმცა ოქტომბრიდან საერთაშორისო დონორებისგან მიღებული

დახმარებებით კვლავ შეივსო მთავრობის დეპოზიტები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკის ხაზინის მიერ გამოყოფილი გრანტი 250 ლმნ აშშ დოლარის ოდენობით. მთავრობის გადაწყვეტილებით 2008 წლის შემოდგომიდან დაიწყო სუვერენულ ფონდებში განთავსებული 130მლნ აშშ დოლარის რეპატრიაცია მთავრობის ანგარიშებზე, რის შედეგადაც ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე აკუმულირებულმა თანხამ მაქსიმალურ რაოდენობას მიაღწია და 980მლნ ლარი შეადგინა.

2008 წლის განმავლობაში ეროვნულ ბანკში მთავრობის დეპოზიტები 433 მლნ ლარით გაიზარდა და წლის ბოლოს 880 მლნ ლარი გახდა. ხოლო უკვე 2009 წლიდან მთავრობის დეპოზიტებს კლების ტენდენცია ჰქონდა და წლის პირველ ნახევარში დაახლოებით 500მლნ ლარით შემცირდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ლარის მიმართ ნდობა შემცირდა, რამაც ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინი წარმოშვა და ლარის დევალვაცია ომთან ან კრიზისთან რომ არ ასოცირებულიყო და საფრთხე არ შეექმნა ფინანსური სტაბილურობისთვის, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „დააფიქსირა" ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, რის შემდეგაც თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე სებ-ი ძირითადად უცხოურ ვალუტაზე გაჩენილი ჭარბი მოთხოვნის დროს ერეოდა. ხოლო უკვე ოქტომბრიდან მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამწვავებამ აშშ დოლარი სხვა ძირითადი ვალუტების მიმართ გაამყარა, რის შემდეგაც ლარის ნომინალური და რეალური კურსებიც არაბუნებრივად გამყარდა, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა გაიზარდა და გაჩნდა ლარის გაუფასურების მოლოდინი. ამიტომ ეროვნული ბანკი იძულებული გახდა დაეშვა ლარის 14%-იანი ერთჯერადი გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების დიდი რაოდენობის დროს, როდესაც მსესხებელი ეროვნულ ვალუტაში იღებს შემოსავალს, გაუფასურების შემდეგ უფრო მეტი წნეხი აწვება. თუმცა ამავე დროს, სებ-ს ლარის გაუფასურება რომ არ დაეშვა, მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდა კიდევ უფრო ხანგრძლივი იქნებოდა. მართალია ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი ევროსა და ამერიკული დოლარის მიმართ გაუფასურდა, თუმცა გამყარდა ბრიტანულ გირვანქა სტერლიგსა და თურქულ ლირასთან მიმართებაში.

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი დოლარისა და ევროს მიმართ გაუფასურდა და გამყარდა რუსული რუბლისა და თურქული ლირის მიმართ. ეტაპობრივად შემცირდა სებ-ის როლი შიდასავალუტო ბაზარზე, რათა სრულად დანერგილიყო თავისუფალი გაცვლითი კურსის რეჟიმი. ამ პერიოდში სებ-ის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გაცვლითი კურსის კონტროლი იყო.

ექსპერტების შეფასებით სწორედ მსოფლიო ფინანსური კრიზის და რუსეთთან ომი იყო ლარის კურსის ვარდნის მიზეზი, რადგან შეიზღუდა ფულადი გზავნილებისა და ინვესტიციების შემოდინება, სებ-მა კი სავალუტო რეზერვების 20% დახარჯა კურსის შენარჩუნების მიზნით. 2008 წლის 7 ნოემბერს 1 დოლარის ფასი 1.66 ლარადმე გაიზარდა, ამ დღეს კი „შავი პარასკევი" ეწოდა. 22 ოქტომბერს საერთაშორისო კონფერენციაზე მსოფლიო ბანკმა გადაწყვიტა საქართველოსთვის 4.55 მლრდ აშშ დოლარი გამოეყო, რაც მოგვიანებით კრიზისის დაძლევაში დაეხმარა ქვეყანას. სავალუტო ბაზარმა 2009 წლიდან ბლუმბერგის ელექტრონულ სისტემაში გადაინაცვლა, გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში 1.67 ლარი დაფიქსირდა და მას შემდეგ განაგრძობს ზრდას.

რადგან ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასვლას გეგმავდა, მემორანდუმის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად ისევ ერთნიშნა ინფლაციის მიღწევა და საშუალოვადიან პერიოდში მისი შემცირება იყო. სსფ დიდ როლს ანიჭებდა საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტად გამოყენებას, რადგან განაკვეთების ზრდას შეუძლია ხელი შეუწყოს ლარში დენომინირებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოთხოვნის ზრდას და გაცვლით კურსზე ზეწოლა შეამსუბუქოს. თუმცა, სებ-ისა და სსფ-ის შეხედულებები ისევ გაიყო, ეროვნული ბანკი არ დაეთანხმა ამ მიდგომას, რადგან საქართველოში უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა ნაკლებად ელასტიურია საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ.

ზემოთხსენებული პროგრამის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იყო საქართველოს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მოქნილობა, რაც სებ-ის ინტერვენციების შეზღუდვასა და სავალუტო ბაზარზე ორიენტირებას მოიცავდა.

2008 წელს Stand-by პროგრამის ფარგლებში მიღებული პირველი ტრანში ფაქტობრივად მთლიანად ფიქსირებული კურსის შენარჩუნებას მოხმარდა და მაინც 2008წლის ნოემბერში ვალუტის ნახტომისებრმა დევალვაციამ ბოლომდე ვერ გაანეიტრალა ლარის რეალური სიძვირე: 6 ნოემბერს ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.44ლარი დაფიქსირდა, 7 ნოემბერს - 1.49, ხოლო 10-ში უკვე 1.65.

2009 წელი საქართველოს ეკონომიკისთვის ბოლო ათწლეული უმძიმესი პერიოდი აღმოჩნდა. პირველ და მეორე კვარტალში GDP შესაბამისად 5.1%-ით და 10.1%-ით შემცირდა, თუმცა წლის მეორე ნახევარში შედარებით დასტაბილურდა სიტუაცია და მესამე და მეოთხე კვარტლებში 1.2% და 0.4% იყო ეს მაჩვენებელი, საბოლოო ჯამში კი წლის განმავლობაში სულ 3.9 პროცენტი.

2009 წელს ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით ფინანსთა სამინისტრომ კვლავ დაიწყო მოვლევადიანი სახაზინო ვალდებულებების გამოშვება. მოთხოვნის გაუარესების პარალელურად გლობალურ ბაზრებზე ფასების დაცემამ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შეამცირა და -1 259მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 56.8%-ით ნაკლები. ხოლო ექსპორტით იმპორტის გადაფარვის მაჩვენებელი 44.1% იყო, ე.ი. გაიზარდა 5.3%-ით.

2009 წელს 10 %-ით შემცირდა კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლები, რაც გრანტების, ეკონომიკური აქტივობისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირებამ გამოიწვია. პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანი ხარჯების 5,6% , 358მლნ ლარი შეადგინა, რა თქმა უნდა, ისევ ვერ შეძლო საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსება.

მართვადი-მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის შემოღებით გაცვლითი კურსის განსაზღვრისთვის საბაზრო ეკონომიკის პრინციპების როლი გაიზარდა. შედეგად კი 2009 წლის მეორე ნახევარში სებ-ის ინტრვენციების მოცულობამ ბაზარზე 46 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როდესაც პირველ ნახევარში 455 მლნ ლარი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ 2009წლის მეორე ნახევარი შედარებით დამაიმედებელი და კრიზისის პიკიც გადალახული იყო, ეკონომიკური აქტივობის კვლავ დაბალი დონე აღინიშნებოდა. ნავთობის ფასის კლებას საქართველოს სამომხმარებლო ფასების ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია, თუმცა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე დეფლაციური პროცესებ-ის გამო იმპორტირებულმა ინფლაციამ უარყოფითი გავლენა იქონია კალათის ფასების ზრდაზე.

სებ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო მონეტარული პოლიტიკის უკვე არსებული ინსტრუმენტების ამოქმედება და ახლების შემოღება, რადგან მოსალოდნელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდას ინფლაციის რისკები არ გაეზარდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2009 წლის დეკემბერში მიიღეს ახალი ორგანული კანონი, რომლის თანახმად სებ-ი საფინანსო სექტორის სრული ზედამხედველი გახდა. 250 მლნ დოლარის ბანკმა რეზერვებში გადარიცხა და იმის მაგივრად, რომ ვალუტის თანდათანობითი გაუფასურება დაეშვა, სებ-ი შეეცადა მხოლოდ თვითონ გაეკონტროლებინა ლარის დევალვაცია და თვეში 300 მლნ აშშ დოლარზე მეტს ხარჯავდა რეზერვებიდან. რის შედეგადაც, მხოლოდ 2.5%-ით გამყარდა.

2009 წელს ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირებაზე გადავიდა. 2009-2017 წლების პერიოდში 3.5% იყო ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი, 2017-ის მიზნობრივი მაჩვენებლი იყო 4%, ხოლო 2018-დან 3%-მდე შემცირდა.

2010 წელს ინფლაციას მზარდი ხასიათი ჰქონდა, რაც კიდევ უფრო გამწვავდა წლის მეორე ნახევარში. ამის მიზეზი კი იმპორტირებული საქონლის ფასის ზრდა იყო. მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასი 20%-ით გაიზარდა, რამაც 0.7პროცენტული პუნქტით გაზარდა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი.

2011 წლის აპრილში მთავრობამ ევროპის ბაზრებზე მოულოდნელად განახორციელა 500 მლნ აშშ დოლარის მოცულობის 10-წლიანი ობლიგაციების ემისია, საპროცენტო განაკვეთი - 6.9 პროცენტი იყო. შედეგად 2008 წლის ევროობლიგაციები 417

მლნ აშშ დოალრით გადაიფარა და საგარეო ვალი, რა თქმა უნდა, გაიზარდა 83 მლნ აშშ დოლარით. (ნ.ხადური, 2011 წელი).

დოლარიზაციის მაჩვენებელი აგენტების მოლოდინზეა დამოკიდებული, თუ რომელ ვალუტაში გადაწყვეტენ დანაზოგის შენახვას. 2010წლის პირველ კვარტალში დეპოზიტების კლება დაფიქსირდა 2პროცენტული პუნქტით, ხოლო დოლარიზაციის - 1.1 პროცენტული პუნქტით. ამ პერიოდში სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 522 მლნ ლარი და წმინდა ელექტრონული ფულადი გზავნილები - 182 მლნ ლარი. უცხოური ინვესტიციების შემოდინება მოსალოდნელზე ნაკლები იყო და კომერციული ბანკების წმინდა საშინაო აქტივები 45მლნ ლარითაა შემცირებული. მთლიანად პირველ კვარტალში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.6%-ით არის გაუფასურებული. ნომინალური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 3.8%-ით დოლართან მიმართებაში, და გამყარებული 2.5% - ევროსა და 1.3% - ბრიტანულ ფუნტთან მიმართებაში. მთლიანობაში 1.3%-ით არის გაუფასურებული ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი.

მეორე კვარტალში ეფექტური ნომინალური (1.7%-ით) და რეალური(3.9%-ით) . ამ უკანასკნელის გაუფასურების მიზეზი ძირითადად საქართველოს სამომხმარებლო ფასების სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით უფრო ნელი ტემპით ზრდა იყო. თუმცა ლარის გაუფასურება ყველაზე მეტად სავაჭრო დეფიციტმა გამოიწვია, რომელმაც 832მლნ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება მესამე კვარტალს, ლარის კურსი შედარებით დასტაბილურდა, დოლარის მიმართ ნომინალური კურსი ჯამში 2,1%-ით გამყარდა და გაუფასურდა ევროსთან(2.4%) და ფუნტ სტერლინგთან(2.8%) მიმართებაში. ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2%-ით გამყარდა. ეს ყველაფერი კი იმისი დამსახურებაა, რომ ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლაბემა და კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტის მიწოდებამ სავაჭრო დეფიციტის ზრდა და უცხოური ინვესტიციების შემცირება დააბალანსა. მართალია სესხებზე დოლარიზაციის დონე შემცირდა, თუმცა გაიზარდა დეპოზიტებზე, რაც რკინიგზის მიერ ევროობლიგაციების გაყიდვით იყო გამოწვეული.

უკვე მეოთხე კვარტლიდან დაიწყო ლარის კურსის გამყარება: ნომინალური გაცვლითი კურსი 1.9%-ით გამყარდა დოლარის მიმართ, 4.4%-ით ევროსა და 4%-ით ფუნტი სტერლინგის მიმართ, კუმულატიურად 2.2%-ით. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 5.6%-ით. ამისი მიზეზი კი მესამე კვარტლის მსგავსი იყო და დაემატა საერთაშორისო ბაზრებზე დოლარის გაუფასურება. ხოლო რეალური გაცვლითი კურსის გამყარება ძირითადად სამომხამრებლო ფასების ზრდით იყო განპირობებული.

2010 წლის პირველ კვარტალში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა სამი სხდომა ჩაატარა, თუმცა პირველ ორ სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის 5%-იანი განაკვეთი არ შეუცვლია, ხოლო მესამე სხდომაზე 6.25%-მდე გაზრდა დაიგეგმა. კომიტეტმა სამთვიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების ემისია 20მლნ ლარამდე გაზარდა, მეორე კვარტლიდან გააქტიურა მონეტარული პოლიტიკა და აპრილიდან ეროვნული ვალუტით მოზიდულ სახსრებზე სარეზერვო ნორმა 5დან 10%-მდე გაიზარდა. ასევე ამოქმედდა ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები, რასაც საპროცენტო განაკვეთის მერყეობა უნდა შეემცირებინა. ასევე ამოქმედდა რეფინანსირების მექანიზმი. დეკემბერში გაიზარდა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების რაოდენობა, რადგან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდამ მხოლოდ ეროვნულ ვალუტას აღებულ სესხებზე იქონია გავლენა და შედეგად გაიზარდა სხვაობა უცხოურ და ეროვნულ ვალუტებში აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთებზე, ამიტომ კომიტეტმა გადაწყვიტა 15%-მდე გაეზარდა სარეზერვო ნორმა უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე.

ლარის გამყარების ტენდენცია 2011 წელსაც გაგრძელდა, ამის მიზეზი ისევ იყო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, კომერციული ბანკების მიერ მოზიდული უცხოური სახსრები და გაცემული სესხების სწრაფი ზრდა უცხოურ ვალუტაში ეროვნულთან შედარებით, ამას დაემატა დოლარის გაუფასურება საერთაშრისო ბაზრებზე. 2011 წელს სებ-ი ატარებდა მკაცრ ფისკალურ პოლიტიკას, რათა დაერეგულირებინა ინფლაცია. ივლისიდან კომიტეტმა მონეტარული პოლიტიკის შერბილება დაიწყო, რათა ინფლაციის მაჩვენებელი მიზონბრივ დონეზე შეენარჩუნებინა საშუალოვადიან პერიოდში.

უკვე 2012 წლის პირველი კვარტლიდან ლარი 2.5%-ით გაუფასურდა ევროს მიმართ და 3.1%-ით ბრიტანული ფუნტის მიმართ. საშუალო თვიური რეაალური ეფექტური კურსი 1.7%-ით შემცირდა. რეალური კურსი პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის კონკურენტუნარიანობასთან და გაუფასურების დროს იზრდება ექსპორტი. ვალუტას ამყარებდა შემოსავლები ტურიზმიდან(48%-ით გაიზარდა) და გზავნილები უცხოეთიდან(288.9მლნ აშშ დოლარი გახდა), თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმპორტის ზრდით გამოწვეული ლარის გაუფასურების დასაბალანსებლად.

მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო კრიზისი შემდეგ საქართველოს იმპორტსაც და ექსპორტსაც მზარდი ხასიათი აქვს, იმპორტი მაინც ჭარბობს ექსპორტს და მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია(ექსპორტი-იმპორტი).

2012 წელს გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რისი მიზეზიც სსფ-ის მიხედვით ძირითადად იყო ლარის მაღალი გაცვლითი კურსი, რამაც გაზარდა იმპორტი და სავაჭრო ბალანსი -5465 ლმნ აშშ დოლარამდე დაიყვანა(მთლიანი შიდა პროდუქტის 24.9% შეადგინა, რაც 2007 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მონაცემია). ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდამ გაზარდა მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე. ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ შეზღუდული იყო, ამიტომ ასეთ პირობებში დეფიციტების დაფინანსება საგარეო ვალდებულებების ზრდით ხდება. 2013 წლის მარტში სახელმწიფო ვალმა GDP-ის 36.3% შეადგინა.

2012-ის პირველ კვარტალში სებ-ის წმინდა შესყიდვებმა ფულად ბაზარზე 30მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებლია წინა წლებთან შედარებით.

წლის დასაწყისში საბანკო სისტემაში ჭარბმა ლიკვიდობამ გაზარდა საპროცენტო განაკვეთების მერყეობა ბანკთაშორის ფულად ბაზარზე, ამიტომ სებ-მა მთავრობის ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია გადაწყვიტა და მიმდინარე წლის მაისი-ივლისის პერიოდში 128მლდ ლარის ჭარბი ლიკვიდობა ამოიღო და გაზარდა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა.

სექტემბერში წლიური ინფლაცია ადგილობრივ საქონელზე 1.4% დაფიქსირდა, იმპორტირებულზე - 1.3%. ნომინალური გაცვლითი კურსი წლიურად 0.5%-ით გამყარდა, ხოლო რეალური გაუფასურდა 2.7%-ით.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გადაწყვიტა და ივლისიდან შეწყვიტა მონეტარული პოლიტიკის შერბილება, რადგან მოსალოდნელი იყო ინფლაციის ზრდა. წლის მეორე ნახევარში გაიზარდა წმინდა ექსპორტი,კერძო მოხმარება და ინვესტიციები უძრავი ქონების ბაზარზე.

2013 წლის პირველი კვარტლიდან ლარი გაუფასურდა ევროსთან მიმართებაში 1.7%-ით და სტაბილური იყო აშშ დოლართან. და მთელი პერიოდის განმავლობაში განაგრძო გაუფასურება რეალურმა ეფექტურმა გაცვლითმა კურსმა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სებ-მა მარტიდან ფიუჩერსული კონტრაქტებით ვაჭრობა დაიწყო საერთაშორისო რეზერვების პორტფელის მართვაში. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის მეოთხე კვარტალში ექსპორტი წლიურად 4.5%-ით შემცირდა, 2013 წლის პირველ კვარტალში მაჩვენებელი გაიზარდა 5.2%-ით.

2013 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 425.1 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა, სიტუაციის გამოსწორება სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებამ განაპირობა: გაიზარდა ექსპორტი, თუმცა დეფიციტის დაფინანსების მთავარი წყარო ისევ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დარჩა.

ცხრილი 5. ეფექტური გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება 2012 წელს

| | ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ცვლილება % | რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ცვლილება % | წვლილი რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსში |
|---|---|---|---|
| ეფექტური გაცვლითი კურსი | 0.5 | -3.0 | -3.0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| თურქეთი | -2.2 | -9.0 | -2.2 |
| ევროზონა | 4.0 | 1.2 | 0.2 |
| უკრაინა | 0.1 | -0.4 | -0.1 |
| სომხეთი | 6.8 | 2.7 | 0.1 |
| აშშ | -0.1 | -2.5 | -0.2 |
| რუსეთი | -0.5 | -7.2 | -0.5 |
| აზერბაიჯანი | -0.3 | -0.7 | -0.1 |
| დანარჩენი | 2.6 | -1.8 | -0.3 |

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსი კვლავ განაგრძობდა გაუფასურებას და 2013-ის მეოთხე კვარტალში აშშ დოლართან მიმართებაში 1.6%-ით გაუფასურდა, ევროსთან - 4.4%-ით, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებაში გამყარდა 1.2%-ით. შედეგად, წლიური ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურაი 0.4%-ით გამყარდა, ხოლოე რეალური გაიფასურდა 1.9%-ით. მეოთხე კვარტალში ექსპორტის წლიური ზრდა 46.3% დაფიქსრიდა, ხოლო მთლიანად 2013 წლის განმავლობაში 22.4%-ით გაიზარდა(2.9მლრდ აშშ დოლარს მიაღწია). ხოლო იმპორტის წლიურმა ზრდამ 0.41% შეადგინა. ასევე გაიზარდა ფულადი გზავნილები და წლის განმავლობაში 1.48 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. წლის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი უმეტესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსდა.

2013 წლის მეორე ნახევრიდან ეკონომიკური აქტიურობის მატების ფონზე, რასაც ემატებოდა შიდა მოთხოვნისა და საკრედიტო აქტივობის ზრდა, ამიტომ 2014 წლის დასაწყისიდან მონეტარული პოლიტიკის კომტეტმა გადაწყვიტა განაკვეთი 4%-მდე გაეზარდა, რადგან ინფლაცია მიზნობრივ დონეს უახლოვდებოდა, საგარეო მოთხოვნაც იზრდებოდა და აღარ იყო საჭირო შერბილებული მონეტარული პოლიტიკის გატარება. პირველ კვარტალში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 3,6%-ით, ხოლო რეალური 2,8%-ით.

2010-2013 წლებში სებ-ის ინტერვენციები კურსის გაუფასურების შესაჩერებლად განხორციელდა, თუმცა ეროვნული ვალუტა მაინც გაიფასურდა. ეს კი ინტერვენციების

შედეგების მოკლევადიან ხასიათზე მიუთითებს, თუმცა თავისუფლად ითვისებს კატალიზატორის ფუნქციას. სწორედ მოკლევადიანი ეფექტის გამო ამ პერიოდის ინტერვენციებმა ვერ მოახდინეს გავლენა 2015 წლის გაცვლით კურსზე.

ლარის გაუფასურება მიგვანიშნებს, რომ 2013 წელს სებ-ის მიერ მიმოქცევიდან ამოღებული ნახევარ მილიარდზე მეტი დოლარი გაუაზრებელი ქმედება იყო, რამაც დოლარის დეფიციტი გააჩინა და პირდაპირი გავლენა იქონია ლარზე. 2008-2012 წლებში მიღებული კრედიტები და დახმარებები ეფექტურად რომ გამოეყენებინა ქვეყანას, 2013-2014 წლებში ლარის კურსთან დაკავშირებული პრობლემები არ შეიქმნებოდა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი 4 წლის პერიოდი შეგვილია სტაგნაციის ერად ვაღიაროთ, რადგან საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ფაქტობრივად მიითვისეს დონორებისგან მიღებული 4,5 მლრდ აშშ დოლარი და არანარი ქმედება არ განუხორციელებიათ ეკონომიკის რეფორმირებისა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შესამცირებლად.

2014-2016 წლებში მესამე ყველაზე სერიზული ფულადი და ვალუტის გაცვლის კრიზისი იყო საქართველოში. რაც გამოიწვია აშშ-ის ფედ-ის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებამ და შესაბამისად დოლარის გამყარებამ საერთაშორისო ბაზრზე, როდესაც 2014 წლის ბოლოს ფედ-მა „რაოდენობრივი შემსუბუქების პოლიტიკა" დაასრულა. ამ ვითარებას თან M2 ფულის ზრდა და 2014 წლის დეკემბერში 5.911 მლნ ლარს მიაღწია (ფულის მასის 1 მლრდ ან 20 პროცენტიანი ზრდა მხოლოდ 2014 წელს). ეს იყო ქართული სავალუტო კრიზისისა და ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ეროვნულ ვალუტაში მონეტარული აგრეგატების ზრდას მხარი არ დაუჭირა უცხოური ვალუტის შემოდინებამ. შედეგად, გაცვლითი კურსი გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ 1.7363 – დან (2013 წლის დეკემბერი) 2.4985 – მდე(28 იანვარი 2016).

2014 წლის მეორე ნახევარში რუსეთში დაწყებული კრიზისი, რომელიც რუბლის გაუფასურებაში გამოიხატა გავრცელდა მეზობელი ქვეყნების ეროვნულ ვალუტებზეც. განსაკუთრებული გავლენა იქონია საქართველოზეც, რუსეთში ექსპორტი შემცირდა, ხოლო იმპორტი უცვლელი დარჩა და კიდევ უფრო გაიზარდა სავაჭრო დისბალანსი.

კრიზისის დისბალანსის დასაძლევად სებ-მა შეარბილა მონეტარული პოლიტიკა და ბანკებიც ლიკვიდობით უზრუნველყო.

2016 წლის იანვრის მონაცემებით საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვების 21%-იანი დეფიციტი დაფიქსირდა და 2.447 მილიონ დოლარამდე შემცირდა, რეალურად კი 663 მლნ აშშ დოლარი გაურკვეველი მიზნებით დაიხარჯა. საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპი შენარჩუნდა 2014 წლის დასაწყისშიც და 2013 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 2,5-ჯერაა გაზრილი. აღსანიშნავია უკრაინის კრიზისიც, რადგან უკრაინის ბაზარზე ქართული ექპორტის რისკები გაიზარდა და პირველ კვარტალში წლიურად 33,3%-ით შემცირდა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში კვლას ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებსა და ფულად გზავნილებს უკავით პირველი ადგილი.

2014 წლის მეორე კვარტალში კორპორატიულ და საცალო სეგმენტებში შემცირდა უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები, რისი ერთ-ერთი მიზეზიც პირველ კავრტალში ლარში გაცემული სესხების ზრდა იყო. ასევე შემცირდა და 4,9% შეადგინა საპროცენტო განაკვეთებმა დეპოზიტებზე უცხოურ ვალუტაში, რაც ნაწილობრივ 2013 წელს მონეტარული პოლიტიკის შერბილების შედეგია.

კურსი მესამე კვარტალშიც განაგრძობდა გამყარებას. მეოთხე კვარტალში გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ და გამყარდა ევროსთან, რუბლთან, გრივნასა და ლირასთან მიმართებაში. ჯამში კავრტლის მიხედვით 3.2%-ით გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი და 2.7%-ით - რეალური. წლის განმავლობაში ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი GDP- ის 3.2%დაფიქსირდა, ხოლო მეოთხე კვარტლის მიხედვით 13.6%(606 მლნ აშშ დოლარი). დეფიციტის გაურესებ-ის მთავარი მიზეზი სავაჭრო დეფიცის ზრდა იყო:მეოთხე კვარტალში წინა წელთან შედარებით იმპორტი 1.1%-ით გაიზარდა, ხოლო ექსპორტი 20.5%-ით შემცირდა, რაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებია და ლარის ნომინალურის კურსის გამყარების გამო ქართული პროდუქტის კონკურენტუნაირიანობის შემცირებით იყო გამოწვეული. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი GDP-ის 10.6% იყო.

გრაფიკი 4: მთლიანი სახელმწიფო ვალი მსპ-თან (%)




წყარო: mof.ge

2014 წელს 2008წლის შემდეგ პირველად დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 1 758,4 მლნ აშშ დოლარი. 2014 წლის სამ კვარტალში 565 მლნ ლარით ნაკლები დაიხარჯა ბიუჯეტიდან, ვიდრე 2013 წელს, რასაც, წესით, ლარის გამყარება უნდა მოყოლოდა, თუმცა გაუფასურბის ეტაპი დაიწყო.

ლარის კურსის გაუფასურება ასევე დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლის გაუარესებასთან. 2014 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით ექსპორტის მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 230 მლნ აშს დოლარიდან 243 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო იმპორტი 6 416 მლრ-დან 7 008-მდე, და რა თქმა უნდა, შედეგად სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო მივიღეთ. მთლიანად 2014 წელს 3.0-ს უდრიდა ექპორტ-იმპორტის თანაფარდობის კოეფიციენტი და 2015 წლის პირველ კვარტალში კიდევ უფრო გაუარესდა და 3.5 შეადგინა. კურსის გაუფასურებაზე იმოქმედა როგორც იმპორტის ზრდამ, ისე ექსპორტის შემცირებამ. როგორც წესი, კურსის გაუფასურების პირობებში იზრდება მოთხოვნა ადგილობრივ პროდუქციაზე, ხოლო იმპორტის ზრდა ადგილობრივი მწარმოებლების დაბალ კონკურენტუნარიანობაზე მიანიშნებს. იმპორტის ზრდა ამცირებს ფულადი გზავნილების ეკონომიკაზე გავლენასაც, რადგან მიღებული სახსრები ისევ უცხოეთში გაედინება და საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებას არ უწყობს ხელს.

2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის დეკემბრამდე სავალუტო ბაზარზე სებ-ის ინტერვენციამ 327 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და ლარი 22.1%-ით გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ.

2015 წლის თებერვალში სებ-მა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა და 4.5%-მდე გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი, რათა შეემცირებინა ინფლაციური რისკები. 2014წლის ბოლოს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა და ქვეყანაში არსებული მაღალი დოლარიზაციის პირობებში ინფლაციური მოლოდინებიც მატულობს.

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 2015 წლის დასაწყისში წინა კვარტლის მსგავსად დარჩა 7.5% ეროვნულსა და 4.7% უცხოურზე.

2014 წლის ბოლო კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის 13,8%(326,7მლნ აშშ დოლარი) შეადგინდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა, ხოლო 2015 წლის პირველ კვარტალში - 14,9% და საქონლის ექსპორტი შემცირდა 28%-ით, რისი ძირითადი მიზეზიც რუსეთ-უკრაინას შორის დაძაბული ურთიერთობა და აზერბაიჯანში ავტომობილების ექპორტზე რეგულაციების გამკაცრება იყო. ასევე იყო საშიშროება აზრბაიჯანის სავალუტო კრიზისი საქართველოშ დოალრზე მოთხოვნას გაზრდიდა, სავაჭრო პარტნიორია.

2015 წლის დასაწყისიდანვე საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენა მოახდინა საგარეო სექტორში მიმდინარე უარყოფითმა მოვლენებმა. ზემოთხსენებულ სიტუაციებს დაემატა საბერძნეთის კრიზი და ფულადი გზავნილების შეცირება 34%-ით, მეორე-მესამე კვარტლებში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურების პარალელურად ამოქმედდა მაკორექტირებელი ეფექტი და იმპორტის კლება დაფიქსირდა.

მეოთხე კვარტლის ბოლოს კვარტალურად 3%-ით გამყარდა ნომინალური კურსი და საშუალოდ 2.4 გახდა. მესამე კვარტლის ბოლოსთან შედარებით რეალური კურსი 1.9%-ითაა გამყარებული, ხოლო წლიურად 6.2%-ით გაუფასურად. საბოლოო ჯამში კი, წლის ჭრილში ეფექტური ნომინალიროი გაცვლითი კურსი 1.1%-ით, ხოლო ლარი აშშ

დოლარის მიმართ 22.1%-ითაა გაუფასურებული, რისი მიზეზიც დოლარის გამყარება და რუსეთთან ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნებში მიმდინარე კრიზისებია.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17.3%-ით ნაკლები დაფიქსირდა 2015 წლის 3 კვარტლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები(1019 მლნ აშშ დოლარი). წლის განმავლობაში 11%-ით შემცირდა იმპორტი და გადააჭარბა ექპორტის კლებას, რის შედეგადაც სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა. თუმცა, გასულ წელთან შედარებით გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და 12% შეადგინა. ხოლო სახელმწიფო ვალს სტაბილური ხასიათი ჰქონდა და მშპ-ის 41,5%-ზე დაფიქსირდა.(საგარეო - 32,6%, საშინაო - 8,9%). აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან მცირდება საგარეო ვალის სიმძე.

2014 წლის შემოდგომაზე დაწყებული ლარის გაუფასურება 2015 წელს ყველაზე მთავარი მოვლენა იყო საქართველოს ეკონომიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული ბანკისა და მთავრობის შეუთანხმებელი მოქმედებები. მთავრობა მონეტარული ეროვნული ბანკისგან მონეტარული ბერკეტების გამოყენებას ითხოვდა, სებ-ი კი ხელისუფლებას აკისრებდა პასუხისმგებლობას არსებულ სიტუაციზე და უარს აცხადებდა სავალუტო ბაზარზე ჩარევაზე. საბოლოოდ კი სექტემბერში გაცვლითმა კურსმა პიკს მიაღწია და 2.44 ლარი შეადგინა დოლართან მიმრთებაში. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ნოემბრამდე ეროვნულმა ბანკმა 347 მლნ აშშ დოლარი გაყიდა, მისი ინტერვენციები უშედეგო აღმოჩნდა.

2016 წლის პირველ 7 თვეში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 12.6%-ით არის გაზრდილი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

პირველ კვარტალში უმსხვილესი პირდააპირი ინვესტორი აზებაიჯანი იყო, ხოლო მთლიანად უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 376 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წლის პირველი 8 თვის განმავლობაში სულ 198,4 მლნ აშშ დოლარი იყო სებ-ის მიერ განხორციელებული წმინდა ინვესტიციები. პირველი 7 თვის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4 304 მლნ შ დოლარი დაფიქსირდა.

მართალია, 2015 წელს წლიური ინფლაცია 4.9% იყო, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის მიხედვით სებ-მა 2016 წლისთვის მიზნობრივი მაჩვენებელი 5 % განსაზღვრა.

2016 წელს კი ინფლაცია კრებადი ტენდენციით ხასიათდებოდა და მნიშვნელოვნად ჩამორჩა მიზნობრივ მაჩვენებელს(2.1 % შეადგინა), რისი მიზეზიც იმპორტირებული ინფლაციის შემცირება იყო.

ერთი შეხედვით დადებითი სიტუაცია იყო საგარეო ვაჭრობის მხრივაც - გაიზარდა რეალური ექსპორტი 7.8%-ით . თუმცა წინა წელთან შედარებით 4.1%-ით არის ექსპორტი შემცირებული, იმპორტი კი 0.7%-ით. საბოლოო ჯამში 43 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა სავაჭრო ბალანსი.

2015 წლის მეორე კვარტლიდან დაწყებული იმპორტის კორექტირების შედეგად იმპორტის შემცირება მხოლოდ 2016 წლის მაისამდე გაგრძელდა.

2016 წლიდან სებ-მა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის პროცესი დაიწყო და 6.5%-მდე შამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი. შედეგად კი სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდა და გაიზარდა სესხები ლარში.

2016 წლის აპრილში 2015 წელთან შედარებით M2 ფულის მასა 2,2მლნ ლარით გაიზარდა, ხოლო ლარი მიმოქცევაში - 99 მილიონი ლარით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 61-დან 66,1 პროცენტამდე, ხოლო სესხების - 60.8პროცენტიდან 63.9 პროცენტამდე. მარტიდან ივნისამდე სავალუტო ბაზარზე სებ-მა დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარი შეიძინა და შეეცადა ლარის გამყარებისთვის შეეწყო ხელი და ნაწილობრის შეევსო ფულად-სავალუტო რესურსებ-ი. თუმცა, 200 მლნ ლარზე მეტი გაასხვია წლის ბოლოს. სებ-ის ინტერვენცია ერთჯერადი ბიძგით აიხსნა, რაც იყო მოახლოებული არჩევნები და თი ბი სი ბანკსა და რესპუბლიკა ბანკს შორის დადებული გარიგება. ასევე 65 მლნ ლარი გამოიყო გაცვლითი კურსის გაუფასურების გამო ყველაზე მეტად დაზარალებულებისთვის, ვისაც 2015 წლის პირველ იანვრამდე ჰქონდათ სესხები.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს დაბალი იყო საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის ზრდის ტემპი ლარის მონეტარული აგრეგატების ზრდაზე გაცილებით ნაკლები იყო, რაც დამატებითი უარყოფითი ფაქტორი იყო საერთაშორისო ბარების სხვა გამოწვევებთან

ერთად. ყველაფერმა ერთად კი, გამოიწვია ლარის კურსის გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებაში.

ვალის ზრდა 2015 და 2016 წლებში ძირითადად გამოწვეული იყო გაცვლითი კურსის ცვლილებით. 2014 წელს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციებმა 300 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2015 წელს - 287 მლნ, ხოლო 2016-ში - 280 მლნ.

2017 წლის განმავლობაში სებ-მა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ორჯერ გაზარდა იანვარსა და მაისში, რათა დაერეგულირებინა ინფლაციური მოლოდინები. ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი მაინც გაუფასურდა ოქტომბერსა და ნოემბერში, ამიტომ ეროვნულმა ბანკმა საჭიროდ ჩათვალა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და დეკემბერში 0.25%-ით გაზარდა რეფინანსირების განაკვეთი(საბოლოოდ 7.5%-მდე).

დეკემბერში წლიური ინფლაცია 6.7% იყო. წლის მეორე ნახევარში ნავთობის ფასები ზრდამ 2018 წლის ინფლაციაზეც იქონია გავლენა. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები გაიზარდა 27%-ით და დადებითად აისახა მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე.

ბანკთაშორის ბაზარზე ეფექტიანობის ზრდისა და განაკვეთების შემცირები მიზნით სებ-მა 10 აგვისტოს პოლიტიკის განაკვეთი +/-1.5 პროცენტული პუნქტი +/- 1-ით შეცვალა.

მიმდნარე ანგარიშის დეფიციტის კლების ტენდენცია 2017 წელს დაიწყო და წლის მონაცემებით 8.7% შეადგინა. მესამე კვარტალში კი რეკორდულაც ცოტა - 3% დაფიქსირდა.

2017 წლის პირველი ივლისიდან ნებისმიერი პროდუქტის ფასის გამოქვეყნება მხოლოდ ლარშია დასაშვები. საგარეო ვალების გასტუმრებისთვის საჭიროა უცხოური ვალუტა, მასზე გაზრდილი მოთხოვნა კი ეროვნული ვალუტის გაუფასურების ხელშემწყობია

2018 წელსაც გაგრძელდა 2017 წელს დაწყებული მ/ა დეფიციტის შემცირების ტენდენცია და მესამე კვარტალში 0.2% პროფიციტიც კი დაფიქსირდა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ისტორიულ ჭრილში. სულ 2018 წლის განმავლობაში დეფიციტი 7.7%-მდე შემცირდა. დეფიციტის მხირვ დადებითი სიტუაციის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი რეინვესტირებული მოგების დაბეგვრისგან გათავისუფლების რეფორმააა. 2018 წლის დეფიციტი ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით არის დაფინანსებული. მესამე კვარტალში მხოლოდ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმარისი აღმოჩნდა დეფიციტის დასაფინანსებლად, ვალის წილი კი უარყოფილი მაჩვენებელი იყო.

მეოთხე კვარტალში ნომინალური ეფექტურის გაცვლითი კურსი კვარტალურად გაუფასურდა 4.7%-ით და 3.2%-ით გამყარდა წლიურად.

ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა და 2019 წლის პირველი იანვრიდან აამოქმედა ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის დებულება, რომლის მიხედვითაც დაწესდა ლიმიტები სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტებზე. ასევე 50%-მდე შემცირდა სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და 200 000ლარამდე სესხის გაცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაშია შესაძლებელი.

ასევე აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა სხვაობა მოკლევადიან და გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის, რაც უმეტესად მონეტარული ინსტრუმენტების მიმართ ნდობის ზრდით არის გამოწვეული.

წლის დასაწყისიდან ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის - 3%-ის ირგვლივ იყო. მარტში წლიური ინფლაცია 3.7% იყო, რაც თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის ზრდამ გამოიწვია. პირველ კვარტალში სესხების ლარიზაციის მიჩვენებელმა 43.3% შეადგინა, რაც ნიშნავს მის ზრდას 0.4 პროცენტული პუნქტით. სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემაზეს შეზღუდვების დაწესებ-ის შედეგად ლარიზაციის გაზრდაა მოსალოდნელი.

პირველ კვარტალში ნომინალური გაცვლითი კურსი რუსულ რუბლთან მიმართებაში 0.4%-ით და თურქულ ლირასთან - 2.2%-ით გაუფასურდა, ხოლო აშშ

დოლარისა და ევროს მიმართ გამყარდა 0.3 და 0.7 პროცენტებით. რეალური გაცვლითი კურსი კი, წლიურად 1.4%-ით და კვარტალურად - 1.4%-ით გამყარდა.

მეოთხე კვარტალში ნომინალური გაცვლითი კურსი წლიურად 9%-ით, ხოლო კვარტალურად 0.8%-ით გაუფასურდა. ხოლო რეალური - 6.3%-ითა და 0.8%-ით. წინა კვარტალთან შედარებით ნომინალური კურსი გაუფასურდა დოლარის, ევროსა და რუსული რუბლის მიმართ და გამყარდა თურქულ ლირასთან მიმართებაში.

2019 წელს ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებაში გამოწვეული იყო არა დოლარის გლობალური გამყარებით, არამედ სავაჭრო პარტნიორების ვალუტების მიმართ ლარის გაუფასურებით.ხოლო ექსპორტის ზრდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას უწყობდა ხელს.

წლის ბოლოს ინფლაციის მაჩვენებელი 7% იყო. სებ-ის განცხადებით დოლარიზებული სესხებისა და იმპორტირებული საქონლის ფასების გავლით მოხდა კურსიდან ინფლაციაზსე აგადაცემა და ინფლაცია უმეტესად გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს გაუფასურდა კურსი დოლარის მიმართ, ამ პერიოდში ინფლაციის ცვლილება ნაკლები იყო. რაც ეფექტური გაცვლითი კურსის დამსახურებაა, რომელიც კურსის დინამიკას სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში ზომავს. თუ გაცვლითი კურსი უცვლელია სავაჭრო პარტნიორის ვალუტის მიმართ, უცვლელია ამ ქვეყნიდან იმპორტირებული საქონლის ფასებიც. შესაბამისად, გაცვლით კურსს ინფლაციაზე გვალენის მოხდენა დოლარიზებუილ სესხების მომსახურების ტიპით და იმპორტული საქონლის ფასებით შეუძლია. ლარის ეფექტურ გაცვლით კურსზე იმპორტირებული საქონლის ფასებია დამოკიდებული, ხოლო აშშ დოლართან გაცვლით კურსზე - მომსახურების ტვირთი. რაც ნიშნავს, რომ თუ ეროვნული ვალუტა ყველა ვალუტასთან მიმართებაში უფასურდება, მაშინ ინფლაცია ამ ორივე მიზეზის გამო იზრდება, ხოლო თუ მხოლოდ დოლართან მიმართებაში უფასურდება, მაშინ ინფლაცია ნაკლებად იზრდება.

# ლექცია 6: **ევროვალუტის ბაზარი და ოფშორული ბანკები**

# ლექცია 7: საერთაშორისო ფინანსების განვითარების თანამედროვე ტენდენციები

თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო ეკონომიკა კორონავირუსის (Covid-19) პანდემიამ გამოწვევების წინაშე დააყენა. განვითარებული ქვეყნებიც კი მუმზადებლები იყვნენ მსგავსი სახის პროცესებისათვის. თვეების განმავლობაში შემცირდა მომსახურების სფეროზე მოთხოვნა, გაჩრდა სამრეწველო საწარმოები, გაიზარდა უმუშევრობა, შემოსავლის გარეშე დარჩა მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, უმრავლესობა გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, სრული დატვირთვით

მუშაობდა სამედიცინო დაწესებულებები. დღევანდელი რეალობაა გლობალური ეკონომიკური რეცესია. 2020 წლისათვის მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა არანაკლებ 3%-ით, რომელიც 2008-2009 წლის გლობალურ კრიზისზე უარესი აღმოჩნდა. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ეს პერიოდი განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვისაც.

მსოფლიო ეკონომიკისათვის 2020 წელი საკმაოდ მძიმე წელი აღმოჩნდა. Covid-19-ის პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა შეაფერხა როგორც ეკნომიკური, ასევე ბიზნეს საქმიანობები. მას შემდეგ, რაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და კარანტინი, გაუარესდა ერთობლივი მოთხოვნა, დაირღვა წარმოების პროცესი და მიწოდების ჯაჭვი, რამაც გამოიწვია ღრმა რეცესია განვითარებულ, მზარდ და განვითარებად ქვეყნებში. დასაქმებულები გადავიდნენ ძირითადად დისტანციური სამუშაო რეჟიმით მუშაობაზე.

წლის მეორე ნახევრისათვის, როდესაც შეზღუდვები თანდათანობით მოიხსნა, ეკონომიკური აქტივობაც ოდნავ გაუმკობესდა. საბოლოოდ, სსფ-ს აპრილის პროგნოზისდა გათვალისწინებით, მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა 3.3%-ით 2020 წლისათვის. თუმცა 2021 წლისათვის სავარაუდოდ დასტაბილურდება ეკონომიკური აქტივობა და შესაბამისად, პროგნოზირებულია 6 პროცენტიანი ზრდა.

დიდ ბრიტანეთში და ევროზონაში, ინფიცირების ზრდამ გამოიწვია ტურიზმისა და სამრეწველო სექტორების გაუარესება, განსაკუთრებით მზარდ და განვითარებად ქვეყნებში, ასევე, დაეცა საცალო გაყიდვები. შემცირდა ინვესტიციების მოცულობა და ექსპორტი, რაც გამოწვეული იყო სავაჭრო პარტნიორების მხრიდან შემცირებული მოთხოვნით. ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ 2020 წელს მკვეთრად დავარდა ნავთობის ფასები. ამის შედეგი იყო ინვესტიციების მოცულობისა და ექსპორტის შემცირებაც. ღრმა რეცესიის გამო, მონეტარული პოლიტიკა შეარბილეს ცენტრალურმა ბანკებმა, რასაც უნდა დაესტიმულირებინა ეკონომიკა. საერთაშორისო სავალუტო ბანკის აპრილის შესაფებით, 2020 წელს აღნიშნული სახელმწიფოების რეალური ეკონომიკა შემცირდა 2.2%-ით.

2020 წლის I ნახევრისათვის, დაწესებული შეზღუდების გათვალისწინებით, აშშ-ში ეკონომიკური აქტივობა რეკორდულად შემცირდა, ასევე, შემცირდა საცალო

გაყიდვები და კერძო მოხმარება, გაიზარდა უმუშევრობის დონეც. ამასთანავე დაიხურა ფირმები, რასაც მოყვა სამრეწველო წარმოების გაუარესება. ჩაიკეტა ცალკეული შტატები, რამაც გამოიწვია ბიზნესისა და სამომხმარებლო განწყობების დაცემა. ამას დამატებული ნავთობზე ფასების დაცემა, რაც საინვესტიციო გარემოზე უარყოფითად აისახა. თუმცა 2020 წლის მეორე ნახევარში მეტად დასტაბილურდა ზრდის ტემპები, რაც დაკავშირებული იყო შეზღუდვების შემცირებასთან. იმპორტის შემცირდა, რის შედეგადაც საგარეო სექტორში დადებითი ცვლილებები აისახა და შემცირდა უმუშევრობის მაჩვენებელიც. საბოლოო ჯამში, საერთსშორისო სავალუტო ფონდის აპრილის შეფასებით, 2020 წელს ამერიკის შეერთებული შტატების რეალური ეკონომიკა შემცირდა 3.5%-ით, ხოლო წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 1.2%. წლის განმავლობაში შიდა მოთხოვნის სტიმულირებისათვის გაიზარდა ფისკალური დანახარჯები. 2020 წლის პირველ კვარტალში ფედერალური ფონდების განაკვეთი საგრძნობლად შემცირდა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ (1.5%-დან 1.75%-მდე, 0-დან 0.25%-მდე შუალედებში).

გრაფიკი 5. მსოფლიოში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა

(2010-2020 წწ.)



*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი*

განვითარებული ეკონომიკებისათვისაც 2020 წელი განსაკუთრებულად მძიმე გამოდგა, მათ შორის ევროზონის ქვეყნებისათვის. გერმანიაში, როგორც აშშ-ში შემცირდა საცალო გაყიდვები და წარმოება. აქაც გაუარესდა ბიზნესისა და სამომხმარებლო განწყობები, შემცირდა ინვესტიციების მოცულობა და ექსპორტი. სსფ-ს ანარიშის მიხედვით, 2020 წლისათვის რეალური ეკონომიკა გერმანიაში შემცირდა 4.9 პროცენტით. 2020 წელი იტალიისთვისაც მძიმე აღმოჩნდა, შედეგად რეალური ეკონომიკა შემცირდა 8.9 პროცენტით. პანდემიამ მნიშვნელოვნი ზარალი საფრანგეთსაც მიაყენა, რადგან მრავაჯერადმა ჩაკეტვებმა მძიმე შედეგები გამოიღო ეკონომიკისათვის. IMF-ს შეფასებით, 2020 წელს საფრანგეთში რეალური ეკონომიკა შემცირდა 8.2%-ით. ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება ესპანეთიც, ვინაიდან მკაცრმა შეზღუდვებმა რეალური ეკონომიკა 11 პროცენტით შეამცირა.

ინფლაციას რაც შეეხება, 2020 წელს წლიური ინფლაცია ევროზონის ქვეყნებისათვის 0.3 პროცენტს შეადგენს, ევროკავშირსათვის 0.68 პროცენტი, ძირითადი მოწინავე ეკონომიკებისათვის (G7) 0.80 პროცენტი, ხოლო ჯამურად მსოფლიოს მასშტაბით 3.2 პროცენტი შეადგინა. (იხ. გრაფიკი 6)

გრაფიკი 6. ინფლაცია მსოფლიოში, საშუალო სამომხმარებლო ფასების მიხედვით




*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი*

2020 წელი ბევრი ქვეყნისათვის აღმოჩნდა რთული წელიწადი, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებისათვისაც. გლობალური რეცესიიდან გამომდინარე, დაიხურა საწარმოები, ჩაიკეტა საზღვრები, რის გამოც შეცერდა საწარმოო პროცესები და ტურიზმის სექტორსაც დიდი ზიანი მიადგა. ყოველივე ამას დამატა ბიზნეს და სამომხმარებლო განწყობების შემცირება. საგრძნობლად დაიკლო ინვესტიციები მოცულობამ და ასევე ექსპორტის მოცულობამაც. ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი.

2020 წლის დასაწყისში თურქეთში ეკონომიკური აქტივობის ზრდა იყო მოსალოდნელი, მაგრამ კორონავირუსის პანდემიამ სრულიად შეცვალა არსებული სიტუაცია. შემცირდა როგორც საგარეო, ასევე შიდა მოთხოვნები. სამედიცინო საჭიროებებმა, შეზღუდვების ფონზე, ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვნად შეამცირა. გაუარესდა სხვადასხვა სექტორების მდგომარეოები, მათ შორის ტურიზმისა და საწარმოო სფეროში. გარდა ამისა, დაიკლო სამომხმარებლო განწყობებმა, და ხარჯვის მოცულობაც შემცირდა. 2009 წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როდესაც დაფიქსირდა ბიზნეს განწყობების ასეთი დაბალი ნიშნული. 2020 წლისათვის მარალი იყო ინფლაციის მაჩვენებელიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2020 წელს თურქეთის რეალური ეკონომიკა გაიზარდა 1.8 პროცენტით. ხოლო ინფლაცია კი 12.3 პროცენტი დაფიქსირდა.

გრაფიკი 7: რეალური ეკონომიკის ცვლილებისა და ინფლაციის დონის მაჩვენებლები საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში (2020 წ.)




*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი*

საბოლოოდ, 2020 წელს საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა საშუალოდ შემცირდა 4.1%-ით, მაშინ, როდესაც 2019 წელს საშუალო შეწონილი ზრდის მაჩვენებელი იყო 2.3%. საქართველოს რაც შეეხება, წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 6.2%-ით შემცირდა, 2019 წელს კი იგივე მაჩვენებლის 5%-იანი ზრდა იყო.

2020 წელს საქართველოს ეკონომიკა რეცესიაში ჩავარდა, შესაბამისად, ეკონომიკა 6.2 პროცენტით შემცირდა. წინასწარი მონაცემებით 2021 წლის პირველი კვარტალისათვის მშპ-ს რეალური ზრდა 4.5 პროცენტით არის შემცირებული. (იხ. გრაფიკი 7).

გრაფიკი 7: საქართველოს მშპ-ს რეალური ზრდა (%)




*წყარო: საქსტატი*

წლის დასაწყისისათვის სიძლიერის მიუხედავად, მოხდა ეკონომიკური აქტივობის კოლაფსი 2020 წლის მარტის შემდეგ, როდესაც ხელისუფლებამ დანერგა პანდემიასთან დაკავშირებული "ლოქდაუნის" ზომები. აღნიშნული შოკი ფართო მასშტაბის იყო და შეეხო თითქმის ყველა სექტორსა თუ სფეროს, მაგრამ ყველაზე დიდი გავლენა განიცადა ტრანსპორტის, ტურიზმისა და მშენებლობის სექტორებმა. 2020 წლის IV კვარტალში უმუშევრობის დონე 20.4% იყო, რომელიც მკვეთრად არის გაზრდილი 2019 წლის ბოლოსათვის არსებულ მონაცემთან შედარებით, რომელიც 12 პროცენტი იყო. დასაქმებულთა ერთ მესამედზე მეტი ვერ მუშაობდა შეზღუდვების პიკის პერიოდში. საბოლოოდ, უმუშევრობის დონემ 2020 წლისათვის 18.5% შეადგინა, რაც აღემატება წინა წლის მაჩვენებელს 0.9%-ული პუნქტით. (იხ. გრაფიკი 7). დადგენილია, რომ სიღარიბე 2020 წელს 5.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (სიღარიბის ეროვნული ხაზის გამოყენებით), მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერის პაკეტი ხელს უშლიდა სიღარიბის კიდევ უფრო ზრდის პროვოცირებას.

გრაფიკი 8: უმუშევრობის დონე საქართველოში (%)

*წყარო: საქსტატი*

წლიური ინფლაცია ზომიერად შემცირდა 2020 წლის მეორე ნახევარში, აპრილში 7 პროცენტიანი პიკის შემდეგ. ლარის ზომიერმა აღდგენამ და ნავთობის დაბალმა ფასებმა ხელი შეუწყო ინფლაციის შემცირებას 2020 წლის ბოლოსთვის 2.4 პროცენტამდე (ეს მოიცავს 2 პროცენტული პუნქტით დაღმავალ კორექტირებას მთავრობის კომუნალური სუბსიდირების გამო). 2021 წლის ივნისის მონაცემებით ინფლაცია გაზრდილია 9.9 პროცენტამდე. (იხ. გრაფიკი 8).

ეკონომიკურმა შოკმა ზეწოლა მოახდინა საგარეო ანგარიშებზეც. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12,4 პროცენტს მიაღწია 2020 წლის პირველ ცხრა თვეში, რაც გამოწვეული იყო მომსახურების ექსპორტით შემცირებით, რადგან საზღვრების დახურვამ შეაჩერა ტურისტების ჩამოსვლა. ეს მაჩვენებელი 2019 წელს დაფიქსირებული 5.5 პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც იყო საქართველოსათვის ისტორიულად ყველაზე დაბალი ნიშნული, მნიშვნელივანი გაუარესებაა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აბსოლუტურ გამოხატულებაში 1,005 მლნ აშშ დოლარით არის გაუარესებული და შეადგენს 1,965 მლნ აშშ დოლარს. რაც შეეხება საქონლით ვაჭრობას,

2020 წელს დეფიციტი გაიზარდა მშპ-ს 1.6%-ული პუნქტით, რაც აბსოლუტურ გამოსახულებაში 597 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, იგი მთლიაი შიდა პროდუქტის (მშპ) 19.8% იყო. შემოსავლები შემცირა საერთაშორისო მოგზაურებიდან და შეადგინა -83.4%, არსებითად შემცირდა მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტი, რის შედეგადაც გაუარსედა კიდევ უფრო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. 2020 წელს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე პირველადი შემოსავლის დეფიციტმა უარყოფითად იმოქმედა, რისი მიზეზიც საინვესტიციო შემოსავლის მუხლში გადინებაა. ყურადღება უნდა

გრაფიკი 9: წლიური ინფლაციის დონე, %

*წყარო: საქსტატი*

გავამახვილოთ გზარდილ გაცემულ დივიდენდებსა და ასევე, რეინვესტირებული შემოსავლების მოცულობაზე. ეს ყოველივე კი თავის მხრივ იწვევს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაზრდას რეინვესტირებული შემოსავლებისა და გაცემული დივიდენდების მოცულობის ზრდის მეშვეობით.

მიმდინარე ანგარიშის ყველაზე დეფიციტური კომპონენტად კვლავ რჩება საქონლით ვაჭრობა. აღსანიშნავია, რომ დეფიციტი საქონლით ვაჭრობაში 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, მშპ-ს 1.6%-ული პუნქტით გაიზარდა, შესაბამისად, შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 19.8%, რომელიც უფრო უკავშირდება იმპორტის კლებას ვიდრე ექსპორტისა. დეფიციტი ნაწილობრივ ანაზღაურდა წმინდა შემოსავლისა და უცხოეთიდან ფულადი გზავნილების გაზრდით, აგრეთვე იმპორტის გამკაცრებით გამოწვეული სავაჭრო დეფიციტის შემცირებით. დაფინანსების თვალსაზრისით, მთავრობის მნიშვნელოვანმა სესხებმა სრულად დაფარა დეფიციტი და რეზერვების დაგროვების შესაძლებლობა მისცა. ამასთან, 2020 წლის სექტემბრის ბოლოს საგარეო ვალის მშპ-სთან თანაფარდობა გაიზარდა მშპ-ს 120 პროცენტამდე, მშპ-ს წინა წლის 105 პროცენტთან შედარებით.

გრაფიკი 10: მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მშპ-სთან თანაფარდობა, %




*წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი*

მთავრობის ფისკალურმა რეაქციამ პანდემიაზე (მშპ–ს 7 პროცენტზე მეტი) გამოიწვია ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა 2020 წელს, წინა წელთან შედარებით მთავრობის ხარჯების 19 პროცენტიანი ზრდით. ამავე დროს, შემოსავლების დაგროვება

დაახლოებით 4 პროცენტით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. შედეგად, ბიუჯეტის დეფიციტი გაიზარდა მშპ-ს 9.8 პროცენტამდე, ხოლო სახელმწიფო ვალი კი მშპ-ს 60 პროცენტს გადასცდა, რაც აჭარბებს ფისკალური წესით დადგენილ ლიმიტებს, რომელიც იწვევს წესისგან თავის არიდების მუხლის დარღვევას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ განვითარების პარტნიორების მხრიდან მხარდაჭერა და შიდა სესხების გაცემის გაზრდა სრულად აკმაყოფილებს მთავრობის დაფინანსების საჭიროებებს.

ცხრილი 5. საქართველოს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 1990-2020 წწ.

| საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები | 1990 | 2000 | 2010 | 2018 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|
| **ეკონომიკა** | | | | | |
| მშპ (მიმდინარე აშშ დოლარი) (მილიარდები) | 7.75 | 3.06 | 12.24 | 17.60 | 15.89 |
| მშპ-ს ზრდა (წლიური%) | -14,8 | 1.8 | 6.2 | 4.9 | -6.2 |
| ინფლაცია, მშპ დეფლატორი (წლიური%) | 22.2 | 4.7 | 14.2 | 4.3 | 6.9 |
| სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზაობა, დამატებული ღირებულება (მშპ-ს%) | 30 | 21 | 8 | 7 | 7 |
| მრეწველობა (მშენებლობის ჩათვლით), დამატებული ღირებულება (მშპ-ს%) | 31 | 21 | 17 | 20 | 22 |
| საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (მშპ-ს%) | 40 | 23 | 33 | 51 | 37 |
| საქონლისა და მომსახურების იმპორტი (მშპ-ს%) | 45 | 40 | 50 | 61 | 56 |
| მთლიანი კაპიტალის ფორმირება (მშპ-ს%) | 31 | 27 | 21 | 28 | 26 |
| შემოსავალი, გრანტების გამოკლებით (მშპ-ს%) | .. | 10.4 | 22.7 | 23.0 | *20.8* |
| წმინდა სესხი (+) / წმინდა სესხი (-) (მშპ-ს%) | .. | -1.6 | -4.2 | -1.7 | *-3.0* |
| **სახელმწიფოები და ბაზრები** | | | | | |
| ბიზნესის დასაწყებად საჭირო დრო (დღეები) | .. | 25 | 3 | 2 | *1* |
| შიდა კრედიტი ფინანსური სექტორის მიერ (მშპ-ს%) | .. | .. | 33.8 | 66.3 | *70.9* |
| საგადასახადო შემოსავალი (მშპ-ს%) | .. | 7.7 | 21.0 | 21.7 | *19.6* |
| სამხედრო ხარჯები (მშპ-ს%) | .. | 0.6 | 3.9 | 2.0 | *2.0* |
| მაღალი ტექნოლოგიის ექსპორტი (წარმოებული ექსპორტის%) | .. | .. | 2 | 3 | *3* |
| სტატისტიკური შესაძლებლობების ქულა (საშუალო საშუალო) | .. | .. | 96 | 88 | 88 |
| **საგარეო ანგარიშები** | | | | | |
| საგარეო ვალის მარაგი, ჯამური (DOD, ამჟამინდელი აშშ დოლარი) (მილიონი) | 79 | 1,826 | 8,790 | 17,326 | *17,312* |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი ვალის მომსახურება (საქონლის, მომსახურების და პირველადი შემოსავლის ექსპორტის%) | .. | 12.7 | 17.5 | 23.9 | *21.6* |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წმინდა შემოდინება (BoP, მიმდინარე აშშ დოლარი) (მილიონი) | .. | 131 | 921 | 1,260 | *1,341* |
| მიღებული წმინდა ოფიციალური განვითარების დახმარება (ამჟამინდელი აშშ დოლარი) (მილიონი) | 0.2 | 171.9 | 588.9 | 589.9 | *496.7* |

*დახრილი ასოებით მოცემული ციფრები სხვა პერიოდებს ეხება (2019 წ.)

*წყარო: მსოფლიო განვითარების ინდიკატორების მონაცემთა ბაზა*

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქსტატის წინასწარი შეფასების მიხედვით, 2021 წლის მაისის თვეში, წინა წელს შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა 25.8 პროცენტით.

ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 2021 წლის პირველი 5 თვისათვის შეადგინა 11.5 პროცენტი.

2021 წლის მაისში, 2020 წლის მაისის თვესთან შედარებით უმრავლეს სექტორებში გამოვლინდა ზრდის ტენდენცია. განსაკუთრებით გაზრდილია შემდეგი დარგები: დამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო საქმიანობები და სადაზღვეო, ვაჭრობა, საქმიანობები უძრავ ქონებასთან მიმართებაში, რესტორნები და სასტუმროები, მშენებლობა, ტრანსპორტი და დასაწყობება.

მსოფლიო ბანკის მოსაზრების მიხედვით, 2021 წლისათვის დაგეგმილია საქართველოს ეკონომიკის აღდგენა და 4 პროცენტიანი ზრდა, იმ ძირითადი მოსაზრებების გათვალისწინებით, რომ პირველი, COVID-19 ინფექციის ახალი ახალი ტალღები აღარ გამოჩნდება, რაც დამატებით შეზრუდვებს მოითხოვს, და მეორე, რომ მიმდინარე პოლიტიკური ჩიხი მოგვარებულია. აღდგენას კვლავ ხელს შეუწყობს ფისკალური სტიმულები კაპიტალის ხარჯვის დაჩქარების, გადასახადების გადავადების, დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნების და ყველაზე მძიმედ დაზარალებული ბიზნესისა და შინამეურნეობების მიზნობრივი დახმარების სახით. მოსალოდნელია, რომ 2021 წელს ბიუჯეტის დეფიციტი კვლავ მშპ – ს 7 პროცენტზე მეტი დარჩება.

საგარეო დეფიციტი სავარაუდოდ შემცირდება 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით. ამასთან, საგარეო დეფიციტის მაჩვენებელი მაღალი იქნება მშპ – ს დაახლოებით 11 პროცენტზე, რადგან მომსახურების სექტორი ეტაპობრივად აღდგება და იმპორტის ნაკადები იზრდება ეკონომიკური აქტივობის შესაბამისად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღდგენა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მდგრადი მხარდაჭერა, სავარაუდოდ, დაფარავს საქართველოს საგარეო დაფინანსების საჭიროებებს და ხელს შეუწყობს რეზერვების შენარჩუნებას.

2021 წლის შემდეგ აღდგენის ტემპი დამოკიდებული იქნება ვაქცინების გავრცელებაზე, საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების შემოდინების გაზრდაზე. საბაზისო სცენარის მიხედვით, რომელშიც ინფექციების მესამე ტალღა არ მატერიალიზდება და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი 2022 წლისთვის ვაქცინირებულია, ეკონომიკური ზრდა შეიძლება აღდგეს 5.0 პროცენტამდე 2022 და 2023 წლებში. საბაზისო სცენარის თანახმად, ფისკალური დეფიციტი შემცირდება და მიაღწევს ფისკალური წესით დადგენილ დონეზე (მშპ-ს 3 პროცენტი) 2023 წლისთვის. პანდემიის გავლენა სიღარიბესა და უთანასწორობაზე დამოკიდებული იქნება კრიზისის სიმწვავეზე და ხანგრძლივობაზე, ისევე, როგორც პოლიტიკის რეაგირებაზე.

დაგვიანებული ვაქცინაცია, შემდგომი შეზღუდვები და ხანგრძლივი პოლიტიკური დაძაბულობა წარმოადგენს ამ პროგნოზის მთავარ უარყოფით რისკებს. ამ რისკებმა შეიძლება გამოიწვიოს შენელებული აღდგენა 2021 წელს და უფრო ზომიერი აღდგენა საშუალოვადიან პერსპეტივაში, ასევე, 2024 წლამდე წარმოება ვერ დაბრუნდეს COVID19 – მდე პერიოდის დონეს. დაგვიანებულმა აღდგენამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობას, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ხასიათდება დოლარიზაციის, ბალანსის დაუცველობისა და საგარეო ვალის მაღალი მაჩვენებლებით.

საქართველოს მთავრობის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 6.5%-ით გაიზრდება და უფრო მეტიც, მათი ვარაუდით შესაძლოა ორნიშა ზრდაც (10.2%) დაფიქსირდეს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ნაკლებ ზრდას ვარაუდობენ. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი EBRD-მა 2021 წლისათვის 1 პროცენტული პუნქტით, 4.5 პროცენტამდე გაიზარდა. საერთაშორისო სავალუტო

ფონდისა (IMF) და აზიის განვითარების ბანკის (ADB)მონაცემების მიხედვით კი 3.5%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.

ამდენად, თანამედროვე სამყაროში აქტიურად განხილვის საკითხს წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებთან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ურთიერთობები, რა წვლილი მიუძღვით მათ ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში და რამდენად შესაბამისია მათთვის მიწოდებული რჩევები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მათი გავლენა მსოფლიო ქვეყნების სტაბილურობის მიღწევასა და შენარჩუნებაში. მათ მიერ დაფინანსებული პროექტების წყალობით განვითარებად ქვეყნებში წარმატებით მიმდინარეობს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში მდგომარეობის გაუმჯობესება.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მსოფლიო ეკონომიკაზე დადებითი გავლენის მიუხედავად, მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით, უმრავლეს განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივი მთავრობების გადაჭრითი მიდგომაა დამკვიდრებული საერთაშირისო საფინანსო ორგანიზაციების გადაწყვეტილებების მიმართ. სწორედ ასეთი მოდგომა არის ზიანის მომტანი აღნიშნული ქვეყნებისათვის. ამ მისწრაფებას სხვადასხვა უცხოელი მკვლევარი მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებს. ამის საწინააღმდეგოდ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც განვითარებადი ქვეყნები არ დაეთანხმნენ მათ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, ან შესთავაზეს დახმარებების განაწილებისათვის უფრო ეფექტური გზები, რათა ეკონომიკური განვითარების ნაცვლად არ დაეზარალებინათ ქვეყნის ეკონომიკა.

პრაქტიკისა და მეცნიერული კვლევების მიხედვით, სერიოზულ პრობლემაა, როდესაც საზოგადოება აღნიშნული საკითხების მიმართ არ ფლობს სათანადო ინფორმაციას. სწორედ ეს პრობლემა იწვევს კერძო სექტორისა თუ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ნაკლებობას ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში. საზოგადოების მეტი ჩართულობისა და ინფორმირების ასამაღლებლად საჭირო ნაბიჯები ჯერ კიდევ არ არის გადადგმული.

რაციონალურია, საზოგადოებისათვის მიწოდებულ იქნას მეტი ინფორმაცია ამ კუთხით, განსაკუთრებით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მათი დაკრედიტების მოცულობებისა და სფეროების შესწავლის მიზნით. საზოგადოების ჩართულობა დადებითად იმოქმედებს, როგორც

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისათვის ქვეყნის პრიორიტეტების განსაზღვრის კუთხით, ასევე დაკრედიტების მოცულობების საჭირო სფეროებში განაწილების კუთხით.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული შედეგების გამოკვლევა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ შორის, საქართველოსათვის. სსი-ს შესწავლა ხდება განვითარებადი სახელმწიფოებისადმი სტრატეგიის შემუშავებით და მათი საქმიანობების გაცნობით. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ბუნებრივია, დაშვებული იქნას შეცდომები, თუმცა წარმატებული პროექტების მიღწევა ხდება შეცდომების საფუძველზე. ექსპერტები, რომლების კრიტიკულად არიან განწყობილნი, ხშირად მსჯელობენ იმ დაშვებული შეცდომის შედეგებზე, რაც მოჰყვა სსი-ს საქმიანობას სხვადასხვა რეგიონებში. თუმცა მათი საქმიანობის შეფასებისას, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული განვითარებადი სახელმწიფოების მზაობა და დამოკიდებულება ამ ქმედებების მიმართ. უფრო მეტიც, იმისათვის რომ სსი-ს ინიციატივები ეფექტური შედეგების მომტანი იყოს, გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- ქვეყანა არის თუ არა მზად მიიღოს და შესაბამისად გამოიყენოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოწვევები;
- გაცნობიერებული აქვს თუ არა ქვეყანას საკუთარი საჭიროებები და დახმარების მიღების სტრატეგიები.
- ქვეყანას აქვს თუ არა სსი-ს პოლიტიკისა და სტრატეგიის ეფექტიანად გამოყენების საშუალებები ჩამოყალიბებული წინასწარ;

ბოლო წლებში საქართველო ფოკუსირებული იყო ძირითადად ფინანსური რესურსების მოზიდვის საკითხზე. ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და მოსალოდნელ შედეგებს. ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების ნაკლებეფექტურობა გამოწვეული იყო ინსტიტუტებისათვის არაზუსტი სტატისტიკის მიწოდებით. წესისამებრ, პროექტის

განხორციელებამდე საჭირო სტატისტიკურ გამოკვლევებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები თავად ატარებენ, თუმცა ძირითადად მთავრობის მონაცემებით ხელმძღვანელობენ. არასრული სტატისტიკური ინფორმაციის გამო, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს მოლოდინებსა და სასურველ შედეგებს.

2020 წლისათვის საქართველოს ეკონომიკის რეცესიული ხასიათიდან გამომდინარე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულმა სხვადასხვა ტიპის დახმარებმა ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკის შედარებით დასტაბილურებას, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდა და საგრძნობლად გაიზარდა საგარეო ვალის მოცულობა. ეკონომიკური აქტივობის კოლაფსი 2020 წლის მარტის შემდეგ დაიწყო ხელისუფლების მიერ მიღებული პანდემიასთან დაკავშირებული "ლოქდაუნის" ზომებიდან გამომდინარე. აღნიშნული შოკი საკმაოდ ფართო მასშტაბის აღმოჩნდა და შეეხო თითქმის ყველა სექტორსა თუ სფეროს, ყველაზე დიდი გავლენა კი განიცადა ტრანსპორტის, მშენებლობისა და ტურიზმის სექტორებმა. მსოფლიო ბანკის მოსაზრების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკის აღდგენა 2021 წლისათვის უნდა მოხდეს, პირველი კვარტლის მონაცემებით უმჯობესდება სტატისტიკური მაჩვენებლები, თუმცა, არსებობს რისკი, რომ დაგვიანებულმა ვაქცინაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკის ზრდის შენელება, ასევე მაკროეკონომიკური თუ ფინანსტური არასტაბილურობა.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალური ფინანსური პრობლემების მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით არის მიიღწევადი. ისეთი საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტები, როგორებიცაა სსფ, მსოფლიო ბანკის ჯგუფი და აზიის განვითარების ბანკი, უდიდეს გავლენას ახდენენ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში, ქვეყნების ეკონომიკური კრიზისების დაძლევაში და ზოგადად მსოფლიოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლი იყო, არის და მომავალშიც იქნება მეტად წარმატებული, თუ საქართველოს მთავრობა შეძლებს პრინციპულობის გამოჩენას, გაითვალისწინებს სსი-ს

მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, თუმცა ბრმად არ მიყვება ყველანაირ რჩევებს, და სათანადოდ გაანალიზებს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასა და მის საჭიროებებს.

## ლექცია 8: საერთაშორისო ფინანსები და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა

ხშირ შემთხვევაში ახალი სიტყვა იმიტომ ხდება პოპულარული, რომ ის ასახავს მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს (პროცესებს). ახალი სიტყვა ახალი ვითარების გამოსახატად არის საჭირო. მაგალითისთვის როდესაც 1780-იან წლებში ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯერემი ბენჰემმა ტერმინი „საერთაშორისო" შემოიღო, ეს უკანასკნელი სწორედ იმის გამო დამკვიდრდა რომ ის ზუსტად აშუქებდა იმ დროის რეალობას. როგორც ჩვენთვის ცნობილია აღნიშნულ დრომდე არავინ საუბრობდა ისეთ თემაზე როგორიც არის „საერთაშორისო ურთიერთობები", რაც გამომდინარეობდა იქიდან რომ კაცობრიობა არ იყო ორგანიზებული ტერიტორიული სახელმწიფოების მიერ მართულ ეროვნულ საზოგადოებებად.

კაცობრიობას ორასი წელი დასჭირდა იმისათვის რომ საუბარი გახშირებულიყო „გლობალიზაციაზე". 1980-იან წლებში გახშირდა საუბარი მის შესახებ ეს კი იქიდან გამომდინარეობდა რომ XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა მკვლევართა გარკვეულ წრეებში წარმოშვა აზრი იმის შესახებ რომ ცნება „საერთაშორისო" უკვე აღარ შეესაბამებოდა რეალობას, რაც გამომდინარეობდა იქიდან რომ ერები და სახელწიფოები აღარ წარმოადგენდნენ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად აქტორებს. ტერმინი „გლობალიზაცია" პირველად ამერიკელმა მეცნიერმა თეოდორ ლევიტმა გამოიყენა 1983 წელს თავის სტატიაში, სადაც ტერმინი აღნიშნავდა ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების შერწყმის ფენომენს. ეს ტერმინი საკმაოდ სწრაფად გავრცელდა სტანდარტულ ლექსიკონში.

გლობალიზაციის ერთ-ერთი ცნობილი განმარტება მარტინ ელბროუს ეკუთვნის, ის თვლის რომ გლობალიზაცია მოიცავს ყველა ისეთ პროცესებს, რომელებიც მსოფლიო ერებს ერთ მსოფლიოდ, გლობალურ საზოგადოებად გადააქცევს.

გერმანელი მეცნიერი ემანუელ რიხტერი თვლის, რომ გლობალიზაცია ეს არის გლობალური ქსელი, რომელმაც ადრე იზოლირებული და გაფანტული საზოგადოებები ერთი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულ ერთობად „შეადუღა“.

საინტერესოა ამერიკელი პოლიტოლოგის რობერტ კოქსის მიერ განტარტებული გლობალიზაციის მცნება, ის თვლის რომ გლობალიზაცი გულისხმობს პროდუქტის ინტერნაციონალიზაციას, შრომის საერთაშორისო დანაწილებას, მიგრაციულ მოძრაობას სამხრეთიდან ჩრდილოეთით, ახალ დაპირისპირებულ გარემოს, რომელიც აჩქარებს ყველა ამ პროცესს და ბოლოს, სახელმწიფოს ინტერნაციონალიზაციას, რაც მათ გლობალური სამყაროს უბრალო აგენტებად აქცევს. [ზურაბ დავითაშვილი 2003, გვ 186 ]

გლობალიზაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც კაპიტალის, საქონლისა და მომსახურებათა ნაკადების,ტექნოლოგიების და ინფორმაციის მკვეთრი გაძლიერების პროცესი, რომელიც არ ექცევა ნავიონალური სამთავრობო რეგულირების საზღვრებში. გლობალიზაცია გააჩნია ხანგრძლივი მოქმედების ხასიათი, მის წამყვან ძალად შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციური ცვლილებები რომლებიც მიმდინარეობს ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში, საერთაშორისო კონკურენციის გამწვავება და ბაზრების ლიბერალიზაცია.

გამოყოფენ გლობალიზაციის სხვადასხვა ნიშნებს:

- **ინტერნაციონალიზაცია** - ამ დროს გლობალიზაციაში იგულისხმება სახელმწოფოთაშორისი კავშირების გააქტიურებას და საზღვრების როლის განუხრელ შემცირებას;
- **ლიბერალიზაცია** - რომელიც გამოიხატება მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებაში და ღია ინტეგრირებულ ეკონომიკაში;
- **უნიცერსალიზაცია** - რაც გულისხმობს სხვადასხვა (მატერიალური, სულიერი) ღირებულებების ფართოდ გავრცელებას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში;
- **ვესტერნიზაცია** - რაც გამოიხატება დასავლური ცივილიზაციის როლის გაბატონებაში;

- **დეტერიტორიზაცია** - ტერიტორიული საზღვრები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და მანძილი კარგავს თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გლობალიზაცია განიხილება როგორც ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ხარისხის ზრდა. გლობალიზაციის ცნობილი მკვლევარი იან შოლტი გლობალიზაციის განზოგადებულ განმარტებას გვაძლევს და გამოყოფს ხუთ ყველაზე საკვანძო განსაზღვრებას აღნიშნული პროცესისთვის. [Scholte J. A., 2000.

პირველი - გლობალიზაცია განიხილება როგორც ინტერნაციონალიზაცია, რაც გამოიხატება საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაში და ისეთი ტიპის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე თანდათანობით გადასვლაში, სადაც პრიორიტეტული იქნება გლობალური ინტერესები;

მეორე - გლობალიზაცია განხილულია როგორც ლიბერალიზაცია;

მესამე - გლობალიზაცია განიხილება როგორც პროცესი, რომელიც ახდენს საზოგადოებრივი ეკონომიკური ურთიერთობების უნიფიცირებას, მსოფლიო საინფორმაციო სისტემების გამოყენებით ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებითა და გავრცელებით;

მეოთხე - გლობალიზაცია განიხილება როგორც საზოგადოების მოდერნიზაციის, ლოკალური თვითგამორკვევისა და მოდერნიზმის გავრცელების პროცესი;

მეხუთე - გლობალიზაცია განიხილება, როგორც ერთიანი საზოგადოებრივი სივრცის შექმნის მექანიზმი, სადაც არ არსებობს ტერიტორიული შეზღუდვები და განსაზღვრულობა. ეს არის პროცესი რომელიც ახდენს გეოგრაფიის რეკონფიგურირებას, იმგვარად, რომ საზოგადოებრივი სივრცე აღარ აისახება ტერიტორიული სივრცის, მანძილის, საზღვრების ცნებაში.

მეცნიერები ვარაუდობენ რომ კომფლიქტები და დავები გამოწვეულია გლობალიზაციის ვიწრო ეკონომიკური ასპექტებით და მასზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ინსტიტუტები (სსფ, მბ და სხვა), რომლებიც შეიმუშავებე წესებს,

რომლებიც მოითხოვს ისეთ ღონისძიებებს როგორიცა კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაცია.

გერმანელი მკვლევრები ხ. შუმანი და ჰ.მარტინი, ასევე რუსი მეცნიეი მ. დელიაგინი გლობალიზაციის პროცესის განხილვისას ყურადღებას ტრანსეროვნული კორპორაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების მზარდ როლზე, მასობრივი ცნობიერების შექმნისთვის იმფორმაციული ტექნოლოგიები გამოყენებაზე, ეროვნული სახელმწიფოს როლის შესუსტებაზე ამახვილებენ და ა.შ. აღნიშნული მეცნიერები გლობალიზაციაში ხშირად ამერიკის პოლიტიკურ ეკონომიკურ ექსპანსიას მოიაზრებენ.

ეკონომიკურ ლექსიკონში გლობალიზაცია განმარტებულია როგორც ,,მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოების და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობრიობის პირობები, ერთმანეთს უახლოვდება ფასები, საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები. მეცნიერების აზრით, საერტაშორისო ეკონომიკის გლობალიზაცია არის საქონლის, მომსახურების, წარმოების მობილური ფაქტორების თავისუფალი გადადგილების პროცესია სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობით ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება-ურთიერთშეღწევადობის ზრდისა და შერეული ეკონომიკის, ღია ეკონომიკის, პოლიტიკური დემოკრატიისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების პრინციპების მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრების საფუძველზე ერთიანი, გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროგრესული, ისტორიულ-ლოგიკური პროცესი, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებითა და ზოგადსაკაცობრიო, გლობალური პრობლემების არსებობით აფიქსირებს პლანეტარული ცივილიზაციის ერთიანობას.

პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი გლობალიზაციას განმარტავს, როგორც რთულ და მრავალწახნაგოვან კატეგორიას, რომელიც „ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე: პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, კულტურაზე, იდეოლოგიაზე, რელიგიაზე. ეკონომიკური გლობალიზაცია არის ზოგადი

გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილი, საფუძველი და მთავარი განმსაზღვრელი მომენტი“ [შოთა ქისტაური, 2009.]

შვედი მეცნიერი ს.გარელი გამოყოფს გლობალიზაციის სამ ტალღას. მეცნიერის აზრით, გლობალიზაცია და კონკურენტუნარიანობა ქმნის ტალღებს, რომელთან თანმიმდევრობას გააჩნია თვისი ლოგიკა და მოქმედების წესი.

პირველი ტალღა 1990-იან წლებიდან დაიწყო (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ) რკინის ფარდის ნგრევამ ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება გამოიწვია და მსოფლიოს დიდი ნაწილი მოიცვა. დღესდღეისობით მხოლოდ რამოდენიმე ქვეყანა არის იზოლირებული. მსოფლიო მოსახლეობა ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა, ბოლო 16 წლის მანძილზე 1,5 მილიარდით გაიზარდა. პირველი ტალღის მიმდინარეობის დროს დასავლური კომპანიები ძირითადად ორიენტირებულები იყვნენ იაფ მუშახელზე, ნედლეულის და ლოჯისტიკის ხელმისაწვდომობაზე, შესაბამისად გლობლური წარმოენის უამრავ საქონელზე ფასები შემცირდა.

გლობალიზაციის მეორე ტალღა ამჟამად მიმდინარეობს. გლობალურ სტრატეგიებში პრიორიტეტი განვითარებად ბაზრებზე დაშვებაა და არა იაფი მიწოდების წყაროების ხელმისაწვდომობაა. გაეროს მონაცემებით აზიის მოსახლეობა 4393 მილიონიდან 2050 წლისთვის 5267 მილიონამდე გაიზრდება, აფრიკის მოსახლეობა კი 1186 მილიონიდან 2478 მილიონამდე გაიზრდება. სწორედ ამ პერიოდს ახლავს მნიშვნელოვანი ცვლილება რომელიც გულისხმობს ახალი საშუალო ფენის წარმოშობას.

XX საუკუნის აშშ-ს და ევროპის საშუალო კლასის მსგავსად ახალი საშუაო კლასის წარმომადგენლებიც უფრო ინტენსიურად გამოიყენებენ ფუფუნების საგნებს, როგორიცაა: მაქნაები, ელექტრონიკა, დასვენება, სახლები და ა.შ. აქიდნ გამომდინარე კერძო მოხმარების წილი მთლიან შიდა პროდუქტში იზრდება. შესაბამისად კომპანიებმა სწორად უნდა შეაფასონ და შეარჩიონ ის საქონელი და მომსახურეობა რომელზეც მოთხოვნა იქნება ახალგაჩენილი საშუალო კლასის მხრიდან. შეგვიძლია ვთქვათ რომ ახალი საშუალო ფენის წარმომადგენლები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას. ის ასევე განაპირობებს პოლიტიკურ სტაბილურობას, რადგანაც საშუალო ფენა არ არის მიდრეკილი რევოლუციების მოწყობისკენ.

მსოფლიო ეკონომიკის ბუმი დაიწყო საშუალო კლასის ზრდის პარალელურად, რამაც უნდა გამოიწვიოს აბსოლუტური სიღარიბის თანდათანობითი აღმოფხვრა. სულ რაღაც 50 წლის წინათ 1970 წელს მსოფლიო მოსახლების 15.4% ცხოვრობდა დღეში 1 დოლარად. სიღარიბე ახასიათებს ლათინურ ამერიკას, აფრიკას და ა.შ თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც რომ აზიაში სიღარიბის შემცირების ტენდენციას აქვს ადგილი. ახალ საშუალო ფენას (მის მასიურ ნაკადს) მსოფლიო ეკონომიკაზე თვალსაჩინო გავლენა ქვს. მაგალითისთვის თუ არ შეუძლიათ შეიძინონ ზუსტად ის პროდუქტი, რაც ხელმისაწვდომია საშუალო ფენისათვის, მაშინ კომპანიებს ესაჭიროებათ განავითარონ ახალი ბიზნეს მოდელი, რომლიც მიმართული იქნება ღარიბების გადარჩენისკენ. ასეთი პროდუქტები უკვე არსებობს, მაგალითად: მანქანა რომელიც 2500 დოლარი ღირს (წარმოებულია ინდოეთში), პერსონალური კომპიუტერი რომლის ღირეულებაც 100 აშშ დოლარია.

შეგვიძლია ვთქვათ რომ გლობალიზაციის მეორე ტალღის შედეგად სწრაფად მზარდი საშუალო კლასის გამოჩენა ხელს უწყობს ლოკალური ბაზრის გადარჩნას, კერძო მოხმარება მსოფლიო მასშტაბით საკმაოდ გაიზარდა და შესაბამისად ნედლეულსა და სურსათზე ფასებიც იზრდება.

გლობალიზაციი მესამე ტალღის პირობებში შესაძლებელია რომ გამოჩნდნენ ახალი კონკურენტები ლოკალური კომპანიების, სამთავრობო კეთილდღეობის ფონდების და ბრენდების სახით, რომელთა მიზანიც იქნება გადაიქცნენ გლობალურ კომპანიებად. ამ პერიოდისათვის მსოფლიო შევა კონკურენციისა და დაძაბულობის ეპოქაში, განვითარებადიერების მთავრობები უპრეცენდეტო ეკონომიკური ძალაუფლების ბერკეტებს მოიპოვებენ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია გლობალიზაციის პროცესი მოიცავს ადამიანისეული საქმიანობის ყველა სფეროს, როგორიცაა : სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალური კულტურული ურთიერთობები. რაც განაპირობებს იმას რომ აღნიშნულ სფეროებს შორის ურთიერთდამოკიდებულება იზრდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს ადამიანისეული საქმიანობის ყველა მიმართულებით უნიფიკაციას მსოფლიო მასშტაბით.

გლობალიზაციის პროცესის მრავალ სახეობათა შორის ყველაზე სწრაფი ტემპით ფინანსური გლობალიზაცია ვითარდება, რაც გამომდინარეობს წარმოების და ვაჭრობის ინტერნაციონალიზაციისგან. გლობალიზაციის შედეგად ფორმირებული გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი წარმოადგენს მსოფლიო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთობების, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელ სისტემას, რომელსაც საფუძვლად უდევს მსოფილო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სამართლებრივი ნორმები.

ეკონომიკის გლობალიზაცია აღიქმება შემდეგნაირად:

- ქვეყნებს შორის ურთიერთ დამოკიდებულებების გაძლიერება;
- რესურსების(ნედლეულის), საქონლისა და მომსახურეობის ერთიანი ბაზრის შექმნა;
- რეგიონალური უპირატესობების ინტეგრაცია ტერიტორიული დაგეგმარების საფუძველზე;
- ხელმისაწვდომობა საქონლის, მომსახურების და რესურსების ბაზრებზე.

ამ პროცესების წარმატებულად რეალიზების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი ინტეგრაციული გაერთიანებების არსებობა, მაგალითისთვის როგორიცაა ევროკავშირი(EU) და ჩრდილო ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონა (NAFTA).

მოყვანილი განმარტებები სხვადასხვა მხრიდან ხსნის გლობალიზაციის პროცესის შინაარს, მაგრამ ასეთი ახსნა არასაკმარისია მისი ზუსტი გასაზღვრისათვის. შეგვიძლია ვთქვათ რომ ისინი გვაძლევენ პროცესის შინაარს. თავისი სტრუქტურით გლობალიზაცია საკმაოდ რთული, წინააღმდეგობრივი და მრავალწახნაგიანი პროცესია. ასეთ დროს რთულია მისთვის მხოლოდ ერთი, ყველა შემთხვევისათვის მისადაგებული და მისაღები განმარტების მუნიჭება.

## ფინანსური გლობალიზაციის განვითარების წინაპირობები

უამრავი პრაქტიკოსი ეკონომისტი და მეცნიერი შეისწავლის და ყურადღებას აქცევს გლობალიზაციის პროცესის მიერ გამოწვეულ ცვლილებებს, ტენდენციებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, გამოწვევებს. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესზე მსჯელობისას, რასაკვირველია არსებობს სხვადასხვა აზრი,.მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტი რომ გლობალიზაციის პროცესი არ წარმოქმნილა უსაფუძვლოდ და მის განვითარებას წინ უძღოდა სხვადასხვა პირობები, რომელთა გარეშე მისი შედგენა წარმოუდგენელი იქნებოდა და ის ვერ იარსებებდა ისე როგორც განსაკუთრებული ფენომენი.

გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებიდან და მრავალ ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მდგომარეობიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი წინაპირობები:

1.**მეცნიერულ, საწარმოო-ტექნოლოგიური და ტექნიკური წინაპირობები.** აქ იგულისხმება შემდეგი:

- წარმოების გადასვლა მაღალ მეცნიერებადტევად ტექნოლოგიებში, წარმოების მასშტაბის საგრძნობი(მკვეთრი) ზრდა. რასაკვირველია ახალი ტექნოლოგიების სწრაფმა და ფართომასშტაბიანმა ზრდამ ხელი შეუწყო საქონლის გავრცელებას მთელს მსოფლიოში, ასევე მომსახურებისა და კაპიტალის შეუფერხებელ გადანაცვლებას საერთაშორისო საზღვრებზე;
- სამეცნიერო და სხვადასხვა სახის ურთიერთგაცვლის შედეგად ცოდნის სწრაფი გავრცელება;

- კავშირგაბმულობის და სატრანსპორტო საშუალებების ხარისხობრივად ახალი თაობის დანერგვა, გამოყენება და მათი უნიფიცირება, რაც თავისებურად უზრუნველჰყოფს რესურსების, საქონლისა და მომსახურების გავრცელებას მათთვის საუკეთესო პირობებში. დღესდღეისობით ინფორმაციის გადაცემა მყისიერად ხორციელდება. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხელმისაწვდომია ეკონომიკური შესაძლებლობების და გარიგებების პირობები. რაც შეეხება საქონელსა და მომსახურებას ჯერ კიდევ ესაჭიროება გარკვეული დრო(საათი, დღე, კვირა) მათ გადანაცვლებას ერთი ადგილიდან მეორეში, მაშინ როდესაც ინფორმაციის გადაადგილება ხდება მყისიერად. მაგალითისთვის როდესაც მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის ბაზარზე ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, ეს ინფორმაცია მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებისათვის დაუყოვნებლივ ცნობილი ხდება. ეს თვისება განსაკუთრებით ახასიათებთ საფონდო, სასაქონლო და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე მოვლენებს. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ რომ პარტნიორების შორის არსებული ტერიტორიული დასორება არ წარმოადგენს მათი თანამშრომლობისათვის შემაფერხებელ გარემოს;
- დანახარჯების მკვეთრი შემცირება, რაც გამოწვეული იყო იქიდან რომ დაიხვეწა სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემები, ინფორმაციის დამუშავებაზე, შენახვაზე და მის გამოყენებაზე დანახარჯების შემცირება მარტივს ხდის ნაციონალური ბაზრების გლობალურ ინტეგრაციას

2. **ორგანიზაციული წინაპირობები**, აქ იგულისხმება:

- ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა საქმიანობის ორგანიზაციული ფორმა სცდება ეროვნულს ის იძენს საერთაშორისო ხასიათს და მაქსიმალურად ხელს უწყობს ერთიანი ბაზრის ფორმირებას;
- მსოფლიო დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციების გასვლა. როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების გარდაქმნა გლობალური ეკონომიკის მთავარ მოქმედ გმირებად. დღესდღეისობით გლობალურ როლს თამაშობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, გაეორ და ა.შ.

3. **ეკონომიკური წინაპირობები,** აქ უნდა განვიხილოთ ისეთი მოვლენეიბი, როგორიცაა:

- საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რამაც გამოიწვია ისეთი პოლიტიკის შემცირება როგორიც არის პროტექციონიზმი, შესაბამისად მსოფლიოში ვაჭრობა უფრო თავისუფალი გახდა. (მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ საიმპორტო გადასახადის შემცირება, როდესაც 1947 წლისათვის საინპორტო გადასახადი შეადგენდა 50-60% ხოლო ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ის შემცირდა 9,6%-ამდე)
- სავალუტო გარიგებების დროის მკვეთრი შემცირება, კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია;
- უნიფიცირებული მოთხოვნების დანერგვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა: მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიანი კრიტერიუმები, ასევე საგადასახადო, ანტიმონოპოლიური და დასაქმების სფეროს პოლიტიკა და ა.შ
- უნიფიკაციისა და სტანდარტიზაციის ტენდენციების გაძლიერება ისეთ სფეროებსა და საქმიანობებში, როგორიცაა: ეკოლოგიის სფერო, ტექნოლოგია, საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა, სადაც სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ერთიანი საბუღალტრო თუ სტატისტიკური აღრიცხვის სტანდარტები.

4. **ინფორმაციული წინაპირობები,** აქ განხილულ უნდა იქნას:

- რადიკალური ცვლილებები საქმიანი ურთიერთობის სხვადასხვა საშუალებებისათვის, ეკონომიკური, სამეცნიერო ტექნიკური, საწარმოო, საფინანსო ინფორმაციის მიმოცვლა; ინფორმაციის მიღების, დამუშავების და გაცემის პრინციპულად ახალი სისტემის შექმნამ და განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა გლობალური ქსელების წარმოქმნას, რომელშიც გაერთიანებულია სასაქონლო და საფინანსო ბაზრები, პროფესიონალური მომსახურება და ნოუ-ჰაუ;
- იმგვრაი სისტემის ფორმირება რომელიც შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული(განთავსებული) საწარმოების მართვას ერთი მთავარი ცენტრიდან, რაც წარმოებას საშუალებას მისცემს გადაწყვიტოს კომერციული ამოცანები ოპტიმალურად და ეფექტურად. ინფორმაციის გაცვლა მოასწავებს რევოლუციას მენეჯმენტსა და მარკეტინგში, საინვესტიციო და საფინანსო

ნაკადების მართვაში. ვითარდება ახალი ფორმები პროდუქციის რეალიზაციისთვის (მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ვირტუალური ვაჭრობა). კომპიუტერიზაცია, ელექტრონული ანგარიშის სისტემები, ოპტიკუ-ბოჭკოვანი და სატელიტური კავშირების დამყარება ფაქტობრივად საშუალებას იძლევა მყისიერად მოხდეს ფინანსური ინფორმცაიის გადაცემა, გარიგებების დადება, ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვა, მიუხედავად იმია თუ რა მანძილია ქვეყნებს შორის.

5. **პოლიტიკური წინაპირობები:**

- პოლიტიკური უთანხმოებების გადალახვა, ცივი ომის დასრულება;
- მოქალაეების, ფულის, კაპიტალის, მომსახურებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილება;

6. **კულტურულ-სოციალური წინაპირობები:**

- ადმიანებს შორის ნაციონალური შეზღუდვების დაძლევამ, წეს-ჩვეულებების და ტრადიციების როლის შესუსტებამ, აამაღლა მობილობა ტერიტორიულ, ფსიქოლოგიურ და სულიერ ურტიერტობებში, რამაც განაპირობეა საერთაშორისო მიგრაცია;
- თავისუფალი სავაჭრო სისტემისადმი ერთიანი გლობალური აზროვნების ჩამოყალიბება;
- ინგლისური ენის საერთაშორისო ენად გადაქცევამ გაამარტივა კულტურათასორისი ურთიერთობები, ურთიერთგაგება და სწავლება.
- დისტანციური სწავლების განვითარების საფუძველზე განათლების სფეროს საზღვრების გადალახვა.

სქემა 2

## გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობები

| ეკონომიკური წინაპირობები | |
|---|---|
| 1940 | ✓ ბრეიტონ ვუდსის სავალუტო სისტემის დაარსება; |

| | |
|---|---|
| | ✓ GATT-ის (გენერალური შეთანხმება ტარიფების და ვაჭრობის შესახებ) დაარსება;<br>✓ ეკონომიკური თანამშრობლობისთვის კომუნისტურ ქვეყნებს შორის საბჭოთა კავშირის მიერ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს დაარსება; |
| 1950 | ✓ რომის ხელშეკრულებით ევროპული გაერთიანების დაარსება;<br>✓ თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის დაარსება;<br>✓ ძირითადი(მთავარი) ვალუტები ხდება კონვერტირებადი; |
| 1960 | ✓ ოპეკის-ის (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები (OPEC)) დაარსება;<br>✓ ლონდონში ევროდოლარის ბაზრის წარმოშვება;<br>✓ GATT-ის მეექვსე(კენედის) რაუდნი;<br>✓ საწვავის მოხმარების ზრდა, იმის ხარჯზე რომ ავტოინდუსტრია და მაგისტრალები სწრაფად იზრდება;<br>✓ აზიის ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ ექსპორტს იმის ნაცვლად რომ იმპორტჩამნაცვლებელი პროდუქტი აწარმოონ; |
| 1970 | ✓ ამერიკული დოლარი გადის ოქროს სტანდარტიდან;<br>✓ GATT-ის ტოკიოს რაუნდი;<br>✓ ეკონომიკური რეფორმა ჩინეთში; |
| 1980 | ✓ GATT-ს უერთდება მექსიკა და იწყებს შესაბამის საბაზრო რეფორმებს;<br>✓ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინფლაციის დაძლევა; |
| 1990 | ✓ ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება (NAFTA);<br>✓ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შექმნა |
| 2000 | ✓ WTO-ს უერთდება ჩინეთი;<br>✓ WTO-ს უერთდება რუსეთი; |

| პოლიტიკური წინაპირობები | |
|---|---|
| 1940 | ✓ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) დაფუძნება;<br>✓ მარშალის გეგმის განხორციელება; |

| | |
|---|---|
| | ✓ დეკოლონიზაცია;<br>✓ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაარსება;<br>✓ ჩინეთი ხდება სოციალური რესპუბლიკა; |
| 1950 | ✓ კორეის ომი;<br>✓ დეკოლონიზაცია (აფრიკა); |
| 1960 | ✓ ბერლინის კედლის აღმართვა და კუბის კრიზისი; |
| 1970 | ✓ ევრიკავშირი გაფართოვდა ცხრა წევრამდე; |
| 1980 | ✓ ევრიკავშირი გაფართოვდა თორმეტ წევრამდე;<br>✓ ბერლინის კედლის დანგრევა; |
| 1990 | ✓ საბჭოთა კავშირის დაშლა; |
| 2000 | ✓ ევროკავშირი გაფართოვდა ოცდაშვიდ წევრამდე;<br>✓ ევრიკავშირი გაფართოვდა ოცდარვა წევრამდე. |

| ტექნოლოგიური წინაპირობები | |
|---|---|
| 1940 | ✓ პლასტმასისა და ბოჭკოვანი პროდუქციის წარმოების გაფართოვება;<br>✓ ახლო აღმოსავლეთში ნავთობის საბადოების აღმოჩენა; |
| 1950 | ✓ ევროპასა და იაპონიაში ახლო აღმოსავლეთიდან შემოტანი ნავთობის მოხმარების ზრდა;<br>✓ ტოიოტას მიერ „just in time “ წარმოების კონცეფციის დანერგვა |
| 1960 | ✓ პირველი ადამიანი კოსმოსში და მთვარეზე;<br>✓ აგროკულტურული წარმოების გარდაქმნა განვითარებად ქვეყნებში;<br>✓ პირველი სარკინიგზო ხაზის გახსნა ჩქაროსნული მატარებლისათვის; |
| 1970 | ✓ ერთი მიკრო სქემით გამოუშვეს პირველი მიკროპროცესორი |
| 1980 | ✓ International Business Machines Corporation (IBM)-ს შემოაქვს პირველი პერსონალური კომპიუტერი;<br>✓ პირველი ვინდოუსი შემოაქვს მაიკროსოფტს |

| | |
|---|---|
| 1990 | ✓ ევრო გვირაბის მეშვეობით დიდი ბრიტანეთის დაკავშირება კონტინენტთან;<br>✓ მობილური ტელეფონების რაოდენობის ზრდა;<br>✓ WWW-ის (მსოფლიო მასშტაბის ქსელი) შექმნა;<br>✓ ინტერნეტის მომხარებელთა რაოდენობა გაიზარდა 300 მლნ-ამდე; |
| 2000 | ✓ 2005 წელს ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 800 მლნ-ამდე;<br>✓ საზღვაო გადაზიდვების 70%-ზე მეტი ხორციელდება კონტეინერებით. |

სქემა 3: ფინანსური გლობალიზაციის პროცესის განვითარების წინაპირობები საქართველოში

| | |
|---|---|
| 1992 | ✓ საერთაშორისო სავალუტო ფონდში გაწევრიანება;<br>✓ გაეროში გაწევრიანება;<br>✓ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში გაწევრიანება;<br>✓ მსოფლიო ბანკში გაწევრიანება;<br>✓ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა ევროგაერთიანებამ; |
| 1995 | ✓ საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით; |
| 1996 | ✓ ხელი მოწერა ევროკავშირთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეთანხმებას; |
| 1997 | ✓ ევრო-ატლანტიკურ თანამშრომლობაში მონაწილეობას იღებს, აქტიურად თანამშრომლობს ნატოსთან;<br>✓ საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია დაიწყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან, პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე; |
| 1999 | ✓ ხელი მოეწერა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დოკუმენტს; |

| | |
|---|---|
| 2000 | ✓ გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრი |
| 2012 | ✓ ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ;<br>✓ ევროკავშირთან დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ; |
| 2013 | ✓ გაფორმდა შეთანხმება ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ; |
| 2014 | ✓ ხელი მოეწრა ასოცირების შეთანხმებას, რომლის რატიფიცირებაც იმავე წელს მოხდა; |
| 2015 | ✓ სავიზო რეჟიმის ყველა მოთხოვნა შეასრულა და ვიზა ლიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დასრულდა; |
| 2016 | ✓ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის; |
| 2017 | ✓ ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას საქართველოსა და ჩინეთის სშორის;<br>✓ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია. |

## საერთაშორისო ფინანსების გამოწვევები

დღესდღეისობით მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი გვევლინება როგორც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ განსაკუთრებით აქტუალურ და ახალ ტენდენციად. აღნიშნული პროცესის განვითარებით გამოწვეულ ცვლილებებს შეისწავლის მრავალი მეცნიერი, განიხილავენ მის დადებით და უარყოფით მხარეებს, გამოწვევებს, ტენდენციებს.

გამოწვევები რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას, არსებითად არ განსხვავდება იმ გამოწვევბისაგან, რომელიც გააჩნდათ ნაკლებად განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებს. აქიდან გამომდინარე საქართველოს აქვს შესაძლებლობა იმისა რომ გაიზიაროს(გაითვალისწინოს) ამ ქვეყნების გამოცდილება, შესაბამისად

გამოიტანოს დასკვნები და ამის მიხედვით შექმნას თავისი განვითარების სტრატეგია, რომელიც დაყრდნობილი ინქება სწორედ ამ ქვეყნების გამოცდილებაზე, მათ წარმატებასა თუ შეცდომებზე(წარუმატებლობაზე). არა მარტო სხვა ქვეყნების გამოცდილება არამედ ბევრი მეცნიერული კვლევები გვიჩვენებს რომ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამოქალაქო თავისუფლება უმნოშვნელოვანეს როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

გამართული ინსტიტუტები ამცირებენ ბიზნეს-ციკლების მერყეობას, უზრუნველყოფენ განვითარების მდგრადობას, გარკვეულწილად ქმნიან ავტოკორექციის უნარის მქონე ეკონომიკურ სისტემებს და განაპირობებენ ეკონომიკური ზრდის უწყვეტობას საარჩევნო ციკლებს შორის. იდეებისა და აზრების თავისუფალი გაცვლა მნიშვნელოვანი ინოვაციის, კრიატიულობის, კულტურული წინსვლისა და განათლების უზრონველყოფისათვის, შესაბამისად ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ცოდნაზე დაფუძნებულ ზრდას, რომელიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი წინსვლისათვის. გლობალიზაციის პროცესის აქტუალურობა გამოიხატება იმაში, რომ ის გავლენას ახდენს როგორც მსოფლიო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ასევე ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალური სისტემის წინააღმდეგობები მდგომაროებს იმაში, რომ ის ხშირად ექვემდებარება ბიზნეს-ელიტის ინტერესებს და არა მსოფლიო საზოგადოებრივ ინტერესებს. ის მიმდინარეობს პოლიტიკაზე ეკონომიკის დამოკიდებულების არათანაბარი მდგომარეობის პირობებში.

დღესდღეისობით მსოფლიო ეკონომიკაში ნამდვილად მიმდინარეობს ცვლილებები შესამჩნევი ტენდენციებით. გამკაცრდა კონკურენტული ბრძოლის მეთოდები, მოიმატა როგორც სოციალურმა ასევე პოლიტიკურმა სანქციებმა, კონფლიქტებმა სამუშაო თუ საცხოვრებელი ადგილების დაკარვის გამო. გაჩნდა სრულიად ახალი კონკურენტული გარემო ყველა სახის რესურსების მოპოვებისთვის. იმატა ბრძოლამ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის და უკეთესი მომავლისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს დინამიურ განვითარებას, სამეცნიერო მიღწევებსა და ინოვაციების გამოყენებას.

მოსახლეობის უმეტესობას აღარ სურს შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ნაციონალური საზღვრებით, მათ სურთ პლანეტის საკუთარ სახლად გადაქცევა.

გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად, რათქმაუდნა შესამჩნები ცვლილებები მიმდინარეობს საქართველოშიც. საქართველო გახდა უფრო დემოკრატიული, ღია, მსოფლიო პროცესებში ინტეგრირებული. საქართველოს მოქალაქეებისათვის შესაძლებელი გახდა კავშირი დაამყარონ უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან როგორც პოლიტიკური, საქმიანი თუ სამართლებრივი და კულტურული ურთიერთობებისთვის, რაც გამოიწვია იმან რომ მისი მოქალაქეებისათვის გაიხსნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საზღვრები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ აღნიშნულ გზაზე მსოფლიო მოსახლეობა საკმაოდ ბევრ სირთულეს წააწყდა, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მათგანი, ესენი: ეკოლოგიური საფრთხეები, სიღარიბე, ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, დაავადებები (პანდემიები, რომლეებიც ბოლო წლებია განსაკუთრებულად მძვინვარებს (COVID-19)) უმუშევრობა და კიდევ მრავალი სხვა, ეს სირთულეები სამწუხაროდ არც ჩვენი ქვეყნისთვის არ არის უცხო. ასეთი პრობლემები გამოწვეულია რეგიონებისა და ქვეყნების, ოჯახებისა და დარგების უთანასწორო განვითარებით, მსოფლიოს რესურსების დიდი ნაწილი დაპყრობის ინტერესით, სამართლებრივი და კულტურული მდგომარეობების დიფერენცირებით და ბევრუ სხვა წინააღმდეგობებით. იმისათვის რომ გლობალურ ეკონომიკაში შევაღწიოთ საჭიროა მისი მიღწევების გამოყენება ქვეყნის სასიკეთეოდ და არასასურველი შედეგებისთვის თავის არიდება.

პირველ რიგში გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სოციალური განვითარების, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობის ზრდის აუცილებლობა. მასთან კავშირში არის ადამიანის ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: შრომის პირობებისა და ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესება, გაფართოებული კვლავწარმოება და წარმოების მატერიალურტექნიკური ბაზის სრულყოფა, სიმდიდრის დაგროვება, მართვის ხარისხის გაუმჯობესება, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ფორმირება, როგორც ბიზნესის სექტორში, ასევე სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორშიც.

გლობალური ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდა შესაძლოა პერიოდულად შეფერხდეს, რაც ეკონომიკური კრიზისებით არის გამოწვეული. მაგალითისთვის 2015 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი არასახარბიელოდ გამოიყურებოდა მსოფლიოში, რაც ძირითადად მსხვილი ქვეყნების უკუსთვლით იყო გამოწვეული. მაგალითისთვის, ცენტრალურ აზიასა და ევროპაში ეკონომიკური ზრდის ტემპი 2015 წელს 2,1%-ამდე შემცირდა. ამ პერიოდში ძირითად მიზეზებად ითვლება ნავთობის ფასის მკვეთრი ვარდნა, უკრაინის კრიზისი და ამ კრიზისის შესაბამისად რუსეთისათვის დაწესებული სანქციები. ასევე 2020 წლისათვის ეკონომიკური ზრდის ტემპი 3,5%-ით შემცირდა რაც ძირითადად გამოიწვეული იქნა პანდემიის პირობებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს რომ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით 2015 წელი არასახარბიელო გამოდგა საქართველოსთვისაც.

გლობალიზაციის პიორბებში საქართველოსთვის მთავარ გამოწვევად რჩება უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული სოციალური უთანასწორობის და სიღარიბის პრობლემა. იმისთვის რომ სამუშაო ადგილები შეიქმნას მნიშვნელოვანია მთავრობამ ბიზნესი წაახალისოს, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა დარგების განვითარებას.

საქართველოში სოციალური კვლევის ფარგლებში ჩატარდა გამოკითხვა ამერიკის ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ, რის შედეგადაც გაირკვა რომ რესპოდენტების დიდი ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამუშაო ადგილების სიმცირე, სიღარიბე და ინფლაცია. სამუშაო ადგილების მნიშვნელოვნება ამ გამოკვლევის თანახმად 66%-მა დაასახელა, სიღარიბე 39%-მა ინფლაცია კი 43%-მა. გამოკითხულთა 21%-თვის მნიშვნელოვანია პენსიები, 17%-თვის ხელფასები ასევე 17%-თვის მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, 27%-ით მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. სამწუხაროდ ეს არის პირველი შემთხვევა როდესაც ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ეროვნული საკითხების ჩამონათვალში პირველ სამეულში ვერ მოხვდა.

ეკონომიკური სტაბილურობისათვის და უმუშევრობის დონის შემცირებისათვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფონ განახორციელოს დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები, სამუშაო ადგილების შექმნისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება

მთავრობის მხრიდან ბიზნესის ხელშეწყობას და მისი განვითარების წახალისებას, რაშიც თავის მხრივ იგულისხმება დარგებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო სახსრების ეკონომიკაში ინვესტირება, რითაც მოხდება ბაზრებზე მოთხოვნის სტაბილურობა.

სახელმწიფოთა შორის საგარეო ეკონომიკური კავშირის გაფართოება აგრეთვე გლობალიზაციის გამოწვევაა. XXI საუკუნეში საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები წარმოადგენს მრავალდონიან ურტიერთობათა სისტემას, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს საერთაშორისო მოლაპარაკებები და შეთანხმებები. რეგიონებსა და ქვეყნებს შორის არსებული საერთასორისო ეკონომიკური კავშირი მიუთითებს მათი ეკონომიკების კონკურენტუნარიანობაზე და პირიქით. ამ მხრივ საქართველომ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, რომელიც 2014 წლიდან ამოქმედდა, რომელიც საქართველოს გზას გაუხსნის ევროკავშირის ბაზრისაკენ და დაეხმარება ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას, რაც გამოიწვევს ინვესტორთა დაინტერესებას.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირება და საგარეო ვაჭრობის მოცულობის გაზრდა იყო და ისევ რჩება საქართველოსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ამ გამოწვევაზე პასუხის გასაცემად საქართველოს მთავრობამ განახორციელა ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა და შესაბამისი სატარიფო პოლიტიკა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, მიუხედავად ამ გადადგმული ნაბიჯებისა, საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები მაინც მთელი რიგი პრობლემებით ხასიათდება. საქსტატის მონაცემებით 2020 წელს საქართველოს საგარეო სავაჭტო ბრუნვამ 11 373.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რომელი მაჩვენებელიც წინა წელს(2019წელს) 13 315.4 მლნ აშშ დოლარი იყო, ანუ წინა წელთან შედარებით 14.6%-ით ნაკლებია. რაც შეეხება ექსპორტს 12%-ით მეცირდა და 3 342.1 მლნ აშშ დოლარს წარმოადგენს. იმპორტი 15.6%-ით შემცირდა და 8 031.5 მლნ აშშ დოლარს წარმოადგენს. უარყოფითმა საგარეო სავაჭრო სალდომ კი შეადგინა 4 688.4 მლნ აშშ დოლარი. ამ დინამიკის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს კოვიდ-19 ით გამოწვეული პანდემია, რის შედეგადაც

მსოფლიოს ქვეყნებს შორის გარკვეული დროით ჩაიკეტა საზღვრები, ამ პროცესში არც საქართველო იყო გამონაკლისი, ასევე ერთ-ერთ ფაქტორად განხილული უნდა იყოს ლარის კურსის გაუფასურება.

საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად ასევე რჩება აგრალური ბიზნესის განვითარება. შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ამ სექტორშია დასაქმებული, მაგრამ დარგის კონკურენტუნარიაონობის ზრდას ხელს უშლის მომგებიანობის და პროდუქტიულობის დაბალი დონე, ასევე დამატებული ღირებულების დაბალი დონე, ეს ახასიათებს როგორც ადგილობრივ ასევე საერთასორისო ბაზარებზე. იმის გამო რომ სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალ დონეზე ვიმყოფებით, ეს პირდაპირ აისახება სოფლად არსებულ სიღარიბის მასშტაბსა და სიმწვავეში. აქიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა და მისი პრიორიტეტულობა სოცალური პრობლემების აღმოფხვრასთან ერთად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასაც, რაც თავის მხრივ აისახება სხვა მომიჯნავე დარგების(სექტორების) კონკურენტუნარიანობაზე.

ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება ასევე არის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რაც შეიძლება ჩაითვალოს უმთავრეს პირობად საქართველოსთვის პერსპექტიული დარგების: ტურიზმის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის. საქართველო გეოგრაფიულად ამ მხრივ ძალიან კარგ ადგილას მდებარეობს, ის არის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ბუნებრივ ლოგისტიკური ჰაბი.(მასზე გადიოდა აბრეშუმის გზა) მაგრამ სატრანსპორტპ სისტემის და ინფრასტრუქტურის დაბალი კონკურენტუნარიანობა მას ხელს უშლის თავისი პოტენციალი მაქსიმალურად და სრულყოფილად გამოიყენოს. საქართველოში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს ის რომ მას არ გააჩნია ქსელური ეფექტი. იქედან გამომდინარე რომ ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებს შორის დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისად განვითარებული (შეიძლება ითქვას რომ არის დეფიციტი ამ მხრივ), ეს იწვევს იმას რომ ვერ ხდება სიენერგიების ათვისება სატრანსპორტო გადაზიდვებში. იმისათვის რომ საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო კორიდორი გახდეს კონკურენტუნარიანი და შესძინოს ქვეყანას სფექტური სატრანსპორტო დერეფნის

იმიჯი, ამისათვის საჭიროა ლოგისტიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება.

ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაცია და სპეციალიზაციის გაღრმავება ასევე წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელოვან გამოწვევას. დივერსიფიცირებული ეკონომიკა იძლევა იმის საშუალებას რომ გამრავალფეროვნდეს საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტები. ერთ-ერთ მიზეზადმ რომელიც აფერხებს დივერსიფიკაციას რალურ წარმოებასა და მომსახურების სფეროში შეიძლება ჩაითვალოს დარგების განვითარებისა და ქვეყნის რეგიონების სტრატეგიების არასტულყოფილება. დივერსიფიცირებული ეკონომიკა ქვეყანას უფრო კონკურენტუნარიანს ხდის, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური ინტერესი ამ მხრივ უნდა იყოს მიმართული.

გლობალიზაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ინვესტიციების მოცულობის ზრდა, როგორც ძირითადი კაპიტალის, ასევე ადამიანური რესურსების განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში. ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს ეკონომიკური ზრდა ძირითადად განაპირობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდამ (რაც შემცირებულია), გაზრდილმა საგარეო ვალებმა(რაც ბოლო 2 წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა, პანდემიასთან ბრძოლის ფონზე) და მიგრანტების მიერ დიდი მოცულობით ფულადმა გზავნილებმა. ამ ფაქტორებს ემატებოდა ისიც რომ საბანკო დაკრედიტება მკვეთრად იზრდებოდა, აქიდან გამომდინარე კი ქვეყანაში შიდა მოთხოვნა გაიზარდა, რომლის დასაკმაყოფილებლადაც მეტწილად ინპორტი გაიზარდა. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ეკონომიკის არაადექვატურ ზრდას (ბოლო წლების  მანძილზე ეკონომიკის ზრდის ტემპი შემცირებულია), მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ეკონომიკური ზრდა ხდებოდა არ მოხდა სამუშაო ადგილების შექმნა, არ განვითარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმდები მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება, რამაც ნაწილობრივ შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტ უნარიანობის ამაღლება.

საქართველოსთვის სასარგებლოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისეთ დარგებში დაბანდება, რომლებიც ორიენტირებული იქნება საექსპორტო პროდუქციის

ფართომასშტბიან წარმოებაზე და შესაბამისად შესაძლებელი იქნება ქვეყნის საზღვრებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტულ დარგებში დაბანდება დაეხმარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდას და ეკონომიკურ ზრდას. იმისათვის რომ ეკონომიკა ეფექტიანი იყო საჭიროა კაპიტალი ეფექტურად დაბანდდეს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. ხოლო ამ მხრივ ეკონომია გულისხმობს საზოგადოების ეფექტიანობის დაქვეითებას, რაც გამოიწვევს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაძნელებას.

ბიზნესისთვის გლობალურ ეკონომიკაში რთულ პრობლემას წარმოადგენს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდისა და მისი შესაბამისად(ეფექტიანად) გამოყენების საკითხები. ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვა ყოველთვის აისახება წარმოებულ პროდუქციაზე, მის ხარისხობრივ პარამეტრებზე რომლებიც ზრდიან პროდუქტის კონკურენტუნარიანობას. ინოვაციური ტიპის ძირითად კაპიტალში, ინვესტიციის გარეშე, შეუძლებელია საზოგადოებრივი კვლავწარმოების საკითხის გადაწყვეტა. დღესდღეისობიტ ინოვაციური ტიპის განვითარებაზე უარის თქმა და შესაბამისად ამ მხრივ ჩამორჩენა, საფრთხის შემცველია ეროვნული ეკონომიკისათვის. საქართველო საკმაოდ ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს მეცნიერების ინტეგრირების, ინოვაციური განვითარების, წამოებისა და მომსახურების ხარისხის მხრივ, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების, თანამშრომელთა მოტივირებულობის დონით და მენეჯმენტის ხარისხით.

კონკურენტუნარიანობის ფორმირება ქვეყნის, დარგის, წარმოებისა თუ საქონლის ფაქტორებისათვის გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მოთხოვნის განსაზღვრა, მსოფლიო ბაზრის შესწავლა და საკუთარი კონკურენტული უპირატესობების ფორმირება წარმოადგენს მთავარ პირობას აღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ. უამრავი კვლევის სედეგი ცხადჰყოფს, იმას რომ საქართველოში ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი მორალური და მატერიალური მოტივაციის შექმნა, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, ყველა დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის გამოცდილების დაგროვება. ამ მიზნების მიუღწევლობა ხშირად გამოწვეულია მენეჯმენტის არასაკმარისი დონით,

არაოპტიმალური ინვესტიციებით ადამიანურ რესურსებში, წარმოების მეცნიერებასთან სუსტი კავშირით, არაოპტიმალური ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ტექნოლოგიების დანერგავში.

საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის განვითარება, სწორედ ის უნდა იყოს ფუნდამენტი ყველა იმ წარმატების რომელიც სხვა ეკონომიკური ღონისძიებებიგან იქნება მიღწეული. ინფრასტრუქტურა ეს არის ბაზისი, რომელიც გამოიწვევს საქართველოს უკეთეს რეგიონულ, შიდა და საერთაშორისო ინტეგრაციას, ქვეყანის ეკონომიკური მიმზიდველობის გაზრდას, საინვესტიციო და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას. თუ საქართველოს ინფრასტრუქტურა მიუახლოვდება და დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მაშინ ეს იქნება ისეთი დარგების კონკურენტუნარიაობის ზრდის საშუალება, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ვაჭრობა, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, მრეწველობა. საქართველომ ეფექტურად უნდა გამოიყენოს ის უპირატესობები, რომელიც მას ბუნებისგან აქვს ბოძებული, ესენია: საკმაოდ კარგი ბუნებრივკლიმატური პირობები, უნიკალური გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული პეტენციალი. თუ ჩვენი ქვეყანა შეძლებს იმას რომ სრულყოფილად აითვისოს ის პოტენციალი რომელიც მას გააჩნია ენერგეტიკული, ტრანზიტული, სასოფლო სამეურნეო და ტურისტულ დარგებში, მაშინ ეს განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და დოვლათის ზრდას.

გლობალიზაციის პროცესის დროს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის და ეკონომიკური აღმასვლისათვის საჭიროა ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორიცაა:

- ქვეყნის გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური, რესურსული და ბუნებრივ-კლიმატური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, რამდენადაც ისინი გვევლინებიან ეროვნული ეკონომიკის შემდგომი განვითარების საყრდენს;
- მარკეტინგული ანალიზის გათვალისწინება, ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოყენება და მსოფლიო ბაზარზე პოზიციების გაფართოება;

- ეკონომიკის დივერსიფიცირება, პრიორიტეტული დარგების განვითარება;
- ინოვაციური მდგენელის გაძლიერება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში;
- სახელმწიფოს, როგორც ბაზრის სუბიექტის მხრიდან ქვეყნის უსაფრთხოების გამაძლიერებელი პოლიტიკის აქტივიზება;
- მოთხოვნის შესწავლა მეცნიერებად ტევად პროდუქციაზე და მისი წარმოების გამართვა.

საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, გონივრული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული მაკროეკონომიკის სტაბილურობისაკენ, რაც სამომავლოდ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის მიმართ ნდობის გაზრდას. შედეგი აისახაება როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან ბიზნეს-გადაწყვეტილებებში, საბოლოო ჯამში კი ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაში.

## გლობალიზაცია და პანდემია

გლობალიზაციას საკმაოდ ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ ამავდროულად მას გააჩნია უარყოფითი მხარეებიც. მაგალითად შესაძლებელია, რომელიმე ქვეყანაში განვითარებული ნეგატიური პროცესი მთელს მსოფლიოში გავრცელდეს. დღეის მდგომარეობით კი სწორედ ჩინეთში წარმოშობილი ვირუსის მსოფლიო გავრცელებას აქვს ადგილი. საფრთხე იმდენად დიდია და მსხვერპლთა რაოდენობა იმდენად მაღალია, რომ ეს პროცესი პანდემიად(COVID-19) იქნა გამოცხადებული.

რათქამუნდა პანდემია გლობალური პრობლემაა, მაგრამ ის არ არის უშვალოდ გლობალიზაციის შედეგი. ის აჩქარებს ვირუსის გავრცელებას, მაგრამ პანდემიად გადაქცევა, ანუ მისი სწრაფი ზრდა უშუალოდ ვირუსის თავისებურებაა. პანდემიური პროცესები მსოფლიოში ვითარდებოდა მასინაც, როდესაც არა თუ გლობალიზაციის პროცესი არამედ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების დონეც კი საკმაოდ დაბალი, თითქმის უმნიშვნელო იყო. მაგალითისათვის შეგვიძლია ჩამოვთვალოთ რამდენიმე მათგანი, ესენია : “ქოლერა”, “შავი ჭირი”, “ესპანური გრიპი” და სხვა, რომლებმაც დიდი მსხვერპლი და ღრმა ეკონომიკური კრიზისები გამოიწვიეს. წინა პანდემიებმა აჩვენეს, რომ მათ თან ახლავთ მდგრადი პერიოდი – რამდენიმე ათეული

წლის მანძილზე კლებადი საინვესტიციო შესაძლებლობებით, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს კაპიტალის სიჭარბის გამო, გადარჩენილი შრომის ერთეულებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, ვითარდება და იხვეწება მედიცინა, შესაბამისად პანდემიათა უარყოფითი შედეგები მცირდება, ამას ადასტურებს “ფრინველის გრიპის”, “ღორის გრიპის” და „ტიპიური“პანდემიები.

კოვიდ-19 პანდემიის დროსაც  მსოფლიო მოსახლეობის დაავადების მასშტაბი საკმაოდ მაღალია მაგრამ მსხვერპლი სხვა პანდემიებთან შედარებით მცირეა, მაგრამ ეს პანდემია უფრო სწრაფად ვრცელდება ვიდრე სხვა პანდემიები, რომ არა მთავრობების სწრაფი რეაგირება და ქმედითი ზომების მიღება, მსხვერპლი ბევრად დიდი იქნებოდა. კოვიდ-19-ს შედარებით ნაკლები აგრესიულობა ახასიათებს, სხვა პანდემიებთან მიმართებაში თუმცა ახლა ის მუტირებს და ძნელია იმის პროგნოზირება თუ რა იქნება მომავალში. ასევე წარსულთან შედარებით დახვეწილია მედიკამენტური მკურნალობა, მედიცინის და ჯანდაცვის დონე საკმაოდ მაღალია, ის ვითარდებოდა დროთა განმავლობაში, ეს კი მეტ შესაძლებლობას იძლევა რომ დაავადებულები განიკურნონ ვიდრე ეს წარსულში იყო.

მიუხედავად იმისა რომ მსოფლიოს პანდემიების და მათთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს, მან მაინც ვერ მოახერხა შესაბამისად მომზადებული დახვედროდა კორონავირუსის მიერ გამოწვეულ პანემიას, აქ არ იგულისხმება სამედიცინო მხარე, არამედ მის წინააღმდეგ გლობალური ბრძლოსი თვალსაზრისი. 85 ტრილიონიანი მთლიანი შიდა პროდუქტის მქონე მსოფლიომ ბიოლოგიური კატასტროფის საფრთხის დასაძლევად საჭირო სახსრები ვერ გამონახა (ნ. ჭითანავა, 2020). ზემოაღნიშნული  კი გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკური გლობალიზაციის დონეს წინ უსწრებს ეკონომიკური გლობალიზაციის დონე. დღესდღეისობით შესაბამისი პოლიტიკური მზაობა რომ იყოს, ეკონომიკური გლობალიზაციის დონე იძლევა იმის საშუალებას, რომ ასეთი სახის ვირუსის გავრცელების დროს მსოფლიომ იმოქმედოს დაუყოვნებლივ(მყისიერად). ერთიანი ძალებით წარმოშვების კერაშივე გაანადგუროს იგი ან ძლიერ შეუზღუდოს მას გავრცელების არეალი, არ დაუშვას ეპოდემიის ჩამოყალიბება პანდემიად. ხოლო დღევანდელი სიტუაცია განსხვავებულია, ქვეყნების გარკვეული ნაწილი მოგვევლინა მაყურებლის როლში ან სულაც დამოუკიდებლად

მოქმედებდნენ. თუ ძალები არ გაერთიანდა პანდემიის აღმოფხვრა სხვა მხრივ შეუძლებელია. თუ რომელიმე ქვეყანაში დარჩება ინფექციის კერა, შესაძლებელია ამ პერიოდში ვირუსმა მუტაცია განიცადოს და უფრო სწრაფად გადამდები ან უფრო მეტად მომაკვდინებელი გახდეს, მაშინ არსებობს ვირუსის თავიდან გავრცელების საშიშროება სხვა ქვეყნებში.

თვითიზოლაციის პროცესმა ზოგიერთ ქვეყანაში ჩამოაყალიბა გარკვეული ალნტიგლობალისტური შეხედულებები, რაც სამწუხარო ფაქტია და არ არის სასურველი, პირიქით მოქმედებაა აუცილებელი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად საჭიროა, რომ შეიქმნას სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ყველა ქვეყნის ჩართულობით(მონაწილეობით), რომელიც სწრაფ რეაგირებას მოახდენს ეპიდემიებზე, მსოფლიო მასშტაბით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით, რაც ხელს შეუშლის პანდემიის გავრცელებას სხვა ქვეყნებში და მოხდება მისი დროული აღმოფხვრა. ამის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა შეიქმნას შესაბამისი ფონდი, მსოფლო მზად უნდა იყოს ახალი ინფექციებისგან თავდასაცავად, განსაკუთრებით იმ პერიოდში როდესაც მეცნიერები სამომავლოდ სხვა ვირუსების გავრცელებას ელოდებიან.

არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის შემდეგ შემცირდება გლობალიზაციის დონე, ქვეყნები გადავლენ ავტარქიაზე, თვითკმარობის პოლიტიკაზე, აირჩევენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, რაც ნაწილობრივ შეუძლებელია რადგან ეს გამოიწვევს სერიოზულ პრობლემებს, გადაუჭრელს დატოვებს ბევრ გლობალურ პრობლემას, რომელებიც ბევრ ქვეყანას აწუხებს, ესენია: სამუშაო ადგილების სიმცირე, შიმშილი, ეკოლოგიური პრობლემები, სიღარიბე, ბუნებრივი რესურსების სიმცირე, სხვადასხვა რესურსების ათვისების პრობლემა და ა.შ. ასეთი პოლიტიკა ყველა ქვეყნის ეკონომიკას შეამცირებს, შემცირდება შემოსავლები რაც ასევე გამოიწვევს სამეცნიერო კვლევებზე ხარჯების შემცირებას, რაც ასახვას ჰპოვებს ინოვაციების შემცირებაზე და ტექნოლოგიების განვითარების ტემპზე, საბოლოოდ კი ეს გზა მიდის მთელს მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების შეფერხებისაკენ. ხოლო, რაც შეეხება იმპორტჩამნაცლებელი დარგების განვითარების ხელშეწყობასა და ექსპორტის ზრდას, ეს დღესაც დღისწესრიგში დგას.

გლობალიზაციის პროცესი ეს არის ობიექტური რეალობა და ის აუცილებლად გაგრძლებდენა, მაგრამ მასში აუცილებელია კორექტირებების შეტანა, რასაც ცხადყოფს დღევანდელი მდგომარეობა. საჭიროა გაძლიერდეს ჯანდაცვის დარგი, შესაბამისი ორგანიზაციების ფორმების შემუშავებითა და დანერგვით. ასევე საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სავალუტო კურსის პრობლემებს, იმის გამო რომ ცალკეული ქვეყნებისათვის თითქმის შეუძლებელია სტაბილური სავალუტო კურსის შენარჩუნება, მასზე მოქმედი საერთაშორისო, სტიქიური და სუბიექტური ფაქტორების გამო, ამისთვის საჭიროა განხორციელდეს სავალუტო კურსის საერთაშორისო რეგულირება. სწორედ სავალუტო კურსი არის საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ფასის გამომხატველი, მაგრამ ის არ დგინდება მხოლოდ სასაქონლო ბაზარზე, არამედ სავალუტო ბაზარზეც, ამიტომ მასზე გავლენას ახდენს საფინანსო ბუშტები, სპეკულაციური მოქმედებები, მთავრობათა არაეკონომიკური ჩარევები, დემპონგი და სხვა რომელთა მოქმედება არ არის კანონის ფარგლებში. თითოეული ასეთი უარყოფითი პროცესი შესაძლებელია დამღუპველი აღმოჩნდეს ცალკეული ქვეყნებისათვის.

## საერთაშორისო ეკონომიკის პანდემიური შოკის თავისებურები

პანდემიის ეკონომიკური პრობლემები წარმოიშვება მაშინ როდესაც ადგილი აქვს მსოფლიოში ვირუსის(ინფექციის) მასიურ გავრცელებას, რა დროსაც მთავრობები ატარებენ გარკვეულ აკრძალვით ღონისძიებებს ადამიანთა უსაფრთხოების მიზნით. სამეურნეო საქმიანობათა შეზღუდვები იწვევს საწარმოთა ფუნქციონირების ნაწილობრივ ან სრულად შეზღუდვას, რომელსაც სამომავლოდ მოჰყვება ეკონომიკური ვარდნა, რა დროსაც უარესდება საზოგადოების დიდი ნაწილის კეთილდღეობა. პანდემია თავისი უარყოფითი გავლენით შეიძლება შევადაროთ გლობალურ ბუნებრივ კატასტროფებს. რაც შეეხება პანდემიის ეკონომიკაზე მოქმედებას, ის უშუალოდ ეკონომიკას არ ეხება, მისი ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენა შეჩერდება მაშინვე, როდესაც ის გავლენას ვეღარ მოახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე. ეკონომიკაზე პანდემიის გავლენას ეკონომიკის პანდემიური შოკი შეიძლება ვუწოდოთ.(') პანდემიური ეკონომიკური შოკის მთლიანი მოხსნა დამოკიდებულია მედიცინაზე ან

ვირუსის მოქმედების ხასიათზე. შესაძლებელია, გვეთქვა რომ  ეკონომიკა მედიცინის მძევალი იყო, მაგრამ აქ მედიკოსების ბრალეულობა არ გამოხატება, რადგან ახალი ვირუსის შესწავლას და ვაქცინის მიგნებას დრო სჭირდებოდა (ბოლომდე დღემდე არ არის შესწავლილი).

პანდემიური შოკის თავისებურობა იყო ის, რომ უარყოფითი ეკონომიკური შედეგები გამოწვეული იყო მთავრობების მიერ მიღებული შეზდვებით, რომლებიც ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს შეეხო. როგორც ვიცით ეკონომიკური შოკის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მის გამომწვევ მიზეზებზე, რათა მოხდეს მათი დადგენა და აღმოფხვრა. ხოლო პანდემიური შოკის დროს მიზეზი სახეზეა და ის მთავრობის მიერ არის მართული. სწორედ მთავრობების გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გაიზრდება თუ შემცირდება ეკონომიკური შოკი, რასაც ისინი აკონტროლებენ შეზღუდვების გამკაცრებით და გამარტივებით, ან კიდევ შესაძლებელია მთავრობან განახორციელოს ანტიკრიზისული გზა. ეს შოკი არ არის გამოწვეული ეკონომიკაში რომელიმე კონკრეტული სფეროში წარმოქმნილი კრიზისის გამო, არამედ მას აქვს სისტემური ხასიათი სწორედ აკრძალვების გამო და ის მეტნაკლებად ეხება ეკონომიკის ყველა სფეროს. პანდემიის დროს გამოწვეული ეკონომიკურ დანაკარგები საკმაოდ დიდია, რადგანაც ეკონომიკის მასშტაბები დღესდღეისობით უზარმაზარია და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ძალზე მჭიდრო. პანდემიის დასაწყისში სახეზე იყო გლობალური ეკონომიკის რეცესია, რაც გამოიხატებოდა : უმუშევრობის ზრდაში; მცირე და საშუალო ბიზნესების გაკოტრებაში; ნავთობზე ფასების მკვეთრ ვარდნაში; ტურიზმისა და ავიაციის სექტორში; რეკორდულ ვარდნეში საფონდო ბაზრებზე და ა.შ. ხოლო როცა  მთავრობებმა პანდემიის მართვა დაიწყეს, დაასტაბილურეს თითქმის ყველა სექტორი, თუმცა ყველა ქვეყანაში არ არის სტავბილური ვითარება ეკონომიკის მხრივ, მაგალითად საქართველოში უმუშევრობის დონე ისტორიულ პიკს უახლოვდება.

პანდემიური შოკის მართვა განსხვავებულია ეკონომიკურისაგან, მისი მოხსნა არ არის დამოკიდებული მთავრობების მიერ გატარებულ ეკონომიკურ ღონისძიებებზე, არამედ ის პირდაპირ კავშირშია ვირუსის გავრცელების სისწრაფესთან, მასშტაბთან, ვადებთან და აგრესიულობასთან. მაგალითისვის ფინანსური კრიზისის დროს პირველ

რიგში გადასარჩენია მსხვილი ბანკები, ხოლო რაც შეეხება პანდემიურ შოკს ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა, აქ უპირატესობა ენიჭება საშუალო, მცირე და მიკრო საწარმოების გადარჩენას.(მაღაზიები, სწრაფი კვების ობიექტები, სასტურმოები, კაფე-ბარები, სალონები  და ა.შ) პანდემიური შოკის დროს თითქმის შემოსავლის გარეშე დარჩნენ თვითდასაქმებულები, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები და სხვა ბევრ სფეროში მოღვაწენი. პანდემიის დროს უშუალოდ იზრდება იმ დარგებების მნიშვნელობები და მასშტაბები, რომლებიც უშუალოდ ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან არიან დაკავშირებულები. პანდემიამ ნათლად დაგვანახა, სამედიცინო სისტემის და სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვნება.

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური რეცესიის მიუხედავად, დღეისათვის უკვე ჩამოყალიბებულია წმინიდა ეკონომიკური ხასიათის ნეგატიური პროცესები, მაგალითად როგორიცაა: სიღარიბის ზრდა, უმუშევრობა, ვალუტის გაუფასურება, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების შემცირება, ინვესტიციების შემცირება და სხვა. ეს ნეგატიური პროცესები ვრცელდება მთელს ეკონომიკაზე და სრულიად შესაძლებელია, რომ პანდემიური შოკი ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს, რომლის დაძლევაც პანდემიის დასრულების შემდეგაც უამრავ სირტულესთან იქნება დაკავშირებული. ხოლო რაც მდგომარეობას ყველაზე მეტად ამძიმებს და რთულს ხდის, არის ის რომ  აღნიშნული შოკი გლობალური ხასიათისაა.

მიმდინარე პანდემიური ვითარების დროს მთავრობებს უწევთ გადაწყვეტილების მიღება და ოქროს შუალედის პოვნა ადამიანების ჯანმრთელობას, მათ სიცოცხლესა და ეკონომიკურ ვარდნას შორის, რათქმაუნდა პირველი უმთავრესია. ადამიანი და მისი ჯანმრთელობა წარმოადგენს უმარლეს ღირებულებას, შესაბამისად უპირატესობა უნდა მიენიჭოს, თუმცა უკიდურესი გადახრა რომელიმე ერთ მხარეს, გამოიწვევს როგორც მოსახლეობის, ისე ეკონომიკის ძლიერ დაზარალებას. მაგალითისთვის, თუ მთავრობები გადაწყვეტს რომ არ დააწესონ არანაირი შეზღუდვები და პროცესს მიუშვებენ თვითდინებაზე, ამ შემთხვევაში დაავადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება, რასაც ასევე საკმაოდ დიდი გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე ადამიანური კაპიტალის შემცირებისა და მკურნალობის ხარჯების დიდი მასშტაბებიდან გამომდინარე. ახლა კი განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მთავრობები

ძლიერ შეზღუდვებს უწესებენ ეკონომიკურ საქმიანობებს, ამ შემთხვევაში მოიშლება ეკონომიკური სისტემები, გაიზრდება უმუშევართა რიცხვი, შემოსავლები შემცირდება, დაიწყება მასობრივი შიმშილი, სოციალური გარემო საგრძნობლად დაიძაბება რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სიკვდილიანობის მატება, კეთილდღეობის გაუარესებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. შესაბამისად, მთავრობები იძულებულნი არიან წავიდნენ გარკვეულ დათმობებზე, როგორც ადამიანთა უსაფრთხოების ასევე ეკონომიკის საწინააღმდეგოდ და ამით მიიღონ პანდემიიდან თავის დაძვრენის საუკეთესო შედეგები.

კოვიდ-19-ის პანდემიის დროს ეკონომიკური რყევები შედარებით დაბალანსებულია, ვინაიდან მთავრობის მიერ შემოღებული შეზღუდვები იწვევს როგორც ერთობლივი მიწოდების, ასევე ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას. პირველის შემცირება ხდება წარმოების შეკვეცის ან გაჩერების გამო, ხოლო მეორისა სამუშაოს დაკარგვის, ადამიანთა მომჭირნეობის გაზრდისა და ფირმების მიერ შესყიდვების შემცირების გამო. მთავრობა ეხმარება ორივე მხარეს, როგორც მომხმარებლებს ისე მიმწოდებლებს, სწორედ ამით ის ამცირებს პანდემიური შოკის ნეგატიურ მოქმედებას. შესაძლებელია ითქვას, რომ მთავრობა ამ მოქმედებით აღწევს მაკროეკონომიკურ წონასწორობას, თუმცა არა მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას. მაკროეკონომიკურ სტაბილურობას რაც შეეხება ის დადგება პანდემიის ჩაქრობის შემდეგ.

## გლობალიზაციის ინდექსი

გლობალიზაციის ინდექსი გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა : ვაჭრობა, შემოსავალი, ივესტიცია და ა.შ. თუმცაღა თანამედროვე დათვლის მეთოდებში ამ ყველაფერთან ერთად გაითვალისწინონ ისეთი საკითხები, როგროიცაა მაგალითად: კულტურა, პოლიტიკა, სოციალური მდგომარეობა და გარომოს დაცვის საკითხები. ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები არ არიან მაღალ პოზიციებზე, თუმცა აღნიშნულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი მაღალია. მათი ეკონომიკური განვითარებისთვის არ არის აუცილებელი ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონე, რადგან აქვთ დიდი შიდა ბაზარი და მნიშვნელოვანი მოცულობის შიდა კაპიტალი. საერთაშორისო ვაჭრობა, უცხოური კაპიტალი და სამუშაო

ძალის მიგრაცია იქცა პატარა, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნების განვითარების აუცილებელ პირობად. სწორედ ამითაა განპირობებული ის, რომ პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი დაბალია, თუმცა ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის მაჩვენებელი.

გრაფიკი: 11: გლობალიზაციის ინდექსი




გრაფიკი 11: ტოპ 25 ქვეყანა სოციალური გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით.(2020) სოციალური გლობალიზაციის საერთო ინდექსი საქართველოს 203 ქვეყნიდან 73-ე ადგილი უჭირავს 74.41-ით




წყარო: https://kof.ethz.ch/en/forecasts-and-indicators/indicators/kof-globalisation-index.html

გრაფიკი 12: ტოპ 25 ქვეყანა პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, 2020 პოლიტიკური გლობალიზციის საერთო ინდექსის მიხედვით, საქართველოს 123-ე ადგილი უჭირავს 59.49-ით.

წყარო: https://kof.ethz.ch/en/forecasts-and-indicators/indicators/kof-globalisation-index.html

გრაფიკი 13: ტოპ 25 ქვეყანა ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, 2020




წყარო: https://kof.ethz.ch/en/forecasts-and-indicators/indicators/kof-globalisation-index.html

ეკონომიკური გლობალიზციის საერთო ინდექსის მიხედვით, საქართველოს 23-ე ადგილი უჭირავს 81.03-ით.

გრაფიკი 14: ტოპ 25 ქვეყანა გლობალიზაციის საერთო ინდექსის მიხედვით, 2020




წყარო: https://kof.ethz.ch/en/forecasts-and-indicators/indicators/kof-globalisation-index.html

გლობალიზაციის საერთო ინდექსის მიხედვით საქართველოს 71.58 ქულით 53-ე ადგილი უჭირავს.

გრაფიკი 15: საქართველოს გლობალიზაციის ინდექსი 1991წლიდან 2020წ ლის ჩათვლით




წყარო: https://kof.ethz.ch/en/forecasts-and-indicators/indicators/kof-globalisation-index.html

## გლობალური ეკონომიკის განვითარების არსი

გლობალური ეკონომიკის განვითარება ეკონომიკის სრულყოფილ, ახალ მდგომარეობაში გადასვლას და მისი თვისობრივ განვითარებას გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების გაიგივება ხდება ეკონომიკურ ზრდასთან, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, მართალია ამ ორ ცნებას შორის მჭიდრო კავშირია, მაგრამ ისინი ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს. ზრდა გულისხმობს რაოდენობრივ გაზრდას (მატებას) და შესაბამისად ეკონომიკური ზრდაც გულისხმობს ეკონომიკის მასშტაბის გაფართოებას (ზრდას).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეკონომიკურ განვითაებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მჭირდო კავშირი არსებობს. ეკონომიკური ზრდა არის საფუძველი ეკონომიკის განვითარებისა და პირიქით, ეკონომიკური განვითარება განაპირობებს ეკონომიკის საზღვრების მორიგ გაფართოებას. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შეაძლებელია თითოეულ მოვლენას ჰქონდეს ადგილი მეორეს არსებობის გარეშე, ანუ შესაძლოა იყოს ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური განვითარების გარეშე და ასევე ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის გარეშე. იმისთვის რომ ეკონომიკური განვითარება რაოდენობრივად გაიზომოს, საჭიროა განვასხვაოთ სოციალური, ეკონომიკური და თვისებრივი ცვლილებების მაჩვენებლები.

## რა გავლენას ახდენს ფინანსური გლობალიზაცია ეკონომიკურ განვითარებაზე?

გარე ფაქტორები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელო გავლენას ახდენს. მაგალითად რომ განვიხილოთ ქვეყნის ჩართულობა საერთაშორისო ვაჭრობაში და მისი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, არ გაგვიჭირდება იმის თვალნათლივ დანახვა რომ ამ ქვეყანას ვაჭრობის შედეგად აქვს უფრო დიდი არჩვანი და უფრო მეტი შესაძლებლობები. სწორედ ამ პროცესიდან გამომდინარე, ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა არა მარტო საკუთარი ტერიტორიის შიგნით არსებული რესურსები გამოიყენონ რაიმეს საწარმოებლად, არამედ იმ ქვეყნების რესურსებიც რომლებთანაც მათ სავაჭრო ურთიერთობები(კავშირები) გააჩნია. მომხმარებელს აქვს წვდომა და შესაძლებლობა რათა შეიძინოს მრავალფეროვანი სახეობის საქონელი თუ მომსახურება, სწორედ ბაზარზე არსებული მრავალგვარი საქონლის ხარჯზე ფორმირდება მოთხოვა

მომხმარებლების მხრიდან. ესეთი ფართო ასორტიმენტი კი განპირობებულია იქიდან, რომ ქვეყნების წარმოება არ არის მოქცეული მხოლოდ თავიანთ საზღვრებში.

კონკურენციის დადებით მხარეზე, მის სარგებლიანობაზე ყველა ვთანხმდებით. სწორედ ის არის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი რომელსაც ბაზარი წონასწორობაში მოყავს. კონკურენციას არ უნდა შევხედოთ მხოლოდ მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებად და მათთვის მისაღებ ფასში პროდუქტის მიწოდებად, სწორედ კონკურენცია უყრის საფუძველს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ინოვაციებს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ეკონომიკაზე და ხელს უწყობენ მას ზრდასა და განვითარებაში. კონკურენცია მსოფლიოს მასშტაბით კი იწვევს უფრო მეტ ინოვაციას, ახალი ტექნილოგიების დანერგვის ზრდას, ასევე ხდება წარმოებისათვის საჭირო რესურსების რიცხოვნობის ზრდა და ა.შ. სწორედ ეს ყვეაფერი უფრო მეტად განავითარებს და გაზრდის ეკონომიკას, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის საზღვრებს შიგნით.

ზემოთქმულის მიუხედვად, ამ პროცესსაც აქვს ნეგატიური მხარე და ამ ფაქტზე მიუთითებენ ანტიგლობალისტები(ეკონომიკური მხრივ). ამ პროცესის უარყოფითი მხარე გამოიხტება იმაში, რომ საერთაშორისო ვაჭრობის დროს ხშირად იჩაგრებიან ადგილობრივი მწარმოებლები, რადგან მათ არ შესწევთ ძალა კონკურენცია გაუწიონ სხვა ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს შესაბამისი ტექნოლოგიის არ არსებობით ან რესურსების სიმწირით, რომლითაც ისინი შეძლებენ პროდუქტის უფრო ხარისხიანად და ნაკლები ხარჯით წარმოებას. მაგრამ ეს ნამდვილად არ უნდა ჩავთვალოთ გლობალიზაციის უარყოფით მხარედ, ეს მოვლენა იძლევა იმის საშუალებას რომ ქვეყნებმა დახვეწონ და განავითარონ თავიანთი წარმოება, მათ უნდა გაატარონ სწორი პოლიტიკა, საჭირო დროსა და ვითარებაში შემზღუდველი თუ ხელშემწყობი ღონისძიებების სახით. სწორედ ამით მათ შეუძლიათ გლობალიზაციიდან მიიღონ მაქსიმალური სარგებელი. ტექნოლოგიურ განვითარებას, მეცნიერეულ მიღწევებს, დაგროვილ გამოცდილებასა და ა.შ დიდი წვლილი მიუძღვის ეკონომიკურ განვითარებაში. ეს საკითხებივ შესაძლოა დავინახოთ როგორც გლობალიზაციის პროცესის დადებითი მხარე, თითოეული ქვეყნისთვის ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული, გამოცდილება, მეცნიერული მიღწები, ახალი

ტექნოლოგიები თუ სხვა. სწორედ ეს იძლევა საშუალებას ეროვნული ეკონომიკა უფრო მეტად გაიზარდოს, განვითარდეს და მიიღოს სრულყოფილი სახე.

ანტიგლობალისტები ხშირად საუბრობენ გლობალიზაციის პროცესების შედეგად სახელმწიფოს როლის შეზღუდვაზე, თუმცა საინტერესოა ეს საკითხი განვიხილოთ მოერე მხრიდან. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ თითოეული ქვეყნისათვის ხელმისაწვდომია მსოფლიოს მაშტაბით დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, რაც სწორედ გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია. სწორედ ეს გამოცდილება არის საფუძველი იმისა რომ ქვეყნებმა აღარ დაუშვან შეცდომები, გაატარონ არასწორი პოლიტიკა თუ განახორციელონ არასწორი ქმედებები. დადებითი მოვლენაა ისიც რომ ქვეყნებს შეუძლიათ ერთიანი ძალებით ებრძოლონ გარკვეულ წინააღმდეგობებს იქნება ეს ეკონომიკური თუ სხვა მიზეზით გამოწვეული, რაც სამომავლოდ გააუმჯობესებს არა მხოლოდ ეკონომიკას და ბაზარს არამედ ადამიანებს შეუქმნის უფრო კარგ საარსებო პირობებს.

როგორ უნდა შეცვალოს ეკონომიკურმა გლობალიზაციამ განვითარებადი ქვეყნების რეალობა უკეთესობისკენ ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მათ მდგრად განვითარებას? ამ კითხვაზე ფიქრი და სწორი გადაწყვეტილებების მიღება ფინანსური გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია დიდ როლს თამაშობს ქვეყნების განვითარებაში, მაინც არის დარჩენილი მოუგვარებელი საკითხები. ფაქტია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტი მსოფლიოს წარმოების დაახლოებით 80 პროცენტის მოიხმარს, ხოლო მოსახლეობის 20 პროცენტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. გარდა ამისა, უზარმაზარი კორპორაციები რაციონალურად არ მოიხმარენ რესურსებს და არაეფექტიანი სტრატეგიით ხელმძღვანელობენ. იმ შემთხვევაში თუ ეს ტენდენცია არ შეიცვალა, გამოწვევების წინაშე არა მარტო განვითარებადი ქვეყნები, არამედ მთელი მსოფლიო დადგებია.

# ლექცია 9: საერთაშორისო ინვესტიციები და გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის ბაზრები

ტერმინი „**საერთაშორისო** ინვესტიცია“ გამოიყენება ფინანსური ან არაფინანსური აქტივების დაბანდების აღსანიშნავად, მომავალში მოგების მიღების მიზნით (Cambridge Dictionary, 2020). იგივენაირად, ინვესტიცია, ეს არის საქონლის შეძენა, რომელიც არ მოიხმარება დღეს მაგრამ, მოსალოდნელია მისგან პოტენციური მოგების მიღება მომავალში. სხვადასხვა ორგანიზაციები თუ მეცნიერები, ისტორიულად ინვესტიციის სხვადასხვა განმარტებებს გვთავაზობდნენ, თუმცა, თითოეული დაკავშირებულია აქტივების დაბანდებასთან მომავალში მოგების მისაღებად.

ინვესტიცია არის სამამულო და უცხოური. ადგილობრივი ქვეყნის მოქალაქის მიერ განხორციელებულ ინვესტიცია სამამულოა ხოლო, არარეზიდენტის მიერ - უცხოური.

„უცხოური ინვესტიცია პორტფელური და პირდაპირია - რისკებისა და მიზნობრიობიდან გამომდინარე. პირდაპირი ინვესტიცია არის, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ან ერთობლივი და უცხოური საწარმოების საწესდებო ფონდში ჩადებული თანხა, რეინვესტირებული მოგება და სხვა დაბანდებები. პორტფელის ინვესტიცია - ისეთი დაბანდებები საწარმოს საწესდებო კაპიტალში, რომელიც იძლევა ხმების 10 პროცენტზე ნაკლებს, აგრეთვე, იმ სახის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საწესდებო კაპიტალში მონაწილეობას“. (საქართველოს პარლამენტი, 2014)

პორტფელური ინვესტიცია - ნაკლებად რისკიანი ინვესტიციაა, რომელიც მოკლევადიან მიზნებთანაა დაკავშირებული. ამ ტიპის ინვესტიციის ძირითადი სახე, ობლიგაციების შეძენადა მათი მეშვეობით მოგების მიღებაა, რომელიც სიმცირიდან გამომდინარე, არ აძლევს ინვესტორს კონტროლის საშუალებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ისეთი ინვესტიციის ტიპია, რომელიც ქვეყანაში ქმნის ძირითად კაპიტალს. ამ შემთხვევაში ინვესტორი ფლობს საკონტროლო პაკეტს. პუი გრძელვადიანი მიზნებით ხასიათდება და შედარებით რისკიანია ინვესტიციაც. თუმცა, პუი- ც შეიძლება დავყოთ მოკლევადიანი (ერთ წლამდე), საშუალოვადიანი (ერთიდან სამ წლამდე) და გრძელვადიანი (სამ წელზე მეტი) ხანგრძლივობის ინვესტიციებად. მისი მფლობელი შეიძლება იყოს კერძო პირი, ორგანიზაციები, უცხო ქვეყნის მთავრობები ან შერეული ტიპის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (FDI) არის ინვესტიციის ის ტიპი, რომელიც გულისხმობს ინვესტორის ხანგრძლივ ინტერესს. ხანგრძლივი ინტერესი გულისხმობს ინვესტორისა და ინვესტირებულ საწარმოს შორის გრძელვადიანი ურთიერთობის არსებობას და კომპანიის მართვაზე გავლენის მოპოვებას. მიიჩნევა, რომ FDI-ად შეიძლება განხილული იყოს ინვესტიცია, რომლის მფლობელიც ფლობს აქციების 10%-ს ან მეტს, რაოდენობა, რომელიც მას საშუალებას მისცემს იყოს გადაწყვეტილების მიმღები. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ხშირ შემთხვევაში, მაგალითად 8%-ის ფლობაც შესაძლებელია, საკმარისი იყოს მენეჯმენტში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიო რეკომენდირებული 10%-იანი ბარიერის დარღვევა არ არის მიზანშეწონილი, რათა დაცული იყოს ქვეყნებს შორის სტატისტიკური სიზუსტე დაანგარიშებისას.

ამდენად, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც უცხოური ინვესტიციები არის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორად აღიქმება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გულისხმობს კაპიტალის ოპტიმალურ გადანაწილება იმ ქვეყნებში, რომლებიც მის სიმცირეს განიცდიან და სადაც ფინანსური რესურსების დაბანდებიდან მეტი სარგებლის მიღებაა შესაძლებელი. ამდენად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მსოფლიოსთვის პოზიტიური მოვლენაა (Agarwal, 1980). შესაბამისად, გლობალისტები, ვინც მსოფლიოს აგრეგირებულად უყურებს, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს პოზიტიურად აფასებენ, ხოლო, პროტექციონისტები და ნაციონალისტები, პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებში, ქვეყნის განვითარების დონეზე, რისკების შეფასებისკენ მოგვიწოდებენ. განვიხილოთ ორივე შემთხვევა.

თანამედროვე სამყაროში, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე მოწინააღმდეგე. დავიწყოთ განვიხილოთ მათი არგუმენტები, კერძოდ, FDI-ის პოზიტიური გავლენა მიმღებ ეკონომიკაზე.

მეცნიერებთა უმეტესობა თანხმდება, რომ FDI-ს საჭიროებით განვითარებადი ქვეყნები გამოირჩევიან (Makki & Somwaru, 2004). აღნიშნული ქვეყნები სხვადასხვა სფეროში დიდი ოდენობით ინვესტიციებს აბანდებენ, თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევების გასამკლავებად. ამასთან ერთად, გარდამავალ ეკონომიკების ქვეყნებში მაღალია სიღარიბის მაჩვენებელი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს დანაზოგების ფორმირებაზე და შესაბამისად, ადგილობრივ დაზოგებს პოტენციური ადგილობრივი ინვესტიციების ნორმას და დანაზოგს (s), ამცირებს არის განკარგვადი შემოსავალია. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, არის განკარგვადი შემოსავალის ის ნაწილი, რაც მოხმარების (c) შემდგომ რჩება განკარგვადი შემოსავალია. შესაბამისად, დახურულ ეკონომიკაში, ინვესტირებული კაპიტალის მოცულობა (I) ტოლია დაზოგვის ნორმის (s) ტოლია (Blanchard, 2008). ნაკლებად განვითარებულ ეკონომიკებში კი, განკარგვადი შემოსავალი შედარებით ნაკლებია, რაც ადგილობრივ მოსახლეობას დანაზოგის დაგროვების შესაძლებლობას ზღუდავს.

შესაბამისად, აღნიშნული ქვეყნებისათვის განვითარების მთავარ ფაქტორად

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიაზრება. ეკონომიკაში ინვესტირების გარეშე, არსებული რესურსების ეფექტიანი ზრდა შეუძლებელია განხორციელდეს. ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მიმღებ ქვეყანას მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების დაწყების შესაძლებლობას აძლევს. (Blomstrom & Kokko, The Impact of Foreign Investment on Host Countries, 1997)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების აუცილებლობა მსოფლიომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაინახა. მოცემულ მომენტში მთლიანი ევროპა ავიდან საჭიროებდა განვითარებას რაც უზარმაზარ ეკონომიკურ რესურსებთან იყო პირდაპირ დაკავშირებული. სწორად, ამ პერიოდში გამოიკვეთა უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტი. (Moon, 2016).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც, ფინანსური რესურსების შემოსვლას ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების შემოსვლას უწყობს ხელს ორი გზით. (Loungani & Razin, 2011) პირდაპირი გზით, უცხოური ფირმის გამოცდილების გაზიარებით, მეორე მხრივ, გაზრდილი კონკურენციით ადგილობრივი ფირმების წახალისებით, რათა უფრო ეფექტიანი გზები მოძებნონ და წახალისდეს ინოვაცია და არსებული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტური ხერხები.

უცხოური კომპანიების მხრიდან შეძენილი ცოდნა ასევე, ამაღლებს კორპორაციულ ეთიკას. შესაბამისად, ორგანიზაციული მენეჯმენტის ხარისხს აუმჯობესებს და მიდგომებსაც ავითარებს. (Khan M. A., 2016)

გლობალიზაციის პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ეკონომიკა უფრო გახსნილი ხდება, რაც მოცემულ ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის შეკვეცით, კერძო უფლების დაცვით და საბოლოოდ, ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ზრდაში ვლინდებ. (Kapuria-Foreman, 2008).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასევე უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და განვითარებას უწყობს ხელს. შესაბამისად, ზღუდავს მონოპოლიებს და მოსახლეობას საქონლის და მომსახურების ფართო არჩევანს სთავაზობს (Blomström, Kokko, & Mucchielli, 2003).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის ფონზე საგადასახადო შემოსავალი იზრდება. აქედან გამომდინარე, ქვეყნისათვის იქმნება დამატებით საშუალება, რათა დაფინანსდეს სხვადასხვა დარგი და ხელი შეეწყოს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკაში დამატებითი სამუშაო ადგილებს ქმნის, რაც ამცირებს უმუშევრობას (Bayar & Ozturk, 2018).

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი ეფექტები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მოწინააღმდეგეების მოსაზრებები უმეტესწილად პროტექციონისტული პოლიტიკიდან მომდინარეობს. ამასთან ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) ქვეყანაში შემოსვლა, ნაწილობრივ პოზიტიური მოვლენად აღიქმება, რადგან მათ შემოსვლასთან ერთად დიდი ფინანსური რესურსის შემოდინება ახლავს თან. თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ტნკ-ის გავლენა ქვეყანაში უფრო გაიზარდოს ვიდრე ხელისუფლების (მცირე ეკონომიკის შემთხვევაში). ამ დროს, იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ შეძლოს რეგულაციები დაუწესოს ტნკ-ებს, პირიქით, უცხოელი კომპანიები უწესებენ მოთხოვნებს ქვეყანას. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მივიღოთ რეალობა, როდესაც ქვეყნის მმართველი არა მთვარობაა, არამედ ტნკ-ის გენერალური დირექტორი. ამ

დროს, ვარაუდია განვითარდეს თავისუფლების ასიმეტრია, მთავრობის გადაწყვეტილების მიღების უნარის დაქვეითებასა და პოლიტიკურ დომინირებას ტნკ-ების მხრიდან (Jarblad, 2003).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი მხარეა ბაზრის გაჯერება და მონოპოლიების გასვლა. მაგრამ, მსგავსად შეიძლება განვითარდეს ნეგატიურ კონტექსტშიც. კერძოდ, უცხოურ კომპანიებს დიდძალი ფინანსური რესურსები გააჩნიათ და ისინი უფრო კონკურენტუნარიანები არიან. მათ შესწევს ძალა ადგილობრივი ბაზრებიდან განდევნონ მცირე და საშუალო ბიზნესები და მონოპოლისტები გახდნენ. ასევე, როდესაც ბაზარზე დიდი კომპანიები ოპერირებენ, რთულია მცირე ადგილობრივმა კომპანიებმა მოახერხონ ბაზარზე შეღწევა და კონკურენციის გაწევა. (Sheppard, Porter, Faust, & Nagar, 2009, p. 515.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ნაკლი მისი არასტაბილურობაა. ინვესტორების ძირითადი მოტივაცია მოგების მიღებაა, მათ ადგილობრივი მწარმოებლებისგან განსხვავებით, არანაირი ეროვნული სულისკვეთება არ გააჩნიათ. ამიტომ, როდესაც მცირე კრიზისი გაჩნდება, იმ წამსვე ცდილობენ აქტივების გადატანას ქვეყნებში სადაც ნაკლები რისკია, რაც კიდევ უფრო ართულებს კრიზისს და რეცესიაში გადაიზრდება. (Brukoff & Rother, 2007) იგივეა გლობალური კრიზისებისას, ყველაზე რთულ მდგომარეობაში, კვლავ, გარდამავალი ეკონომიკები ექცევიან, რომლებიც უმეტესწილად არიან დამოკიდებული უცხოურ რესურსებზე და ინვესტიციების გაქრობა მათთვის ძალიან მძიმეა.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არაერთგვაროვანი ზემოქმედება აქვს სამუშაო ძალაზე. ერთი მხრივ, ეს დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის, ხოლო, სხვა მხრივ, არსებობს რისკი მუშახელის ექსპულატაციის. ესეთი ინვესტიციები ხშირ შემთხვევაში, დაბალკვალიფიციურ მუშახელს ასაქმებს, ხოლო მენეჯმენტი კი, ინვესტორს მშობლიური ქვეყნიდან ჩამოჰყავს. ამიტომ, ადგილობრივი დასაქმებულლები დაბალანაზღაურებად, არაპრესტიჟულ ადგილებზე მუშაობენ, მცირე ტრეინინგების გავლით. ამ მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განიხილება უარყოფითად, რადგან ინვესტორს არ აქვს მოტივაცია გადაამზადოს და კვალიფიკაცია აუმაღლოს ადგილობრივ კადრებს. (Vissak & Roolaht, 2014).

განხილული ფაქტორებიდან ჩანს, რომ ნებისმიერ მოვლენას აქვს თავისი

პოზიტიური და ნეგატიური მხარე. ნაკლოვანების მიუხედავად, მსოფლიოსათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დიდ მნიშვნელობას ატარებს და ავითარებს მთელ მსოფლიოს. პროცესები და პოლიტიკა, რომელიც აფერხებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თავისუფლად მოძრაობას, ხელს უშლის მსოფლიოს ერთობლივ წინსვლას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვა არასწორი ქმედებაა. უმჯობესია გარკვეული ნეგატიური ფაქტორების აღმოფხვრა ან ეფექტის შემცირება რათა FDI -დან მიღებული მსოფლიო სარგებელი თანაბრად გადატყდეს ინვესტიციის გამცემ და მიმღებ მხარეზე.

## უმუშევრობა და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

უმუშევრობა მოვლენაა, როდესაც მოსახლეობის გარკვეული წილი ვერ შოულობს სამსახურს. უმუშევრობის გარკვეული დონე მუდმივად არსებობს რეალურ ეკონომიკაში. უმუშევრობის ნორმალური ანუ ბუნებრივი დონე გამისაზღვრება ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წონა შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ გვაძლევს მთლიან სურათს არსებულ სიტუაციაზე. მდგომარეობის აღსაწერად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორც უმუშევრების რაოდენობა, ასევე მათი უმუშევრობის პერიოდი.

სამუშაო ძალა, არის ძირითადი რესურსი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის. ყოველი უმუშევარი ადამიანი განიხილება, როგორც აუთვისებელი საქონელი თუ მომსახურება, რომელსაც მივიღებდით მათი დასაქმებისას. რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, მით უფრო არაეფექტურად მუშაობს ეკონომიკა და ვერ იყენებს თავის შეზღუდულ ადამიანურ რესურსს.(Anghel, Anghelache, & Manole, 2017) ასევე, ყოველი დაუსაქმებელი არა თუ ვერ აწარმოებს თავისი პოტენციალის შესაბამისად, ასევე, სოციალურად დაუცველ ფენას მიეკუთვნება. მას არ გააჩნია შემოსავლის წყარო და საჭიროებს დახმარებას ხელისუფლებისგან. შესაბამისად, ასეთ მოქალაქე უფრო მეტად აწვება ეკონომიკას.

უმუშერობა იწვევს სიღარიბის ზრდას. სიღარიბე კი აიძულებთ დათანხმდნენ მიუღებელ სამუშაო პირობებსაც რაც საზიანოა მათთვისაც. ასეთი მდგომარეობა

ავითარებს მიგრაციის სურვილს, რაც შეიძლება გამოიწვიოს ტვინების გადინება, ეს კი უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე.

უმუშევრობის ზემოქმედებს შიგა პროდუქტზეც. შემოსავლის გარეშე არსებული მოსახლეობა ამცერებს მოხმარებას, ეს კი თავის მხრივ სურვილს უკარგავს მწარმოებლებს აწარმოონ მეტი. ამ მიზეზით იხურება საწარმოები და უმუშევობა უფრო მეტად იზრდება.

ადგილობრივი ინვესტიციის რაოდენობაც იკლებს, რადგანაც მისი წყარო დანაზოგებია, რომელიც მოსახლეობას მიღებული შემოსავლებიდან აქვს. ასევე უმუშევარი ადამიანი არ იხდის გადასახადებს და ამცირებს სამთავრობო პოტენციალსაც.

აქედან გამომდინარე უმუშევრობა არამარტო პოტეციალს ამცირებს, იმ რაოდენობითაც რამდენით მისი არ არსებობითაც შეეძლო, ასევე წარმოქმნის სპირალს რომელიც უფრო აუარესებს ეკონომიკაში სიტუაციას. საბოლოო, უმუშევრობა არის დიდი დანაკარგი მთლიანიეკონომიკისთვის.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და დასაქამება

უმუშევრობის დაძლევის ორი გზა არსებობს. პირველია ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, მეორე, მოსახლეობის კვალიფიკაციის ზრდით. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მატება ციკლურ და ფრიქციულ უმუშევრობას დაბლა წევს, ხოლო განათლების დონის ამაღლება და კვალიფიკაციის ამაღლება სტრუქტურულ უმუშევრობას ამცირებს.

აქედან გამომდინარე, უმუშევრობის შესამცირებლად საჭიროა როგორც ახალი სამუშაო ადგილების სტიმულირება და ამავდროულად უზრუნველყოს აქტიური მოსახლეობისგადამზადების პროცესები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ორივე პრობლემის აღმოსაფხვრელად გამოიყენება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა განპირობებულია უშუალოდ

უმუშევრობის მაღალი დონის და დაბალი ხელფასების გამო. მსხვილი ინვესტიციების მოზიდვის შედეგად ეკონომიკა გამოცოცხლებას იწყებს: იზრდება დასაქმება და მათი დასაქმებულთა კვალიფიკაცია. საჭირო შედეგის მისაღებად აუცილებელია FDI-დან მივიღოთ ყველა არსებული ბენეფეტი და მისი უარყოფითი მხარეები მთლიანად გავანეიტრალოთ ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური გეგმით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ რთული მისიაა და ყველა ნეგატიურ ფაქტორს ვერ ავუვლით გვერდს, აუცილებელია გავიაზროთ თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია მას, ვიდრე მის არ არსებობას.

განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფით ეფექტები დასაქმების გაზრდის მხრიდან. გამოვყოთ 3 ფაქტორი:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს მიმღებ ქვეყანაში, შესაბამისად, ამცირებს უმუშევრობას. რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდისათვის დიდი მულტიპლიკატორია;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიტიური ფაქტორია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება; კვალიფიკაციისა და ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობა; ადგილობრივი მოსახლეობისათვის მოლოდინების შექმნა შესაძლო სამუშაო ადგილების შესახებ, რაც მათ აძლევს დამატებით სტიმულს მიიღონ შესაბამისი განათლება და აიმაღლონ კვალიფიკაცია.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ადამიანური რესურსების ექსპლუატირებას ახდენს. ამ ტიპის ინვესტიციები ძირითადად, უზრუნველყოფენ დაბალკვალიფიციური მუშახელის დასაქმებას, ხოლო მენეჯმენტი (მაღალკვალიფიციური კადრი) კი, თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყავთ.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სამუშაო ადგილების შექმნა

ინვესტორის პირდაპირ ინტერესშია ინვესტიცია დააბანდოს ისეთ ეკონომიკაში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონე და დაბალი რეალური ხელფასია, რადგანაც ეს პოტენციურად მოგების მაღალ მარჟას გულისხმობს.

როგორც თეორიულად უკვე განვიხილეთ, ინვესტრება ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და შესაბამისად უნდა იზრდებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტი. ამის მიუხედავად, ცნობილი კვლევებიდან ვერცერთი ვერ ადასტურებს ამ ფაქტს. სტატისტიკის გამოყენება ურთიერთკავშირის დასადგენად საკმაოდ რთულია. რადგან ინვესტიციების ეფექტი შეიძლება წლების შემდეგ გამოჩნდეს და არა იმავე პერიოდში როდესაც პუი-ის მაღალი დონეა დაფიქსირებული. სირთულის მიზეზია ისიც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარდა უმუშევრობაზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებს, რომლებიც კვლევაში ვერ გაიმიჯნება. გარდა ამისა პუი ხასიათდება გარე ეფექტებითაც, რომლებიც არაპირდაპირ უმუშევრობის შემცირებას და ეკონომიკის წახალისებას, ესეც რთულია კვლევებში თანდართულ იქნეს. აქედან გამომდინარე ურთიერთკავშირის პოვნისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ეკონომიკის თეორიულ ლოგიკას.

„ბენგოა და სანჩეს-რობლესის მიერ 1970-1999 წლებში ლათინური ამერიკის 18 ქვეყანაში ჩატარებული ემპირიული კვლევის, თანახმად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა დადებითად აისახა ამ ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე. (Bengoa M, 2003)“

„ჰიჯენსის კვლევის მიხედვით უცხოური ინვესტიციები ამცირებს უმუშევრობის დონეს, თუმცა არ ხასიათდება დიდი მასშტაბურობით. (Hijzen, Martins, Schank, & Upward, 2013) მეორე მხრივ, დინგა და მნიჩის 2010 წლის ჩეხური მონაცემების 42 ანალიზის მიხედვით, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დიდი გავლენა აქვს დასაქმების დონის ზრდაზე. (Dinga & Mnich, 2010)ბანდიკი და კარპატი, 2011 წელს ასევე ადასტურებენ ამ ურთიერთკავშირის არსებობას, თუმცაისინი ამტკიცებენ ამ ეფექტის არსებობას შედარებით მაღალკვალიფიციურ მუშახელში. (Bandick & Karpaty, 2011) განვითარებად ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მოკლევადიან პერიოდში შეიძლება შეზღუდოს სამუშაო ადგილები მუშა-დამზოგველი ტექნოლოგიების შემოტანით, თუმცა გრძელვადიან პერიოდში პუი იწვევს სამუშაო ადგილებისა და პროდუქტიულობის ზრდას. ამასთან, პოზიტიური ეფექტი მეტია მაღალკვალიფიციურ მუშახელში, რომელთაც აქვთ ახალ ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარები. (Hale & Xu., 2016)“

„თუმცა, არსებობს კვლევები, რომლებიც ვერ ადასტურებენ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და დასაქმებას შორის მაღალ კორელაციურ კავშირს. სერბ მეცნიერებმა (Zdravkovic Aleksandar, 2017) გამოიკვლიეს 17 გარდამავალი ეკონომიკა 2000-2014 წლებში. მათი კვლევის შედეგების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და უმუშევრობა დონე უმეტეს შემთხვევაში არ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ემპირიული მტკიცებულებების შეუსაბამობა გვიბიძგებს მივემხროთ თეორიას, რომ გრძელვადიანი გავლენა პუისა დასაქმებაზე გარდამავალ ქვეყნებში არის ძალიან სუსტი ან საერთოდ არც არსებობს.“

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნებისთვისაც პუი-ის დადებითი ეფექტი აქვს უმუშევრობის შემცირების მხრივ. მოკლევადიან პერიოდში შეიძლება ეს ხელშემშლელი ფაქტორიც იყოს, მაგრამ გრძელვადიან პირობებში ის ზრდის კონკურეციას,ამაღლებს პროდუქტიულობას, რაც თავის მხრივ აფართოვებს ეკონომიკას და იქმნება სამუშაოაგილი.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ადამიანური რესურსების განვითარება

ზოგადად რა გავლენას ახდენს ადამიანური რესურსების განვითარებაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ამის შესახებ ცალსახა და უტყუარი შეხედულებები არ არსებობს. ნებისმიერი სახის კომენტარი რომ განიხილოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი (ნეგატიური), საერთო სურათს მაინც ვერ გვაძლევს. ერთი მხრივ რომ შევხედოთ, პირდაპირიუცხოური ინვესტიციები ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ამავდროულად ხელს უწყობს საერთაშორისო პრაქტიკის და ცოდნის გაზიარებას, ეს კი თავისთავად დადებითად განიხილება. მეორე მხრივ, მეცნიერთა/მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ახდენს ბუნებრივი რესურსების და ადგილობრივი ადამიანური ექსპლუატირებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო მეტად უზრუნველყოფს დაბალკვალიფიციური/ნაკლები გამოცდილების მქონდე კადრების/მუშახელის დასაქმებას, ხოლო მენეჯმენტი/შუა რგოლის მენეჯმენტი (მაღალკვალიფიციური და დიდი გამოცდილების მქონე კადრი) კი, თავიანთი ქვეყნიდან ჩამოჰყავთ. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი/ქვეყნის მაცხოვრებელი სამუშაო ძალა არაპრესტიჟულ და დაბალანაზღაურებად ადგილებზე არის დასაქმებული, ტრეინინგების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ნაკლებობის ფონზე. ზოგადად ამ მხრივ, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რომლის უმნიშვნელოვანესი მოტივაციაა წესით და რიგით მოგების მიღება, შესაძლებელია უარყოფით/ნეგატიურ ეფექტადაც განვიხილოთ, რადგან ინვესტორს ნამდვილად არ აქვს ეროვნული მოტივები ან თუნდაც სურვილი, რომ ადგილობრივი კადრები გადამზადოს, გადაიხადოს ტრენინგის თანხა.

ბლომსტროისა და კოკოს მიხედვით პუი ადამიანურ კაპიტალზე ზემოქმედებს ამ მიმართულებებით:

- ფორმალური განათლება;
- თანამშრომელთა ტრენინგები;
- მომსახურების ინდუსტრია.

პუი-ს თითქმის არ მოქმედეს დაწყებით და საშუალო განათლებაზე, მაგრამ მოქმედებს უმაღლეს განათლებაზე და მნიშვნელოვან სტიმულატორს წარმოადგენს ფორმალური განათლების ინვესტიციის მიღებ ეკონომიკაში. სტუდენტების მიზანია მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაცია რათა დაიწყონ ტრანსნაციონალურ კომპანიებში მუშაობა მაღალანაზღაურებად პოზიციებზე. ეს კი მთავრობას სტიმულს აძლევს დააფინანსოს მსგავსი სფეროები.

მაღალი კორელაცია შეინიშნება პუი-სა და ტრენინგებს შორის განვითარებად ქვეყნებში. მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს დაბალი ფორმალური განათლება განვითარებულ სამყაროსთან შედარებით სადაც მაღალი სწავლის სტანდარტებია. ტნკებში დასაქმებულ ადგილობრივ კადრებს ხშირად უწევთ მობილობა დედა კომპანიებში, რაც ხელს უწყობს მათთვის გამოცდილების გაზიარებას და ახალ სტანდარტებთან გაცნობას. შესაბამისად, სამშობლოში დაბრუნების გარეშე ისინი ცდილობენ მიბაძონ მაღალ სტანდარტებს და ადგილობრივ კომპანიებშიც ნერგავენ მათ.

განვითარებად ეკონომიკებში გამორჩეულია სერვისის ინდუსტრია და ამიტომაც ტნკ ები მსხვილ ინვესტიციებს დებედ ამ სფეროში. ეს ინდუსტრია უფრო მეტ ტრენინგს საჭიროებს, რადგან ბევრი ასეთი სერვისის გატანა შეუძლებელი საზღვრებს გარეთ გაიტანო. ამიტომ ტნკ- ები ეხმარებიან მუშახელს ცოდნის გაზიარებას ამ სფეროში განსაკუთრებით, რაც კარგი და მისაბაძიც კი ხდება ადგილობრივი კომპანიებისთვის.

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ადამიანური რესურსები

პუი-ს ერთ-ერთი გარე ეფექტის გამო მას მოწინააღმდეგეები ჰყავს. საუბარია სამუშაო ძალაზე უცხოური კაპიტალის გავლენაზე. მეცნიერების მცირე ნაწილის მტკიცებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უარყოფით გავლენას ახდენს სამუშაო ძალაზე და მიმართულია მის ექსპულატაციაზე. განვითარებად ქვეყნებში

მაღალი სიღარიბის დონე და დასაქმების დაბალი დონეა, ამიტომაც მოსახლეობის ნაწილი თანახმაა მიიღოს დამსაქმებლის ნებისმიერი პირობა, რომელიც შეიძლება შორს იდგეს სტანდარტებისგან და შესაბამის ანაზღაურებასთან. ჭარბი მოთხოვნის გამო კომპანიები მომგებიან როლში არიან, რადგან მათ მიზანი ხარჯების შემცირებაა, ამ შემთხვევაში ხელფასის, რათ მოგების მაქსიმიზაციას მიაღწიონ.

თუ ინვესტორის მოტივაცია ადგილობრივი მაღალი საშუალო ხელფასი წარმოადგენს, ბუნებრივია ის მოისურვებს ინვესტიციის დაბანდება განვითარებად ქვეყანაში სადაც იაფი მუშახელია, ამიტომაც ამ ქვეყანაში ის დაბალ ანაზღაურებას სთავაზობს დაქირავებულ მუშებს.

ადგილობრივი დაბალკვალიფიციური მუშების დასაქმებასთან ერთად, ინვესტორებს მაღალკვალიფიციური კადრები ძირითადად თავიანთი ქვეყნიდან ჩამოყავთ, რაც წარმოადგენს მეცნიერთა უკმაყოფილების საგანს. ინვესტორი ადგილობრივ მოსახლეობას ამუშავებს არაპრესტიჟულ პოზიციებზე, მცირე ტრენინგების ფონით. ამ შემთხვევაში კი ინვესტიცია შეგვიძლია ნეგატიურად განვიხილოთ, რადან მაშინ არ ხდება კადრებისკვალიფიკაციის ამაღლება.

შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნეგატიური გავლენა სამუშაო ძალაზე,შესაძლებელია ორად გამოვყოთ:

- ადგილობრივ კადრების დაბალი ანაზღაურება
- ადგილობრივი კადრების დაბალკვალიფიციურ პოზიციებზე დასაქმება, რაც არ უზრუნველჰყოფს მათი კვალიფიკაციის ზრდას

აუცილებელია ინვესტიციის გამგზავნ და მიმღებ ქვექნებს შორის სარგებელი განაწილდეს თანაბრად, მაგრამ საუკეთესო გამოსავლის ძიება რთულია, თანაც ყველა ბენეფიტი ვერ გაიზომება. უმჯობესია გავაალაზოთ თუ რას მიიღებს ინვესტირებული ქვეყანა. ყველა დადებით და უარყოფით მხარე და ამავდროულად როგორი ეკონომიკურ მდგომარეობას მიაღწევენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციით და მის გარეშე.

ამდენად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანი წყაროა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, განსაკუთრებით მცირე ეკონომიკის ქვეყნებში. ეს პროცესი მომგებიანია ორივე მხარისათვის, რადგან მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები სარგებლობენ სახსრებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვერ ექნებოდათ, ხოლო განვითარებული ქვეყნების ინვესტორებს არსებული, გაჯერებული ბაზრებიდან გადააქვთ კაპიტალი უფრო მომგებიან ბაზრებზე.

ბუნებრივია, რომ ნებისმიერ მოვლენას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თუმცა, ცალსახაა, რომ აგრეგირებული მსოფლიოსათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდადებითი მოვლენაა და ხელს უწყობს მთლიანი მსოფლიოს განვითარებას.

მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საჭიროებით გარდამავალი ეკონომიკები გამოირჩევიან. (Makki & Somwaru, 2004) მათ სხვადასხვა სფეროებში სჭირდებათ დიდი რაოდენობით ინვესტირება, რათა შეძლონ და ფეხიაუწყონ თანამედროვე მსოფლიოს. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში მაღალია სიღარიბის დონეს, რაც ამცირებს ადგილობრივი დაზოგვის ნორმას, შესაბამისად პოტენციურ ადგილობრივ ინვესტიციებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საჭიროება მსოფლიომ შედარებით, ორი მსოფლიო ომის შემდგომ შეამჩნია. როდესაც, მთლიანი ევროპა თავიდან საჭიროებდა განვითარებას რაცდიდძალ ეკონომიკურ რესურსებთან იყო დაკავშირებული. სწორად, ამ პერიოდში ჩანს უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტი. (Moon, 2016)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი მოვლენაა მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგან იგი უმნიშვნელოვანესი წყაროა ფინანსური რესურსების შემოდინებისათვის; ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გაზიარებისათვის; ქვეყანაში კონკურენციის გაზრდისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის; პუი ხელს უწყობს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ზრდას, საგადასახო შემოსავლების ზრდას ბიუჯეტში და ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

თუმცა, აუცილებელია რისკების შეფასება, რომელთაგან უცხოური ინვესტიციების მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტებია: ავტონომიის დაკარგვა და ეროვნული

მოტივების ნაკლოვანება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ძირითადად გამომდინარეობს პროტექციონისტული პოლიტიკიდან. ისინი მიუთითებენ შესაძლო უცხოური კორპორაციების მონოპოლიების განვითარებაზე ქვეყანაში და მატი გავლენის ზრდას, რომელმაც მცირე ქვეყნის შემთხვევაში შესაძლოა გადააჭარბოს ქვეყნის მთავრობების გავლენასაც კი, ანუ თავისუფლების ასიმეტრია. ასევე, მოწინააღმდეგეთა არგუმენტები შეეხება ინვესტორთა არასტაბილურობას, რომლებიც ერთგვარ „ამინდის მეგობრებს“ წარმოადგენენ.

საბოლოო ჯამში, აგრეგირებული მსოფლიოსათვის, დადებითი მოვლენაა. ნებისმიერი პროცესი და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის ინვესტიციების ზრდას, ასევე აფერხებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასაც. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეზღუდვა, ცალსახად, არასწორი ნაბიჯია. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, გარკვეული ნეგატიური ფაქტორების ლიკვიდირება ან გარკვეულწილად, მათი ეფექტის შემცირება, რათა პუი-დან მიღებული მსოფლიო ბენეფიტები თანაბრად გადანაწილდეს, როგორც მიმღებ ასევეინვესტორის ქვეყანაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხილვისას, ცხარე კამათის საგანს მისი გავლენა წარმოადგენს სამუშაო ძალაზე. რომელთაგან, სამი ასპექტი გამოიყოფა: უმუშევრობის დონე, კადრების განვითარება და მათ სამუშაო გარემოზე გავლენა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორითავად უმუშევრობის მაღალი დონე და დაბალი ხელფასებია. ხოლო, მეორე მხრივ, დიდი რაოდენობის ინვესტიციების მოზიდვის შემდგომ ეკონომიკა გამოცოცხლებულია, რაც ზრდის დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობას, მათი კვალიფიკაციის დონესა და შესაბამისად, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

საბოლოო ჯამში, ეკონომიკური თეორიის მიხედვით, როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს აქვს პოზიტიური ეფექტი მიმღები ქვეყნის უმუშევრობის დონის შემცირებაზე. მოკლევადიან პერიოდში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შეიძლება განხილული იყოს, როგორც სამუშაო ადგილების შემზღუდავი და ადგილობრივი ფირმების დახურვის მიზეზი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, კონკურენციისა და პროდუქტიულობის ამაღლების ფონზე, ფართოვდება ეკონომიკა და იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილებიც.

თუმცა, თუ შევთანხმდებით,Use the "Insert Citation" button to add citations to this document. რომ კონკრეტული ქვეყნისათვის პირდაპირი უცხოურ ინვესტიციას მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე მისი არ არსებობისას, რაციონალურია რიგ ნეგატიურ ფაქტორებზე თვალის დახუჭვაც.

მიზანშეწონილია, გარკვეული ნეგატიური ფაქტორების ლიკვიდირება ან გარკვეულწილად, მათი ეფექტის შემცირება, რათა პირდაპირი უცხოური ინვესტიციიდან მიღებული მსოფლიო ბენეფიტები თანაბრად გადანაწილდეს, როგორც მიმღებ ასევე ინვესტორის ქვეყანაზე. მაგალითად, შეიძლება განიხილოს მინიმალური ხელფასის კანონი საკუთარი მუშა ხელის დასაცავად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, თავისი რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად,

# ლექცია 10: ფინანსური კაპიტალი და მისი როლი თანამედროვე ეკონომიკაში

საერთაშორისო საბანკო საქმიანობაში არსებობს რისკების სხვადასხვა ტიპები, რომელთა შორის ძირითადად გამოყოფენ: ფინანასურ, ფუნქციონალურ და სხვა გარეშე რისკებს. ფინანსური რისკები დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან აქტივებისა და პასივების მოცულობაში, შემოსავლიანობაში, ღირებულებასა და სტრუქტურაში. ფუნქციონალურ რისკს ადგილი აქვს ნებისმიერი პროდუქტის შექმნის ან მომსახურების გაწევისას. როგორც წესი, საბანკო სისტემაში ფუნქციონალური რისკების აღმოცენება იმის შედეგია, რომ შეუძლებელია დროულად და სრული მოცულობით გაკონტროლდეს საფინანსო სამეურნეო პროცესი, შეგროვდეს და გაანალიზდეს შესაბამისი ინფორმაცია. ისინი ფინანსურ რისკებზე არანაკლებ საშიშია, თუმცა, უფრო ძნელია მათი იდენტიფიცირება და რაოდენობრივად განსაზღვრა.

ლიკვიდობის რისკი ბანკის უნარია დროულად დააკმაყოფილოს მეანაბრეებისა და კრედიტორების მოთხოვნები. ლიკვიდობის რისკი განპირობებულია იმით, რომ ბანკი შესაძლოა იყოს არასაკმარისად ლიკვიდური ან ზედმეტად ლიკვიდური. არასაკმარისი ლიკვიდობის რისკის პირობებში ბანკი უძლურია დროულად შეასრულოს მისი ვალდებულებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბანკის ცალკეული აქტივების გაყიდვა არახელსაყრელი პირობებით. ჭარბი ლიკვიდობის რისკი არის ბანკის შემოსავლების დაკარგვის რისკი მაღალლიკვიდური აქტივების სიჭარბის გამო და როგორც შედეგი დაბალშმოსავლიანი აქტივების გაუმართლებელი დაფინანსება, ბანკისთვის გადასახდელი რესურსების ხარჯზე.

ფასობრივი რისკი მოიცავს რისკების მტელ ჯგუფს, რომლებიც ფუძემდებლურ რისკებს მიეკუთვნება. ფასობრივი რისკები დაკავშირებულია ბანკის შემოსავლიანობის ან ვალდებულებებისა და აქტივების ღირებულებების

გაუთვალისწინებელ ცვლილებათა შესაძლებლობასთან. ფასობრივ რისკში შედის საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, საბაზრო და სავალუტო რისკები.

საპროცენტო განაკვეტების ცვილებების რისკი, რომელიც ბანკის მოგებზე უარყოფითად მოქმედებს.

საბანკო საქმისათვის დამახასიათებელია **საბაზრო რისკი**, რომელიც საპროცენტო განაკვეთების რისკისაგან განსხვავებით დაკავშირებულია არა საპროცენტო განაკვეთის საერთო დონის ცვლილებასთან, არამედ საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებთან.

**სავალუტო რისკის** ფუნქციონირება დაკავშირებულია უცხოური ვალუტების გამოყენებით აქტივების ფორმირებასა და ნასესხები სახსრების მოზიდვასთან. იგი განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით: სავალუტო რისკზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და პოლიტიკური მოვლენები, სავალუტო რეგულირების პოლიტიკაში ცვლილებები, სოციალური დაძაბულობის ხარისხი და სხვა. შეიძლება გამოვყოთ სავალუტო რისკის სამი ძირითადი შემადგენელი: **გაცვლითი კურსის ცვლილებების რისკი**, რომელიც გამოწვეულია გაცვლითი კურსის გაუთვალისწინებელი ცვლილებებით. **კონვერტირების რისკი**, რომელიც დაკავშირებულია გაცვლითი ოპერაციების შეზღუდვებთან. **ღია სავალუტო პოზიციის რისკი**, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ბანკის აქტივები უცხოურ ვალუტაში და მისი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში ერთმანეთს არ შეესაბამება.

**საკრედიტო რისკის** კუთხით სავალუტო რისკმა შეიძლება მიგვივანოს ლიკვიდობის კრიზისამდე. სავალუტო რისკს ადგილი აქვს უცხოური ვალუტით ყველა საბალანსო და გარესაბალანსო ოპერაციისას, მაგრამ საბანკო დაწესებულებას შეუძლია გავლენა მოახდინოს თვით რისკის ფაქტორებზე და დაიცვას საკუტარი ინტერესები, რისკის დროულად განსაზღვრისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების შეზღუდვით.

საბაზრო რისკი განპირობებულია იმ საბაზრო ფაქტორთა შესაძლო ძემოქმედებით, რომლებიც გავლენას ახდენს აქტივების, პასივების ან გარესაბალანსო მუხლების ღირებულებაზე.

ცნობილია აგრეთვე **ინფლაციის რისკი**, რომელიც ბანკზე არაერთგვაროვან ზემოქმედებას ახდენს. ყველაზე უფრო ცხადად წარმიჩინდება ინფლაციის უარყოფითი ზეგავლენა საბანკო აქტივების გაუფასურების სახით, რომელთა დიდი ნაწილი წარმოადგენს ფულად სახსრებს და კაპიტალურ დაბანდებებს. ბანკი გასცემს კრედიტს, რომელიც მას უბრუნდება განსაზღვრული დროის შემდეგ ინფლაციის გაუფასურებულ ფულში.

ფუნქციონალური რისკები სხვადასხვა სიტუაციებისას აღმოცენდება. მათი გამოვლენა უფრო რთულია, ვიდრე ფინანსური რისკების, რაც განპირობებულია სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით. როგორც წესი, საბანკო დაწესებულებები ცდილობენ ფუნქციონალური რისკების მინიმიზებას შიდა აუდიტის აწყობილი მუშაობის, დოკუმენტბრუნვის სრულყოფის, ცალკეული ოპერაციების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების და შიდა მეთოდიკების დამუშავების გზით, აგრეთვე ოპერაციების რესურსული უზრუნველყოფის გათვლით.

**სტრატეგიული რისკი** დაკავშირებულია სტრატეგიულ მართვაში დაშვებულ შეცდომებთან. იგი ეხება ორგანიზაციის მიზნების არასწორ ფორმულირებასთან, მათი რეალიზების არასწორ რესურსულ უზრუნველყოფას და მთლიანობაში საბანკო საქმეში რისკის მართვისადმი არასწორ მიდგომას.

**არაეფექტიანობის რისკი** დაკავშირებულია საშიშროებასთან, როდესაც ერთმანეთს არ შეესაბამება ბანკის ოპერაციების განსახორციელებლად გაწეული ხარჯები და და მათი შედეგიანობა. ბანკში სხვა კომპანიებზე გაცილებით რთულია ზედნადები ხარჯების მართვა. ზედნადები ხარჯების რისკი მჭიდრო კავშირშია ეკონომიკური ათვისების რისკთან: იმ რისკთან, რომ არ იქნება მიღწეული ახალი საბანკო პროდუქტების, მომსახურების, ოპერაციების, ქვედანაყოფების ან ტექნოლოგიების დაგეგმილი ანაზღაურებადობა. ტავისი არსით ბანკი როგორც

საწარმო თავის პროდუქციას აწვდის ბაზარს, რის გამოც სახსრების მოზიდვა და განთავსება დაიყვანება კლიენტებისა და ბანკისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების მიღწევისთვის ბრძოლაზე.

შეუსაბამობის რისკი განპირობებულია როგორც სახელმწიფო რეგულირების პირობების გაუთვალისწინებელი ცვლილებებით, ისე შესაძლო პრობლემებით და საბანკო სისტემის მართვის და ბანკის მართვის კონტროლში. ჯერ ერთი, შეუსაბამობის რისკის შედეგად დანაკარგები შეიძლება წარმოიქმნას რეგულირებისა და ზედამხედველობის ორგანოების სანქციებთან დაკავშირებით; მეორე, შეიძლება დაზარალდეს ბანკის რეპუტაცია; მესამე, ზარალი შეიძლება აღმოცენდეს ხელიდან გაშვებული მოგების შედეგად ან პირდაპირი დანაკარგებიდან საბანკო საქმოიანობის სპექტრის შეზღუდვის ან ოპერაციების შემოსავლიანობის შემცირების გამო. რისკის მოცემული სახეობა დაკავშირებულია ბანკის შესაძლო უუნარობასთან შეინარჩუნოს თავისი რეპუტაცია, როგორც საიმედო საქმიანმა პარტნიორმა.

კომერციული ბანკი აკრედიტებს რა კლიენტის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძნას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკრედიტო რისკი. შეძლებს კი მსესხებელი დროულად და სრულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები? ბანკის შფასებიდან გამომდინარე, მოვლენათა არასასურველი განვიტარების ალბათობის მიმართ ბანკმა ფულადი კომპენსაციების სიდიდე უნდა განსაზღვროს. თანაც, საუბარია არა პირდაპირ კომპენსაციაზე არახელსაყრელი მოვლენის დადგომის გამო, არამედ - ფასწარმოქმნაზე რისკის გათვალისწინებით, როდესაც საპროცენტო განაკვეთის მოცულობაში გათვალისწინებულია კრედიტების მიხედვით დანაკარგების ალბათობა.

საქართველოში საბანკო რეფორმების პროცესის წარმატებით განხორციელება უშუალოდ კავშირშია ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტებასთან. საკრედიტო პოლიტიკაში წარმატებები დამოკიდებულია მსესხებლის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღებაზე, რომელიც გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

საქართველოში პირველი საკრედიტო საინფორმაციო ბიურო 2006 წელს დაფუძნდა. დამფუძნებლები არიან „თიბისი ბანკი“, საქართველოს ბანკი“, პროკრედიტ ბანკი“, ეროვნული საკრედიტო ბიურო, „კრედიტ ინფო საქართველო“ ისლანდიიდან. საინფორმაციო ბიუროს ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქვეყნის საბანკო სექტორის განვითარებისათვის, რადგან საინფორმაციო ბიუროს არსებობის შემთხვევაში მცირდება კრედიტის გაცემის რისკი, რაც თავის მხრივ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ფაქტორსაც წარმოადგენს.

ქვეყნის ეროვნული ბანკის ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საბანკო სისტემისადმი ნდობის უზრუნველყოფასთან ერთად მოსახლეობის დანაზოგების დაცვა.

დეპოზიტების მასობრივად და ერთბაშად გამოტანამ შეიძლება ბანკი გაკოტრებამდე მიიყვანოს. აღნიშნულთან დაკავშირებით მეტად აქტუალურია ბანკში განთავსებული დეპოზიტების დაზღვევის კანონის მიღება. საბანკო საქმიანობაშ რისკების რეგულირების წესის სრულყოფა უნდა განხორციელდეს:

- კაპიტალის მოცულობის გაანგარიშების დაზუსტებით და საკუთარი რისკების მოცულობის გათვალისწინებით;
- კაპიტალის ადეკვატურობის ნორმატივებში მაქსიმალურად უნდა იქნეს შეტანილი პოტენციური რისკების შედეგების სიდიდე.

უკანასკნელ პერიოდში საბანკო საქმეში ფართო განვითარება ჰპოვა საოპერაციო რისკმა, რომლის გამომწვევი მიზეზები ოთხ ჯგუფად იყოფა:

1. არაეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა;
2. ბანკის პერიოდზე გაპიროვნებული ფუნქციებისა და მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება;
3. ბანკის ტექნიკური სისტემების გაუმართავი მუშაობა;
4. გარე ფაქტორების ზემოქმედება.

შიდა კონტროლის სისტემის ძირითადი პრინციპებია:

- თანამშომელთა მოვალეობის სათანადო გამიჯვნა და ორმაგი კონტროლის სისტემა;
- საკადრო პოლიტიკა, თანამშრომელთა როტაცია და სავალდებულო შვებულებები;
- შიდა აუდიტის ადეკვატური სისტემა.
- ეფექტიანი შიდა კონტროლის არსებობა. ასევე თითოეულ კომერციულ ბანკში უნდა არსებობდეს ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელსაც შესაბამის მონიტორინგს გაუწევს ყველა სახის ფინანსურ რისკს, მათ შორის განსაზღვრავს და დროულად აღმოფხვრის საოპერაციორისკის გამომწვევ მიზეზებს;
- ბანკს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზა (პოლიტიკა და პროცედურები), რაც უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურ მუშაობას და ბანკის მენეჯმენტის საშუალებას მისცემს დააწესოს მუდმივი მონიტორინგი მის განუყრელ დაცვასა და შესრულებაზე;
- ბანკებმა უნდა დანერგონ საოპერაციო რისკით გამოწვეული შესაძლო დანაკარგების რეზერვირების სისტემა, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც მოსალოდნელი ისე გაუთვალისწინებელი დანაკარგები;
- ბანკებმა უნდა შემოიღონ საოპერაციო რისკის დროული და სწორი ანალიზისთვის გარკვეული ნორმატივები;
- ბანკმა უნდა დააზღვიოს როგორც საბანკო ოპერაციები, ისე პერსონალის არაჯეროვანიქმედებიდან გამომდინარე შესაძლო დანაკარგები რომელიმე წამყვან საერთაშორისო სადზღვევო კომპანიაში;
- სასურველია ბანკის მენეჯმენტმა განახორციელოს საოპერაციო რისკით გამოჭვეული ზარალის გადაფარვა სპეციალური რეზერვების შექმნის გზით, საბანკო პრაქტიკაში ფართოდ  გავრცელებული საბანკო დაზღვევის მექანიზმის გათვალისწინებით.

კომერციული ბანკების რისკების მართვის მექანიზმი ბაზელის კომიტეტის მოთხოვნათა გათვალისწინებით გულისხმობს:

- საბანკო რისკების გამოვლენისა და მათ დროულ იდენტიფიცირებას, კონტროლის დაწესებასა და მართვას;
- საკრედიტო დაბანდებების დასაშვები მოცულობის და საკრედიტო კონცენტრაციების განსაზღვრას;
- საკრედიტო ლიმიტების ფორმირებას კონცენტრირებული საკრედიტო პორტფელის რეგულირებით.

საბანკო საქმიანობის სრულყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანას საბანკო რისკების დროული იდენტიფიცირება, მათი განსაზღვრა, შესაბამისი კონტროლის დაწესება და სწორი მართვა წარმოადგენს.

რისკების განსაკუთრებით კი საკრედიტო რისკის დივერსიფიკაცია წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. სწორედ ის ბანკები, სადაც საკრედიტო რისკების დიდი კონცენტრაცია შეიმჩნევა ხშირ შემთხვევაში სერიოზული ფინანსური პრობლემების მატარებელი ხდებიან.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბანკი, რომელსაც გააჩნია კონცენტრირებული საკრედიტო პორტფელი შესაბამისად უფრო მეტად არის რისკების მატარებელი, ვიდრე ბანკი, რომელიც დივერსიფიცირებული პორტფელით ხასიათდება.

საკრედიტო კონცენტრაციები შეიძლება იყოს:

- კონცენტრაციები, სადაც ერთიანდება დაბანდება ერთ მსესხებელზე ან დაკავშირებულ ჯგუფებზე;
- კონცენტრაციები, რომლებიც დაფუძნებულია საბაზრო რისკების ფაქტორებზე;
- მსხვილი კონცენტრაციები, რომლებიც თავმოყრილია ეკონომიკის რომელიმე ერთ დარგში ან გეოგრაფიულ ზონაში.

რისკის მართვის პროცესი რეგულირდება მენეჯმენტის სხვადასხვა დონეზე. ვერტიკალური პროცესი გულისხმობს კოორდინირებას ბანკის გლობალურ მიზნებსა და ბიზნეს-გადაწყვეტილებებს შორის. რისკის მართვის ჰორიზონტალური პროცესი კი გულისხმობს რისკისა და შემოსავლების შედეგების შედარებას დასახულ მომგებიანობასთან.

რისკის მართვის ჰორიზონტალური პროცესები 3 ნაწილად იყოფა:

- რისკი-შემოსავლის დირექტივების განსაზღვრა;
- რისკი-შემოსავლის გადაწყვეტილებების მიღება;
- რისკი-შემოსავლის მონიტორინგი.

რისკის მართვის პროცესი შეიცავს ყველა საჭირო მენეჯერულ ქმედებას, რომელიც საჭიროა იმ ოპერაციებზე გადაწყვეტილებების მიღების და მონიტორინგისთვის, რომლებიც გავლენას ახდენენ ტრანსაქციების რისკი-შემოსავლის პროფილზე. სუბპორტფელების და მთლიანად საბანკო პორტფელზე. აღნიშნულ პროცესში რისკ-მენეჯმენტი აერთიანებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ პროცესს და კოორდინაციას უწევს მათ გამართულ მუშაობას ისე, რომ მენეჯმენტიდან წამოსული დირექტივები დაყვანილ იქნეს თანაბრად ტრანსაქციას უშუალო შემსრულებლებამდე.

ვერტიკალური პროცესი იწყება შემოსავლის დასახული მიზნის დადგენითა და რისკის ლიმიტების განსაზღვრი, რომლებიც შემდგომ გადაეცემა ბანკის კონკრეტულ აღმასრულებებლ სტრუქტურებს.

ჰორიზონტალურ დონეზე განხორციელებული რისკის მართვის პროცესის ძირითადი პრინციპებია: რისკების ლიმიტების დადგენა, ფუნქციების დელეგირება და შემოსავლის მიზნების შესაბამისობაში მოყვანა დირექტივების, ანგარიშგებებისა და მაკორექტირებელი ქმედებების საშუალებით.

მეორე პროცესი - გადაწყვეტილების მიღება.

გადაწყვეტილების მიღება რისკის მართვის პროცესში მოიცავს როგორც ჩვეულებრივ სამუშაო საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებას, ისევე პორტფელურ

გადაწყვეტილებებს. ჰეჯირების გადაწყვეტილებები ხშირად ცვლიან რისკი-შემოსავლის პროფილს. გადაწყვეტილებები ეხება როგორც საბალანსო ოპერაციებს, ისე არასაბალანსო ოპერაციებსაც. რისკი-შემოსავლის თვალსაზრისის გარეშ ბანკის საოპერაციო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ე.წ. „ახლომხედველობის“ ეფექტი, რაც მოკლე ვადაში მოგების მიღაბის გათვლით რისკების შეუფასებლობას გულისხმობს.

საბალანსო ოპერაციები უკავშირედება როგორც ახალ ბუზინესს, ისე უკვე არსებულ პორტფელს. ბიზნესის ახალ სფეროში განვითარებამ შეიძლება ბანკს მოუტანოს ახალი შემოსავლები, მაგრამ მას თან ახლავს აგრეთვე ახალი ტიპის რისკები.

რისკის მართვის სამსახურების ფუნქცია ითვალისწინებს აქტიურ მონაწილეობას ნებისმიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ვეტოს უფლების გამოყენებით, ანუ მათ შეუძლიათ ნებისმიერი ტრანსაქციის შეჩერება შესაბამისი რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით.

რისკის მართვის სამსახური დღესდღეისობით მთავარ როლს ასრულებს საბანკო პორტფელის განვითარებაში. მას გააჩნია საზედამხედველო ფუნქცია, რათა მოახდინოს რეაგირება პორტფელის ნებისმიერ ბალანსის დარღვევაზე და გამოასწოროს რისკი-შემოსავლის პროფილი.

რისკის ეფექტიანად მართვისთვის აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართული მუშაობა. როგორც წესი, მონაცემები რისკის შესახებ ყოველდღიურად იზრდება და მათი დამუშავება უფრო რთულდება, ხოლო რისკის მართვის ახალი მოდელების დანერგვას ესაჭიროება პროგრამული უზრუნველყოფა.

რისკის მართვის ახალ მეთოდებს თან ახლავს მენეჯერისთვის ჯერ კიდევ უცნობი დეტალები. არადა მისი გასაგები და მარტივი სახით გადმოცემა ბანკის მენეჯმენტისთვის მთავარია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რომელიმე რგოლის მენეჯერმა შეიძლება მოახდინოს ნებისმიერი აქპექტის იგნორირება დროის სიმცირის გამო.

კომერციული ბანკის ეფექტიანი მუშაობა რისკისა და შემოსავლის სწორად შერჩეულ თანაფარდობაზე არის დამოკიდებული. რისკი ყველა სახის აქტიური და პასიური ოპერაციებიდან მოსალოდნელი შემოსავლის ნაირსახეობასთან არის დაკავშირებული და იგი იმის ალბათობას წარმოადგენს, რომ ეკონომიკურმა პრობლემებმა ბანკის საქმიანობის მაჩვენებელზე და ფინანსურ მდგომარეობაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. ამიტომ ბანკის ოპერაციების დაგეგმვისას, თითოეული სახის აქტიური ოპერაციისა და რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობის სარგებლიანობა და დანახარჯები უნდა იქნეს განსაზღვრული, რომლებიც ბანკის მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებისთვის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის დაცვისათვის არის აუცილებელი.

კომერციული ბანკის მესაკუთრეებისა და მენეჯმენტის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- საბანკო ინდუსტრიის სტაბილური განვითარება;
- ბანკებში რისკების მიხედვით კაპიტალის მოთხოვნის დაწესება;
- ბაზარზე „თამაშის წესების“ უზრუნველყოფა;
- აღნიშნულ ქმედებებზე ზედამხედველობის განხორციელება.

ტრადიციურად ბანკის მესვეურები აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად იყენებენ კონსერვატორულ მიდგომას, რასაც ხშირად მივყავართ ლიმიტირებულ კონკურენციასთან, იმის გამო, რომ ბაზრის ყველა მოთამაშეს არ გააჩნია ერთნაირი შესაძლებლობები. ასე მაგალითად, კომერციული ბანკებისა და შმნახველი დაწესებულებების ერთმანეთისაგან გამოყოფა. თუმცა, თანამედროვე ეპოქაში ინოვაციების გააქტიურებასთან ერთად აღნიშნული წესებიც ნელ-ნელა იცვლება, რაც კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს გააფართოვონ თავიანთი საქმიანობის სფერო იმ დარგებში, სადაც ადრე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

როგორც წესი, საბანკო რისკების მართვის პროცესის კრიტიკული განხილვა მნიშვნელოვანია ბანკის რენტაბელობის დონის ასამაღლებლად სწორედ ამიტომ ბანკის თითოეული მუშაკი ვალდებულია აკონტროლოს მისი რისკ-ფაქტორები.

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო ლიკვიდობასა და საბაზრო რისკებს, ეს უკანასკნელი იყოფა სავაჭრო და არა სავაჭრო რისკებად, და ასევე, ექვემდებარება საოპერაციო რისკს.

როგორც წესი, რისკის მენეჯმენტის სტრუქტურა შედგება შემდეგი ერთეულებისაგან:

- სამეთვალყურეო საბჭო - პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებასა და კონტროლზე. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვაზე. რისკის სტრატეგიების პრინციპების შემუშავებაზე.
- აუდიტის კომიტეტი - ასევე მთლიანადაა პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიისა და განსახორციელებელი პრინციპების, პოლიტიკისა და შეზღუდვების შემუშავებაზე. იგი პასუხისმგებელია რისკის ფუნდამენტალურ პრობლემებზე და მონიტორინგს უწევს რისკის მართვასთან დაკავშირებული შესაბამის გადაწყვეტილებებს.
- ბანკის ხაზინა - პასუხისმგებელია ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებზე და მთლიანად ფინანსურ სტრუქტურაზე. თანაც პასუხისმგებელია ბანკის დაფინანსებისა და ლიკვიდობის რისკებზე.
- შიდა აუდიტი - ბანკში რისკის მართვის პროცესის აუდიტი ხდება ყოველწლიურად შიდა აუდიტის მიერ, რომელიც ამოწმებს პროცედურათა ადეკვატურობას, ისე მოცემულ პროცედურებთან ბანკის შესაბამისობას. შიდა აუდიტი განიხილავს ყველა სახის შეფასებას მენეჯმენტთან და აუდიტის კომიტეტს გადასცემს მოძიებულ მტკიცებულებებსა და რეკომენდაციებს.

საბანკო რისკების შეფასება ხდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომლებიც ასახავს სავარაუდო ზარალს ბიზნესის ჩვეულებრივი კურსით მსვლელობისას და მოულოდნელ ზარალსაც, რომლის განსაზღვრაც ხდება სტატისტიკური მოდელებით.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი შეზღუდვების ფარგლებში, რომლებიც ასახავს საბანკო ბიზნესის სტრატეგიასა და საბაზრო გარემოს. ასევე რისკის იმ დონეს, რომელსაც ბანკი იღებს არჩეული საქმიანობის სფეროში დამატებითი ძალისხმევის ჩადებით. ამასთან, ბანკი ახორციელებს ყველა ტიპის რისკის მონიტორინგსა და შეფასებას.

იმისათვის, რომ სრულყოფილი წარმოდგენა გვქონდეს საქართველოს საბანკო სისტემის რისკების მდგომარეობაზე, მიზანშეწონილია მოკლედ განვიხილოთ ბანკის რისკებთან დაკავშირებული მთავარი პრობლემები.

როგორც წესი, საბანკო რისკის მართვის პროცესის კრიტიკული განხილვა მნიშვნელოვანია ბანკის რენტაბელობის დონის ასამაღლებლად. სწორედ ამიტომ ბანკის თითოეული მუშაკი ვალდებულია აკონტროლოს მისი რისკ-ფაქტორები.

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო ლიკვიდობასა და საბაზრო რისკებს, ეს უკანასკნელი იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად, და ასევე, ექვემდებარება საოპერაციო რისკს.

ცალკე უნდა შევეხოთ საკრედიტო რისკს, რომელიც იწვევს ზარალს იმის გამო, რომ მის მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან კონტრაქტორებმა არ შეასრულეს მათთვის დაკისრებული საკონტრაქტო ვალდებულებები. ბანკი საკრედიტო რისკის მართვას ახერხებს იმით, რომ აწესებს შეზღუდვებს რისკის იმ მოცულობაზე, რომლის მართვაც მას შეუძლია ინდივიდების სახით წარმოდგენილი კონტრაქტორი მხარეებისაგან და გეოგრაფიული თუ საქმიანობის სფეროს სფეციფიკიდან გამომდინარე მიმართებაში.

საკრედიტო რისკის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბანკის მსესხებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. საქართველოს ეკონომიკის არადამაკმაყოფილებელი განვითარებიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკის შეფასებისას ბანკს უწევს არა მხოლოდ მსესხებელის კრედიტუნარიანობის, არამედ

ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის მოულოდნელი ცვლილებების განსაზღვრა - როგორც ერთ-ერთი საფუძველი გაცემული კრედიტის გადაუხდელობისა.

როგორც წესი, ბანკი თავის მომხმარებლებს უზრუნველყოფს გარანტიებით, რომელთა საფუძველზეც იგი აანზღაურებს მომხმარებელთა მოთხოვნებს. ამგვარი გადახდელების აკრეფა მომხმარებლებისაგან წარმოებს აკრედიტივების საშუალებით. რაც ბანკისთვის წარმოშობს გარკვეული სიდიდის საკრედიტო რისკს, რომელთა შერბილება ხდება იგივე კონტროლის პოლიტიკითა და სათანადო პროცესებით.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის გამოცდილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ კომერციული საბანკო სექტორი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია, ურომისოდაც შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის აღმავლობა. სწორედ ამიტომ რისკის მართვა ბანკებში სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა, თუნდაც იმიტომ რომ დღევანდელი რისკი ხვალინდელი პოტენციური დანაკარგია.

ფინანსურ ურთიერთობებში რისკი და შემოსავალი ერთი და იმავე პროცესის ორი მხარეა. ძალიან ადვილია გაასესხო თანხა და მიიღო შემოსავალი რისკიანი მსესხებლისგან, მაგრამ ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ ოპერაციას აქვს ფასი და ეს ფასი სწორედ გაწეული რისკია, რომელიც გაცილებით მაღალი შეიძლება იყოს იმ საბანკო დაწესებულების რისკთან შედარებით, რომელიც უფრო ფრთხილ და გონივრულ საკრედიტო პოლიტიკას ატარებს, რაც გამოიხატება რისკების ლიმიტში.

2008-2009 წლებში საქართველოს საფინანსო სისტემას დაძაბული საგარეო ფონის პირობებში უწევდა ოპერირება. ამ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფინანსური კრიზისი ვითარდებოდა. მსოფლიო ფინანსური კრიზისის ანალიზი მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს საფინანსო სექტორზე ზეგავლენის შეფასების კუთხით, არამედ იმითაც, რომ კრიზისმა მნიშვნელოვანი რეფორმების ინიცირება გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ეს ეხება როგორც ფინანსური ბაზრების ზედამხედველობას, ისე მიდგომებს ფინანსური სტაბილურობისადმი.

მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე დაძაბულობა, რომელიც 2007 წლის აგვისტოს ე.წ. "საბპრაიმ" კრიზისით დაიწყო, საწყის ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკაზე შეზღუდულ გავლენას ახდენდა. ფინანსური დაძაბულობის მიზეზი უძრავი ქონების i იყო, რომლის მნიშვნელოვან ზრდას ახალი ფინანსური ინსტრუმენტები უწყობდა ხელს. ფინანსური ინსტრუმენტების სწრაფი ზრდის მაკროეკონომიკურ საფუძველს ქმნიდა გლობალური დაუბალანსებლობა, რომელიც განვითარებადი ქვეყნების მაღალი დანაზოგებით და კაპიტალის შეედინებით (მათ შორის პირდაპირი ინვესტიციების სახით) იყო გამოწვეული. განვითარებადი ქვეყნების მთავრობები, ინვესტიციების ათვისების დაბალი შესაძლებლობების გამო და თავიანთი ეკონომიკების "გადახურების" თავიდან ასაცილებლად, დანაზოგებს ძირითადად განვითარებული ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე, დაბალ რისკიან სახელმწიფო ვალდებულებებში ანთავსებდნენ. ეს პროცესი განვითარებული ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე გრძელვადიან დაბალრისკიან აქტივებზე პროცენტების შემცირებას იწვევდა, რაც ბაზრის მოცემულ სეგმენტზე ავიწროვებდა განვითარებული ქვეყნების კომერციულ ბანკებს. ამასთან, განვითარებული ქვეყნების ბანკები დაბალრისკიანი ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ძალიან დაბალ მოგებას მოღებდნენ და ვერ უწევდნენ კონკურენციას განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ინვესტორებს, რომელთათვისაც მოგების მიღება მეორეხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა. განვითარებული ქვეყნების კომერციულმა ბანკებმა დაბალრისკიანი ოპერაციებიდან შემცირებული მოგების დასაბალანსებლად ახალი ინსტრუმენტების შექმნა დაიწყეს, რომლებიც ერთი შეხედვით დაბალი რისკის მახასიათებელი აქტივების რეპლიკაციას ახდენდა.

სეკურიტიზაცია და სტრუქტურირებული ფინანსური ინსტრუმენტები აღმოჩნდა ის საშუალება, რომლითაც ნებისმიერი მაღალრისკიანი აქტივებიდან, მათ შორის ჩვეულებრივი არალიკვიდური სესხებიდანაც, დაბალრისკიანი და ლიკვიდური ფინანსური აქტივების სინთეზირება გახდა შესაძლებელი.

ამ პროცესის ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ ფინანსური ინსტიტუტები პრაქტიკულად შეუზღუდავ ფონდებს აწვდიდნენ უძრავი ქონების ბაზარს, რომელიც ფასების ზრდის ფაზის გაგრძელების გამო, დიდწილად სპეკულაციური გახდა.

რისკიანი აქტივებიდან დაბალრისკიანი ფინანსური აქტივების შექმნის იდეა ეფუძნება სტატისტიკურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც იდიოსინკრატული რისკის შემცირება დივერსიფიცირების მეშვეობითაა შესაძლებელი. ასევე შესაძლებელია რისკიანი აქტივების სტრუქტურირება და მათგან ისეთი ფულადი ნაკადების მიღება, რომლებიც უფრო დაბალი რისკის მატარებელი იქნება.

უზრუნველყოფილი სავალო ვალდებულებების ბაზარი ბოლო ათწლეულში სწრაფად იზრდებოდა. ეს ინსტრუმენტი არის აქტივების კლასის ისეთი ფართო ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც ცნობილია საკრედიტო დერივატივების სახით და ხელს უწყობს ბაზრის სხვადასხვა მონაწილეებს შორის საკრედიტო რისკის გადანაწილებას. ისევე, როგორც ნებისმიერი დერივატივი, ის შექმნილია იმისთვის, რომ პირობითი მოთხოვნების გაფართოების გზით, დაზღვევის შესაძლებლობები გაზარდოს და ფინანსური ბაზარი გახდეს უფრო სრული. თუმცა, ისევე როგორც ნებისმიერმა ფინანსურმა ინსტრუმენტმა, რომლის ფასი არასწორად განისაზღვრა, მან შეიძლება ბაზარზე რესურსების არაეფექტიანი გადანაწილება გამოიწვიოს.

ბანკების აქტივების ისეთი ნაწილი, როგორიცაა სესხები კორპორატიულ სექტორზე, იპოთეკური სესხები, ავტო სესხები და სხვა, საკმაოდ არალიკვიდური აქტივებია და მათთვის ნაკლებად თუ არსებობს მეორადი ბაზარი. ამიტომ ბანკისთვის ძალიან რთულია ამ აქტივების გასხვისება, და იგი იძულებულია დაელოდოს ფულად შემოდინებებს კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე. არალიკვიდურობის პრობლემის გადაჭრის გზას შეიძლება წარმოადგენდეს სეკურიტიზაცია, რომლის მთავარი იდეაც არის დიდი ოდენობით არალიკვიდური სესხების შეკვრა ახალ "სუპერ ფასიან ქაღალდში". ამ ფასიან ქაღალდზე საკუთრების გადაცემა ხდება სპეციალური მიზნების ინსტრუმენტის მეშვეობით (SPV - Special Purpose Vehicle). ბანკი ღებულობს ფულად

შემოდინებას SPV-სგან, რაც უდრის მასში გაერთიანებული სესხებიდან, მომავალში მისაღები ფულადი შემოდინებების დღევანდელ ღირებულებას. ეს მექანიზმი ათავისუფლებს კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც კაპიტალის ადეკვატურობის რეგულირებიდან გამომდინარე, ვამ აქტივების მიმართ იყო დაკავებული. საკრედიტო რისკი მთლიანად გადაეცემა SPV-ს, ხოლო ბანკი გადახდების შეგროვებითა და გადანაწილებით არის დაკავებული. გადახდების შეწყვეტა და დეფოლტი გავლენას ახდენს მხოლოდ ზე და არა აქტივების შემქმნელ ბანკზე. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ბანკებს, გარკვეულ სტრესულ ვითარებაში, რისი ალბათობაც ძალზედ მცირედ იყო შეფასებული, ამ პროდუქტების გამოსყიდვის ვალდებულება გააჩნდათ.

თავის მხრივ SPV-ის მოთხოვნები იყიდებოდა ინვესტორებზე და გარკვეული წესების მიხედვით სხვადასხვა ტრანშებში ნაწილდებოდა (ყველაზე სარისკოს ერქვა "კაპიტალი"). ტრანშები დაყოფილი იყო მათი უპირატესობის ხარისხის მიხედვით. SPV-დან ფულად შემოსავლებზე უპირატესი მოთხოვნა ყველაზე მაღალ ტრანშს (Senior Tranche) გააჩნია. თუკი მოხდა დეფოლტი, უპირატესი ტრანშისთვის ფულადი შემოდინებები გაგრძელდება უფრო დაბალი დონის საშუალო და კაპიტალის ტრანშების ხარჯზე (mezzanine and equyy tranches).

ეს პრაქტიკა კიდევ უფრო წინ წავიდა და ფინანსური ნაკადების სტრუქტურირება შემდგომში კიდევ გრძელდებოდა. ხშირად, საშუალო (mezzanine) ტრანშის და რეიტინგის მქონე ფასიანი ქაღალდების პორტფელიდან ახალი SPV-ის შექმნა ხდებოდა და ახალი ტრანშები გამოიყოფოდა, მათ შორის მაღალი ტრანშით, რომელსაც საუკეთესო რეიტინგი ჰქონდა. სარეიტინგო სააგენტოები სხვადასხვა ტრანშის რეიტინგს დეფოლტის რისკის მიხედვით ადგენდნენ. CDO-ს (უზრუნველყოფილის ავალო ვალდებულების) შეფასება ხდება მათემატიკური ფორმულებისა და სიმულაციების მეშვეობით. ფაქტობრივად, სხვადასხვა ტრანშები წარმოადგენს დერივატივებს, რომელთა ღირებულება კომპლექსური მათემატიკური მოდელების მეშვეობით შეიძლება იქნას გამოთვლილი, ასეთი მოდელების

ადეკვატურობა კი მთელ რიგ დაშვებებზეა დამოკიდებული.

მნიშვნელოვანი პრობლემა, რამაც მოდელებით მიღებული შეფასებების არაადეკვატურობა გამოიწვია, იყო არასწორი დაშვებები პორტფელში შემავალი აქტივების დეფოლტების კორელაციის შესახებ. ნორმალური ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში სესხების დეფოლტები ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული (ერთი მსესხებლის დეფოლტი არ არის კავშირში მეორე მსესხებლის დეფოლტთან), რაც დაბალ კორელაციას ნიშნავს. თუმცა სისტემური კრიზის დროს კორელაცია იზრდება და ბევრი სესხის დეფოლტი ერთდროულად ხდება. კორელაციის ზრდას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ტრანშების რისკიანობის ასიმეტრიულ ცვლილებასთან. მოსალოდნელი დანაკარგი მაღალი ტრანშის (Senior Tranche) მქონე ფასიანი ქაღალდისათვის იწყებს ზრდას და დაბალი ტრანშის მოსალოდნელი დანაკარგი იწყებს შემცირებას (ზღვრულად, როდესაც კორელაცია ერთისაკენ მიისწრაფვის, მოსალოდნელი დანაკარგი სხვადასხვა ტრანშისათვის ერთი და იგივე ხდება). ანუ სტრუქტურირებული ფინანსების მეშვეობით, სინთეტიკურად მიღებულ დაბალრისკიან და მაღალრისკიან ქაღალდებს შორის განსხვავება პრაქტიკულად ქრება. სისტემური კრიზისის დაწყება და დეფოლტის კორელაციების უეცარი ზრდა გახდა AAA რეიტინგის CDO-ების გადაფასების მთავარი მიზეზი.

ეკონომიკური აღმავლობის დროს მოცემული ფინანსური ინსტრუმენტები მართლაც დაბალი რისკით ხასიათდებოდა, თუმცა სისტემური რისკის მიმართ ისინი ძალიან მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ.

ფინანსური ბაზრის ეკონომიკური ამოცანაა რისკის შეფასება და რესურსების გადანაწილება პარეტო ოპტიმალური შედეგის მისაღწევად. თუმცა როგორც აღმოჩნდა, რთულ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, ფინანსურმა ბაზარმა ამ ფუნქციის შესრულებისას მარცხი განიცადა და რისკის მართვის ნაცვლად დამატებითი რისკი შექმნა. ამ მარცხის უპირველესი მიზეზი იყო ახალი ინსტრუმენტების გაუმჭვირვალობა, რაც მათი ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარეობდა. ანუ, ბევრი

საკრედიტო დერივატივი, რომელიც სტრუქტურირებული ფინანსებით მიიღება, იმდენად რთული იყო, რომ ბაზრისათვის ძნელი აღმოჩნდა სრულყოფილად გაეანალიზებინა მასთან ასოცირებული რისკები და ხშირ შემთხვევაში ინვესტორები, მთლიანად სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებს ეყრდნობოდნენ, რამაც ბაზრის მონაწილეების ე.წ. "ჯოგურ ქცევას" შეუწყო ხელი.

თავის მხრივ, სარეიტინგო სააგენტოების მიერ რისკების არაადეკვატურად შეფასებების მთავარი მიზეზი მისი პროციკლურობა იყო, რაც მაკროეკონომიკური ფაქტორების გაუთვალისწინებლობის შედეგია. მოდელები, რომლებიც რისკების შეფასებისას სტრეს ტესტირებისათვის გამოიყენებოდა, უმეტესწილად ბიზნეს ციკლის მხოლოდ აღმავალი პერიოდის მონაცემებს ეყრდნობოდა. ფასიანი ქაღალდები, რომელიც თითქმის ურისკოდ იყო შეფასებული (AAA რეიტინგი), რეალურად ძალიან დიდი რისკების მატარებელი აღმოჩნდა.

ასევე საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვანი საზედამხედველო "ხარვეზი", რომელმაც სეკურიტიზაციის ცუდი პრაქტიკის გამოყენებას შეუწყო ხელი, საბაზრო რისკისათვის არაადევატური კაპიტალის მოთხოვნა იყო. ბანკის ბალანსზე არსებულის ესხი მაღალი კაპიტალის მოთხოვნის ობიექტია, თუმცა, მისი სეკურიტიზაციის და გაყიდვის შემდეგ, ის ბანკის სავაჭრო ფასიან ქაღალდებში ხვდება, რაც თავის მხრივ, ნაკლებ კაპიტალს მოითხოვს. სეკურიტიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები და კაპიტალი კვლავ სესხების გაცემას ხმარდება. ეს საზედამხედველო არბიტრაჟი ბანკებს აძლევდა საშუალებას რისკის პროფილი კაპიტალის ზრდის გარეშე გაეზარდათ. ის ზედამხედველებიც კი, რომლებიც ყველაზე უფრო განვითარებულ საზედამხედველო პრაქტიკას იყენებდენ, ფინანსურ შუამავლობაში ინოვაციებს ჩამორჩებოდნენ. ამან კი საშუალება მისცა ფინანსურ ინსტიტუტებს საზედამხედველო არბიტრაჟისათვის ახალი, რთული ინსტრუმენტები გამოეყენებინათ.

ფინანსური სექტორი ყველაზე მაღალი ლევერეჯის მქონე ინდუსტრიაა და შეზღუდული პასუხისმგებლობის გამო, არარენტაბელურობის შემთხვევაში,

მონაწილეთა ინიციატივები ისე არის სტრუქტურირებული, რომ ისინი საზოგადოებრივი ინტერესებისაგან მკვეთრად განსხვავდება. სწორედ მოცემული განსხვავება არის ფინანსური ბაზრის ექსტერნალურობის და ზედამხედველობის აუცილებლობის ერთ-ერთი მიზეზი. ახალი ფინანსური ინსტრუმენტები და ფინანსური ბაზრების დერეგულირების ფილოსოფია, რომელიც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ზედამხედველობის ჩარჩოზე, მორალურს აფრთხეს ზრდიდა ფინანსურ ინსტიტუტებში. შეცვლილმა ინიციატივებმა ხელი შეუწყო ბანკებს გარკვეულ რისკებზე წასულიყვნენ. ბანკებმა თანდათან დაიწყეს მაღალი რისკის აღება და ზედამხედველობაში "ხარვეზების" გამოყენება, რითაც უარყოფით რისკის რეალიზაციის შემთხვევაში, მთელი დატვირთვა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ბადეზე (public safety net) გადიოდა. თავის მხრივ, მენეჯმენტის ანაზღაურების სქემები წაახალისებდა მათთვის გრძელვადიანი რისკების ფასად მოკლევადიანი სარგებლის მიღებას.

ყოველივე ამან გამოიწვია ფინანსურ სექტორში მნიშვნელოვანი რისკების აკუმულირება, რომელთა რეალიზაციას და მნიშვნელოვან ფინასნურ კრიზისში გადაზრდას "სამბპრაიმ" ბაზარზე შექმნილმა პრობლემებმა უბიძგა. "სამპრაიმ" კრიზისის შედეგად, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი აქტივების რისკები გაიზარდა, ხოლო ასეთი აქტივების რეიტინგი გაუარესდა. აღმოჩნდა, რომ ბანკებმა გარკვეული აქტივები ნაყიდი ჰქონდათ ძალიან მაღალ ფასად, ზოგიერთ შემთხვევაში კი ბანკებს გაყიდული აქტივების სტრესულ ვითარებაში გამოსყიდვის ვალდებულებაც ჰქონდათ. გადაფასების შემდგომ ბანკების ბალანსში აქტივების ღირებულება მკვეთრად შემცირდა და ეჭქვეშ დადგა მათი გადახდისუნარიანობის საკითხი.

ერთ წელზე მეტი ხნის პერიოდში "საბპრაიმ" კრიზისის მიერ ინიცირებული პროცესის გავრცელებას ნაწილობრივ ხელს უშლიდა სამთავრობო ღონისძიებები და ბაზრის მონაწილეთა თვითდაჯერებულობა (ის, რომ ბევრის აფინანსო ინსტიტუტი

ძალიან დიდია იმისათვის, რომ "წაიქცეს"), მაგრამ სიტუაცია 2008 წლის სექტემბერში შეიცვალა, როდესაც აშშ-ის მთავრობამ მსხვილი საინვესტიციო ბანკის "ლემან ბრაზერსის" გაკოტრება დაუშვა. ამ ფაქტმა კი ბაზარზე უზარმაზარი ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია, რასაც შედეგად ფინანსური ინსტიტუტების გადახდისუუნარობის რისკის მასობრივი გადაფასება მოჰყვა. იმის გამო, რომ უცნობი იყო "ვინ იქნება შემდეგი" და ვის რა პრობლემები აქვს "დაფარული" ბალანსში, ძალიან შემცირდა ბანკებს შორის კაპიტალის მიმოქცევა, რამაც დასაბამი მისცა ლიკვიდობის კრიზისის სპირალის დაწყებას. სისტემური ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრების ჯაჭვი და რისკების ზრდა, გახდა იმის მიზეზი, რომ ბანკთაშორის ბაზარზე ვაჭრობა პრაქტიკულად შეწყდა. ადგილი ჰქონდა დაბალრისკიან აქტივებში მასობრივ ინვესტირებას (Flight to Quality), აქტივების დაბალ ფასებში გაყიდვას და ლევერეჯის დონის არაორგანიზირებულ შემცირებას. რეალურ სექტორზე გაცემულ სესხებზე სტანდარტები ისე გამკარდა, რომ შეიზღუდა კომპანიების სამუშაო კაპიტალი.

კრედიტების დეფიციტმა და სეკურიტიზაციის მექანიზმის რღვევამ მნიშვნელოვნად დააზარალა რეალური სექტორი. მოთხოვნის შემცირების გამო ინფლაცია სწრაფად დაეცა, რამაც ფიშერის ვალი-დეფლასიის ეფექტი გამოიწვია. ფასების შემცირებამ ლევერეჯის შემცირების პროცესი უფრო მტკივნეული გახადა, გაართულა სესხების დაფარვა და საკრედიტო პორტფელის შემდგომ გაუარესებას შეუწყო ხელი. ფინანსური სიძნელეების გამო, სესხები გლობალურმა ჩამოწერამ 4,1 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. გართულდა კაპიტალის მოზიდვა დანაკარგების დასაფარავად. ამის გამო მთავრობები იძულებულნი გახდნენ მიემართათ დაზღვევის მექანიზმისათვის და ბანკების რეკაპიტალიზაცია მოეხდინათ. ბანკების გადარჩენისა და სტიმულირების პაკეტზე სამთავრობო ხარჯებმა მსოფლიო მშპ-ს 5 პროცენტი შეადგინა.

ცენტრალურმა ბანკებმა ეკონომიკის სტიმულირებისა და ინფლაციის დადებითი მაჩვენებლის შენარჩუნებისათვის არატრადიციულ პოლიტიკას მიმართეს,

რაც რაოდენობრივ ან საკრედიტო შემსუბუქებაში გამოიხატა. ამის მიზანი იყო ვალი-დეფლაციის სპირალის თავიდან აცილება. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ცენტრალური ბანკების ბალანსები.

2008 წლის სექტემბრის შემდეგ, ფინანსურმა კრიზისმა უკვე მასშტაბურად იმოქმედა განვითარებად ქვეყნებზე. განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებადი ბაზრებისაკენ სახსრების დინების უეცარმა შეწყვეტამ ახალი დისბალანსი წარმოშვა. გლობალური მოთხოვნის ვარდნამ შეამცირა იმ განვითარებადი ქვეყნების ექსპორტი, რომელთა დიდი ნაწილი ექსპორტზე ორიენტირებულ ზრდას ეყრდნობოდა. საგარეო დისბალანსმა მკვეთრი დევალვაციის საშიშროება შექმნა. ზოგმა ქეყანამ მოახდინა ვალუტის ნომინალური დევალვაცია. ყველაზე მეტად იმ ქვეყნებმა იზარალეს, რომლებმაც არ ან ვერ მოახდინეს გაცვლითი კურსის ცვლილება სავალუტო არის (Currency Board) ან სხვა ფიქსირებული სისტემების გამო.

ამავდროულად, ვალდებულებების დოლარიზაცია განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ სისტემაზე დამატებით ზეწოლას ქმნიდა. ასეთი ქვეყნების ეკონომიკის ვალდებულებები უფრო მეტად დოლარიზებულია ვიდრე აქტივები და ვალუტის დევალვაციამ გაცვლით კურსთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის მატერიალიზირება განაპირობა. შესაბამისად, გაცვლითი კურსის მხარდაჭერის არგუმენტი მნიშვნელოვანი გახდა ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც მაღალი დოლარიზაციის პირობებში დაკავშირებულია გაცვლითი კურსის მექანიზმის პროციკლურობის პრობლემასთან.

ფინანსურ სიძნელეებთან საბრძოლველად ფინანსურ ბაზრებს ცენტრალური ბანკის მეშვეობით მიეწოდებოდა ლიკვიდობა, მთავრობის მიერ ხორციელდებოდა ბანკების რეკაპიტალიზაცია და ნაციონალიზაცია, მოქმედებდა ფისკალური სტიმულები, იქმნებოდა ე.წ. აქტივების მართვის სააგენტოები. მიუხედავად ამისა, გადაფასებული ვალუტის პირობებში ფისკალურ სტიმულირებასა და მონეტარულ შემსუბუქებას შეზღუდული ეფექტი ჰქონდა, რადგან ეს თანხები

მნიშვნელოვანწილად არა ადგილობრივი წარმოების, არამედ იმპორტის სტიმულირებაზე მიმართა. მაღალი დოლარიზაციის და ბუმის პირობებში არასაკმარისი ოდენობით გატარებული შემზღუდავი მონეტარული, ფისკალური და საზედამხედველო ღონისძიებების გამო, არაერთი ქვეყანა ერთგვარ "მახეში" აღმოჩნდა.

ეკონომიკური კრიზისის აქტიური ფაზის დაძლევის შემდეგ აქტუალური ხდება საბანკო სექტორის აქტივების ხარისხის გაჯანსაღება. სსფ-ის მიხედვით, პოსტკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი საბანკო სისტემის ბალანსის გაჯანსაღება და პრობლემური აქტივებისაგან გათავისუფლება იქნება.

საბანკო სექტორში რჩებიან ისეთი მსესხებლები, რომლებმაც კრიზისის შედეგად შოკი მიიღეს, მათი პროექტების მომგებიანობამ მოიკლო, ისინი ვეღარ ახერხებენ არსებული გრაფიკით სესხის დაფარვას და ექმნებათ ფინანსური სიძნელეები. შედეგად, ბანკებს ეზრდებათ უმოქმედო სესხები (NPL).

ბანკებისათვის რთულდება თავიანთი აქტივებიდან ასეთი უმოქმედო სესხების გამოთავისუფლება შემდეგი ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. ადრეული ლიკვიდაციის ხარჯი - თუ აქტივის იმავდროულ ლიკვიდაციას მოახდენენ, მაშინ დიდ ზარალს მიიღებენ, ხოლო თუ გააგრძელებენ აქტივის მომსახურებას ან ლიკვიდაციის გადავადებას, მოსალოდნელი ზარალი გაცილებით ნაკლები იქნება.

2. მორალური საფრთხე (moral hazard) - მაღალი ლევერეჯის გამო, მნიშვნელოვანი კონფლიქტი არსებობს ბანკის მენეჯმენტის/აქციონერების მოკლევადიან ქცევასა და საზოგადოებრივ გრძელვადიან ინტერესებს შორის. ბანკის მენეჯმენტს აქვს ინიციატივა პრობლემა გადაავადოს, ვიდრე მაშინვე აღიაროს. ამ შემთხვევაში არსებობს ალბათობა, რომ პრობლემური აქტივი გამოსწორდება, თუმცა

ამ პრობლემის გამო ბანკს რისკის პროფილი ეზრდება.

ორივე შემთხვევაში საფრთხე ექმნება რესურსების ეფექტიან განაწილებას, რადგანაც ბანკის ბალანსში პრობლემური აქტივების წილის ზრდა მოითხოვს მათი მართვისათვის დიდი მოცულობით რესურსის მობილიზებას როგორც ფინანსური, ისე მენეჯერული და სხვა არამატერიალური რესურსის თვალსაზრისით. ბანკის მენეჯმენტი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს პრობლემური აქტივების მართვას, რაც ჯანსაღი აქტივების მართვის ხარჯზე ხორციელდება. შედეგად, ბანკების რესურსები მიდის წამგებიანი და რისკიანი პროექტების "საცოცხლებლად" და ის მსესხებლები, რომლებსაც მომგებიანი და დაბალრისკიანი პროექტები აქვთ, ვეღარ იღებენ დაფინანსებას. Peek & Rosengren (2003) აღწერს ბანკების ინიციატივას პრობლემური სესხებიდან შექმნან"მარადმწვანე" სესხები და ხშირად დამატებითი დაფინანსების ხარჯზე "დამალონ" მსესხებლის პრობლემები. შედეგად, ფინანსური ბაზარი ვეღარ ასრულებს თავის მთავარ ფუნქციას - ოპტიმალურად გაანაწილოს კაპიტალი და მართოს რისკი. ასეთი სახის ბაზრის ჩავარდნა (market failure) აქტუალურს ხდის ისეთი მექანიზმის შექმნას, რომელიც მოახდენს ბაზრის ჩავარდნის გამოსწორებას.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საბანკო ზედამხედველობის ინსტრუმენტები, ამ შემთხვევაში ნაკლებად ეფექტიანია და მათ შეუძლიათ პრობლემის გაღრმავებაც კი გამოიწვიონ. მაგალითად, იაპონიაში გასული საუკუნის 90-იან წლებში, აქტივების ფასების ბუშტის გასკდომის გამო ბანკებს სესხების ხარისხი გაუუარესდათ, მაგრამ ისინი ახერხებდნენ პრობლემების შეზღუდვას და რენტაბელობის შენარჩუნებას რესტრუქტურიზაციის მეშვეობით. თუმცა, საბანკო სექტორი არაეფექტიანი გახდა. მონეტარული გაფართოების პოლიტიკა, რომელსაც ცენტრალური ბანკი ეკონომიკის სტიმულირებისათვის ახორციელებდა, ძირითადად უმოქმედო სესხებზე იხარჯებოდა. ჯანსაღი სასესხო პორტფელი არ იზრდებოდა და არ ხდებოდა მოთხოვნის სტიმულირება. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად 1997 წელს

საზედამხედველო პოლიტიკა გამკაცრდა: ბანკებს მოეთხოვებათ დარღვეული პრუდენციული ნორმატივების აღდგენა და უმოქმედო სესხების დანაკარგების აღიარება, მაგრამ შედეგი ნეგატიური იყო. კაპიტალის დეფიციტის გამო ბანკებმა დაიწყეს სესხების მკვეთრი შემცირება (მათ შორის ჯანსაღი სესხების). შედეგად, იაპონია ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ რეცესიაში შევიდა. შემდგომში მთავრობას ბანკების დასახმარებლად და მათი ნაციონალიზაციისათვის დიდი დანახარჯების გაწევა მოუწია. Watanabe (2007) იაპონური ბანკების ბალანსების გამოყენებით, ემპირიულად ადასტურებს, რომ საკრედიტო დეფიციტი (credit crunch) საზედამხედველო პოლიტიკით იყო გამოწვეული.

ფინანსურმა კრიზისმა არსებული ფინანსური სისტემის და მისი მარეგულირებელი მექანიზმების კრიტიკული სისუსტე აჩვენა და უფრო სტაბილური საფინანსო სისტემის შესაქმნელად გრძელვადიანი რეგულირების რეფორმაზე მუშაობა დაიწყო. ფინანსური ბაზრების დერეგულაციის ფილოსოფია კრიტიკული განსჯის საგანი გახდა. ბოლო ათწლეულებში მარეგულირებელი მექანიზმები ვითარდებოდა კლასიკური ეკონომიქსის იმ აზრის გათვალისწინებით, რომ ბაზრები ყოველთვის ეფექტიანია და ეკონომიკური აგენტები მოქმედებენ რაციონალურად. როდესაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბაზრის მონაწილეებისათვის, აქტივების ფასები სერიოზულად არ გადაიხრება მათი ეკონომიკური ღირებულებიდან. ამას მივყავართ პარეტოს ოპტიმალურ წონასწორობამდე, რაც საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციასთან არის დაკავშირებული. ამის კარგი მაგალითია ბაზელ II-ის მესამე სვეტი, რომლის თანახმადაც საბაზრო დისციპლინა არის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც გამჭვირვალეობის პირობებში ბაზრებს მარეგულირებლის ფუნქციის შესრულების საშუალებას აძლევს. თუმცა ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ პირველადი შემაკავებელი ძალა მოდის ზედამხედველობაზე და მათი როლი არ უნდა იყოს უგულებელყოფილი, რადგანაც ბაზრის აგენტებმა შეიძლება გამოავლინონ შეზღუდული რაციონალურობა და მოკლე მეხსიერება. ბაზარი შეიძლება დაექვემდებაროს ჯოგური ქცევის მოდელს, არარაციონალურ

ზრდას, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბაზრის ისეთ წონასწორობას გამოიწვევს, რომელიც ძალზედ შორსაა პარეტოს ოპტიმალური შედეგებისაგან.

ფინანსურმა კრიზისმა არსებული რეგულირების პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გამოავლინა - ესაა რეგულირებისადმი სისტემური მიდგომის არარსებობა. კრიზისის პირველადი მიზეზი, სწორედ ის იყო, რომ ვერ მოხდა სისტემურად მნიშვნელოვანი რისკების იდენტფიიცირება. საბანკო ზედამხედველობა ორიენტირებული იყო იდიოსინკრატულ - ბანკის სპეციფიკურ რისკებზე. ეს არის განსაკუთრებით პრობლემატური იმ ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზარების მარეგულირებელი განცალკევებულია ცენტრალური ბანკიდან (დიდი ბრიტანეთის ზედამხედველობის მოდელი). რისკის სისტემური ასპექტი, რაც წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობისათვის მთავარ საფრთხეს, დაურეგულირებელი რჩება. შედეგად, ბევრ ქვეყანაში რეგულირების არსებული მოდელი არამდგრადი აღმოჩნდა. საბანკო რეგულირება უნდა გახდეს უფრო სისტემური და განავითაროს სისტემურ რისკებზე რეაგირების ეფექტიანი ინსტრუმენტები. ამ მიზნით, მარეგულირებლებმა მიკროპრუდენციული მიდგომა უნდა შეავსონ მაკროპრუდენციული ანალიზით. ზოგიერთი რისკი, რომელიც არ არსი მნიშვნელოვანი მიკროპრუდენციულ დონეზე, შეიძლება მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენდეს მაკროპრუდენციულ დონეზე. ანალიზმა უნდა გააერთიანოს სხვადასხვა სექტორსა და ბაზარზე მომხდარი ცვლილებები, მაკროეკონომიკურ ხედვასთან და გამოავლინოს პოტენციური სისტემური რისკები. მაკროპრუდენციული ანალიზი უნდა იყოს ორიენტირებული რისკებზე, რომელიც ენდოგენურად წარმოიქმნება სისტემაში და პროციკლურობას უწყობს ხელს.

კრიზისმა აჩვენა რეგულირების სტატიკური მიდგომის სისუსტეები, მაგალითად, რეგულირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საკრედიტო რისკის შეფასების ციკლური ხასიათი, რაც გამოწვეულია ბანკების ქცევის ტენდენციიდან - ბანკები ნაკლებად წინდახედულნი არიან ციკლური აღმავლობის

დროს და ზედმეტად ფრთხილნი ციკლური ვარდნისას. ბანკებს სტიმულების ისეთი სტრუქტურა აქვთ, რომელიც არ ითვალისწინებს რისკის გრძელვადიან შედეგებს. ბაზელ II, რომელიც აროეგულირებს ბანკების მიერ რისკების აღებას, კაპიტალის ადეკვატურობის რეგულირების მეშვეობით, მიჩნეულია პროციკლურად. ბუმის დროს ბაზელ II-ით გათვალისწინებული კაპიტალის მოთხოვნები შედარებით მსუბუქია, რაც ხელს უწყობს სესხების გაცემას და იწვევს სასესხო პორტფელის შემცირებას. აღნიშნული თავის მხრივ, კიდევ უფრო აღრმავებს ეკონომიკურ ვარდნას. ციკლურობის შესამცირებლად შემოთავაზებულია ბაზელ II-ის მოდიფიცირების გზები და კაპიტალის ბუფერისა და რეზერვების შექმნა ეკონომიკური ზრდის პერიოდებში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ბაზელ I-ის ხშირი კრიტიკისა, ის არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური კრიზისის გამომწვევ მიზეზად, რადგანაც კრიზისის დაწყებისას მოქმედებდა ბაზელ II-ზე თანდათანობითი გადასვლის გეგმა, რომლის მიხედვითაც ბაზელ II-ის კაპიტალის მოთხოვნები მნიშვნელოვნად არ უნდა ჩამოშორებოდა ბაზელ II-ით დათვლილ ადეკვატურობას. ამასთან, სხვადასხვა ინტერპრეტაციით, ბაზელ II-ის მეორე სვეტის მიხედვით, პროციკლურობის დაძლევა შესაძლებელი იყო.

საბუღალტრო სტანდარტებიც ბანკების პროციკლურობის ხელის შემწყობი მექანიზმია. საბუღალტრო სტანდარტებს, რომელიც ეფუძნება ბაზარზე მიბმულ სტრატეგიას, ფასების ზრდა მოგებაში გადაჰყავს, მაშინაც კი, როდესაც ციკლი პიკის მდგომარეობაშია.

იმისათვის, რომ ახალი რეგულირება ციკლისადმი უფრო მდგრადი იყოს, აუცილებელია განვითარდეს დინამიური წესები, რომელიც ზედამხედველებს კაპიტალის ადეკვატურობის რეგულირების ან/და დარეზერვების წესებში ცვლილებით საშუალებას მისცემს, მოახდინონ კაპიტალის მოთხოვნების კორექტირება. ასეთი მექანიზმი უკვე მოქმედებს ესპანეთში და დარეზერვების პოლიტიკა ციკლის მიხედვით იცვლება. ასევე განიხილება ციკლის საწინააღმდეგო

კაპიტალის დაბეგვრის პროექტი, რომლის იდეაც იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალზე მოთხოვნები უნდა გაიზარდოს ბუმის დროს სესხების შესაკვეცად და უნდა შემცირდეს ეკონომიკური ვარდნის დროს სესხების გაცემის ხელშესაწყობად. ეს, როგორც მოქმედების წმინდა მექანიკური წესი, შეიძლება განხორციელდეს ავტომატური სტაბილიზატორის მსგავსად. თუმცა ამ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენს იმ მექანიზმის პოვნა, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკის აღმავლობასა და დაღმავლობას. ამდენად, რაციონალურია დისკრეციული მიდგომა, რომელიც მაკროპრუდენციული მარეგულირებელი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს დაეფუძნება, მსგავსად მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მუშაობის პრინციპებისა.

## ლექცია 11: გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგები განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში

ფინანსური და რეალური სექტორების კავშირი კრიზისის ფონზე ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საკრედიტო და უძრავი ქონების ბუმის ფონზე მოხმარება და გამოშვება უპრეცედენტოდ გაიზარდა. შესაბამისად, ფინანსური ბაზრების განვითარების უმთავრეს მახასიათებელ ნიშნად რეალურ სექტორთან მათი მჭიდრო კავშირი იქცა. 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ეკონომიკურივარდნის დროს ფინანსურ სექტორში გაუარესებულმა ვითარებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვან შენელებას. ასეთმა გლობალურმა ფინანსურმა კავშირებმა უახლესი ფინანსური კრიზისების ფუნქციონირების მექანიზმის შესასწავლად ფინანსისტების და ეკონომისტების “გაერთიანებას” შეუწყო ხელი.

ემპირიული კვლევების თანახმად, ფინანსურ ბაზრებზე განვითარებულიკრიზისები ამცირებენ აგრეგირებულ მოთხოვნას კაპიტალის ღირებულების ზრდის გამო, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მოხმარება და რეალური ინვესტიციები შეამციროს. მაშასადამე, ფინანსურ სექტორში განვითარებულმა მოვლენებმა სხვადასხვა არხებით შესაძლოა რეალურ ეკონომიკაში დამატებითი შოკი გამოიწვიოს. მზარდი საერთაშორისო ეო ვაჭრობა და ფინანსური ინტეგრაცია ამძაფრებს ფინანსური კრიზისების გარკვეულ ეპიზოდებს და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის ამოცანას უფრო კომპლექსურს ხდის.

ფინანსური სექტორის განვითარებასთან და ფინანსური ლიბერალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად ფინანსური ცვლადების მერყეობის რეალურ ეკონომიკაზე გადაცემის მექანიზმი ცვლილებებს განიცდის. გადაცემის რომელიმე კონკრეტული არხის ეფექტიანობა ეკონომიკის სტრუქტურაზე და ფინანსური სისტემის განვითარების დონეზეა დამოკიდებული. არსებობს გარკვეული შეხედულებები ფინანსური ლიბერალიზაციის პირობებში რეალურ ეკონომიკაზე ფინანსური სექტორის გავლენასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნული დამოკიდებულებების შეფასება, მით უფრომ საქართველოს მონაცემებზე დაყრდნობით, საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს.

საერთაშორისო ფინანსური კავშირების კვლევის ერთ-ერთ მიდგომას IS-LM მოდელი წარმოადგენს, რომელიც დახურული ეკონომიკის პირობებში რეალური და მონეტარული სექტორების კავშირს შეისწავლის და რომელშიც, საპროცენტო განაკვეთის ზრდა (ფინანსური რესურსის ფასის ზრდა) კრედიტზე მოთხოვნისა და ინვესტიციების შემცირების გზითეროვნულ შემოსავალში საწინააღმდეგო მიმართულებით იწვევს ცვლილებას. შესაბამისად, IS-LM მოდელის თანახმად, საპროცენტო განაკვეთი რეალური და ფინანსური სექტორებისდამაკავშირებელ პარამეტრად წარმოგვიდგება.

რეალურ ეკონომიკაზე ფინანსური სექტორის განვითარების ზეგავლენა საერთაშორისო ფინანსური კავშირების ბუნების მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია,

რომელიც განხილულ უნდა იქნას ფინანსური გლობალიზაციის პირობებში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში, ფინანსური რესურსების თავისუფალი მოძრაობისას საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების ანალიზი უფრო რთულდება. კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისას რეალურ ეკონომიკაზე გაცვლითი კურსი და საპროცენტო განაკვეთიც ახდენს გავლენას. შესაბამისად, სამამულო საპროცენტო განაკვეთის კლებასთან ერთად ადგილობრივ აქტივებზე მოსალოდნელი შემოსავლიანობა მცირდება და საგარეო დაბანდებასთან შედარებით ნაკლებად მიმზიდველი ხდება ინვესტორისთვის. საპროცენტო განაკვეთის მერყეობა ხელს უწყობს ფინანსური ნაკადების გადინებას და ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებას.

ამდენად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირდაპირ გავლენას ახდენს გაცვლით კურსზე და საგარეო სექტორზე. თავის მხრივ, ვალუტის კურსის მერყეობის კვალდაკვალ, წმინდა ექსპორტის მოცულობის ცვლილება პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მთლიან გამოშვებასა და დასაქმების დონესთან. გაცვლითი კურსის მერყეობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე მნიშვნელოვ გავლენას ახდენს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის ფინანსურმა კრიზისებმა ნათლად გამოავლინა ზოგიერთი მცირე ზომის ღია ეკონომიკების საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის ცვლილებები, საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობასთან შედარებით.

ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე კრიზისები განვითარებად ქვეყნებზე, მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენენ, რაც საბოლოოდ, საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის შემცირებაში ჰპოვებს ასახვას.

მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურმა ფინანსურმა კრიზისებმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა მსოფლიოს ეკონომიკური გარემოსთვის. ღია ეკონომიკის არსებობისას ქვეყნები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და შესაბამისად, ეკონომიკური გარემოს შეცვლა ერთ ქვეყანაში გავლენას ახდენს მეორე ქვეყნის

ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. გავლენა შესაძლოა იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი და ამ მიზეზების პოვნა მარტივი ლოგიკითაც შესაძლებელია: როდესაც ერთი ქვეყნის ეკონომიკა განიცდის კრიზისს მას არ შეუძლია განაგრძოს იმავე რაოდენობით იმპორტირებული საქონლის მოხმარება და შესაბამისად, მისი სავაჭრო პარტნიორის ექსპორტი მცირდება. ყოველივე ეს იწვევს წმინდა ექსპორტის შემცირებას და ქვეყნების მთლიანი მწარმოებლურობა მცირდება. ზოგიერთ შემთხვევაში, კრიზისებს უფრო რთული ბუნება აქვთ და შესაბამისად, რთულია იმის განსაზღვრა თუ როგორ ხდება კრიზისების გავრცელება.

წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კრიზისებს მყისიერად გავრცელების ბუნება აქვთ, იმის მიუხედავად, თუ რა სახის კრიზისთან შეიძლება ჰქონდეს საქმე ამა თუ იმ ქვეყანას. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ფინანსური კრიზისების მრავალი მაგალითი გვქონდა, მაგალითად 1997 წელს ტაილანდის კრიზისი, რაც გამოიხატა ტაილანდური ფულის ერთეულის - ბატის გაუფასურებით. შესაბამისად, ინვესტორებმა ამის გამო ინვესტიციები გაიტანეს ქვეყნიდან და მოხდა კაპიტალის გადინება. ვალუტის გაუფასურებას ამავდროულად საგარეო ვალის ზრდა მოყვა შედეგად. აღნიშნულმა ფინანსურმა კრიზისმა დიდი ზიანი მიაყენა ტაილანდს, ინდონეზიასა და სამხრეთ კორეას. ეს კრიზისი ასევე, „აზიური გრიპის“ სახელითაა ცნობილი. სავალუტო კრიზისის კიდევ ერთი მაგალითია 1994 წლის მექსიკური პესოს კრიზისი, რაც აშშ დოლართან მიმართებაში პესოს გაუფასურებით იყო გამოწვეული. გაუფასურებამ ასევე ინვესტიციების გადინება გამოიწვია და ბანკებმა საპასუხოდ საპროცენტო განაკვეთები გაზარდეს. ეს კრიზისი სხვა ქვეყნებში, კერძოდ, როგორიცაა ბრაზილიაში, არგენტინაში, ჩილესა და ურუგუაიში გავრცელდა.

1992-1993 წლებში ევროპის მონეტარული სისტემა კრიზისის ქვეშ მოექცა. გერმანია განიცდიდა ფისკალურ დეფიციტს, რაც უნიფიკაციით იყო გამოწვეული. საპასუხოდ, ბუდესბანკმა საპროცენტო განაკვეთი გაზარდა, მაშინ როცა რეცესიისგან თავის დასაღწევად ევროპის მონეტარული სისტემა მოითხოვდა შემცირებულ

საპროცენტო განაკვეთს ყველა ევროპის მონეტარული სისტემის ქვეშ გაერთიანებული ბანკებისგან.

სამივე ზემოთმოყვანილი მაგალითი რეგიონალური ფენომენის სახითაა ცნობილი. იმ შემთხვევაში, როცა ერთი ქვეყანა გადალახავდა კრიზისულ პერიოდს, მაგალითად მექსიკა 1994 წელს და ტაილანდი 1997 წელს, შესაბამისად, სავაჭრო პარტნიორებზეც აისახებოდა ხოლმე აღნიშნული ცვლილება. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა სავაჭრო პარტნიორზე ერთნაირად არ აისახება კრიზისების ეფექტი. ბუნებრივია დაისვას კითხვა, კრიზისები შემთხვევითია თუ მართლაც ხასიათდება რეგიონალური ფენომენით? თუ კი, მაშინ რა არის ძირითადი საკვანძო მახასიათებლები, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელ ქვეყანას შეეხება კრიზისი და რომელს არა. ეკონომისტები კრიზისების ბუნების შესწავლას სწორედ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების განზოგადების საფუძველზე ცდილობენ. როგორც ირკვევა კრიზისები ქვეყნებს შორის გავრცელების ბუნებით ხასიათდება, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ინსტრუმენტების განსაზღვრაა, რითაც ეს ტრანსმისია ხდება.

სავალუტო კრიზისი რეგიონალური ბუნებით ხასიათდება. ქვეყნები ვაჭრობენ თავიანთ მეზობელ ქვეყნებთან იმისათვის, რომ შეძლონ ტრანსაქციური ხარჯების შემცირება. ამგვარად, როდესაც ქვეყანაში კრიზისულ მდგომარეობაშია, ასეთ დროს მნიშვნელოვან როლს თავისუფალი ვაჭრობა ასრულებს. სწორედ ეს მოსაზრებაა გადმოცემული გლიკისა და როუზის (1999) წლის ნაშრომში „კრიზისების გადადება და ვაჭრობა: რატომ არის სავალუტო კრიზისი რეგიონული“. ნაშრომში განხილულია, რომ სავალუტო კრიზისი ფულადი სფეროს დისპროპორციით, კაპიტალის ნაკადების მიმართულების მკვეთრი ცვლილებით, ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობითა და ქვეყნის საერთაშორისო რეზერვების მოცულობის შემცირებით ხასიათდება. სავალუტო კრიზისების წარმოშობის მექანიზმი ხშირად მსგავსია. მისი ძრითადი გამომწვევი მიზეზია კაპიტალის მკვეთრი გადინება ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიიდან. აღნიშნული ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნის და შესაბამისად, მისი გაცვლითი კურსის მკვეთრ ვარდნას იწვევს. ნაშრომის ავტორები კრიზისების

ბუნების შესწავლის მიზნით, მოცემულობად რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას იღებს  და შემდეგ აკვირდება თუ როგორ ვრცელდება კრიზისი სხვა ქვეყნებში. ისინი უშვებენ კრიზისების გავრცელების ბუნების არსებობას და ცდილობენ იპოვონ გზები, რაც იქნება სწორედ ამ კრიზისების გადადების ძირითადი ფაქტორები. კვლევა ემყარება ხუთ ძირითად კრიზისს, როგორიცაა ბრეტონ-ვუდსის სისტემისა (1971) და სმიტსონის შეთანხმების (1973) ჩავარდნა, ევროპის მონეტარული კრიზისი (1992-1993), მექსიკური პესოს კრიზისი (1994-1995) და 1997 წლის აზიური გრიპი (R. Glick, Andrew K. Rose, 1999).

პირველ ყოვლისა, ავტორები განსაზღვრავენ ქვეყანას, რომელიც წარმოადგენდა კრიზისის ტრანსმისიის წყაროს. ასეთ ქვეყანას ინდექსად ანიჭებენ „0“-ს, რაც გაიგივებულია „კრიზისის კერასთან“. შესაბამისად, 1994 და 1997 წლის კრიზისის დროს ინდექსად „0“ მიენიჭება მექსიკასა და ტაილანდს; 1971 და 1973 წლის კრიზისის შემთხვევაში კი გერმანიას. ევროპის მონეტარული სისტემის კრიზისის შემთხვევაში სიტუაცია უფრო რთულადაა, ამიტომ ავტორები უშვებენ, რომ ფინეთი იყო პირველი ქვეყანა სადაც მნიშვნელოვანი ცვლილებები დაფიქსირდა.

ავტორებმა წარმოადგინეს შემდეგი სახის ბინარული პრობიტის რეგრესია:

$$Crisis_i = \varphi Trade_i + \lambda M_i + \varepsilon_i$$

ჰიპოთეზა მსგავსებაზე $H_0$: $\varphi = 0$

რეგრესიაში, $Crisis_i$ არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც ერთის ტოლია კრიზისის არსებობისას და ნული იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა არ განიცდის ზემოქმედებას. $M_i$ წარმოადგენს მაკროეკონომიკური კონტროლის რეგრესორს λ კოეფიციენტით, ხოლო $\varepsilon_i$ აღნიშნულია ნორმალური განაწილების გადახრა, რომელიც ყველა სხვა გავლენას ითვალისწინებს.

ვაჭრობის ამსახველი კავშირი წარმოდგენილია შემდეგი ფორმულით:

$$Trade_i = \sum_k \frac{x_{0k} + x_{ik}}{x_{0.} + x_{i.}} \left[1 - \left|\frac{x_{ik} - x_{i0}}{x_{ik} + x_{i0}}\right|\right]$$

სადაც $x_i$ არის აგრერირებული ბილატერალური ექსპორტი i ქვეყნიდან; $x_{ik}(i\neq k)$ არის აგრერირებული ბილატერალუტი ექსპორტი i ქვეყნიდან k-ში. მთლიანობაში კი ბოლო გამოსახულება გვიჩვენებს ექსპორტის მნიშვნელობის შეწონილ საშუალოს k ქვეყანაში i და 0 ქვეყნებისთვის (R. Glick, Andrew K. Rose, 1999).

ავტორებმა ასევე განიხილეს სხვა ვაჭრობასთან დაკავშირებული ცვლადები, როგორიცაა $DirectTrade_i$ და $TradeShare_i$.

$$DirectTrade_i = 1 - \frac{|x_{io} - x_{oi}|}{x_{io} + x_{oi}}$$

და

$$TradeShare_i = \sum_k \frac{x_{ok} + x_{ik}}{x_{0.} + x_{i.}} \left[ 1 - \left| \frac{\frac{x_{ok}}{x_{0.}} - \frac{x_{ik}}{x_{i.}}}{\frac{x_{ok}}{x_{0.}} + \frac{x_{ik}}{x_{i.}}} \right| \right]$$

ამ ფორმულის მხიედვით, $DirectTrade_i$ ცვლადი უმაღლესია, რადგან 0 და i ქვეყნებს აქვთ თანაბარი ბილატერალური ქსპორტის მაჩვენებლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ $M_i$-ში გლიni და როუსი გულისხმობენ მაკროეკონომიკური კონტროლის ცვლადებს, როგორიცაა: ადგილობრივი კრედიტების წლიური ზრდის განაკვეთი, მიმდინარე ანგარიშის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მთავრობის ბიუჯეტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი, M2-ის წილი საერთაშორისო რეზერვებში და ადგილობრივი სამომხმარებლო ფასების ინფლაცია (R. Glick, Andrew K. Rose, 1999).

საბოლოოდ, გლიკი და როუზი მივიდნენ შედეგ შედეგამდეც: მათ დაასკვნეს, რომ კრიზისების გადადების ერთობ მნიშნელოვან წყაროს ვაჭრობა წარმოადგენს. . მათი დასკვნა ემყარებოდა მონაცემების მცირე ნაწილს (50, 60, 67, და 67 ქვეყანა, შემდეგი წლების კრიზისების შესაბამისად, 1971, 1973, 1992 და 1994). იქიდან გამომდინარე, რომ საკვლევი მონაცემები საკმარისად მოცულობითი არაა, მიღებული კოეფიციენტები შესაძლოა არ იყოს ვალიდური. შეუსაბამობის თავიდან

ასაცილებლად, რაც გამოწვეულია მონაცემების სიმცირით ავტორი დასგუფთა გვთავაზობს ბაიესიანური მეთოდოლოგიის გამოყენებას. მან მსგავსი სახის ანალიზი ჩაატარა თავის ნაშრომში სახელწოდებით: „სავალუტო კურსის ცვლილების მიმართულების კვლევა“. მისი შეფასების სტრატეგია არის ზემოთ განხილული მოდელის მსგავსი. ამ შემთხვევაშიც ავტორი აკეთებს დაშვებას, რომ კრიზისის კერა არის ერთი კონკრეტული ქვეყანა და „0“-ით აღნიშნავს „პირველ მსხვერპლს“ და სხვა დანარჩენები კი მათი „მიმდევრებია“. დასგუფთა შემდეგი სახის ბინარული პრობიტის მოდელს გვთავაზობს:

$$\Pr(y_i = 1) = \Phi(x_i\beta) \quad i = 1, \dots, N$$

სადაც $y_i$ არის ფიქტიური ცვლადი, რომელიც ერთის ტოლია, როდესაც ქვეყანა განიცდის კრიზისს და უდრის 0-ს ყველა სხვა შემთხვევაში. $x_i$ არის ვექტორი $(1 \times K)$ შესაბამისი i ქვეყნის ცვლადებით მოცემული, β არის $K\times 1$ განზომილების ვექტორის კოეფიციენტი და (Φ) არის სტანდარტული ნორმალური კუმულატიური განაწილების ფუნქცია (Dasgupta, 2000). დასგუფთა იყენებს იმავე ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებს, რომელიც გლიკმა და როუზმა შემოგვთავაზეს. დასგუფთას ანალიზი ოთხ ცნობილ კრიზისს ემყარება, როგორიცაა: ბრეტონ-ვუდსის სისტემისა (1971) და სმიტსონის შეთანხმების (1973) ჩავარდნა, ევროპის მონეტარული კრიზისი (1992-1993) და მექსიკური პესოს კრიზისი (1994-1995). თითოეულ შემთხვევაში გამოვლენილია „პირველი მსხვერპლი“ ქვეყანა და ავტორი იყენებს იმავე შეფასების ცვლადებს, რაც გამოიყენეს გლიკმა და როუზმა თავიანთ ნაშრომში. იმის გამო, რომ შეფასების ეს სისტემა არაა სრულყოფილი ვაჭრობის კონკურენტიანურობის გასაზომად, დასგუფთა რეგრესიაში ამატებს ისეთ ცვლადებს, როგორიცაა: $D_i$ – გეოგრაფიული მდებარეობა და $S_i$ – სტრუქტურული მსგავსების საზომი.

$$D_i = 1 - \frac{d_{i,0}}{max_{j=1,\dots,N}\, d_{j,0}}$$

$$S_i = -\sum_{j=1}^{K} \frac{|x_{i,j} - x_{0,j}|}{|x_{0,j}|}$$

სადაც $d_{i,j}$ არის მანძლი არის მანძილი i და j ქვეყნებს შორის. პირველი გამოსახულებიდან ნათელია, რომ $D_i$ მით უფრო მაღალია, რაც უფრო ახლოს არიან ქვეყნები ერთმანეთთან და $D_i$ ნულის ტოლია თუ ქვეყანა მნიშვნელოვნად დაშორებულია „პირველი მსხვერპლი" ქვეყნისგან. მეორე გამოსახულებაში $x_{i,j}$ არის j რიგის მაკროეკონომიკური ცვლადი i ქვეყნისთვის. ეს ფორმულა ანიჭებს მაღალ მნიშვნელობას იმ ქვეყანას, რომელიც ხასიათდება „პირველი მსხვერპლი" ქვეყნის მსგავსი მაკროეკონომიკური მახასიათებლებით და ნულს ანიჭებს თვითონ ამ ქვეყანას. მსგავსების ცვლადის ჩართვა აუცილებელია, ვინაიდან სწორედ ეს შეიძლება იყოს კრიზისის გავრცელების მიზეზი. როდესაც კრიზისია ქვეყანაში, ინვესტორები ამცირებენ ინვესტიციების მოცულობას არა მხოლოდ კრიზისის წარმოშობის ქვეყანაში, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი ფინანსური ან მაკროეკონომიკური სისტემები. ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ქვეყნებიც განიცდიან ზარალს სხვა ქვეყნების კრიზისის გამო.

იმის გამო, რომ ზოგიერთი ქვეყნის მაკროეკონომიკურ ცვლადებზე არ მოიპოვება ინფორმაცია, მათი მოდელიდან ამოგდება გახდა საჭირო. შესაბამისად, საკვლევი მონაცემების ზომა იკლებს და სანდოობის ხარისხიც მცირდება. დასგუფთა იყენებს მონტე კარლოს სიმულაციურ მოდელს, როგორც ამ სიტუაციის გამოსწორების საშუალებას. ეს ტექნიკა ემყარება გიბსის შერჩევითობის მეთოდს, რომელიც წარმოდგენილია გემანის (1984) მიერ, და მონაცემთა გაფართოების ალგორითმს ტანერისა და ვონგის (1987) ნაშრომის საფუძველზე.

გლიკისა და როუზის (1999) მსგავსად, დასგუფთამ დაასკვნა, რომ ვაჭრობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კრიზისების გადადების მხრივ, ერთი ქვეყნიდან მეორეზე, მაკროეკონომიკური ცვლადების განსხვავების მიუხედავად. ჰიპოთეზა $\beta_{trade} > 0$ ვალიდურია 99 % ნდობის ინტერვალზე გარდა 1992 წლისა, როცა ის ვალიდური ხდება 95%ზე.

მას შემდეგ, რაც რეგრესიაში დავამატეთ მანძილი, ნულოვანი ჰიპოთეზა სავალუტო კრიზისის რეგიონალური ბუნების შესახებ უარყოფილი აღმოჩნდა.

მთლიანობაში, ავტორმა დაასკვნა, რომ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასა და სავალუტო კრიზისის გავრცელებას შორის არსებობს დადებითი კორელაცია, დაახლოებით 30%-იანი ალბათობით (Dasgupta, 2000). ყოველივე იმას ნიშნავს, რომ თუ ქვეყანა ახლოსაა კრიზისის მატარებელ ქვეყანასთან, ამ შემთხვევაში მეორე ქვეყანაში კრიზისის გავრცელების 30% -იანი ალბათობა არსებობს.

მას შემდეგ, რაც ბაიესიანურ მეთოდოლოგიაში დაამატეს სტრუქტურული მსგავსების ცვლადები, მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ მაკროეკონომიკურ მსგავსებას პოზიტიური გავლენა აქვს კრიზისის გავრცელებასთან დაკავშირებით, მაგრამ კრიზისის სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული სახით. გავლენა უფრო ძლიერია 1971 და 1992 წლების კრიზისების შემთხვევაში, ვიდრე 1973 და 1994 წლებში.

ზოგადად, ქვეყნები ცდილობენ ექსპორტი და იმპორტი ჰქონდეთ ტერიტორიულად ახლო ქვეყნებთან. შესაბამისად, კრიზისები ხასიათდება რეგიონალური ბუნებით. ავტორები, ოზკანი და უნსალი (2012) თავიანთ ნაშრომში, სახელწოდებით „გლობალური ფინანსური კრიზისები“ ასაბუთებენ, რომ კრიზისის გავრცელების ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ ქვეყნებს შორის ვაჭრობა წარმოადგენს. თუ კრიზისის წარმომშობი ადგილობრივი ქვეყანაა, ამ შემთხვევაში ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება ქვეყნის წმინდა ექსპორტს წაახალისებს. ეს ცვლილება ნაწილობრივ კომპენსირებას გაუკეთებს დანაკარგს, რომელიც ქვეყანას პროდუქციის გამოშვების მხრივ გაუჩნდა. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიზისების გავრცელების მხრივ ვაჭრობას უფრო დიდი როლი აქვს, ვიდრე ქვეყნის ადგილმდებარეობას.

## ფინანსური კრიზისების გადადება

გლობალური ფინანსური კრიზისი დრამატულად შეეხო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს. კერძოდ კი, გლობალური გარემოს გაუარესების ფონზე მკვეთრად შემცირდა კაპიტალის შედინება აღნიშნულ ქვეყნებში. განვითარებული ქვეყნების მხრიდან მოთხოვნის შემცირება კი უარყოფითად აისახა განვითარებადი

ქვეყნებიდან ექსპორტზე. ყოველივე ამან მკვეთრად გააუარესა მათი მიმდინარე ანგარიში და გაცვლითი კურსის დევალვაციის წინაშე დააყენა განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნები. (W. Berger, H. Wagner, 2005). ფინანსური კრიზისების გადინების ეფექტი ასევე განხილულია ავტორების ალენისა და გალის (2000) მიერ. ისინი განიხილავენ შემთხვევას, როდესაც მაგალითად, ერთ ქვეყანაში ბანკი თუ ზარალდება, იმავე ბანკს მეორე ქვეყანაში ჰქონდეს შესაძლოა აქტივები და შესაბამისად, მეორე ქვეყანაში არსებული ბანკის აქტივების ღირებულება საგრძნობლად დაეცემა. თუ მესამე ქვეყანაშიც ფლობს აღნიშნული ბანკი აქტივებს, მაშინ ამ ბანკის მთლიანი ზარალი დაჯამდება და მესამე ქვეყანაზე დარტმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბის იქნება. თავიანთ ნაშრომში სახელწოდებით „აშშ-ს ფინანსური კრიზისის ეფექტები" ავტორები განიხილავენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის დამოუკიდებლობას განვითარებულ ქვეყნებსა და 1973-2009 წლის პერიოდებს შორის. ანალიზი ეფუძნება დროით მწკრივებს და გამოყენებული აქვთ შეფასების შემდეგი მეთოდები: უმცირეს კვადრატთა მეთოდი, განზოგადებული მომენტების მეთოდი და ვექტორის ავტორეგრესიული მეთოდი.

ვთქვათ i ქვეყნის აქციების ფასის ლოგარითმი t პერიოდში აღნიშნულია $p_t^i$ -თი და შესაბამისად, $r_t^i = p_t^i - p_{t-1}^i$ არის უწყვეტად დარიცხვადი აქციის უკუგება t პერიოდში. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ არსებობს თუ არა კავშირი აშშ-ს აქციების უკუგებასა და განვითაებული ქვეყნის აქციების უკუგებას შორის განვიხილოთ შემდეგი სახის რეგრესია:

$$r_t^i = \alpha + \beta r_t^{US} + \varepsilon_t^i$$

სადაც ბოლო წევრი წარმოადგენს i ქვეყნის იდიოსინკრეტულ შოკს (Apanard P. Angkinand, Jhames R. Barth, Hyeongwo Kim, 2009). თუ $r_t^{US}$ და $\varepsilon_t^i$ არიან ორთოგონაები მაშინ ისინი იქნებიან კოინტეგრირებულები პირველი რიგით და აქციების უკუგებები გამოვა სტაციონალური კოვარიაციის პროცესი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საერთო ფაქტორები, რითაც აქციების უკუგება აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში

ზიანდება, ამ შემთხვევაში ორთოგონალოა ვერ შენარჩუნდება და სწორედ ამ შემთხვევისთვის გამოიყენეს ავტორებმა განზოგადებული მომენტების მეთოდი.

იმისათვის, რომ აშშ-ს აქციების უკუგების შოკის დინამიკა წარმოვადგინოთ, როცა შოკი ხდება სხვა განვითარებული ქვეყნების აქციების უკუგებაზე, განვიხილოთ შემდეგი სახის სტრუქტურული ვექტორის ავტორეგრესული მოდელი (SVAR)

$$A_0 y_t = A_1 y_{t-1} + A_2 y_{t-2} + \ldots + A_p y_{t-p} + u_t$$

სადაც $y_t$ არის აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში აქციების უკუგების სტაციონალური კოვარიაციის ვექტორი, $[r_t^{US}\ r_t^{i}]'$, და $u_t$ არის შესაბამისი ქვეყნების სტრუქტურული შოკების ამსახველი ვექტორი, რომლისთვისაც ვარიაცია ერთის ტოლია (Apanard P. Angkinand, Jhames R. Barth, Hyeongwo Kim, 2009). თუ ბოლო განტოლების ორივე მხარეს გავამრავლებთ $A_0^{-1}$-ზე, მარცხენა მხარეს მივიღებთ ვექტორის ავტორეგრესიულ მოდელს (VAR), რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$y_t = B_1 y_{t-1} + B_2 y_{t-2} + \ldots + B_p y_{t-p} + \varepsilon_t$$

გამოსახულებიდან ნათელია, რომ $B_i = A_0^{-1} A_i$ და $\varepsilon_t = A_0^{-1} u_t$, where i=1,2, … , p (Apanard P. Angkinand, Jhames R. Barth, Hyeongwo Kim, 2009).

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ, არსებობს თუ არა დამოკიდებულება აშშ-ს აქციების უკუგებასა და კრიზისების გადადების ეფექტებს შორის, აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, ავტორები იღებენ ყოველკვირეული და ყოველთვიური აქციების უკუგებაზე მონაცემებს 14 განვითარებული ქვეყნისთვის 1973-2009 წლების ჭრილში.

ქვეყნები შერჩეულია იმისდა მიხედვით, რომელთაც აქვთ კარგად განვითარებული სააქციო ბაზარი და არ არის სავალდებულო მათი ერთი და იმავე რეგიონიდან ყოფნა. უმცირეს კვადრატთა რეგრესიიდან შედეგები გვიჩვენებს, რომ აშშ-სა და სხვა ქვეყნების აქციების უკუგებას შორის არსებობს დადებითი კორელაცია და ეს კორელაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ნულისგან ყველა შემთხვევაში 1%-იან ნდობის ინტერვალზე. კოეფიციენტები არ მერყეობს დროისა და ქვეყნების ცვლილებების მიუხედავად, თუმცა განზოგადებული მომენტების მეთოდის

შეფასების მიხედვით ყველა კოეფიციენტი არაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში ხდება. ეს შესაძლებელია განპირობებულია 1970-იან და 1980-იან წლებში საერთო შოკის არსებობით და შესაბამისად, განზოგადებული მომენტების მეთოდით მიღებული შედეგი უფრო სანდოა.

ახლა კი დავაკვირდეთ 1990 და 2000 წლების 14 ქვეყნისთვის მოცემული აქციების უკუგების შედეგებს (Figure 1).

| | 1990s | | | | 2000s | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Country | $\psi_S$ | 90% C.I. | $\psi_L$ | 90% C.I. | $\psi_S$ | 90% C.I. | $\psi_L$ | 90% C.I. |
| Australia | 0.750 | [0.553,0.925] | 0.623 | [ 0.305,0.969] | 1.018 | [0.853,1.173] | 1.596 | [0.921,2.539] |
| Austria | 0.541 | [0.208,0.805] | 0.530 | [ 0.199,0.844] | 0.913 | [0.675,1.149] | 1.765 | [0.754,3.219] |
| Belgium | 0.602 | [0.397,0.758] | 0.405 | [-0.034,0.802] | 0.985 | [0.763,1.203] | 1.790 | [0.939,3.124] |
| Canada | 0.969 | [0.761,1.160] | 0.833 | [ 0.546,1.158] | 1.045 | [0.909,1.180] | 1.705 | [1.010,2.727] |
| Denmark | 0.519 | [0.320,0.683] | 0.388 | [ 0.004,0.779] | 0.966 | [0.808,1.145] | 1.779 | [1.067,2.878] |
| France | 0.716 | [0.514,0.878] | 0.597 | [ 0.284,0.895] | 1.106 | [0.981,1.231] | 1.749 | [1.131,2.769] |
| Germany | 0.686 | [0.473,0.863] | 0.498 | [ 0.149,0.823] | 1.211 | [1.074,1.355] | 1.835 | [1.195,2.828] |
| Hong Kong | 1.166 | [0.896,1.446] | 0.445 | [-0.255,1.113] | 0.829 | [0.645,1.030] | 1.479 | [0.818,2.452] |
| Italy | 0.847 | [0.543,1.106] | 0.994 | [ 0.420,1.607] | 1.006 | [0.860,1.152] | 1.783 | [1.030,2.926] |
| Japan | 0.701 | [0.392,1.012] | -0.008 | [-0.799,0.677] | 0.545 | [0.374,0.701] | 1.335 | [0.719,2.266] |
| Netherlands | 0.676 | [0.542,0.791] | 0.496 | [ 0.281,0.716] | 1.178 | [0.991,1.385] | 1.978 | [1.200,3.188] |
| Singapore | 1.116 | [0.858,1.379] | 0.418 | [-0.419,1.182] | 0.963 | [0.791,1.137] | 1.816 | [1.077,2.970] |
| Switzerland | 0.756 | [0.512,0.949] | 0.537 | [ 0.190,0.860] | 0.765 | [0.644,0.876] | 1.238 | [0.849,1.822] |
| United Kingdom | 0.717 | [0.595,0.832] | 0.533 | [ 0.323,0.769] | 0.901 | [0.804,1.001] | 1.604 | [0.981,2.581] |

2000-იან წლებში, ყველა ფინანსური ბაზრის რექცია არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი 10%-იანი ნდობის ინტერვალზე. 1990 და 2000 წლების გრძელვადიანი პასუხების შედარებისას, ნათელია, რომ პასუხები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალია 2000 წელს წინა ათწლეულთან შედარებით. ახლა კი უფრო ნათლად წარმოვადგინოთ შედეგები: 2000 წელს აშშ-ს საქციო ბაზარზე 1%-იანი უარყოფითი შოკი მოკლევადიან პერიოდში გერმანიის აქციების უკუგებას დაახლოებით 1.2%-ით ამცირებს. გრძელვადიან პერიოდში კი კლება 1.8%-ს შეადგენს, მაშინ როცა 1990 წელს აშშ-ს საქციო ბაზარზე 1%-იანი უარყოფითი შოკი მოკლევადიან პერიოდში გერმანიის აქციების უკუგებას დაახლოებით 0.7%-ით ამცირებს, ხოლო გრძელვადიან პერიოდში 0.5%-ით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვითარებულ ქვეყნებს, რომელთაც მაღალგანვითარებული ფინანსური ბაზრები აქვთ მეტად განიცდიან კრიზისების ზემოქმედებას.

## გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა საქართველოზე

მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და როგორც უკვე ვნახეთ, კრიზისი ვრცელდება არა მხოლოდ კრიზისის წარმომშობი ქვეყნის რეგიონის ფარგლებში, არამედ იმ ქვეყნებშიც რომელთანაც ფინანსური სახის კავშირი არსებობს. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საფინანსო სექტორზე და მთლიანად ეკონომიკაზე. ამ მოვლენების ფონზე მკვეთრად გაუარესდა ინვესტორთა განწყობა, რაც გამოიხატა კაპიტალის შედინების მკვეთრი შემცირებით. ინვესტორები ცხადია ამჯობინებდნენ ფულის შედარებით ნაკლებად რისკიან აქტივებში განთავსებას და აღნიშნული ტალღა კი საქართველოს ექსპორტზე მოთხოვნის შემცირებით და კერძო კაპიტალის შემოდინების მკვეთრად შემცირებით შეეხო. 2008 წლამდე კი საქართველოს ეკონომიკური ზრდა ძირითადად უცხოური კაპიტალის შემოდინებით იყო განპირობებული და აღნიშნულ კლებას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ჰქონდა ეკონომიკურ ზრდაზე.

გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს ეკონომიკამ და ფინანსურმა სექტორმა მნიშვნელოვანი დარტყმა განიცადა. 2009 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 4%-ით შემცირდა, რამაც საბანკო სისტემისა და ეროვნული ვალუტისადმი, საბანკო და სავალუტო პანიკის წარმოქმნის საშიშროება შექმნა. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მოთხოვნის მკვეთრმა შემცირებამ და ინვესტორთა ნდობის დაკარგვამ უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნა გამოიწვია, სამშენებლო კომპანიები დაფინანსების გარეშე დარჩნენ ბანკების მხრიდან სკრედიტო სტანდარტების გამკაცრების გამო (საქართველოს ეროვნული ბანკი). კრიზისის უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით 2009 წელს გამოვლინდა, როდესაც ლარის

ნომინალური გაცვლითი კურსი 16%-ით გაუფასურდა, სამომხმარებლო ფასების შესუსტება კი ერთობლივი მოთხოვნისა და გლობალური ფასების შემცირების შედეგი იყო.

ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის ნდობის შენარჩუნება საბანკო სისტემისადმი, ამისათვის კი საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დროულად უზრუნველყო საბანკო სისტემის მომარაგება ნაღდი უცხოური ვალუტით, რათა თავიდან აეცილებინა კრიზისის გამწვავება (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2008, წლიური ანგარიში). კრიზისიდან გამოსვლის ნიშნები 2010 წლიდან გამოჩნდა, რის შემდეგაც მთლიანი შიდა პროდუქტი 6.4%-ით გაიზარდა და ზრდაში ძირითადი წვლილი კაპიტალის ფორმირებამ შეიტანა, ასევე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ექსპორტზე. უძრავი ქონების ბაზრიც მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა და 2010 წელს უძრავი ქონების ფასები წინა წლებთან შედარებით დაახლოებით 10%-ით გაიზარდა. 2009 წლის ვარდნის შემდეგ საბანკო სექტორმა ზრდა განაგრძო და პოზიტიური ტენდენციები დაფიქსირდა დეპოზიტების, სესხებისა და საკრედიტო პორტფელის მიმართულებებით (საქართველოს ეროვნული ბანკი).
აგვისტოს ომის პერიოდში, მოსახლეობის მიერ ბანკებიდან დეპოზიტების გატანა საბანკო სისტემისადმი ნდობის შემცირების ფაქტორით იყო განპირობებული და ფიზიკური პირების დეპოზიტების კლებამ 15%-ს გადააჭარბა, თუმცა საბანკო სისტემის შეუფერხებელი მომსახურება მოსახლეობის განწყობაზე პოზიტიურად მოქმედებდა და ამ პერიოდში გატანილი დეპოზიტების დიდი ნაწილი წლის ბოლოსთვის უკვე დაუბრუნდა საბანკო სისტემას.

რუსეთში 2014 წლის მეორე ნახევარში დაიწყო კრიზისი და გრძელდება დღემდე, რაც გამოიხატა რუსული რუბლის გაუფასურებით. ვალუტის გაუფასურების ძირითადი მიზეზი კი ნავთობზე ფასების შემცირება და დასავლეთის მხრიდან დაკისრებული ეკონომიკური სანქციები გახდა. არამდგრადი სიტუაციისა და დაბალი სანდოობის დონის გამო რუსეთის ეკონომიკისადმი, ინვესტორებმა შეწყვიტეს ქვეყანაში ინვესტიციების ჩადება და შედეგად რუსული რუბლის უფრო მეტად

გაუფასურება გამოიწვია ამ ყველაფერმა. რუსული რუბლის გაუფასურება კი აისახა მისი მეზობელი ქვეყნების ვალუტის გაუფასურებაზე და შესაბამისად საქართველოზეც. რუსეთის 2014 წელს დაწყებული კრიზისი გავრცელდა შემდეგ რეგიონებზე: უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს მცირე მასშტაბის ეკონომიკა აქვს მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონის ქვეყნებთან და შესაბამისად რუსეთის კრიზისი მკვეთრად აისახა. ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს 2014 წლის შემდეგ ექსპორტი საქართველოდან რუსეთში შემცირდა, მაგრამ იმპორტირებული საქონლის რიცხვი უცვლელი დარჩა, რამაც ვაჭრობის დისბალანსი კიდევ უფრო გაზარდა.

**დიაგრამა 1: ექსპორტი საქართველოდან რუსეთში**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2015)

**დიაგრამა 2: იმპორტი რუსეთიდან საქართველოში**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2015)

კრიზისის უარყოფითი შედეგების დასაძლევად, აღსანიშნავია ცენტრალური ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მთავრობისა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევა. ცენტრალური ბანკის მხრიდან კრიზისის დასაძლევად ბანკების ლიკვიდობით უზრუნველყოფა და მონეტარული პოლიტიკის შერბილება მოხდა, მთავრობის მიერ ფისკალური სტიმულირება ეკონომიკური ვარდნის შემამსუბუქებელი ფაქტორი გახდა, ხოლო ქვეყანაში შემცირებული კერძო კაპიტალის შემოდინება დონორი სახელმწიფოეისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემულმა გრანტებმა ჩაანაცვლა (საქართველოს ეროვნული ბანკი).

## კრიზისის დასაძლევად გატარებული ღონისძიებები

აშშ-ში უძრავი ქონების ბაზარზე დაწყებული პრობლემები, რომელსაც ძირითადად ახალმა ფინანსურმა ინსტრუმენტებმა შეუწყო ხელი, მალევე გადაიზარდა განვითარებული ქვეყნების ფინანსურ კრიზისში. კრიზისის საწყის ეტაპზე მისი გავლენა მსოფლიოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით კი განვითარებადი და მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე საკმაოდ მცირე იყო.

კრიზისის გამოვლენასთან ერთად, სახელმწიფოებს უპრეცენდენტო ზომების მიღება მოუხდათ, რაც მთავრობების, ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით ეკონომიკაზე კრიზისების უარყოფითი შედეგების შესუსტებას ისახავდა მიზნად. განვითარებული ქვეყნების ფინანსური და ეკონომიკური ბაზრების მჭიდრო კავშირის ფონზე, კრიზისის დასაძლევად გატარებული ღნისძებების კომპლექსურობისა და კოორდინაციის საჭიროება შეიქმნა. პირველ ყოვლისა, მიღებული ზომები ბანკებსა და საინვესტიციო ფონდებში არსებულ დანაზოგებზე მთავრობების მიერ გარანტიების გაცემასა და ცენტრალური ბანკების მიერ ფინანსური სისტემისთვის ლიკვიდური სახსრების მიწოდებას გულისხმობდა, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რაც კრიზისის ფონზე მალევე ნათელი გახდა. მთავრობებმა უფრო მკაცრ ზომებს მიმართეს, რაც გულისხმობდა დანაკარგების სახელმწიფოს მიერ დაფარვას (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2008).

ფინანსური სექტორისადმი ნდობის აღდგენა კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა. კრიზისის დაწყების შემდგომ საფინანსო სექტორისთვის ფულადი რესურსების მოზიდვის პრობლემები წარმოიქმნდა და მათი გადახნისუნარიანობის პრობლემები საგრძნობლად გაიზარდა. ცენტრალური ბანკების მხრიდან, კრიზისის თავდაპირველი პასუხი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების კოორდინირებულად შემცირება და იაფი ლიკვიდობის მიწოდება იყო. ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის მიზნების უზრუნველსაყოფად მოკლევადიანი სარგებლის განაკვეთების ინსტრუმენტს იყენებენ, თუმცა კრიზისის ფონზე მონეტარული პოლიტიკის გადაცემის საშუალებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ამ პირობებში ცენტრალურმა ბანკებმა ახალი ინსტრუმენტების შემოღება დაიწყეს, რომლითაც გრძელვადიანი სარგებლის განაკვეთების შემცირება და დაკრედიტების წახალისება გახდა შესაძლებელი.

კრიზისის პერიოდში ვალის მოსალოდნელზე მეტად ზრდამ, სუვერენლი რისკები წარმოშვა. კრიზისამდე პერიოდში ზოგიერთი ქვეყანა ვალის საკმაოდ დაბალ ნიშნულზე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა საფინანსო სისტემის გადასარჩენად დახარჯულმა რესურსებმა ვალის მკვეთრი ზრდა განაპირობა. გლობალური კრიზისის საპასუხოდ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა მკვეთრად გაზარდეს დაფინანსება, სესხები და გარანტიები. მას შემდეგ რაც ნათელი გახდა კრიზისის სრული მასშტაბი და მისი უარყოფითი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, დახმარების მიზნით მსოფლიო ბანკის ჯგუფი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქტიურად ჩაერთვნენ. მსოფლიო ბანკი თავდაპირველად ორიენტირებული იყო სესხების ზრდაზე საშუალოშემოსავლიან ქვეყნებზე, შემდეგ კი უფრო ფართო მასშტაბის ღნისძიებები გაატარა, რომლიც ფარგლებშიც დახმარება ყველა ჯგუფის ქვეყნებს შეეხოთ. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარება მიზნად ისახავდა ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენას წევრი ქვეყნებისთვის, რათა შეემცირებინათ კრიზისის უარყოფითი გავლენა მათ ეკონომიკაზე და შეენარჩუნებინათ მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

ამდენად, შეჯამებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის წარმომშობი ქვეყანა უარყოფით სიგნალებს გზავნის მის მეზობელ ქვეყნებთან. ავტორებმა, გლიკმა რა როუზმა (1999) გამოიყენეს პრობიტის მოდელი, რითაც აჩვენეს, რომ ვაჭრობა კრიზისის გადაცემის მნიშვნელოვანი წყარო იყო 1971, 1973, 1994სა და 1997 წლებში. დასგუფთას მიერ მსგავსი შედეგები იყო მიღებული, რომელმაც გამოიყენა ბაიესიანური მეთოდოლოგია, იმისათვის რომ თავიდან აეცილებინა მონაცემების სიმცირიდან გამომდინარე გადახრები. ორივე მოდელმა აჩვენა, რომ მაკროეკონომიკურ საფუძვლებს არ აქვს კრიზისის გავრცელების ალბათობის ზრდაზე დიდი გავლენა.

ავტორების, ბერგერისა და ვაგნერის (2005) ნაშრომში განხილულია კრიზისის გავრცელების სხვა შესაძლო გზა, რომლის მიხედვითაც, როდესაც ორი ქვეყანა მჭიდროდ თანამშრომლობს ერთმანეთთან ფინანსური კუთხით, ერთ ქვეყანაში

გაჩენილი კრიზისი საკმაოდ სწრაფად ვრცელდება მეორე ქვეყანაში. ღია ეკონომიკის ქვეყნებში კრიზისების გავრცელების შესაძლებლობა უფრო მაღალია, რადგან ღია ეკონომიკის არსებობა განაპირობებს ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ და ფინანსურ კავშირს.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის საქართველოშიც, საფინანსო ბაზრის მონაწილეებსა და მარეგულირებლებს მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა საფინანსო სისტემის მსგრადობისა და სტაბილურობის უკეთესად დაცვისთვის. რუსეთის კრიზისის ფონზე საქართველოს საფინანსო სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა, თუმცა მდგრადობა გამოავლინა და ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა შეინარჩუნა. ეს ძირითადად განპირობებული იყო მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კრიზისის კოორდინირებულად და ეფექტურად მართვის, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკით სტიმულირებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ მხარდაჭერის შედეგად.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ჭარაია, ვ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობაქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. თსუ.
2. A.Peluffo. (2015). Foreign direct investment, productivity, demand for skilled labour and wageinequality: An analysis of Uruguay. World Economy.
3. Agarwal, J. (1980). Determinants of foreign direct investment: A survey.Aitken, B., Harrison, A., & Lipsey, R. E. (1996). Wages and foreign ownership a comparativestudy of mexico, venezuela, and the united states. International Economics.
4. Aktar, İ., Demirci, N., & Öztürk, L. (2009). Can unemployment cured by economic growth andforeign direct investment? Journal of Social Economic Research.
5. Anghel, M.-G., Anghelache, C., & Manole, A. (2017). The Effect Of Unemployment OnEconomic Growth. Bucharest: University of Bucharest.

6. Baleci, F., & Heeman, H. (2013). European Perspectives.
7. Ballard, B. (2019). The alarming decline in foreign direct investment. World Finance.
8. Bandick, R., & Karpaty, P. (2011). Employment effects of foreign acquisition. InternationalReview of Economics & Finance, 211-224.
9. Bayar, Y., & Ozturk, O. (2018). Impact of foreign direct investment inflows on tax revenues inOECD countries: A panel cointegration and causality analysis.
10. Brukoff, P., & Rother, B. (2007). IMF Survey: FDI May Not Be as Stable as Governments Think.IMF Policy Development and Review Department.
11. Callen, T. (2020). Gross Domestic Product. International Monetary Fund.
12. Cambridge Dictionary. (2020). Retrieved from https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/investment
13. Erkomaishvili, G., Kobalava, M., & Lazariashvili, T. (2018). Stimulating Policy for Attracting Foreign Direct Investment in Georgia. 20th International Conference on Economics, Business and Marketing Management, At Barcelona, Spain.
14. Hale, G., & Xu., M. (2016). FDI effects on the labor market of host countries. FEDERAL RESERVEBANK OF SAN FRANCISCO.
15. International Labour Organisation. (2020). Retrieved from ILO: https://www.ilo.org/ilostatfiles/Documents/description_UR_EN.pdf
16. Jungbluth, D. C. (2019). Tracing three decades of foreign direct investment booms and busts and their recent decline.
17. Khan, M. A. (2016). Multinational Enterprise Management Strategies in Developing Countries.
18. Khan, S. (2014). Impact of FDI on GDP: An Analysis of Global Economy on Production Function.MPRA.
19. Kose, M. A., Sugawara, N., & Terrones, M. E. (2020). Global Recessions. World Bank.
20. Misini, S. (2017). THE EFFECT OF ECONOMIC GROWTH IN RELATION TO UNEMPLOYMENT.Kosovo: "AAB" College.
21. Moon, H.-C. (2016). Foreign Direct Investment - A Global Perspective.
22. Ndedi, P. A. (2017). Analyzing Factors Affecting Economic Growth. World Bank
23. Papava, V. (2020). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine – OpEd. Eurasia Review.
24. Silagadze, A., & Zubiashvili, T. (2016). Foreign Direct Investment in Georgia. International Journal of Arts and Sciences.

25. Stelter, D. (2020). Coronomics - The beginning of a new economic and financial order. Frankfurt.

26. The World Bank. (2018). DataBank - Indicators. Retrieved from https://databank.worldbank.org/home.aspx

27. World Bank Group. (2018). GEORGIA: Making the Recovery Sustainable (Country EconomicUpdate).

28. Zdravkovic Aleksandar, A. B.-M. (2017). Impact of FDI on unemployment in transition countries: Panel cointegration approach. Institute of Economic Sciences (Serbia).

29. Zhuang, H. (2016). The effect of foreign direct investment on human capital development in East Asia. Journal of the Asia Pacific Economy, 195-211. Zivot, E. (1996). Unemployment definitions and statistics. Retrieved from University of Washington: http://faculty.washington.edu/ezivot/econ301/301l5_1.htm

30. Zucman, G. (2019). Global Wealth Inequality.